ანატოლ ფრანსი

პინგვინთა კუნძული

თბილისი
„ნაკადული“
1986

ᲦᲘ.4
ფ 878

ცნობილი ფრანგი მწერალი, ორატორი და პუბლიცისტი ანატოლ ფრანსი მსოფლიო მნიშვნელობის შეპოქმედია, რომლის ნაწარმოებებიც რამდენიმე ათეულ ენაზეა თარგმნილი. „პინგვინთა კუნძული“ მისი ერთ-ერთი საუკეთესო რომანია, სადაც ყველაზე სრულყოფილად გამოჩნდა მწერლის მხატვრული სიტყვის ძალა და თავისებურება. რომანში მძაფრი სატირით არის აღწერილი მსოფლიოს და კერძოდ საფრანგეთის ცივილიზაციის ისტორია. თავისი მიზნის მისაღწევად ავტორი ფართოდ იყენებს ალეგორიებს, გროტესკულ სიღბებს, პაროდიას, კარიკატურულ გაზვიადებას, მაგრამ ყოველივე რეალურ ფაქტებზეა დაყრდნობილი. რომანი მიმართულია რეაქციისა და ძალძომრეობის წინააღმდეგ.

ფრანგულიდან თარგმნა
მ ა ნ ა ნ ა მ ი ქ ე ლ ა ძ ე მ

© „ნაკადული“ 1986

70304—124
Ф ———————— 119—86
М 603 (08) — 86

შ ე ს ა ვ ა ლ ი

თუმცა გართობა დიდად მიტაცებს, ჩემი ცხოვრება მაინც მიზანდასახულია. მე ერთი დიდი ჩანაფიქრის განხორციელებას ვცდილობ; პინგვინთა ისტორიას ვწერ. გულმოდგინედ ვშრომობ და არც დაბრკოლებებს ვეშინდები, თუმცა ხანდახან გადაულახავადაც კი მეჩვენება ისინი.

ჯერ მიწა გავთხარე და ამ ხალხის დამარხული ნაშთები მზის სინათლეზე გამოვიტანე. ადამიანთა პირველი წიგნები ქვები იყო და მეც შევისწავლე ეს ქვები, რაც პინგვინთა საწყის მატიანედ შეიძლება მივიჩნიოთ. შემდეგ ოკეანის სანაპიროზე ერთი ჯერაც ხელუხლებელი გორაკი გავთხარე და, როგორც წესია, ქვის ნაჯახები, ბრინჯაოს ხმლები, რომაული მონეტები და ერთიც ოცსუიანი მონეტა აღმოვაჩინე, რომელზედაც საფრანგეთის მეფე ლუი-ფილიპე პირველი იყო გამოსახული.

ისტორიული ეპოქის შესწავლაში ძალიან დამეხმარა ბერგარდენის მონასტრის ბერის, იოანე ტალპას ქრონიკები. მისი ხელნაწერები საფუძვლიანად დავამუშავე, რადგან პინგვინთა ადრეული შუა საუკუნეების შესახებ სხვა მასალები არ მოიპოვება.

მეცამეტე საუკუნიდან წყაროები მრავლდება, მაგრამ საიმედო კვლავ არაფერია. ჭეშმარიტად, ძალიან რთულია ისტორიის დაწერა. ზუსტად ვერასოდეს დაადგენ, როგორ ჩაიარა ამა თუ იმ მოვლენამ და რაც მეტია დოკუმენტი, მით უფრო იბნევა ისტორიკოსი. თუ ფაქტს მხოლოდ ერთი მოწმე ჰყავს, მისი ნაამბობი უეჭველია. დაბნეულობას სწორედ ერთი და იგივე ამბის ორი ან რამდენიმე მთხრობელი იწვევს. მათი ნაამბობი მუდამ წინააღმდეგობრივი და მიუღებელია.

ცხადია, მეცნიერული აზრი, ერთის ნაამბობს მეორისას რომ ამჯობინებს, ხანდახან საკმაოდ ძლიერია; ამასთანავე არც იმდენად ძლიერი, რომ ჩვენი ვნებები, გადმონაშთები და ინტერესები. აიტაცოს ან ყოველი კაცის უცილობელი თვისება — ქარაფშუტობა დაძალოს. სწორედ ამიტომ, ფაქტებს მუდამ მიკერძოებით ან ქარაფშუტულად წარმოვადგენთ.

ჩემი ქვეყნისა თუ უცხო ქვეყნების ბევრ სწავლულ არქეოლოგსა და პალეოგრაფს შევჩივლე, რა შავ დღეში ჩამაგდო პინგვინთა ისტორიის შექმნამ. პასუხად, ზიზღი დავიმსახურე. მათი შემწუნარებელი ღიმილი თითქოს მეუბნებოდა: „განა ჩვენ კი ვწერთ ისტორიას? განა ჩვენ კი ვცდილობთ ტექსტსა და საბუთში ცხოვრების ან ჭეშმარიტების ნასახი მოვიძიოთ? ჩვენ ხომ მხოლოდ ვაქვეყნებთ ტექსტებს, ეს არის და ეს. ასოებს ვგავართ, ოღონდ ასოებს ფასიცა აქვთ და გარკვეული ადგილიც, გონებას კი ეს არ გააჩნია. იდეები ფანტაზიას ჰგავს. ძალიან მოუსვენარი უნდა იყო, რომ ისტორიის დაწერა გაბედო. ამას წარმოსახვის უნარი სჭირდება".

ამას ამბობდა ოსტატ პალეოგრაფების შემოხედვა და ღიმილი, მე კი მათი საუბარი სიმამაცეს მაკარგვინებდა. ერთხელაც, ერთ განთქმულ სიგილოგრაფთან საუბრის შემდეგ, როცა ჩვეულებრივზე მეტად დამწუხრებული გახლდით, მოულოდნელად ასეთი აზრი დამებადა: „ბოლოს და ბოლოს, ხომ არსებობენ ისტორიკოსები, სულ ხომ არ გადაშენებულა მათი ჯიში. ხუთი თუ ექვსი მათგანი ზნეობრივ მეცნიერებათა აკადემიამ შემოიწახა. ისინი ტექსტებს კი არ აქვეყნებენ, ისტორიას წერენ. იქ მაინც არ მეტყვიან, ამ საქმით მხოლოდ თავქარიან კაცს შეუძლია დაინტერესდესო". ამ აზრმა კვლავ სიმამაცით ამავსო.

მეორე დღეს (ასე ამბობენ, თორემ „ხვალინდელ დღეს" უფრო სწორი იქნებოდა) მე ერთ-ერთ მათგანს, გამშრიახ ბერიკაცს ვეწვიე.

— რჩევისთვის გეახელით, ბატონო ჩემო, — მივმართე მას. — იქნებ თქვენმა გამოცდილებამ მიშველოს.

საუბედუროდ, ისტორიის წერა დავიწყე, მაგრამ არაფერი გამომდის.

მან მხრები აიჩეჩა და ასე მიპასუხა:

— თავს რად იწვალებთ, ბატონო ჩემო. ისტორიის დაწერას რად ცდილობთ, როცა უკვე ცნობილის გადაწერა გაცილებით იოლი საქმეა. ჩვეულებრივ ხომ ასეც ხდება! ახალი თვალთახედვა და ორიგინალური იდეა, ადამიანების ან ნივთების ახალ ასპექტში განხილვა მხოლოდ გააოცებს მკითხველს. მას კი გაოცება არ უყვარს. ისტორიაში იგი ნაცნობ სისულელეებს დაეძებს და თუ ჭკუის სწავლებას დაუწყებთ, ამით დაამცირებთ და გააღიზიანებთ კიდეც. განმანათლებლად ნუ მოევლინებით, მაშინვე დაგკივლებს, ჩემს რწმენას შეურაცხყოფთო. ისტორიკოსები ერთმანეთისაგან იწერენ. ამგვარად არც თავს იღლიან და არც ეშინიათ, ყოყლოჩინებს დაგვემსგავსებითო. უმჯობესია, მათ მიბაძოთ და ორიგინალობას თავი დაანებოთ, მკვლევარი ისტორიკოსი, თუ ის ჭეშმარიტი მკვლევარია, უნდობლობას, ზიზღსა და საერთო სიძულვილს იწვევს.

„ბატონო ჩემო, — დასძინა მან. — ნუთუ გგონიათ, რაიმე ახალი რომ შემეტანა ჩემს ისტორიულ წიგნებში, ასე განთქმული და დიდებით მოსილი ვიქნებოდი? ეს სიახლე რაღაა? თავხედობაა და მეტი არაფერი!“

იგი წამოდგა. ის იყო, მადლობა გადავუხადე თავაზიანობისათვის და კარისაკენ გავემართე, რომ კვლავ დამიძახა:

„ერთსაც გეტყვით, თუ გსურთ თქვენი წიგნი კარგად მიიღონ, ხელიდან ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას; აღფრთოვანებით აქეთ ის სათნოებანი, რასაც ჩვენი საზოგადოება ეფუძნება: სიმდიდრის ერთგულება, ღვთისმოსაობა და განსაკუთრებით კი ბედისადმი მორჩილება ღარიბთათვის. ეს წესრიგის საფუძველია. განაცხადეთ, ბატონო ჩემო, რომ საკუთრების, არისტოკრატიისა და ჟანდარმერიის არსს თქვენს ისტორიაში სწორედ იმ შესაფერისი პატივით განიხილავთ, რასაც ეს ინსტიტუტები იმსახურებენ. აღნიშნეთ რომ, თუკი მოხდება, ზებუნებ-

ჩვენ მოვლენასაც აღიარებთ. მხოლოდ ამ გზით შეიძლება საზოგადოებაში წარმატება მოიპოვოთ".

მე კარგად დავუფიქრდი ამ სამართლიან შენიშვნებს და გავითვალისწინე კიდეც ისინი.

პინგვინთა ცხოვრებას გარდასახვამდე არ ვეხები; ისინი მე იმ დროიდან მიზიდავენ, როცა ზოოლოგიის სფეროდან ისტორიისა და თეოლოგიის სფეროში გადაინაცვლეს. სწორედ იმ პინგვინებზე გვაქვს საუბარი, დიდმა წმინდანმა მაელმა ადამიანებად რომ გადააქცია, თუმცა ამას ახსნა-განმარტება სჭირდება, რადგან დღეს, ტერმინმა „პინგვინმა" შეიძლება დაბნეულობა გამოიწვიოს.

პინგვინებს ეძახიან არქტიკის ფრინველებს, რომლებიც ფეხაპკიანთა ოჯახს ეკუთვნიან. ფრინველთა ასეთივე ტიპს, რომელიც ანტარქტიდის ზღვებთან გვხვდება, მანშოტები ჰქვია. ამგვარ განსხვავებას გვთავაზობს, ვთქვათ, ბატონი გ. ლეკუანტი,[1] როდესაც „Belgica"-თი თავის მოგზაურობას აღწერს. „გერლახის სრუტესთან დასახლებულ ფრინველთა შორის, ყველაზე საინტერესო, უდავოდ, მანშოტები არიან; ხანდახან შეცდომით მათ სამხრეთის პინგვინებს ეძახიან". დოქტორი ჟ. ბ. შარკო[2] კი პირიქით, ერთადერთ და ჭეშმარიტ პინგვინებად თვლის სწორედ ანტარქტიდის ფრინველებს, რომელთაც ჩვენ მანშოტებს ვუწოდებთ და საბუთად ის მიაჩნია, რომ 1598 წელს, მაგელანის კონცხთან, მათ ჰოლანდიელებმა უწოდეს სახელი „Pinguinos", რაც სქელს ნიშნავს და უეჭველად მათი სიმსუქნის გამო შეერქვათ. მაგრამ თუკი მანშოტებს პინგვინები ჰქვიათ, პინგვინებს რაღა დავარქვათ? დოქტორი ჟ. ბ. შარკო ამაზე არაფერს ამბობს და, როგორც ჩანს, დიდად არც აწუხებს ეს საკითხი.

კარგი, ბატონო! უნდა დავეთანხმოთ იმ აზრს, რომ

---

[1] G. Lecointe, Au pays du manchots. Bzuxelles, 1904 (ავტ. შენიშვნა)

[2] J. — B. Charcot, journal de l'expedition francais, 1903—1905. Paris (ავტ. შენიშვნა)

მაწმოტები ან გასდებიან, ან კვლავ გადაიქცევიან პინგვინებად. მათი შესწავლა, ცხადია, სასელის შერქმევის უფლებასაც გვაძლევს და ბოლოს და ბოლოს ჩრდილოეთის პინგვინებს იმის ნება მაინც მივცეთ, რომ პინგვინებად დარჩნენ. მაშინ გვეყოლება სამხრეთისა და ჩრდილოეთის, ანუ. ანტარქტიდისა და არქტიკის პინგვინები, ე. ი. ძველი პინგვინები და ყოფილი მაწმოტები. ეს ალბათ გაართულებს საქმიანობას ორნიტოლოგებისა, რომელთა საზრუნავსაც სწორედ ფეხაკიანთა აღწერა და კლასიფიკაცია წარმოადგენს. მათ უეჭველად ღაფიქრებთ აზრი, შეიძლება თუ არა ორ ოჯახს, რომლებიც ურთიერთსაწინააღმდეგო პოლუსზე ცხოვრობენ და ერთმანეთისაგან, ეთქვათ, ნისკარტით, ფრთებით და ფეხებით განსხვავდებიან, ერთი და იგივე სახელი მიეკუთვნოს. პირადად მე კი ამ დაბნეულობას მშვიდად ავიტან. რა დიდიც უნდა იყოს განსხვავება ჩემსა და ბატონ ჟ. ბ. შარკოს პინგვინებს შორის, მსგავსება გაცილებით უფრო მრავალმხრივი და ღრმაა. ერთნიც და მეორენიც დინჯი და მწყაზარი იერით, ღირსების კომიკურობით, დანდობილი შინაურულობით, ცბიერი გულკეთილობით, მოუხეშავი და ამავე დროს სასიამო მანერებით გამოირჩევიან. ერთნიცა და მეორენიც შრომისმოყვარე, ქაქანის-მოყვარე, სანახაობას დახარბებულნი, საზოგადოებრიკი საქმიანობით დაკავებულნი არიან და იქნებ ოდნავ შეურიანნიც სხვისი უპირატესობის მიმართ.

სიმართლე რომ ითქვას, ჩემს ფრინველებს ფრთები ჭერცლით კი არა, პატარა ბუმბულითა აქვთ დაფარული; და თუმცა ფეხები ცოტა უკან რჩებათ, ისევე გაჯგიმული და თავაწეული დადიან, როგორც სამხრეთელები და ღირსეულად მიარხევენ სხეულს. სწორედ მათმა დიადმა ნისკარტმა (os sublime) შეაცდინა მოციქული, რომელმაც ადამიანებად მიიჩნია ისინი.

უნდა ვაღიარო, რომ ეს ნაწარმოები ძველებური ისტორიების ჟანრს განეკუთვნება. იგი იმ მოვლენების განვითარებას წარმოგვიდგენს, რომელიც მესხიერებას

შემორჩა და შეძლებისდაგვარად მიზეზებსა და შედეგებზეც მიგვითითებს, რაც ხელოვნების საქმე უფროა, ვიდრე მეცნიერების. ამბობენ, რომ ასეთი აღწერა ზუსტ გონებას აღარ აკმაყოფილებს, ამიტომ დღეს ანტიკურ კლიოსაც ყბედად ჩათვლიდნენ. მომავალში ალბათ შეიქმნება უფრო სარწმუნო ისტორია, ცხოვრების პირობების ისტორია და გვიამბობს, თუ რას ქმნიდა და როგორ იყენებდა შექმნილს ესა თუ ის ერი ამა თუ იმ ეპოქაში. ეს ისტორია ხელოვნება კი არა, მეცნიერება იქნება და იმ სიზუსტით მოიწონებს თავს, ძველს რომ აკლდა. მაგრამ ასეთ ისტორიას სჭირდება უამრავი სტატისტიკური წვრილმანი, რაც დღემდე არც ერთ ერს, განსაკუთრებით კი პინგვინებს არ გააჩნიათ. იქნებ ერთ მშვენიერ დღეს თანამედროვე ერებმა წარმოადგინონ ამგვარი ისტორიისათვის საჭირო მასალა. გარდასული კაცობრიობის შესახებ კი, ვშიშობ, ძველმოდური ამბით მოგვწევს დაკმაყოფილება. ამგვარ მოთხრობას მხოლოდ მთხრობელის გამჭრიახობა და კეთილსინდისიერება აქცევს საინტერესოდ.

ერის ისტორია, როგორც ეს ალკას ერთმა დიდმა მწერალმა აღნიშნა, დანაშაულის, უბედურებისა და შეშლილობის ჭარგა გახლავთ. პინგვინეთში არაფერი ხდებოდა ისეთი, რაც სხვაგან არ მომხდარა; და მაინც, მისი ისტორია მშვენიერ ფურცლებს წარმოგვიდგენს, და მეც იმედი მაქვს, სათანადოდ გავაშუქო ისინი.

პინგვინები დიდი ხნის მანძილზე მეომარი ერი იყო. ერთმა მათგანმა, ჟაკო-ფილოსოფოსმა, მათი ხასიათი ზნეობის იმ პატარა ტილოში ჩატია, აქ რომ წარმოვადგენ, და უდავოდ სასიამოვნო წასაკითხი იქნება.

„უკანასკნელი დრაკონიდების მეფობის ხანაში, ბრძენმა გრაციანმა პინგვინეთს შემოუარა. ერთ დღეს, როცა გრილ ხეობაში აღმოჩნდა, სადაც სუფთა ჰაერში ძროხათა ეჟვნების წკრიალი ისმოდა, იგი ერთ-ერთი ქოხის წინ, მუხის ქვეშ პატარა მერხზე ჩამოჯდა. სახლის კართან ქალი ძუძუს აწოვებდა ჩვილს. ბიჭუნა უშველებელ ძაღლს ეთამაშებოდა. მზისგულზე ბრმა მოხუცი იჯდა,

პირი ოდნავ დაეღო და დღის სინათლეს ხარბად ისრუტავდა.

სახლის პატრონმა, აბალგახრდა, ჩასკვნილმა მამაკაცმა, პური და რძე შესთავაზა გრაციანს.

ზღვის ღორთა ქვეყნის ფილოსოფოსმა სოფლური საკვები იგემა.

— მადლი მომიხსენებია თქვენთვის, თავახიანი ქვეყნის თავახიანო შვილებო, — თქვა მან. — აქ ყოველივე სიხარულით, თანხმობითა და შვიდობით სუნთქავს.

ამ დროს ჩამოიარა მწყემსმა, რომელიც სტვირზე უკრავდა.

— რა მხიარული მელოდიაა, — თქვა გრაციანმა.

— ეს ჰიმნია; ზღვის ღორთა წინაალმდეგ საბრძოლველად მოგვიწოდებს, — უპასუხა გლეხმა. — აქ ყველა ამ ჰიმნს მღერის. თოთო ბავშვებიც კი ლაპარაკზე ადრე ამ სიმღერას სწავლობენ. აი, ასეთი კარგები ვართ პინგვინები.

— ზღვის ღორები არ გიყვართ?

— გვძულს.

— რატომ?

— რა საკითხავია. ზღვის ღორები ხომ პინგვინთა მეზობლები არიან!

— ცხადია.

— ჰოდა, ამიტომაც გვძულს.

— განა ეს სწორია?

— ცხადია, სწორია. ვინც მეზობელს ახსენებს, ის მტერს ახსენებს. ხედავთ იმ მინდორს, ჩემსას რომ ესაზღვრება? ეს მინდორი, ყველაზე მეტად რომ მძულს, იმ კაცს ეკუთვნის. მის შემდეგ ჩემი ყველაზე დიდი მტრები იმ სოფლის მცხოვრებლები არიან, ხეობის მეორე ფერდობზე რომ არის შეფენილი, არყის ხეების ტყის პირას. ამ ვიწრო და ყოველმხრივ ჩაკეტილ ხეობაში მხოლოდ მათი და ჩვენი სოფლებია გაშენებული. ერთმანეთის მტრობა გვაქვს როცა ჩვენი უმაწვილები მათ უმაწვილებს ხვდებიან, მუდამ ლანძღვა-გინებითა და მუჯლუგუნებით უმასპინძლდებიან ერთმანეთს. და თქვენ გსურთ, რომ პინგვინები ზღვის ღორებს არ მტრობდნენ!

როგორ, პატრიოტიზმი არ გაგიგონიათ? ჩემს გულში, მაგალითად, მხოლოდ ორი მოწოდება იმაღლებს ხმას: »გაუმარჯოს პინგვინებს! სიკვდილი ზღვის ლორებს!«

ცამეტი საუკუნის მანძილზე პინგვინები ერთნაირი თავდადებითა და ცვალებადი წარმატებით ებრძოდნენ მწოფლიოს ყველა ერს. შემდეგ, რამდენიმე წელიწადში გადაიყვარეს, რაც ასე დიდხანს უყვარდათ, და მშვიდობისაკენ ცხოველი მიდრეკილება გამოიჩინეს, რაც უდავოდ ძალიან ღირსეულად და ამასთანავე გულწრფელად გამოხატეს. მათი გენერლები მშვენივრად შეეწყვნენ ახალ ზნეს; არმია, ოფიცრები, უნტერ-ოფიცრები, ჯარისკაცები, ახალწვეულები თუ ვეტერანები ასევე სიამოვნებით დაემორჩილნენ მას. მხოლოდ მჯღაბნელები და ბიბლიოთეკის ვირთხები ჩიოდნენ და ხეიბრები ვერ წყნარდებოდნენ.

იგივე ჟაკო-ფილოსოფოსმა შექმნა ზნეობრივი მოთხრობა, სადაც ადამიანთა სხვადასხვაგვარი საქციელი ფრიად კომიკური სახით წარმოადგინა და თავისი ხალხის მრავალი თვისებაც აღწერა. მას შეეკითხნენ, რისთვის დაწერა ასეთი ყალბი ისტორია და რა სარგებელს მოუტანდა თხზულება მის სამშობლოს.

— ძალიან დიდს, — უპასუხა ფილოსოფოსმა. — როცა პინგვინები დაინახავენ თავის საქციელს, რომელსაც ჩამოშორებული აქვს ყოველივე, რითიც დღემდე ამაყობდნენ და პაროდიადაა ქცეული, უკეთ გამოიტანენ დასკვნებს და ვინ იცის, მოჰკვიანდნენ კიდეც.

არ ვისურვებდი ამ ისტორიაში გამომეტოვებინა რამე, რითაც ხელოვანი შეიძლება დაინტერესდეს. აქ შეხვდებით პინგვინთა შუა საუკუნეების მხატვრობის აღწერას; და თუ ეს ნაწილი არც ისე სრულია, როგორც ვისურვებდი, ეს ჩემი ბრალი არ იქნება. თავადაც დარწმუნდებით, როცა ამ შესავლის საშინელ დასასრულს წაიკითხავთ.

შარშან, ივნისში, აზრად მომივიდა პინგვინთა ხელოვნების წარმოშობისა და განვითარების საკითხის გასაშუქებლად კონსულტაცია მიმეღო მარად დაუვიწყარი ბა-

ტონი ფულგენცია ტაპირისაგან, რომელიც „ფერწერის, სკულპტურისა და არქიტექტურის უნივერსალური მატიანეს“ სწავლული ავტორი გახლავთ.

მე მის სამუშაო კაბინეტში შევედი და ცილინდრული ფორმის საწერ მაგიდასთან, სადაც ქაღალდების წარმოუდგენელი გროვა დაეხვავებინათ, პატარა, ახლომხედველი კაცუნა აღმოვაჩინე, ჭუთუთოებს ოქროსჩარჩოიანი სათვალის მიღმა რომ ახამხამებდა.

მისი აპრეხილი, მოძრავი ცხვირი შეგრძნების ნატიფი ნიჭით იყო დაჯილდოვებული, მხედველობის ნაკლის ანაზღაურებას ცდილობდა და სამყაროს იკვლევდა. ფულგენცია ტაპირი სწორედ ამ ორგანოს საშუალებით ამყარებდა კონტაქტს ხელოვნებასა და სილამაზესთან. ცნობილია, რომ მუსიკისმცოდნეები უმეტესწილად ყრუები, ხოლო მხატვრობისმცოდნეები ბრმები არიან. ეს საშუალებას აძლევს მათ ესთეტიკურ იდეებს სჭირო გულისყურით მოეკიდონ. ნუთუ გგონიათ, რომ თვალები, რომელთაც უნარი აქვთ შეიმეცნონ ფორმა და ფერი, რაც ბუნების იდუმალებას მოსავს, საშუალებას მისცემდა ფულგენცია ტაპირს ნაბეჭდი და ხელნაწერი მასალების მთაზე ამძვრალიყო, სამეცნიერო სპირიტუალიზმის მწვერვალისთვის მიეღწია და ძლევამოსილი თეორია შეექმნა, ყველა ქვეყნისა და დროის ხელოვნებას საფრანგეთის აკადემიაში, განვითარების უმაღლეს მწვერვალზე რომ უყრის თავს.

სამუშაო კაბინეტის კედლები, იატაკი და ჭერიც კი ქაღალდის დასტებით, უზომოდ გაბერილი საქაღალდეებით და აურაცხელი ფურცლით სავსე უჯრებით იყო მოფენილი. და მე აღფრთოვანებისა და საშინელების ნაზავი გრძნობით შევყურებდი ერუდიციის ამ გადმოსახეთქად გამზადებულ ჩანჩქერს.

— ოსტატო, — აღელვებით შევძახე მე. — უშრეტია სიკეთე და სწავლულობა თქვენი. იქნებ ინებოთ და პინგვინთა ხელოვნების წარმოშობის რთულ გამოკვლევებში ხელი შემომაშველოთ?

— ბატონო, — მიპასუხა ოსტატმა. — ჩემს ხელში

მთელი ხელოვნებაა თაემოყრილი, გესმით, მთელი ხელოვნება, ანბანისა და მასალის რაობის მიხედვით რომაა განწილებული კარტოთეკის ფურცლებზე. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია გადმოგცეთ ყოველივე, რაც პინგვინებს შეეხება. ადით ამ კიბეზე და ის უჯრა გამოსწიეთ, მაღლა რომ ხედავთ. იქ ყველაფერს ნახავთ, რაც გჭირდებათ.

აკანკალებული დავემორჩილე და ის იყო საბედისწერო უჯრა გამოვაღე, რომ იქიდან ცისფერი ბარათები გადმოცვივდა, თითებშუა გამისრიალდა და იატაკზე წეიმასავით დაეშვა. თითქმის მაშინვე, ალბათ სოლიდარობის გამო, მომიჯნავე უჯრებიც გაიხსნა და ვარდისფერი, მწვანე და თეთრი ბარათების ნიაღვარი გადმოსკდა. თანდათან ყველა უჯრიდან გადმოიპნა სხვადასხვაფერი ბარათები და აპრილის თვეში ბეჭობზე მოჩუხჩუხე ნაკადულივით ძირს შრიალით დაეშვა. ერთ წუთში იატაკი ქაღალდის სქელმა ფენამ დაფარა. ბარათები ხმაურით იხსნიდა თავს ამოუწურავი რეზერეუარებიდან და უფრო და უფრო სწრაფად ცვიოდა. მუხლამდე ქაღალდში ჩამდგარი ფულგენცია ტაპირი მგძნობიარე ცხვირით სტიქიური უბედურების მიზეზს იკვლევდა და რა შეიცნო იგი, საშინლად გაფითრდა.

— რამდენი ხელოვნებაა! — წამოიძახა მან.

მე შევეხმიანე და დავიხარე კიდეც, რათა ქაღალდების ამ თაედასხმით გაღუნულ კიბეზე ამოძვრომაში დავხმარებოდი, მაგრამ უკვე გვიან იყო. ფულგენცია ტაპირს ხავერდის ჩაჩი და ოქროსჩარჩოიანი სათვალე დაეკარგა და გუნებაწამხდარი, სასომიხდილი და გასაცოდავებული თავის მოკლე მკლავებს ნიაღვარს უშველდა, უკვე იღლიამდე რომ სწვდებოდა. მოულოდნელად ბარათების საშინელი ქარბორბალა ამოიჭრა და იგი გიგანტურ ორომტრიალში ჩაითრია. ერთხელ კიდევ მოკკარი თვალი სწავლულის მელოტ თავს და პატარა, მსუქან ხელებს, შემდეგ უფსკრულმა პირი შეიკრა და წარღენა სიჩუმითა და უმოძრაობით დასრულდა. შემეშინდა, რომ ჩემი კიბიანად უფსკრულში ჩავეშვებოდი და სარკმლიდან ვუშველე თავს.

კიბერონი, 1 სექტემბერი, 1907 წ.

წიგნი პირველი

წარმოშობა

თავი I

წმინდა მაელის ცხოვრება

მაელი კამბრიის სამეფო გვარის შთამომავალი იყო. ცხრა წლისა სასულიერო და საერო მეცნიერებების შესასწავლად ივერნის მონასტერში მიაბარეს. თოთხმეტი წლისამ მემკვიდრეობაზე უარი განაცხადა და თავი ღვთის სამსახურს მიუძღვნა. თავის დროს, წესისამებრ, გალობას, გრამატიკის შესწავლასა და მარადიულ ჭეშმარიტებაზე ფიქრს ახმარდა.

ზეციურმა სურნელებამ[1] მალე აღმოაჩნია მისი სათნოება და როცა მონასტრის წინამძღვარი, ნეტარხსენებული გალი ამა სოფელს განეშორა, ახალგაზრდა მაელმა სავანის ხელმძღვანელობა იტვირთა. ამის შემდეგ მან სკოლა. საავადმყოფო, სასტუმრო, სამჭედლო, სხვადასხვა სახელოსნო და ნავსაშენი ააგო და ბერებს იმ მიწის დამუშავება დაავალა, მონასტერს გარს რომ ეკრა. მონასტრის ბაღს თავად უვლიდა, სამჭედლოშიც მუშაობდა და ახალბედებსაც ასწავლიდა. მისი ცხოვრება ისე დუნედ მიედინებოდა, ვით მდინარე, ზეცას რომ ირეკლავს და ნიადაგს ანაყოფიერებს.

საღამოობით, ღვთის მსახურს ციცაბო კლდის ნაპირას უყვარდა ჩამოჯდომა. ამ ადგილს დღესაც წმინდა მაელის მერხს

---

[1]. ქრისტიანული ლეგენდების მიხედვით სასწაულს წინ მუდამ იუცოური სურნელება უძღვის.

ეშახიან. მის ფეხქვეშ მწვანე წყალმცენარეებითა და წითური ხაესით დაფარული ლოდები, შავ ეშმაკებს რომ წააგავდნენ, ქაფიან ტალღებს უშვერდნენ საშინელ მკერდს. მაელი ოკეანეში წითელი სეფისკვერივით ჩაშვებულ მზეს გაჰყურებდა ზეცასა და ტალღებს მეწამულისფრად რომ ღებავდა. ეს სურათი წმინდანს ჯვრის იდუმალ ხატებად წარმოესახებოდა, თითქოს სისხლი მეფური სიწითლით ღებავდა მიწას. მოშორებით, მუქი ლურჯი ხაზით კუნძულ გადის სანაპირო იკვეთებოდა, სადაც წმინდა ბრიგიდა, ვინც თავად მაელმა აღკვეცა მონაზვნად, ქალთა მონასტერს წინამძღოლობდა.

ბრიგიდა ღირსი მაელის მოღვაწეობას გაეცნო და წმინდანს თავისი ხელით გაკეთებული რაიმე ნივთი სთხოვა ძვირფას საჩუქრად. მაელმა ბრინჯაოს ხარი ჩამოასხა, აკურთხა და ზღვაში ჩააგდო. ხარი წკრიალით გაცურდა გადის სანაპიროსაკენ. წმინდა ბრიგიდამ გაიგონა ბრინჯაოს ხარის წკრიალი, მონასტრის საზეიმო პროცესიის თანხლებითა და ფსალმუნების გალობით დიდი მოწიწებით ამოიღო იგი და მონასტრის სამლოცველოში დაასვენა.

ასე იღვწოდა სათნოებისთვის წმინდა მაელი. მას უკვე გალეული ჰქონდა ცხოვრების ორი მესამედი და იმედოვნებდა კიდეც, რომ მიწიერ ცხოვრებას მშვიდად დაასრულებდა სულიერ ძმებს შორის, როცა ღვთიურმა სიბრძნემ სხვაგვარად გადაწყვიტა და ზეცის ნიშანმა მაელს ამცნო, რომ უფალი ნაკლებ მშვიდობიანი, მაგრამ არანაკლებ ღირსეული საქმიანობისაკენ მოუწოდებდა.

თავი II

წმინდა მაელის სამოციქულო მოწოდება

ერთ დღეს, როცა მაელი ჩაფიქრებული მიაბიჯებდა სანაპიროზე, სადაც ზღვაში შეჭრილი წვეტიანი კლდეები ბუნებრივ სამანსა და მშვიდ ყურეს ქმნიდა, მან წყლის ზედაპირზე ნავივით ატივტივებული ქვის ვარცლი დაინახა.

წმინდა გირეკი, დიდი წმინდა კოლომბანი და შოტლან-

დიისა თუ ირლანდიის სხვა სასულიერო მოღვაწენი სწორედ მსგავსი ვარცლით გაემართნენ არმორიკაში, რათა წარმართები ჭეშმარიტ რწმენაზე მოექცათ. ინგლისიდან მოკლონილი წმინდა ავოია, ვარდისფერი გრანიტის გეჯით აღმა აუყვა მდინარე ორეს. მოგვიანებით ამ გეჯაში ბავშვებს სვამდნენ ჭანჭყებლად. წმინდა ვოგი იბერნიიდან კორნუელში კლდის ნატეხით მიცურდა, რომელიც პენმარშში ინახება და რომელსაც ციებ-ცხელებით გატანჯულნი თავს ადებენ და იკურნებიან. წმინდა სამსონი მონ-სენ მიშელის ყურეში გრანიტის როფით მივიდა და მოგვიანებით ამ როფს წმინდა სამსონის ბადია უწოდეს. აი, ამიტომ, როგორც კი ვარცლი დაინახა, წმინდა მამა მაელი მაშინვე მიხვდა. რომ უფალმა მოუწოდა — ბრეტანის სანაპიროებსა და კუნძულებზე დასახლებული წარმართები ჭეშმარიტ რჯულზე მოექცია.

იფნის კვერთხი და მონასტრის წინამძღვრობა მან წმინდა მამა ბუდოკს მიანდო. შემდეგ მტკნარი წყლით სავსე პატარა კასრი, პური და წმინდა საბარება აიღო, ქვის ვარცლში ჩაჯდა და ედიკის კუნძულთან მიცურდა.

ედიკის კუნძულს ქარი არბევდა. ღარიბები კლდის ნაპრალებში თევზს იჭერდნენ და ქვიშითა და ქვებით სავსე ბოსტნებში, ქვის კედლებითა და იალღუნის მესრებით რომ იცავდნენ, გაჭირვებით მოჰყავდათ ბოსტნეული. კუნძულს სიღრმეში ფართოდ ტოტებგაშლილი მშვენიერი ლეღვის ხე იდგა. კუნძულის მცხოვრებნი ამ ხეს ეთაყვანებოდნენ.

წმინდა მამა მაელმა ასე მიმართა მათ:

— თქვენ ეთაყვანებით ხეს, რადგან მშვენიერია იგი, და რადგან სილამაზის აღქმის უნარი გაქვთ, მე გაზიარებთ ფარულ მშვენიერებას.

მაელმა წმინდა წერილი შეასწავლა მათ და, როს სწავლება გაასრულა, მარილითა და წყლით მონათლა ისინი.

მარბიანის კუნძულები ფრიად მრავალრიცხოვანი იყო, თუმცა მას შემდეგ წყალმა წალეკა ბევრი მათგანი. წმინდა მაელმა სამოცი კუნძულის მცხოვრებნი აზიარა ჭეშმარიტ რწმენას. მერე გრანიტის ვარცლით აღმა აუყვა მდინარე ორეს, სამი საათის შემდეგ მიწაზე შედგა ფეხი და ერთი რომაული სტილით აშენებული სახლის წინ აღმოჩნდა. სახლის სახურა-

ვიდან მსუბუქი ბოლი ამოდიოდა. წმინდა მამამ ხელურბელზე გადააბიჯა და მის ზემოთ გაჭიმულთათებიანი და ლაშებაწეული ძაღლის მოზაიკური გამოსახულება დაინახა. მას მხცოვანი წყვილი მარკუს კომბაბუსი და ვალერია მერენსი შეეგება. ისინი მიწას ამუშავებდნენ და თავს ამით ირჩენდნენ. შიდა ეზოს გარს ეკვროდა გალერეა, რომლის ბოძები ძირიდან შუამდე წითლად შეეღებათ. კედლიდან მოჩუხჩუხე შადრევანი ნიჟარებით მოერთოთ, გალერეის ქვეშ კი პატარა ნიშიანი საკურთხეველი ალმართულიყო და ამ ნიშაში მასპინძელს თიხის პატარა, კირით შეთეთრებული კერპები დაეწყო. აქ იყო ფრთოსანი ბავშვების, აპოლონისა და მერკურის ქანდაკებები, უმეტესობას კი შეადგენდნენ ქანდაკებანი შიშველი ქალებისა, რომლებიც თმას იწნავდნენ. წმინდა მამა მაელმა დაათვალიერა კერპები და აღმოაჩინა ახალგაზრდა დედის ქანდაკება, რომელსაც ყრმა მკლავებში მოექცია.

მან მაშინვე მიუთითა ამ ხატებაზე და თქვა:

— ეს წმინდა ქალწული, ღვთისმშობელია. პოეტმა ვერგილიუსმა დაბადებამდე ამცნო ქვეყანას მისი მოვლინება თავის „Carmes sibyllins“ ში, და ანგელოსური ხმით იგალობა „Jam redit et virgo“[1]. წარმართობის დროსაც აკეთებდნენ მის წინასწარმეტყველურ ქანდაკებებს, აი, ასეთს, ო, მარკუს, შენს საკურთხეველზე რომ დაგიდგამს. უეჭველად იგი მფარველობდა შენს პატარა კერას. ვინც ზუსტად იცავს ბუნების კანონებს, ღვთიურ ჭეშმარიტებას ეზიარება.

ამ სიტყვებზე მარკუს კომბაბუსსა და ვალერია მერენსს გონება გაუნათდათ და ქრისტიანულ სარწმუნოებას ეზიარენ. ისინი მოინათლნენ ახალგაზრდა, განწმენდილ სელია ავიტელასთან ერთად, თვალისჩინს რომ ერჩიათ. მათმა მსახურებმაც იმავე დღეს უარყვეს წარმართობა და ჭეშმარიტ რწმენას ეზიარნენ.

მარკუს კომბაბუსი, ვალერია მერენსი და სელია ავიტელა მას შემდეგ ღირსეულ ცხოვრებას ეწეოდნენ. უფლის მიერ მირონცხებულნი, ისინი წმინდანთა რიცხვს განეკუთვნენ

ოცდაჩვიდმეტი წელი ემსახურა ნეტარი მაელი ამ ქვეყ-

---

[1]. ქალწული კვლავ მოვიდა (ლათ.)

ნის წარმართთა გაქრისტიანების საქმეს. მან ორას თვრამეტი სამლოცველო და სამოცდათოთხმეტი მონასტერი ააგო.

ერთ მშვენიერ დღეს, ქალაქ ვანში, სადაც სახარებას ღაღადებდა, მაელმა შეიტყო, რომ ივერნის მონასტრის ბერები, მის არყოფნაში წმინდა გალის წესდებას განუდგნენ. იმ კრუხის თავგამოდებით, წიწილებს რომ აგროვებს, იგი მაშინვე გზააბნეულ შვილებს დაუბრუნდა. ამ დროისათვის მაელი ოთხმოცდაჩვიდმეტი წლის გახდა; და თუმცა წელში მოიხარა, ხელები კვლავ ღონიერი, სიტყვა კი ხეობაში ჩაგროვილი თოვლივით ბარაქიანი ჰქონდა.

აბატმა ბუდოკმა წმინდა მაელს იფნის კვერთხი დაუბრუნა და მონასტრის სავალალო მდგომარეობა აღუწერა. ბერები ვერ შეთანხმდნენ, როდის აღენიშნათ აღდგომა. ერთნი რომაულ კალენდარს უჭერდნენ მხარს, მეორენი ბერძნულს და ქრონოლოგიური განხეთქილება მონასტერს დაქცევით ემუქრებოდა.

ამ არეულობას კიდევ ერთი მიზეზი უწყობდა ხელს. კუნძულ გადის მონაზვნებმა თავდაპირველი სათნოება უარყვეს და ყოველ წუთში ნავებით მოცურავდნენ ივერნის სანაპიროსკენ. ბერები მათ სასტუმროში იღებდნენ და ეს ყველაფერი ისეთ ცდუნებას ქმნიდა, რომ წმინდა სულებს მწუხარებით ავსებდა.

თავისი გულახდილი მოხსენება აბატმა ბუდოკმა შემდეგი სიტყვებით დაასრულა:

— მონაზვნების გამოჩენამ ბოლო მოუღო ჩვენი ბერების უბიწობასა და სიმშვიდეს.

— მჯერა, — უპასუხა ნეტარმა მაელმა. — ქალი ეშმაკურად მოწყობილი ხაფანგია: როგორც კი სუნს იკრავ, მაშინვე გაებმები. რას იზამ!.. მათი მშვენიერი მიმზიდველობა შორიდან უფრო მძაფრია, ვიდრე ახლოდან. რაც უფრო ნაკლებად აკმაყოფილებ, მით უფრო მძაფრია სურვილი. სწორედ ამიტომ უთქვამს ერთ პოეტს, თუ ხართ, გაგირბით, თუ არ ხართ, გპოულობთო.

ამგვარად, შვილო ჩემო, ხორციელი სიყვარულის ცდუნება განდეგილებსა და ბერებზე უფრო მოქმედებს, ვიდრე ერისკაცებზე. ავხორცობის დემონი მეც მთელი ცხოვრება მაცდუნებდა და ყველაზე ძლიერი მაშინ კი არ იყო ცდუნება, როცა

ქალს, თუნდაც ღამაზსა და სურნელოვანს ვხედებოდი. მე არარსებული ქალი მაღელვებდა. ახლაც კი, როცა მალე ოთხმოცდათვრამეტი წელი შემისრულდება, ეშმაკი ხშირად მაცდუნებს და მე კვლავ ვცდავ უმანკოების წინაშე, ყოველ შემთხვევაში ფიქრით მაინც. ღამით, ლოგინში ვძაგძაგებ და ჩემი ბებერი, გაყინული ძვლები ერთმანეთს ყრუ ხმაურით ეხლებიან. მე კი ხმა მესმის, მეფეთა მესამე წიგნის მეორე თავს რომ მიკითხავს: Dixerunt ergo et servi sui: Quaeramus domino nostro regi adolescentulam virginem, etstet coram rege et foveat eum dormiatgue in sinu suo, et calebaciat dominum nostrum regem". და ეშმაკი ნორჩ ქალწულს მომიგლენს; ის კი მეუბნება: „მე შენი სულამითი ვარ. ო, უფალო ჩემო, პატარა ადგილი დამითმე შენს საწოლში".

დამერწმუნე, — დასძინა მოხუცმა. — მხოლოდ ზეცის დახმარებით თუ შეძლებს ბერი მოქმედებისა და ზრახვების უბიწოება შეინარჩუნოს.

მონასტრის სიმშვიდისა და ზნეობის აღსადგენად მაელმა კალენდარი ქრონოლოგიური და ასტრონომიული მონაცემების მიხედვით გაასწორა და მას ყველა ბერი დაუმორჩილა; შემდეგ წმინდა ბრიგიდას ზნედაცემული ქალწულები თავიანთ მონასტერში გააბრუნა; თუმცა უხეშად არ გაუყრია ისინი, თავისი გემოთ წარგზავნა ფსალმუნებისა და ლოცვების გალობით.

— მათი სახით, — თქვა მან. — პრიგიდას ასულებსა და უფლის ქალწულებს ვცეთ პატივი. ნუ დავემგვანებით ფარისევლებს, ცოდვისადმი ზიზღს ასე აღშფოთებით რომ გამოხატავენ. უნდა დაამცირო ამ ქალთა ცოდვები და არა მათი პიროვნება, თავისი საქციელის უნდა შერცხვეთ და არა თავისი თავისა, რადგან ისინი ღვთის ქმნილებები არიან.

და წმინდა ბერებს ჩააგონა, ერთგულად დაეცვათ ძმობის წესდება.

— თუ გემი მართვას არ ემორჩილება, მას წყალქვეშა კლდეები დაიმორჩილებენ, — თქვა მან.

თავი III

წმინდა მაელის ცდუნება

ნეტარმა მაელმა ის იყო წესრიგი აღადგინა ივერნის მონასტერში, რომ შეიტყო: კუნძულ ედიკის მცხოვრებნი, განსაკუთრებული ადგილი რომ ეკავათ მის გულში, რადგან პირველნი გაქრისტიანდნენ, კვლავ მიქცეულიყვნენ წარმართობისაკენ და წმინდა ლეღვ-ს ხეზე ყვავილთა გვირგვინებსა და შალის ლენტებს ჰკიდებდნენ.

ეს ამბავი მაელს ერთმა მენავემ აცნობა და იქვე აღნიშნა, რომ ამ თავგზააბნეულ ხალხს შეეძლო ცეცხლითა და მახვილით დაერბია კუნძულის სანაპიროზე აგებული სამლოცველო.

წმინდანმა მაშინვე გადაწყვიტა მოღალატე შვილები ენახა, რწმენა კვლავ აღედგინა და მკრეხელური დანაშაული აღეკვეთა. იგი გაემართა ედაბური ყურესაკენ, სადაც მისი ქვის ვარცლი იდგა. გზად ნავსაშენს გახედა, ოცდაათი წლის წინ რომ ააგო ამ ყურის სიღრმეში. ახლა იქიდან ჩაქუჩისა და ხერხის ხმა ისმოდა.

ამ დროს, მოუსვენარი ეშმაკი ნავსაშენიდან გამოვიდა, წმინდანს მიუახლოვდა, ბერი სამსონის იერსახე მიიღო და მისი ცდუნება შემდეგი სიტყვებით დაიწყო:

— მამაო, კუნძულ ედიკის მცხოვრებნი დაუსრულებლად ცოდავენ. ყოველი განვლილი წუთი უფალს აშორებს მათ. მალე ცეცხლითა და მახვილით შეიჭრებიან იმ სამლოცველოში, თქვენი ღირსეული ხელებით რომ ააგეთ კუნძულის ნაპირზე. დრო აღარ ითმენს. განა უფრო მალე არ მიხვალთ, თუკი თქვენს ვარცლს საჭეს, ანძასა და იალქანს გაუკეთებთ? ამ შემთხვევაში ხომ ჭარი გაგაჭროლებთ. თქვენ ჯერ კიდევ ძლიერი ხელები გაქვთ და მშვენივრად შეძლებთ ნაცის მართვას. ამასთანავე, კარგი იქნებოდა თქვენი სამოცდაქულო ვარცლის ცხვირზე მჭრელი ფორშტევენ-ც მიგვემაგრებინა. თქვენ ხომ ბრძენი ბრძანდებით და ალბათ, თავადაც იფიქრეთ ამაზე.

— დრო, ცხადია, აღარ ითმენს, — უპასუხა წმინდანმა. — მაგრამ, თქვენი რჩევა რომ მიეღო, შვილო ჩემო სამსონ, მე ხომ იმ ხალხს დავემგვანები, რწმენა რომ არ ჰყოფნით, განგე-

ბის ნებას მიანდონ ყოველი. ეს ხომ უნდობლობა იქნება იმის მიმართ, ვინც უიალქნო და აღუჭურველი ქვის ვარცლი გამომიგზავნა.

ამ შეკითხვას ეშმაკმა, რომელმაც მშვენივრად იცოდა ღვთისმეტყველება, კითხვითვე უპასუხა:

— მამაო, განა საქებია გულხელდაკრეფილი ელოდო ზეცის დახმარებას და ყოვლისშემძლე უფალს მოსთხოვო ყოველი, თუ შეიძლება ადამიანური გამჭრიახობით თავად უშველო შენს თავს?

— ცხადია, არა, — უპასუხა წმინდა მხცოვანმა. — ადამიანური გამჭრიახობის უარყოფა უფლის ცდუნებას ნიშნავს.

— ესე იგი, — აიტაცა ეშმაკმა, — ახლა ვარცლის აღჭურვა იქნება ყველაზე დიდი გამჭრიახობა.

— ასე იქნებოდა, სხვაგვარად შეუძლებელი რომ იყოს ადგილზე მისვლა.

— და თქვენი ვარცლი ჩქარი გგონიათ?

— სწორედ ისეთი, უფალს რომ ნებავს.

— საიდან იცით? ის ხომ აბატი ბუდოკის ჯორივით დაღოღავს. განა აკრძალული გაქვთ მისი უფრო ჩქარა წაყვანა?

— შვილო ჩემო, სინათლე მოსავს თქვენს სიტყვებს, მაგრამ ჭარბია შეუპოვრობა თქვენი. ნუ დაივიწყებთ, რომ ეს სასწაულმოქმედი ვარცლია.

— ჭეშმარიტად, მამაო! გრანიტის ვარცლი, წყალზე საცობივით რომ ცურავს, მხოლოდ სასწაულმოქმედი შეიძლება იყოს. ეს უდავოა, მაგრამ რას ამტკიცებს იგი?

— დიდია დაბნეულობა ჩემი. განა ივარგებს ადამიანური და ბუნებრივი საშუალებებით სრულვყოთ სასწაულებრივი მანქანა?

— მამაო, მარჯვენა ფეხი რომ დაგეკარგათ და უფალს დაებრუნებინა იგი, იქნებოდა თუ არა ეს ფეხი სასწაულებრივი?

— უეჭველად, შვილო ჩემო.

— ფეხსაცმელს ხომ ჩაიცვამდით?

— აუცილებლად.

— მაშ ასე! თუ მიგაჩნიათ, რომ სასწაულებრივ ფეხზე ჩვეულებრივი ფეხსაცმლის ჩაცმა შეიძლება, მაშინ ისიც უნდა ირწმუნოთ, რომ სასწაულებრივი ნავის აღჭურვაც შეიძლება

ჩვეულებრივად. ეს ნათელია. სამწუხაროდ, ყველაზე წმინდა პირებსაც კი მოიცავთ ხოლმე ხანდახან წყვდიადი და განგაში. თქვენ, ბრეტანის საუკეთესო მოცეკვეს, საქებარი საქმეების ჩადენა შეგიძლიათ... მაგრამ ზანტია სული თქვენი, ხელები კი — ზარმაცი. მაშ, მშვიდობით, მამაო! იმგზავრეთ ასე ნელა და, როცა ედიკის მხარეს მიუახლოვდებით, თქვენ მიერ აგებული და ნაკურთხი სამლოცველოსაგან ნანგრევებიღა დარჩება, წარმართები დასწვავენ მას. იმ დიაკვანს კი, იქ რომ დატოვეთ, ძეხვივით შეაპირკინებენ.

— დიდია მღელვარება ჩემი, — თქვა ღვთის მსახურმა და დაცვარული შუბლი სახელოთი მოიწმინდა. — მაგრამ მითხარ, შვილო ჩემო სამსონ, ამ ქვის ეარცლის აღშურვა პატარა საქმე ხომ არ არის. განა მისი აღშურვით უფრო მეტ დროს არ დავკარგავთ, ვიდრე მოვიგებთ?

— ო, მამაო! — შესძახა ეშმაკმა. — ქვაშის საათის ერთი შემობრუნებაც საკმარისი იქნება ამისთვის. აღშურვილობას ამ მხარეში თქვენ მიერ აშენებულ ნავსაშენში ავიღებთ და კიდევ — საწყობებში, სადაც თქვენი მზრუნველობის წყალობით ბლომად დაგროვდა ყოველი. თავად ავაწყობ ყველა საზღვაო ნაწილს. ბერად აღკვეცამდე მე მეზღვაური და დურგალი ვიყავი; სხვა ხელობებიც მეხერხება. მაშ საქმეს შეუდგეთ, მამაო!

და მაშინვე წაიყვანა წმინდანი ფარდულში, ზღვაოსნობისათვის აუცილებელი ნივთებით რომ იყო სავსე.

— აი, ინებეთ, მამაო!

და მან წმინდანს ტილო, ანძა, საყვარი და გიკი წამოჰკიდა მხრებზე. თავად ფორშტევენსა და ძელიან საჭეს დასტაცა ხელი, სადურგლო ხელსაწყოებიანი ტომარა აიღო და სანაპიროსაკენ გაქანდა; თან ტილოსა და ძელების სიმძიმით ორღში გახვითქულ და აქოშინებულ წმინდა მამას ანაფორაში სტაცა ხელი და დაითრია.

თავი IV

წმინდა მაელის ცურვა ყინულოვან ოკეანეში

ეშმაკმა იღლიამდე აიკაპიწა ანაფორა, ვარცლი ქვიშაზე ამოათრია და თითქმის ერთ საათში აღმურვა.

წმინდა მამა მაელი ვარცლში ჩაჯდა. მაშინვე, ვარცლმა იალქნები აუშვა და ისეთი სისწრაფით გააპო ტალღები, რომ ნაპირი მალე თვალს მიეფარა. მოხუცმა კურსი სამხრეთისაკენ აიღო, რათა კონცხისათვის აექცია გვერდი, მაგრამ უძლეველი დინება მას სამხრეთ-დასავლეთისაკენ მიაქანებდა. ვარცლმა ირლანდიის სამხრეთ ნაპირს ჩაუარა და მოულოდნელად ჩრდილოეთისაკენ გაქანდა. საღამოს გრილი ქარი ამოვარდა. მაელი ამაოდ ცდილობდა იალქნების ჩამოშვებას. გადარეული ვარცლი ზღაპრული ზღვებისაკენ მიექანებოდა.

მთვარის შუქზე მოჩანდნენ ჩრდილოეთის გათქვირული, სელისთმიანი სირინოზები, ვარცლის ირგვლივ მაღლა რომ სწევდნენ თეთრ მკერდსა და ვარდისფერ გავებს, ზურმუხტოვანი კუდებით აქაფებულ ტალღებს აპობღნენ და რიტმულად მღეროდნენ:

საით გასწია, საბრალო მაელ,
შენმა გზააბნეულმა ვარცლმა,
გაუბერია ქარს იალქანი
და მის შემყურე კაცს გაგონდება
თვით თუნონას მკერდი დიადი,
როდესაც მისგან გადმოხეთქა
ირმის ნახტომმა.[1]

ვარსკვლავთა ციალში ისინი ჰარმონიული სიცილით მიაცილებდნენ ვარცლს, მაგრამ ვარცლი ვიკინგების ხომალდზე ასჯერ სწრაფად მიქროდა, მოულოდნელად ეწეოდა მფრინავ ქარიშხლებს და მათი თათები წმინდა მამის თმებში იხლართებოდნენ.

მოულოდნელად სიბნელითა და კვნესით სავსე ქარიშხალმა

[1] ლექსები თარგმნა ზ. მრელაშვილმა

აჩოვარდა და ამ ცვლილებული გრიგალით ღეღნილი ბასრული თოლიასავით გაფრინდა ნისლსა და ღელეაში.

სამ დღე-ღამეს გაგრძელდა ეს სიბნელე, შემდეგ უცებ გაიფანტა და წმინდა მამამ ჰორიზონტზე ბრილიანტივით გაბრწყინებული ნაპირი დაინახა. სანაპირო თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა და დაბალი, უმოძრაო მზის ყინულოვანი ციალის შუქზე, მაელმა დაინახა, როგორ ამოიზარდა ზვირთებიდან თეთრი ქალაქი, უფრო ფართო, ვიდრე ასკარიანი თებე და მისმა მკვდარმა ქუჩებმა, თოვლის ფორუმის ნანგრევებმა, ჭირხლის სახახლეებმა, ბროლის თაღებმა და ცისარტყელას ობელისკებმა თვალთახედვის მთელი არე მოიცვა.

ოკეანე მოტივტივე ყინულებით იყო დაფარული, მის ირგვლივ კი ადამიანის მსგავსი არსებები ცურავდნენ, ველური და სათნო გამოხედვა რომ ჰქონდათ. აქვე ლევიათანმა ჩაიცურა და წყლის სვეტი ღრუბლებამდე ატყორცნა.

ვარცლის გვერდზე ყინულის ნატეხი მიცურავდა; ზედ თეთრი დათვი იჯდა, ხელში პატარა ბელი ეჭირა და მაელმა გაიგონა, როგორ ჩაიდუდუნა დათვმა ვერგილიუსის ლექსი: „Incipe, parve puer“[1].

დამწუხარებული და აღელვებული მოხუცი ატირდა. მტკნარი წყალი გაიყინა და კასრი გახეთქა. წყურვილის მოსაკლავად მაელი ყინულს წუწნიდა; პურსაც მარილიან წყალში ალბობდა და ისე ჭამდა. წვერი და თმა შუშასავით ემტვრეოდა. გაყინული ანაფორა კიდურებს უსერავდა.

საშინელი ტალღები იქოჩრებოდნენ და ქაფიან, უშველებელ ხახას მოხუცს უფჩენდნენ. ოცჯერ მაინც გადაუარა ტალღამ ნავს. მეწამულისფერი გადასაკრავითა და ოქროს ჯვრით შემკული სახარება, მოციქული თვალისჩინივით რომ უფრთხილდებოდა, ასევე ოკეანემ შთანთქა.

ოცდამეათე დღეს ზღვა დაწყნარდა და ზეცისა და წყლის გამაყრუებელ ხმაურში ქვის ვარცლის წინ, სამასი ნაბიჯის სიმაღლის, თვალისმომჭრელად თეთრი მთა აღიმართა. მაელმა გვერდის ავლა სცადა, მაგრამ საჭე ხელში ჩაატყდა. კლდეს რომ არ შეხლოდა, ახლა რიფი აიღო, მაგრამ როგორც კი თოკების შეკვრა დააპირა, ქარმა გამოსტაცა ისინი, ტროსი გასხლ-

[1] პატარა ბიჭუნავ, დაიწყე (ლათ.)

ტა და ხელები დაუწვა. სწორედ ამ დროს მაელმა სამი, შავი, ანკესივით მოკაუჭებულფრთებიანი ეშმაკი დაინახა, გემსართავზე რომ ჩამოკიდებულიყვნენ და იალქნებს უბერავდნენ.

ამის დანახვაზე წმინდანი მიხვდა, რომ მის საქმეს მტერი წარმართავდა და პირჯვარი გადაიწერა. მაშინვე, საშინელი ქარიშხლებითა და ღმუილით დაეძგერა ჯარცლს, ანძა და იალქნები წააგლიჯა და საჭე და ფორშტევენი მოწყვიტა.

ჯარცლი დაწყნარებული ზღვის დინებას გაჰყვა. წმინდა მამა მუხლებზე დაეცა და მადლი აღუვლინა უფალს, რომელმაც ეშმაკის ხაფანგისგან იხსნა. მაშინ კვლავ დაინახა ყინულზე წამოსკუპებული დედა დათვი, ქარიშხლის დროს რომ ლაპარაკობდა. დათვს საყვარელი პატარა გულში ჩაეკრა, ხელში კი მეწამულისფერყდიანი, ოქროს ჯვრით შემკული წიგნი ეჭირა. იგი გრანიტის ჯარცლს მიუახლოვდა და წმინდა მამას შემდეგი სიტყვებით მიესალმა:

— **Pax tibi Maël**[1]!

და მას წიგნი გაუწოდა.

წმინდანმა იცნო თავისი სახარება და განცვიფრებულმა, გაყინულ ჰაერში შემქმნელისა და შექმნილის ჰიმნი იგალობა.

თავი V

პინგვინთა მონათვლა

წმინდა მამა მთელი საათი მიცურავდა დინების მიმართულებით; შემდეგ ნაპირს მიადგა, რომელზედაც წვეტიანი კლდეები აღმართულიყო. მთელი დღე და ღამე მიაბიჯებდა იგი სანაპიროს გასწვრივ, რათა გვერდი აექცია კლდეებისათვის, გაუვალ კედელს რომ ჰქმნიდა .ამის შემდეგ დარწმუნდა, კუნძული მრგვალია, მის შუაგულში კი ღრუბლით გვირგვინმოსილი მთაა აღმართულიო. გრილ, ნოტიო ჰაერს მაელი სიამოვნებით ისუნთქავდა. წვიმა კი იმდენად სიამისმომგვრელი აღმოჩნდა, წმინდა მამამ უფალს შეჰღაღადა:

— უფალო, აი კუნძული ცრემლისა და მონანიებისა.

[1] Pax tibi, Maël (ლათ.) — მშვიდობა შენდა, მაელ!

სანაპირო უკაცრიელი იყო. შიმშილითა და დაღლილობით დაუძლურებული წმინდა მამა ქვაზე ჩამოჯდა და თუმცა ქვის ნაპრალებში გედის კვერცხისხელა შავად დაწინწკლული ყვითელი კვერცხები იდო, მაელმა ხელი არ ახლო მათ და თქვა:

— ფრინველი უფლის ცოცხალი ხოტბაა. არ მსურს ჩემი მიზეზით თუნდაც ერთი ხოტბა დააკლდეს უფალს.

და მან ქვის ნაპრალს ხავსი აძრო და გაღეჭა.

წმინდა მამამ თითქმის მთლიანად შემოუარა კუნძულს, მის ბინადართ კი არ შეხვედრია. ბოლოს ფართო არენას მიადგა. არენას ჟღალი და წითელი კლდეები ქმნიდნენ და ხმაურიანი ჩანჩქერები ავსებდნენ, ხოლო მისი მწვერვალები ცის სილურჯეში იკარგებოდნენ.

პოლარული ყინულის ანარეკლი მოხუცს თვალებს სწვავდა, მაგრამ მის შესივებულ ქუთუთოებში სუსტი შუქი მაინც აღწევდა. და მაელმა ცოცხალი არსებები დალანდა, ისე რომ ჩამომსხდარიყვნენ კლდის შვერილებზე, როგორც ბრბო ამფითეატრის სკამებზე. ზღვის ხმაურს სმენაც დაეხშო მოხუცისათვის და წმინდა მამამ გადაწყვიტა, ეს არსებები ადამიანები არიან და უფალმა სწორედ მათ მოსაქცევად მომავლინაო. მაელი ქრისტიანული მოძღვრების ქადაგებას შეუდგა.

იგი მაღალ ქვაზე შედგა, ამ ველური ცირკის შუაში რომ იდგა და დაიწყო:

— კუნძულის მცხოვრებნო, თუმცა მოკლეა ტანი თქვენი, ბრძენი რესპუბლიკის სენატს უფრო ჰგავხართ, ვიდრე მეთევზეთა ან მეზღვაურთა ჯგუფს. თქვენი სიდარბაისლე, დუმილი და თავდაჭერილობა ამ ველურ კლდეებზე ასამბლეას ქმნის და გამარჯვების ტაძარში მოთათბირე ძველი რომის სენატორებს, ან არეოპაგის მერხებზე მოკამათე ათენელ ფილოსოფოსებს გამსგავსებთ. ცხადია, არც მათი განსწავლულობა გაქვთ, არც გენიალობა, მაგრამ, ვინ იცის, იქნებ მეტადაც ბიბლიათ უფალს. ვგრძნობ, უბრალონი ხართ და კეთილნი. კუნძულის შემოვლისას მკვლელობისა და სისხლისღვრის არავითარი კვალი არ შემინიშნავს, არც ჯოკზე თმით ჩამოკიდული ან სოფლის შესასვლელში ჩამოკინწიალებული მოკვეთილი თავები დამინახავს. მე მგონი, თქვენ არც ხელოვნება შეგიცვნიათ და არც ლითონებს ამუშავებთ. მაგრამ სუფთაა გულები და უმ-

წრფელი ხელები თქვენი. ეშმარიტება. ადვილად შეიჭრება თქვენს სულებში.

ეს დაბალი ტანისა და დარბაისლური იერის მქონე არსებები, მაელმა ადამიანებად რომ ჩათვალა, იყვნენ პინგვინები, რომელთაც გაზაფხულმა ერთად მოუყარა თავი. ისინი წყვილ-წყვილად ჩამოსკუპებულიყვნენ კლდის ბუნებრივ საფეხურებზე, მედიდურად აწოებურცათ მსუქანი, თეთრი მუცლები, დროდადრო კი ფრთებს აფართხუნებდნენ და მშვიდობიანად ყიოდნენ. პინგვინებს არ ეშინოდათ ადამიანების, რადგან არ იცნობდნენ და არც დაუნდობლობა ენახათ მათი. ამ სულიერი მამისაგან კი რაღაც სიკეთე გამოსჭვივოდა, რაც განსაკუთრებით მოეწონათ პინგვინებს და რამაც ყველაზე მფრთხალი ცხოველებიც კი დაამშვიდა. მეგობრული ცნობისმოყვარეობით მიაბრუნეს მათ მაელისაკენ პატარა, მრგვალი თვალები, წაგრძელებული, ოვალური, თეთრი ლაქებით, რაც მათ გამოხედვას, ცოტა არ იყოს, უცხო და ადამიანურ გამომეტყველებას ანიჭებდა.

მათი ყურადღებით აღელვებულმა წმინდა მამამ სახარების ქადაგება დაიწყო.

— კუნძულის მცხოვრებნო, ეს მიწიერი სინათლე, თქვენს კლდეებს რომ ეფინება, იმ სულიერი შუქის ხატია, თქვენს სულებში რომ შემოიჭრება, რადგან მე შინაგანი შუქი, სულის სითბო და სინათლე მომაქვს თქვენთვის. როგორც მზის სხივები ადნობს ყინულს თქვენს მთაზე, ისე გაალხობს ყინულს თქვენს გულებში იესო ქრისტე.

ამას ამბობდა მოხუცი და რადგან ბუნებაში ერთი ხმა მუდამ მეორე ხმას იზიდავს, რადგან ყველას, ვინც კი დღის სინათლით სუნთქავს, ბგერათა მონაცვლეობით შექმნილი სიმღერა იზიდავს, პინგვინები მოხუცს თავის ენაზე გამოეპასუხნენ. და თბილი იყო ხმები მათი, რადგან სიყვარულის ჟამი ედგათ.

ამ პასუხმა დაარწმუნა წმინდა მამა, რომ ისინი ნამდვილად წარმართ ტომს ეკუთვნოდნენ და თავის ენაზე თანხმობას აცხადებდნენ, ქრისტიანული სარწმუნოება მიეღოთ. მაელმა მონათლა შესთავაზა მათ.

— მე მგონია, — თქვა მან. — ხშირად ბანაობთ. ამ კლდის

ყველა ნაპრალი წყლითაა სავსე და როცა თქვენს საკრებულოს მოუახლოვდი, დავინახე, რომ მრავალი თქვენგანი ამ ბუნებრივ აუზში ცურავდა. სხეულის სიცუფთავე კი სულის სიწმინდის ხატია.

და მაელმა მათ ნათლობის წარმოშობა, ბუნება და შეიგი აუხსნა.

— ნათლობა, — თქვა მან, — ეს არის აღქმა, აღმავლობა, გარდასახვა და განათლება.

და ყოველი განმარტება თანმიმდევრულად აუხსნა მათ.

შემდეგ, ჩანჩქერის წყალი წინასწარ აკურთხა, შეულოცა, თითოეულ მათგანს თითო წვეთი დაასხურა თავზე და შესაბამისი ლოცვა-კურთხევით მონათლა ყველა, ვინც გაანათლა.

და ასე ნათლავდა ფრინველებს სამი დღე-ღამის განმავლობაში.

თავი VI

თათბირი სამოთხეში

როცა სამოთხეში პინგვინთა მონათვლის ამბავი შეიტყვეს, არც სწყენიათ და არც გახარებიათ, მხოლოდ გაუკვირდათ. თავად უფალიც კი დაიბნა, სწავლულები და დოქტორები შეკრიბა და ჰკითხა: იყო თუ არა ეს ნათლობა ნამდვილი.

— არა, — თქვა წმინდა პატრიკმა.

— რატომ არა? — იკითხა წმინდა გალმა, მთელი კორნუელსი ქრისტიანულ სარწმუნოებას რომ აზიარა და წმინდა მაელს სამოციქულო საქმიანობისაკენ მოუწოდა.

— ნათლობის საიდუმლო, — უპასუხა წმინდა პატრიკმა. — ფრინველებისათვის წარმოთქმული ისევე უძლურია, როგორც საჭურისთათვის წარმოთქმული ქორწინების საიდუმლო.

წმინდა გალი შეეპასუხა:

— რა საერთოს ხედავთ ფრინველთა ნათლობასა და საჭურისთა ქორწინებას შორის? მათ ხომ არაფერი აქვთ საერთო. გავბედავ და მოგახსენებთ, რომ ქორწინება პირობითი საიდუმლოა. მღვდელი წინასწარ აკურთხებს რაღაც აქტს და თუ

ეს აქტი ნაყოფს არ გამოიღებს, კურთხევა უშედეგო დარჩება. ეს ნათელია. დედამიწაზე, ქალაქ ანტრიმში, ერთ მდიდარ კაცს, სადოკს ეიცნობდი, რომელიც უკანონოდ ცხოვრობდა ერთ ქალთან და ცხრა შვილიც შესძინა მას. მხცოვან ასაკში სადოკმა ყური უგდო ჩემს რჩევას და ცოლად შეირთო ივი. მათი კავშირი მე ვაკურთხე. სამწუხაროდ, სადოკის მხცოვანმა ასაკმა ხელი შეუშალა საქორწინო მოვალეობის აღსრულებას. მალე მან ქონებაც დაკარგა, ხოლო ჟერმენმა (ასე ერქვა ქალს) ვერ შეძლო გაჭირვების ატანა და ამ ჭეშმარიტად აღუსრულებელი ქორწინების გაუქმება ითხოვა. პაპმა შეიწყნარა მისი თხოვნა, რადგან ეს მართებული იყო. აი, ასეა ქორწინების საქმე. მაგრამ ნათლობა შეზღუდვისა და სიფრთხილის გარეშე ხდება. საეჭვო აღარაფერია: პინგვინები ნათლობის საიდუმლოს ეზიარნენ.

წმინდა პაპმა დამასმა, როცა აზრის გამოთქმა სთხოვეს, განაცხადა:

— იმის გასარკვევად, ნამდვილია თუ არა ნათლობა და გამოიღებს თუ არა იგი ნაყოფს, ე. ი. აკურთხებს თუ არა მონათლულს, მთავარია, ვიცოდეთ, ვინ ნათლავს და არა ვის ნათლავენ. ეს საიდუმლო ჭეშმარიტად ზეცის წყალობაა. თავად მონათლულს არაფერი შეაქვს საკუთარი ამ აქტში, სხვაგვარად ახალშობილებს არ მონათლავდნენ. ნათლობას არ სჭირდება განსაკუთრებული პირობის შესრულება, არც ნეტარ მდგომარეობაში ყოფნაა აუცილებელი. საკმარისია ის გააკეთო, რასაც ეკლესია მოითხოვს, წმინდა სიტყვები წარმოთქვა და დადგენილი წესები დაიცვა. ეჭვი არ არის წმინდა მაელმა ყოველივე შეასრულა. ამგვარად პინგვინები მონათლულნი არიან.

— ასე გგონიათ? — იკითხა წმინდა გენოლემ. — როგორ ფიქრობთ, რა არის ნათლობა? ნათლობა სულიერი გარდაქმნის პროცესია, რომელიც ხელახლა შობს ადამიანს წყლისა და სულისაგან, რადგან წყალში იგი ცოდვებით დამძიმებული შედის, იქიდან კი ახლადმოქცეული, უმანკოებით ცხებული ახალი არსება გამოდის. ნათლობა უკვდავების თესლია. ნათლობა აღდგომის პირობაა. ნათლობა ქრისტესთან დამარხვაა სიკვდილის დროს და მასთან ზიარებაა სამარხიდან გამოსე-

ლისას. არ შეიძლება ფრინველებს ვაჩუქოთ ასეთი ნიჭი. თავად დაფიქრდით, წმინდა მამებო. ნათლობა პირველყოფილ ცოდვას წარხოცავს, პინგვინები კი ცოდვაში არ არიან ჩახლართულნი. ნათლობა ცოდვის სასჯელისაგან ათავისუფლებს, პინგვინები კი არ სცოდავენ. ნათლობა მადლისა და სათნოებისთვის ნიჭს წარმოშობს, რითაც ქრისტიანები ისევე ერწყმიან იესო ქრისტეს, როგორც სხეული — თავს. ცხადია, პინგვინებს არ შეუძლიათ მოძღვრის, ქალწულისა და ქვრივის სათნოება მოიპოვონ, არ შეუძლიათ ნეტარ იქმნენ და შეერწყან...

წმინდა დამასმა სიტყვის დასრულება არ დააცადა.

— ეს მხოლოდ იმას ამტკიცებს, — მკვირცხლად განაცხადა მან. — რომ ნათლობა უსარგებლო გახლდათ, მაგრამ არ ამტკიცებს, რომ ნამდვილი არ იყო იგი.

— მაშინ, — შეეპასუხა წმინდა გენოლე. — სახელითა მამისათა, ძისათა და სულიწმიდისათა, წყლის მოსხურებითა და წყალში ჩაშვებით შეიძლებოდა არა მხოლოდ ფრინველი ან ოთხფეხი, უსულო საგნებიც მოგვენათლა, ვთქვათ: ქანდაკება, მაგიდა, სკამი და ა. შ. ჰოდა, ქრისტიანი გახდებოდა ეს ცხოველი, ეს კერპი, ეს მაგიდა! რა უაზრობაა!

სიტყვა წმინდა ავგუსტინემ ითხოვა.

— მე მინდა, — თქვა ჰიპონის მგზნებარე ეპისკოპოსმა. — მაგალითად. წარმოგიდგინოთ საწესო სიტყვების მძლეთამძლეობა. მართალია, საქმე ამ შემთხვევაში ეშმაკის მოქმედებას ეხება, მაგრამ თუკი ეშმაკისეულ სიტყვებს შეუძლიათ ასეთი ზემოქმედების მოხდენა ცხოველებზე და უსულო საგნებზეც კი, როგორ დავეჭვდეთ წმიდათაწმიდა სიტყვების ძალმოსილებაში. აი, ეს მაგალითიც:

„ჩემი სიცოცხლის წლებში, ქალაქ მადავრაში, აპულეიუსის სამშობლოში ერთი ჯადოქარი ცხოვრობდა. მისთვის საკმარისი იყო, რაღაც სიტყვები ჩაებუტბუტებინა და ზედადგარზე, ბალახებთან ერთად რომელიმე მამაკაცის თავზე აპრილი თმის რამდენიმე ბეწვი დაეწვა, რომ ეს მამაკაცი თავის საწოლისაკენ მიეზიდა. და აი, ერთ დღეს, როცა ამგვარად ცდილობდა ერთი ახალგაზრდა კაცის სიყვარულის მოპოვებას, იგი მსახურმა მოატყუა და ახალგაზრდა კაცის თმის ნაცვლად, შემთხვევით, რომელიღაცა სამიკიტნოს კედელზე ჩამოკი-

ლული თხის ბეწვის ბღუჯა დაწვა. სალამოს კი ღვინით სავსე თხის ტყავმა, სტუნვით ჩაიარა ქალაქის ქუჩები და ჯადოქრის კართან მიირბინა. ეს ნამდვილი ამბავია. საიდუმლოებაში, ისევე როგორც ჯადოქრობაში, მთავარი საყრდენი საწესო სიტყვებია. ღვთიურ სიტყვას კი არ შეიძლება ჯოჯოხეთის სიტყვაზე ნაკლები გავლენა ჰქონდეს".

წმინდა ავგუსტინემ სიტყვა დაასრულა და მჭუხარე ტაშის გრიალში თავისი ადგილი დაიკავა.

ერთმა მსცოვანმა ნეტარმა, რომელსაც მელანქოლიური იერი ჰქონდა, სიტყვა ითხოვა. მას არავინ იცნობდა. თავის თავს პრობუსს ეძახდა და წმინდანთა სიაში შეტანილი არ იყო.

— საზოგადოებას ვთხოვ, მომიტევოს, — თქვა მან. — მე არა მაქვს შარავანდედი და მარადიული ნეტარება ამ ბრწყინვალების გარეშე მოვიპოვე. მაგრამ, მას შემდეგ, რაც წმინდა ავგუსტინეს სიტყვა მოვისმინე, საჭიროდ ვთვლი გიამბოთ, როგორ დავრწმუნდი საკუთარი სამწუხარო მაგალითით, რომ მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში შესრულებული საიდუმლო შეიძლება იყოს ნამდვილი. ჰიპონის ეპისკოპოსმა სწორად აღნიშნა, საიდუმლო საწესო სიტყვებზეა დამოკიდებული. მის ფორმაშია სათნოებაც და მანკიერებაც. მაშ, ისმინეთ, მოძღვარნო და ეპისკოპოსნო, ჩემი სამწუხარო ამბავი. იმპერატორი გორდიანეს მმართველობის ჟამს, მე რომში ვცხოვრობდი. განსაკუთრებული საქმიანობით არ გამომიჩენია თავი, მაგრამ ერთგულად ვემსახურებოდი სარწმუნოებას. ორმოცი წელი გავატარე სენ-მოდესტ-ორლე-მიურის ეკლესიაში და უცვლელად ვასრულებდი დადგენილ წესებს. ყოველ შაბათს მიკიტან ბარჟასთან მივდიოდი, კაპენას ალაყაფთან რომ ცხოვრობდა, მისგან ღვინოს ვყიდულობდი და მთელი კვირა ამ ღვინით ვაკურთხებდი. ამ ხანგრძლივი დროის მანძილზე ყოველ დილით ვწირავდი, არც ერთი დღე არ გამომიტოვებია და მაინც უხალისოდ გახლდით. საკურთხეველთან სევდიანად ვღაღადებდი: „სევდას, რად მოუცვიხარ, სულო ჩემო? ასე რად მაღელვებ?" ჩემგან კურთხეული მორწმუნენი კი დიდ სადარდებელს მიჩენდნენ; როგორც კი ენაზე ჩემი ხელიდან მიღებულ სეფისკვერს დაიდებდნენ, კვლავ ცოდვებს მიუბრუნდებოდნენ, თითქოს უძლური და უშედეგო იყო მათთვის საი-

დუმლო. ასე მივალწიე მიწიერი გამოცდის დასასრულს, სული გავიუტევე და ღვთის რჩეულთა სავანეში გამომეღვიძა. და მხოლოდ აქ გავიგე, იმ ანგელოზისაგან, ვინც მომიყვანა, რომ კაპენას ალაყაფთან მდებარე ბარჟასის სამიკიტნო ხის ფესვებისა და ქერქის ნახარშს ასაღებდა ღვინოდ; მასში ერთი წვეთი ყურძნის წვენიც კი არ ეოია და მე ვერ შევძელი ამ ბინძური ნაერთის სისხლად გადაქცევა, რამეთუ ღვინო არ გახლდათ იგი, იესო ქრისტეს სისხლად კი მხოლოდ ღვინო შეიძლება გადაიქცეს. ამგვარად, ჩემი კურთხევა უძლური იყო. არც კი ვიცოდი, რომ ორმოცი წლის მანძილზე მეც და ჩემი მორწმუნეებიც წმინდა ზიარების გარეშე გახლდით და ამიტომ განკვეთილი ვიყავით ეკლესიისაგან. ამ აღმოჩენამ ისეთი შეძრწუნებით ამავსო, რომ დღესაც კი, ასე ნეტარი, ვერ განვთავისუფლებულვარ მისგან. შეუსვენებლად დავეძებ და ნეტარი მოდესტის ბაზილიკაში ჩემ მიერ ნაზიარებ ვერც ერთ ქრისტიანს ვერ ვპოულობ.

ანგელოზთა მფარველობას მოკლებულნი, ისინი წინააღმდეგობას ვეღარ უწევდნენ, ემორჩილებოდნენ ყოველგვარ მანკიერებას და, ცხადია, ყველა ჯოჯოხეთში მოხვდა, მსურს ვირწმუნო, რომ ბარჟასის სამიკიტნოც ჯოჯოხეთმა შთანთქა. ასეთია ლოგიკის შემქმნელის ღირსეული ლოგიკა. მიუხედავად ამისა, ჩემი სამწუხარო მაგალითი ასაბუთებს, რა დამღუპველია ხანდახან, თუ ეკლესიის საიდუმლოებაში ფორმა გადააჭარბებს არსს. და მე მორჩილად ვკითხულობ: „შეუძლია თუ არა უზენაეს სიბძნეს თავიდან აგვაცილოს ეს?“

— არა, — უპასუხა უფალმა. — წამალი ავადმყოფობაზე საშინელი იქნებოდა. თუ სულის გადარჩენის საქმეში არსი ფორმას გადააჭარბებს, სამღვდელოებისაგან აღარაფერი დარჩება.

— ჰოი, უფალო, — ამოიოხრა მორჩილმა პრობუსმა. — ერწმუნეთ ჩემს მწარე გამოცდილებას. თუ ფორმით შეზღუდავთ თქვენს საიდუმლოს, საშინელ დაბრკოლებებს წააწყდება სამართალი თქვენი.

— ეს თქვენზე უკეთ მე ვიცი, — შეეპასუხა უფალი. — მე თანამედროვე პრობლემებსაც ვხედავ და მომავლის პრობლემებსაც, რომელიც არანაკლებ რთული გადასაჭრელია. ამიტომ შემიძლია გამოგიცხადოთ მას შემდეგ, რაც მზე კიდევ ორას ორმოცჯერ შემოუელის დედამიწას...

— ღვთიური სიტყვაა! — შესძახეს ანგელოზებმა.

— სამყაროს შემქმნელის ღირსეული სიტყვაა! — კვერი დაუკრეს პაპებმა.

— ეს სიტყვა, — განაგრძო უფალმა. — ჩემს უძველეს კოსმოგონიას შეეფერება და ვერც განვთავისუფლდები მისგან, თუ ჩემს უცვლელობას არ შევეხები.

ამგვარად, როცა მზე კიდევ ოთას ორმოცჯერ შემოუვლის დედამიწას, რომში ლათინურის მცოდნე არც ერთი მოძღვარი აღარ დარჩება. ისინი ლიტანიას იგალობებენ ეკლესიაში და წმინდა ორიშელს .როჟელს და ტოტიშელს შეჰღალადებენ, როგორც მოგეხსენებათ, ეშმაკნი რომ არიან და არა ანგელოსნი. მრავალი ქურდი, რომლებიც განწმენდას ისურვებენ, იმის შიშით, იძულებული გავხდებით შენდობის ნაცვლად ნაჭურდალი ეკლესიას ჩავაბაროთო, მოხეტიალე მღვდლებს ეტყვიან აღსარებას; მღვდლებს, რომელთაც არც ლათინური ეცოდინებათ და არც იტალიური, მხოლოდ თავისი სოფლის კილოზე ილაპარაკებენ, სოფლებსა და ქალაქებს მოედებიან და უმცირეს, ხშირად ერთი ბოთლი ღვინის ფასად გაყიდიან ცოდვათა შენდობას. ცხადია, ჩვენ მხედველობაში არ მივიღებთ ასეთ განწმენდას. მას მონანიება აკლია, ამიტომ ვეშმარიტიც არ არის, ნათლობა კი დიდ დაბრკოლებად გადაიქცევა. მღვდლები იმდენად უმეცრები გახდებიან, რომ ბავშვებს მონათლავენ **in nomine patria et filia et spirita concta**-თი; რასაც სიამოვნებით აღწერს ლუი დე პოტერი თავის „ქრისტიანობის ფილოსოფიური, პოლიტიკური და კრიტიკული ისტორიის" მესამე ტომში. ნათლობის ვარგისიანობის დადგენა რთული გახდება. მართალია, მე შევურიგდი ჩემს წმინდა ტექსტებში პლატონისეულ ბერძნულსა და ციცერონისეულ ლათინურზე ნაკლებად ნატიფი ენის არსებობას, მაგრამ ვერ დავუშვებ ლიტურგიის ენა სრულ აბდაუბდად გადაიქცეს. საშინელია იმაზე ფიქრი, რომ მილიონობით ახალშობილი არასწორად მოინათლება. მაგრამ, მოდით, ჩვენს პინგვინებს დავუბრუნდეთ.

— თქვენმა ღვთაებრივმა სიტყვებმა უკვე დაგვაბრუნეს მათთან, უფალო! — თქვა წმინდა გალმა. — რწმენის სიმბოლოებსა და სულის ხსნის წესებში ფორმა აუცილებლად უნდა ჰარბობდეს არსს და საიდუმლოს ვარგისიანობას მხოლოდ შესრულების ფორმა განაპირობებს. საკითხავი ის არის, ფორმის

მიხედვით არიან თუ არა მონათლული პინგვინები. ასაში კი ეჭვი არავის ეპარება.

მოძღვარხი და სწავლულნი მას დაეთანხმნენ და უფრო ღიდ საგონებელში ჩაცვივდნენ:

— ქრისტიანული სარწმუნოების მიღება, — თქვა წმინდა კორნელმა. — პინგვინთათვის ძნელი იქნება. ფრინველნი იძულებულნი ხდებიან სულის გადარჩენაზე იფიქრონ. როგორ მიაღწიონ ამას? პინგვინთა ზნე სრულიად არ ესადაგება ეკლესიის მოთხოვნებს, პინგვინებს კი არაფრად სჭირდებათ მისი შეცვლა. ჩემი აზრით, მათ გონიერება არ ეყოფათ, უკეთესი ზნე შეიძინონ.

— ზნეს ვერ შეიცვლიან, — თქვა უფალმა. — ჩემი დადგენილებით ეს აკრძალულია.

— და მაინც, — განაგრძო წმინდა კორნელმა. — ისინი მოინათლნენ და მათი მოქმედება ალარ შეიძლება განურჩეველი დარჩეს. ამიერიდან ისინი ან კარგები ხდებიან, ან ცუდები, ან იმსახურებენ პატიესიცემას, ან არ იმსახურებენ მას.

— სწორედ ესაა საქმე, — თქვა უფალმა.

— ერთადერთ გამოსავალს ვხედავ, — თქვა წმინდა ავგუსტინემ. — პინგვინები ჯოჯოხეთში უნდა გავისტუმროთ.

— მათ ხომ სული არა აქვთ, — შენიშნა წმინდა ირენემ.

— სამწუხაროა, — ამოიოხრა ტერტულიანმა.

— ცხადია, მეც მესმის, — შეეპასუხა წმინდა გალი. — რომ ჩემმა მოწაფემ, წმინდა მამა მაელმა, თავისი ბრმა გულმოდგინებით დიდი თეოლოგიური სირთულეები წარმოშვა და საიდუმლოების წესრიგში არეულობა შეიტანა.

— ბებერი ბრიყვია, — წამოიძახა ავგუსტორ ელზასელმა და მხრები აიჩეჩა.

მაგრამ უფალმა საყვედურით შეხედა მას.

— მოითმინეთ! — თქვა მან. — წმინდა მამა მაელს, ნეტარო, თქვენსავით ღვთით ბოძებული ნიჭი არა აქვს და მე ვერ მხედავს. ის უძლური, სანახევროდ ყრუ და ბრმა მოხუცია. ძალიან მკაცრი ნუ ვიქნებით მის მიმართ. გარემოება კი, ვაღიარებ, ნამდვილად ძალიან რთულია.

— საბედნიეროდ, ეს უწესრიგობა წარმავალია, — თქვა წმინდა ირენემ. — პინგვინები მოინათლნენ, მათი კვერცხები ხომ არა.

— აბას ნუ იტყვი, შვილო ჩემო, ირენე, — თქვა უფალმა.— დედამიწაზე ფიზიკოსის მიერ დადგენილმა წესმა შეიძლება დაუშვას გამონაკლისი, რადგან არასრულყოფილია იგი და ზუსტად არ ემთხვევა ბუნებას. ჩემი დამყარებული წესრიგი კი სრულქმნილია და გამონაკლისს ვერ დაუშვებს. მონათლული პინგვინების ბედი ისე უნდა გადაწყდეს, რომ არც ღვთაებრივი კანონი დაირღვეს და არც ათი მცნება და ჩემი ეკლესიის შეგონება.

— უფალო, — შესძახა გრიგოლ ნაზიანზელმა. — უკვდავი სული მიანიჭე მათ!

— ო, უფალო, რისთვის სჭირდებათ მათ უკვდავი სული? — ამოიოხრა ლაქტანციუსმა. — მათ არა აქვთ ჰარმონიული ხმა, რათა ხოტბა იგალობონ. ისინი ვერ შეძლებენ თქვენი იდუმალების განდიდებას.

— და რა თქმა უნდა, — თქვა წმინდა ავგუსტინემ. — ისინი არც ღვთიურ კანონებს დაიცავენ.

— ვერ შეძლებენ, — თქვა უფალმა.

— ვერ შეძლებენ, — გაიმეორა წმინდა ავგუსტინემ. — და თუ თქვენი სიბრძნე, უფალო, მათ უკვდავ სულს მიანიჭებს, თქვენივე სამართლიანი ნებით, მათ მარადიული ჯოჯოხეთის ცეცხლი ელით. ამგვარად აღდგება დიდებული წესრიგი, ბებერმა კამბრიელმა რომ დაარღვია.

— მონიკას ვაჟიშვილო, — თქვა უფალმა. — თქვენ სწორ გზას გვთავაზობთ და თუმცა იგი ეთანხმება ჩემს სიბრძნეს, არ აკმაყოფილებს გულმოწყალებას ჩემსას. შეუცვლელია არსი ჩემი და, რაც დრო გადის, უფრო შემწყნარებელი ვხდები. ამ ცვლილებას ყველაზე მეტად ის გრძნობს, ძველსა და ახალ აღთქმას ვინც კითხულობს.

კამათი გაჭიანურდა, გამოსავალი კი არსად ჩანდა. წეტარნი გატაცებით იმეორებდნენ ერთსა და იმავეს და ამიტომ რჩევისათვის წმინდა ეკატერინე ალექსანდრიელს მიმართეს. ჩვეულებრივ, რთულ შემთხვევებში მუდამ ასე იქცეოდნენ. დედამიწაზე წმინდა ეკატერინემ ორმოცდაათ ფრიად განსწავლულ დოქტორს აჯობა კამათში. მან ისევე კარგად იცოდა პლატონის ფილოსოფია, როგორც საღვთო რჯული და რიტორიკის ხელოვნებასაც ფლობდა.

თავი VII

თათბირი სამოთხეში

(გაგრძელება და დასასრული)

წმინდა ეკატერინე თათბირზე ზურმუხტებით, საფირონებითა და და მარგალიტებით მოოქვილი გვირგვინითა და ოქროცურვილი ფარჩის კაბით მორთული გამოცხადდა. გვერდით, თეძოსთან აალებული ბორბალი ეჭირა. ეს იმ ბორბლის ხატი გახლდათ, რომლის ნაწახვრეებიც მის მწვალებლებს მოხვდათ.

უფალმა აზრის გამოთქმა სთხოვა და ქალმაც განაცხადა:

— უფალო, მე არ შევუდგები საერთოდ ცხოველებისა და კერძოდ, ფრინველების ზნე-ჩვეულებაზე საუბარს, რათა გადაეჭრა პრობლემა, თქვენ რომ ინებეთ და შემომთავაზეთ. მხოლოდ შევახსენებ ამ თათბირზე შეკრებილ სწავლულებს, მოძღვრებსა და ეპისკოპოსებს, განსხვავება ადამიანსა და ცხოველებს შორის არცთუ ისე სრულია, რამეთუ არსებობენ ურჩხულები, რომლებიც სანახევროდ ადამიანები და სანახევროდ ცხოველები არიან. ასეთებია, ვთქვათ, ჰიმერები, — ნახევრად ნიმფები და ნახევრად გველები, სამი გორგონი, ფავნები, სკილები, ზღვაზე მომღერალი სირინოზები, ქალის მკერდი და თევზის კუდები რომ აქვთ; მათ რიცხვს ეკუთვნიან კენტავრებიც, წელამდე ადამიანები, წელს ქვემოთ კი — ცხენები და ყველა ეს ურჩხული კეთილშობილთა რასას განეკუთვნება. როგორც ცნობილია, ერთმა კენტავრმა მხოლოდ საკუთარი გონების ძალით მოიპოვა მარადიული ნეტარების უფლება და ხანდახან ალბათ თქვენც ხედავთ, რა ამაყად წარმოჩნდება მისი გმირული მკერდი ოქროს ღრუბლებში. კენტავრმა ქირონმა თავისი მიწიერი საქმიანობით მოიპოვა ნეტართა სამყოფელში ყოფნის უფლება. იგი აქილევსის აღმზრდელი გახლდათ; და ამ ახალგაზრდა გმირმა, როგორც კი მოძღვრის მეურვეობას დააღწია თავი, თავადაც ქალწულის სამოსით მორთულმა, ორი წელი იცხოვრა მეფე ლიკომედეს ქალიშვილების გვერდით. იგი მათთან ერთად თამაშობდა, მათ სარეცელს იზიარებდა

და არავინ დაეჭვებულა, რომ ის ისეთივე ახალგაზრდა ქალწული არ გახლდათ, როგორც ლიკომედეს ქალიშვილები. მხოლოდ ქირონმა, ასე უმწიკვლოდ რომ აღზარდა გმირი, და მასთან ერთად იმპერატორმა ტრაიანემ შეძლეს ბუნების კანონების დაცვით მოეპოვებინათ ზეციური დიდება. და მაინც, ქირონი მხოლოდ ნახევრად ადამიანია. ამ მაგალითით მე ვამტკიცებ, რომ საკმარისია მხოლოდ ნაწილი გქონდეს ადამიანური, ცხადია, თუ ღირსეულია ნაწილი იგი, რათა მარადიულ ნეტარებას ეზიარო. და თუ მოუნათლავმა კენტავრმა მოიპოვა იგი, რად არ შეიძლება მონათლული პინგვინებიც ეზიარონ, თუკი ნახევრად პინგვინებად და ნახევრად ადამიანებად გადაიქცევიან? აი, ამიტომ გევედრები, უფალო, სულ პატარა, უკვდავი სული და ადამიანის თავი და მკერდი მიანიჭო მოხუცი მაელის პინგვინებს, რათა ღირსეულად შეგასხან ხოტბა.

ასე ლაპარაკობდა ეკატერინე და წმინდა მამათა, სწავლულთა, მოძღვართა და ეპისკოპოსთა შორის თანხმობის ჩურჩული გაისმა.

ამ დროს, წმინდა განდეგილი ანტონიოსი წამოხტა და დაკუნთული, წითელი მკლავები უზენაესისაკენ გაიშვირა.

— ნუ ინებებთ, უფალო! — შესძახა მან. — თქვენი წმინდა პარაკლეტის სახელით გევედრებით, ნუ ინებებთ.

იგი აღგზნებით ლაპარაკობდა, მისი გრძელი, თეთრი წვერი კი ისე ირხეოდა ნიკაპთან, როგორც მშიერი ცხენის პირთან ჩამოკიდული ცარიელი ტომარა.

— ნუ ინებებთ, უფალო. ადამიანისთავიანი ფრინველები უკვე არსებობენ. წმინდა ეკატერინეს ახალი არაფერი გამოუგონია.

— წარმოსახვა კრებს და ადარებს, იგი არაფერს ქმნის, — ცივად შეეპასუხა წმინდა ეკატერინე.

— ... უკვე არსებობენ, — განაგრძო წმინდა ანტონიოსმა, რომელსაც არაფრის გაგონება არ სურდა. — მათ ჰარპიები ჰქვიათ და მსოფლიოში ყველაზე უწესო ფრინველები არიან. ერთხელ, უდაბნოში წმინდა პავლე მეწვია ვახშმად. სუფრა ჩემი ქოხის ზღურბლთან, დიდი ნეკერჩხლის ქვეშ გავშალე. ჰარპიები ხის ტოტებზე ჩამოსხდნენ, ლამის დაგვაყრუეს გამგმირავი ყვირილით და სკორეთი გადააბინძურეს სუფრა.

ამ ურჩხულთა აბეზრობამ ხელი შემიშალა წმინდა პავლეს სწავლება მომესმინა და ამასთანავე, სკორეთი გაბინძურებული პური და ბოსტნეული მივირთვით. ვინ დაიჯერებს, რომ ჰარპიები ხოტბას აღუვლენენ უფალს? მიწიერი ცდუნებების დროს მე ბევრი ჰიბრიდი მინახავს, მხოლოდ ქალგველები და ქალთევზები კი არა, უფრო უთავბოლოდ შერწყმული არსებებიც, რომელთა სხეული კარდალისგან, ზარისგან, კედლის საათისგან, ჭურჭლითა და სურსათით სავსე ბუფეტისაგან იყო შექმნილი და თქვენ, წარმოიდგინეთ, სახლისგანაც კი, რომლის კარსა თუ ფანჯრებში ოჯახური საქმით გართული ხალხი მოჩანდა. მარადისობა არ მეყოფოდა იმ ურჩხულთა აღსაწერად, თავს რომ მესხმოდნენ მარტოობის ჟამს. გემიევით აღჭურვილი ვეშაპებიდან დაწყებული, პატარა, წითელი მწერების ურდოთი დამთავრებული, ჩემს ჯაში წყალს სისხლად რომ აქცევდა. მაგრამ ისეთი უგვანო, როგორც ჰარპიებია, თავისი სკორეთი რომ სწვავდნენ ჩემი მშვენიერი ნეკერჩხლის ფოთლებს, არც ერთი არ გახლდათ.

— ჰარპიები, — აღნიშნა ლაქტანციუსმა. — მდედრობითი სქესის ურჩხულები არიან. სხეული ფრინველისა აქვთ, თავი და მკერდი კი ქალისა. მათი უტიფრობა, წინდაუხედაობა და უხამსობა მათი ქალური ბუნების უცილობელი თვისებაა, რაც პოეტმა ვერგილიუსმა დაამტკიცა თავის „ენეიდაში“. ისინი ევას შეჩვენებას იზიარებენ.

— ევას შეჩვენებაზე ნუღარაფერს ვიტყვით, — თქვა უფალმა. — მეორე ევამ პირველის ცოდვა გამოისყიდა[1].

პავლეს ოროზიუსი, უნივერსალური ისტორიის ავტორი, მოგვიანებით ბოსუე რომ ბაძავდა, წამოდგა და უფალს შესთხოვა:

— უფალო, შეისმინე ჩემი და წმინდა ანტონიოსის მუდარა. ნუღარ შექმნი კენტავრების, სირინოზებისა და ფავნების მსგავს ურჩხულებს, ასე რომ მოსწონთ არაკის მოყვარულ ბერძნებს. შენ არაფრად გარგია ისინი. ურჩხულთა ეს ჯიში წარმართობისკენაა მიდრეკილი, მათი გაორებული ბუნება კი ზნეობის სიწმინდეს ვერ ეგუება.

---

[1]. მეორე ევას სახელით, როგორ ჩანს, წმინდა მარიამი იგულისხმება

ტკბილმოუბარი ლაქტანციუსი ასე შეეპასუხა მას:

— ახლა ლაპარაკობდა ისტორიკოსი, ვინც უდავოდ საუკეთესოა სამოთხეში მყოფ ისტორიკოსთა შორის, რამეთუ ჰეროდოტეს, თუკიდიდეს, პოლიბიოსს, ტიტუს ლივიუსს, ველეი პატერკულუსს, კორნელიუს ნეპოტს, სვეტონიუსს, მანეთონს, დიოდორე სიცილიელს, დიონ კასიუსს, ლამპრიდიუსს ჩამორთმეული აქვთ უფლის ხილვის უფლება, ხოლო ტაციტუსი მკრეხელობის გამო ჯოჯოხეთში წვალობს. მაგრამ, საეჭვოა, პავლუს ოროზიუსმა ისევე კარგად იცოდეს ზეცა, როგორც დედამიწა, რამეთუ არ ფიქრობს, რომ ანგელოზნი ადამიანისა და ფრინველის ნაჯვარს წარმოადგენენ და სიწმინდის განსახიერება არიან.

— საკითხს გადავუხვიეთ, — თქვა უზენაესმა. — რა შუაშია კენტავრი, ჰარპია და ანგელოზი? აქ პინგვინთა ბედი წყდება.

— დიახ, უფალო, საქმე პინგვინებს ეხება, — განაცხადა უხუცესმა იმ ორმოცდაათ დოქტორს შორის, მიწიერი ცხოვრების დროს ქალწულმა ალექსანდრიელმა რომ დაამარცხა. — გავბედავ და მოგახსენებთ: რათა ბოლო მოვუღოთ ამ ალიაქოთს, ასე რომ ააჯანყა ზეცა, საჭიროა ჩვენი დამმარცხებლის წმინდა ეკატერინეს აზრს დავეთანხმოთ და ბებერი მაელის პინგვინებს ადამიანის ნახევარი სხეული და მისი შესაბამისი უკვდავი სული მივანიჭოთ.

ამ სიტყვებმა დიდი ხმაური, ცალკეული საუბრები და სწავლულთა დისკუსია გამოიწვია. ბერძენი მამები ენერგიულად ეკამათებოდნენ ლათინელ მამებს იმ სულის არსზე, ბუნებასა და სიდიდეზე, რაიც პინგვინებისათვის უნდა მიენიჭებინათ.

— მოძღვარნო და ეპისკოპოსნო, — შესძახა უფალმა. — ნუ მიბაძავთ დედამიწის სინოდებსა და კონკლავებს და საზეიმო ეკლესიაში მებრძოლი ეკლესიის ვნებებს ნუ შემოიტანთ. მართალია, ევროპის, აზიისა და აფრიკის ყველა საეკლესიო კრებაზე, რომელშიც ჩემი წმიდათაწმიდა სული იყო შთაბერილი, წმინდა მამები თმას აგლეჯდნენ და თვალებს ათხრიდნენ ერთმანეთს, მაგრამ ისინი უცოდველნი იყვნენ, რადგან მე ვიყავი მათთან.

როცა წესრიგი აღდგა, მხცოვანი ჰერმა წამოდგა და ღირსად წარმოთქვა:

— გმადლობთ უფალო, რომ საფიცრას, მშობელ დედას ჩემსას, სული მაშინ შთაბერე, როცა ღვთიური ნამი იქ მიწას აგრილებდა, მეუფეს რომ ქმნიდა. კიდევ გმადლობთ, უფალო, რომ მე მომანიჭე უფლება ჩემი მოკვდავი თვალებით უფლის ვაჟიშვილის მოციქულები მენახა. მე სიტყვას ვიღებ ამ ბრწყინვალე თათბირზე, რადგან თქვენ გსურთ ყველაზე მორჩილის ბაგით მოისმინოთ ჭეშმარიტება. და მე ვაცხადებ: ადამიანებად გადააქციეთ პინგვინები. ეს თქვენი სამართლისა და გულმოწყალების ღირსი ერთადერთი გადაწყვეტილება იქნება.

მრავალი სწავლული სიტყვას ითხოვდა, სხვები უკითხავად აყაყანდნენ. მოსმენა აღარავის სურდა და გამძვინვარებული მოძღვარნი პალმის რტოებსა და გვირგვინებს აქნეევდნენ.

უფალმა მარჯვენა ხელი ასწია და ბოლო მოუღო რჩეულთა დავას.

— დასრულდეს ბჭობა, — თქვა მან. — მხცოვანი მორჩილის, ჰერმას სურვილი ერთადერთია, რაც ჩემს მარადიულ ზრახვას ეთანხმება. ეს ფრინველები ადამიანებად გადაიქცევიან. წინასწარ ვგრძნობ, რამდენ უხერხულობას შექმნის ეს გარდასახვა. ამ ადამიანთა შორის ბევრი ისეთ ნაკლს შეიძენს, პინგვინად დარჩენისას რომ არ შეიძენდა. მართალია, ეს გარდასახვა მათ ბედს ნაკლებ სახარბიელოდ აქცევს, ვიდრე ამ ნათლობისა და მათი აბრაამის ოჯახთან დაკავშირების გარეშე ეცნებოდათ, მაგრამ, ჩემს ყოვლისმცოდნეობას არ ეკადრება მათი თავისუფალი ნების შეზღუდვა. ადამიანის თავისუფლება რომ არ შეილახოს, მე არ ვიცი ის, რაც ვიცი, კვლავ ვიფარებ თვალზე რიდეს და ბრმა ნათელმხილველობით ვიოცებ იმას, რაც წინასწარ ვიცოდი.

და მაშინვე მთავარანგელოზ რაფაელს მოუწოდა:

— წადი, მოძებნე წმიდა მაელი, აუხსენი შეცდომა მისი და ჩემი სახელით უთხარი, პინგვინები ადამიანებად გარდაქმნას.

თავი VIII

პინგვინთა მეტამორფოზა

მთავარანგელოზი პინგვინთა კუნძულზე დაეშვა და დაინახა, რომ წმინდა მამას ახალ მოწაფეებთან ერთად კლდის ნაპრალში ეძინა. მან მხარზე დაადო ხელი მაელს, გააღვიძა და წყნარად უთხრა:

— ნუ გეშინია, მაელ!

მაგრამ წმინდა მამას თვალი მოსჭრა კაშკაშა სინათლემ და მშვენიერმა სურნელებამ გააბრუა. მან შეიცნო უფლის ანგელოზი და მის წინ განერთხა.

ანგელოზმა უთხრა:

— მაელ, შეიცან შეცდომა შენი. ადამის შვილების ნაცვლად შენ ფრინველები მონათლე. და აი, შენი შეცდომით, პინგვინები ღვთის ეკლესიას მიეკუთვნენ.

ამ სიტყვებმა გააოგნა მოხუცი. ანგელოზმა კი განაგრძო:

— ადექი, მაელ! უფლის მძლეთამძლე სახელით აღიჭურვე და ფრინველებს უთხარი: „იქმენ ადამიანად!“

წმინდა მამა მაელი ატირდა, შემდეგ ილოცა, უფლის მძლეთამძლე სახელით აღიჭურვა და ფრინველებს უთხრა:

— იქმენ ადამიანად!

პინგვინები მაშინვე გარდაისახნენ. შუბლი გაუფართოვდათ, თავი დაუმრგვალდათ და რომის სენ-მარი-როტონდის ტაძრის გუმბათს დაემსგავსა. ოვალური თვალები უფრო ფართოდ გაეხილათ სამყაროს შესაცნობად. ხორციან ცხვირზე ნესტოების ორი ხვრელი გაუჩნდათ; ნისკარტი პირად გადაექცათ და ამ პირიდან სიტყვათა ნიაღვარი დაიძრა; კისერი დაუმოკლდათ და დაუმსხვილდათ; ფრთები ხელებად ექცათ, თათები — ფეხებად, მკერდში კი დაუდეგარი სული ჩაუსახლდათ.

პირველადი წარმოშობის ზოგიერთი ნიშანი მაინც შემორჩათ. ალმაცერად იყურებოდნენ, მოკლე ფეხებით ბაჯბაჯით დადიოდნენ, სხეული კი თხელი ბეწვით ჰქონდათ დაფარული.

და მაელმა მადლი შესწირა უფალს, რომელმაც პინგვინები აბრაამის ოჯახს მიაკუთვნა.

წმინდა მამა დადარდიანდა. მალე იგი სამუდამოდ დატო-

ვებდა კუნძულს და, ვინ იცის, იქნებ პინგვინთა რწმენა ისევე დაღუპულიყო, ვით ნორჩი და ნაზი მცენარე. და მან გადაწყვიტა კუნძული არმორიკის ნაპირებთან გადაეტანა.

„უფლის გზები შეუცნობელია, — გაიფიქრა მან.— მაგრამ თუ თავად უფალი ისურვებს კუნძულის გადატანას, ვის შეუძლია ხელი შეუშალოს?“

და წმინდა მამამ ოლარის სელსაგან ორმოცი ფუტის სიგრძის წვრილი თოკი დაგრიხა. თოკის ერთი ბოლო ქვიშიან ნაპირზე შემოჭრილ წვეტიან ქიმებს შემოავლო და გაკვანძა, მეორე ბოლო კი ხელში აიღო და თავის ქვის ვარცლში ჩაჯდა.

ვარცლი გაცურდა და პინგვინთა კუნძული ბუქსირით წაიყვანა. ცხრა დღის შემდეგ მაელი მშვიდობიანად მიცურდა ბრეტონის ნაპირებთან და თან კუნძული მიიტანა.

წიგნი მეორე

უძველესი ხანა

თავი I

პირველი სამოსი

ერთ დღეს, წმინდა მაელი ოკეანის სანაპიროზე, ერთ ქვაზე ჩამოჯდა და ის ქვა გახურებული ეჩვენა. მაელმა არ იცოდა, რომ აქ ახლახან ეშმაკი ისვენებდა, იფიქრა, მზემ გაათბოო, და უფალს მადლი აღუვლინა.

მოცალული ივერნის ბერებს ელოდა, რომელთაც ქსოვილები და ტყავები უნდა ჩამოეტანათ და ალკას კუნძულის მცხოვრებნი შეემოსათ.

მალე მაელმა ზურგზე სკივრმოკიდებული ბერი მაჟისი დაინახა. იგი ნაპირზე გადმოდიოდა. ეს ბერი წმინდანის დიდი რეპუტაციით სარგებლობდა.

მაჟისი მოხუცს მიუახლოვდა, სკივრი მიწაზე დადგა, სახელოთი შუბლზე ოფლი მოიწმინდა და თქვა:

— კეთილი, მამაო, თქვენ ნამდვილად გსურთ პინგვინები შემოსოთ?

— აუცილებლად, შვილო ჩემო, — უპასუხა მოხუცმა. — რაც აბრაამის ოჯახს მიეკუთვნენ, პინგვინებმა ევას შეჩვენება გაიზიარეს. ახლა იციან, რომ შიშვლები არიან, თუმცა ადრე არ გრძნობდნენ ამას. სწორედ დროულია მათი შემოსვა, რადგან უკვე კარგავენ იმ ღინღლს, მეტამორფოზის შემდეგ რომ შემორჩათ.

— ჰეშმარიტად, — თქვა მაჟისმა და თვალი მოავლო სა-

ნაპიროს, სადაც პინგვინები ლოკოკინებსა და ნიჟარებს აგროვებდნენ, მღეროდნენ ან ეძინათ. — ისინი შიშველნი არიან. მაგრამ, მამაო, ხომ არ აჯობებს შიშველივე დარჩნენ? საჭიროა კი მათი შემოსვა? სამოსთან ერთად, ზნეობრივ კანონებს შეიძენენ, რაც ფუჭ გაბღენძილობას, მდაბალ ფარისევლობასა და უსარგებლო სისასტიკეს წარმოშობს.

— შვილო ჩემო, — ამოიოხრა მოხუცმა, — ნუთუ ასე დამღუპველი გგონია ზნეობრივი კანონი, მას ხომ წარმართიც კი ემორჩილება?

— ზნეობრივი კანონი, — განაგრძო მაჟისმა, — ადამიანს, თავადაც ცხოველს, აიძულებს ცხოველებისაგან განსხვავებული წესით იცხოვროს; და თუმცა ეს წესი მძიმეა მისთვის, ამასთანავე მოსწონს და ამშვიდებს კიდეც. რადგან ამპარტავანი, მხდალი და სიამოვნებას დახარბებულია, მშვიდად ემორჩილება ამ შევიწროებას, მის პატივმოყვარეობას რომ ესალბუნება და დღევანდელი უსაფრთხოებისა და მომავალი ნეტარების საწინდრად ევლინება. ასეთია ყოველგვარი მორალის არსი. მაგრამ ნუ გადავუხვევთ. ჩემი თანამგზავრები ახლავე გადმოტვირთავენ ამ კუნძულზე ქსოვილებსა და ტყავებს. დაუფიქრდით, მამაო! ჯერ კიდევ არის დრო! პინგვინების შემოსვას მძიმე შედეგი შეიძლება მოჰყვეს. თუკი ახლა პინგვინი ვნებიანად ისურვებს დედალს, მან ზუსტად იცის, რა სურს და მისი სურვილი სასურველი ობიექტის ზუსტი ცოდნითაა განსაზღვრული. აი, ახლაც სანაპიროზე პინგვინთა ორი-სამი წყვილი მზის გულზე ეძლევა სიამოვნებას. ხედავთ, რა უბრალოდ ხდება? ყურადღებასაც არავინ აქცევს და არც თავად ჰგვანან მაინცდამაინც გატაცებულებს. მაგრამ, თუკი დედალი შეიმოსება, პინგვინს ზუსტად აღარ ეცოდინება, რა იზიდავს, შეუცნობელი სურვილი კი ყოველგვარ ოცნებებსა და ილუზიებს წარმოშობს; და საბოლოოდ, მამაო, პინგვინი სიყვარულსა და მის გიჟურ ტკივილებს შეიცნობს. ამ დროს კი დედალი თვალებს დახრის, ტუჩებს მოკუმავს და ისეთ სახეს მიიღებს, თითქოს მისი სამოსელის ქვეშ განძი იმალებოდესს.. რა საცოდაობაა!.

ბოროტება დიდი არ იქნება, სანამ ეს ხალხი უხეში და ღარიბი დარჩება. მაგრამ, მოთმინება იქონიეთ, მამაო, და ათასიოდე წლის შემდეგ დაინახავთ, რა ძლიერი იარაღის მფლო-

ბელნი გახდებიან თქვენი მეშვეობით ალკას ქალწულები. თუ ნებას მომცემთ, წინასწარ გაჩვენებთ ამ სკივრში ქალის მორთულობა დევს. ამოვირჩიოთ ნებისმიერი დედალი, პინგვინები ზედაც რომ არ უყურებენ, და შეძლებისდაგვარად მოვრთოთ იგი.

აი, ერთი მათგანი სწორედ ჩვენკენ მოაბიჯებს. არც სხვებზე ლამაზია, არც მახინჯი; ახალგაზრდაა, ზედ არავინ უყურებს. ციცაბო ნაპირზე ზანტად მოაბიჯებს, ცხვირს იქექავს და წელს ქვემოთ ზურგს იფხანს. თავადაც ხედავთ, მამაო, რომ მას ეიწრო მხრები, მძიმე მკერდი, სქელი, ყვითელი მუცელი და მოკლე ფეხები აქვს. მუხლისთავებს მოწითალო ფერი დაჰკრავს და ყოველი ნაბიჯის გადადგმაზე ისე უნაოჭდება, თითქოს სახსარზე პატარა მაიმუნის თავი ჰქონდეს ჩამოკიდებული. მისი მოზრდილი, ძარღვიანი ფეხი კლდეებზე ოთხი თითით იმაგრებს თავს, ხოლო სქელ ცერა თითს მფრთხალი გველივით წამოუყვია თავი. იგი მთლიანად სიარულითაა დაკავებული; ყველა კუნთი ამ სამუშაოს ასრულებს და როცა ამ მოძრაობას ვხედავთ, ეს დედალი სიარულის მანქანა უფრო გვგონია, ვიდრე სიყვარულის მანქანა, თუმცა მას ალბათ. ეროიც ეხერხება და მეორეც და კიდევ სხვა მრავალ მექანიზმსაც შეიცავს. ჰოდა, კეთილი, ღირსეულო მოცეკულო, იხილეთ, რად გარდავქმნი მას.

ბერმა მაჭისმა სიტყვა დაასრულა, დედალს სამი ნახტომით დაეწია, იღლიაში ამოიჩარა ისე, რომ თმა მიწაზე დასთრევდა, და ელდანაცემი წმინდა მაელის ფეხებთან დააგდო. სწორედ იმ დროს, როცა დედალი ატირდა და არაფერი დამიშავოთო, შეევედრა, ბერმა თავისი სკივრიდან სანდლები ამოიღო და უბრძანა, ჩაიცვიო.

— მისი ფეხები უფრო პატარა გამოჩნდება, თუ შალის თასმებით გამოვკრავთ, — აუხსნა ბერმა მოხუცს. — ორი თითის დადებაზე ამაღლებული ძირები კი ნატიფად დააგრძელებენ მის წვიებს და სიარულიც დიდებული ექნება.

დედალმა თასმები შეიკრა, ცნობისმოყვარედ ჩაიჭყიტა სკივრში და როცა იგი მორთულობითა და სამკაულით სავსე იხილა, აცრემლებულმა გაიღიმა.

ბერმა თმა კეფაზე გაუკრა, ყვავილებიანი ქუდი დაახურა

და მაჯებზე ოქროს რგოლები შეაბა; შემდეგ ფეხზე წამოაგდო, მკერდქვეშ, მუცელზე სელის ფართო სარტყელი შემოაკრა; თან ამტკიცებდა, ეს სარტყელი მკერდს მედიდურობას შესძენს, ხოლო გვერდებს ჩამოათლის და მის ხარჯზე თეძო გამოიკვეთებაო.

მან მიყოლებით გამოიღო პირში გაჩრილი ქინძისთავები და სარტყელი დაამაგრა.

— მეტადაც შეიძლება შემოჭერა, — თქვა დედალმა.

ბერმა მზრუნველად და მოხერხებულად შებორკა მოშვებული მკერდი და დედალს ვარდისფერი ტუნიკა ჩამოაცვა, საიდანაც სხეულის ხაზები ნატიფად გამოიკვეთა.

— მიხდება? — იკითხა დედალმა.

იგი გადაიხარა, თავი გვერდზე გადასწია, ნიკაპი მხარზე დაიყრდნო და ყურადღებით დაათვალიერა თავისი მორთულობა.

მაყისის შეკითხვაზე, გრძელი ხომ არ გეჩვენება კაბაო, მან მტკიცედ უპასუხა: არა, კალთებს ავიკრეფო. მაშინვე მარცხენა ხელით კაბის უკანა კალთა დაქაჩა, შემდეგ კალთები გვერდზე ოდნავ წამოსწია, ისე რომ მხოლოდ ქუსლები გამოსჩენოდა და პატარა ნაბიჯებითა და თეძოების რხევით გზას გაუყვა.

დედალს უკან არ მოუხედავს, მაგრამ როცა ნაკადულს ჩაუარა, თავის გამოსახულებას თვალი შეავლო.

პირველივე პინგვინი, მას რომ შეხვდა, გაოგნებული შეჩერდა, შემდეგ შემობრუნდა და უკან დაედევნა. დედალი სანაპიროს მიუყვებოდა, თევზაობიდან დაბრუნებული პინგვინები კი, როგორც ერთი, მას უახლოვდებოდნენ, ათვალიერებდნენ და უკან მისდევდნენ. ქვიშაზე წამოწოლილებიც კი წამოხტნენ და დანარჩენებს შეუერთდნენ.

მთის ბილიკიდან, კლდის ნაპრალებიდან და წყლის სიღრმიდან ახალი და ახალი პინგვინები მოიჩქაროდნენ და მის ამალას ემატებოდნენ.

და ყველა — ფართო მხარბეჭიანი და მკერდზე ბალანმოდებული მოწიფული მამაკაცები, მოქნილი ჰაბუკები, მოხუცები, რომელთაც დანაოჭებულ ვარდისფერ სხეულზე თეთრი ბალანი ჰქონდათ და ღვიის საყრდენ ჯოხებზე უფრო გამხდარ

და გამხმარ ფეხებს მოათრევდნენ — ყველა აქოშინებული მისდევდა უკან დედალს, მძაფრი სუნი სდიოდათ და ხრინწიანად ხვნეშოდნენ. დედალი კი ამ დროს ისე მშვიდად მოაბიჯებდა, თითქოს ვერაფერს ხედავსო.

— მამაო, — შეჰყვირა მაჟისმა. — შეხედეთ, როგორ გაედევნენ; მათი მზერა კი ამ ახალგაზრდა ქალბატონის სფეროსებრ ცენტრს მიეჯაჭვა მხოლოდ იმიტომ, რომ ცენტრი ვარდისფერი ქსოვილითაა შებურვილი. სფერო მრავალი თვისებებით იქცევს გეომეტრთა ყურადღებას, ხოლო როცა ის ცოცხალ ფიზიკურ სხეულში იჩენს თავს, ამით ახალ თვისებებს იძენს. პინგვინებს ამ ფიგურის მშვენიერება სრულად რომ აღექვათ, საკმარისი გახდა თვალით კი არ ეხილათ, გონების თვალით წარმოედგინათ იგი. ამ წუთში თავადაც გატაცებით მიზიდავს ეს დედალი. იქნებ იმიტომ, რომ ქვედატანმა მისი საჯდომი უფრო გამოკვეთა, შესანიშნავად გაამარტივა, სინთეტიკური და ზოგადი ხასიათით აღჭურვა და ასე ვთქვათ, წმინდა იდეისა და ღვთიური პრინციპის გამოსახულებად აქცია. ასე მგონია, ამ დედალს თუ მოვეხვევი, მკლავებში უმაღლეს მიწიერ სიამტკბილობას მოვიქცევ. მოკრძალება ქალს აშკარად უძლეველ მიმზიდველობას ანიჭებს. ეს დედალი ისე მაღელვებს, ამაოდ შევეცდებოდი ამის დამალვას.

ბერმა სიტყვა დაასრულა, ანაფორის კალთები ურცხვად აარიფა, პინგვინებს გამოენთო, გაფანტა, გადააყირავა. წიხლებით შედგა, ფეხით გათელა, გასრისა, შემდეგ ალკას ასული დაიჭირა და ხელი ვარდისფერ სფეროს წაატანა, პინგვინთა მთელი თაობის მწვავე მზერასა და სურვილებს რომ იწვევდა. სფერო ბერის ხელებში ჩაიკარგა და გამოქვაბულში გაუჩინარდა.

მაშინ პინგვინებს მოეჩვენათ, მზე დაბნელდაო. წმინდა მამა კი მიხვდა, რომ ბერი მაჟისის სახით ეშმაკი მოევლინა და ალკას ასულებს პირველი სამოსი მიუძღვნა. მაელი ძლიერ შეცბუნდა, მისი სული სევდამ მოიცვა; ნელა ბრუნდებოდა თავის სავანეში და პატარა, ექვსი-შვიდი წლის, ბრტყელმკერდიანი და თხელთეძოებიანი პინგვინები დაინახა, რომელთაც წყალმცენარეებისაგან გაკეთებული სარტყელები შეებათ, სანაპიროზე დასეირნობდნენ და მამაკაცებს უთვალთვალებდნენ, მოგვდევენ თუ არაო.

თავი II

პირველი სამოსი

(გაგრძელება და დასასრული)

წმინდა მამა მაელი დადარდიანდა; ალკას ქალწულის პირველმა სამოსმა ცუდი მაგალითი უფრო უჩვენა პინგვინთა მოკრძალებას, ვიდრე კარგი. და მაინც, თავის განზრახვაზე, შეემოსა ამ საოცარი კუნძულის მცხოვრებნი, მაელს უარი არ უთქვამს. მან სანაპიროზე შეკრიბა ისინი და ივერნის მონასტრის ბერების ჩამოტანილი სამოსი დაურიგა. პინგვინებმა მოკლე ტუნიკები და შარვლები, ხოლო დედლებმა გრძელი კაბები მიიღეს. მაგრამ ამ კაბებს ისეთი გავლენა არ მოუხდენიათ, პირველმა სამოსმა რომ მოახდინა. ეს კაბები არცთუ ისე ლამაზი, უგემოვნო და უხეში იყო და არც ყურადღებას იქცევდა, რადგან ყველა ქალს ეცვა; და რადგან დედლები საშმელს ამზადებდნენ და მინდორში მუშაობდნენ, მალე ჭუჭყიანი კორსაჟები და გათხვრილი ქვედატანებიღა შერჩათ ხელში. პინგვინებმა უბედური თანამეცხედრეები სამუშაოთი გადატვირთეს და სასაპალნე ცხოველებს დაამსგავსეს. მათთვის უცხო იყო სულიერი ტკივილი და ვნებათა აღრეულობა. ზნეობა კი უმწიკვლო ჰქონდათ. სიხსლის აღრევა ხშირი იყო, ნამდვილი სოფლური უბრალოებით ხდებოდა და თუ ვინმე მთვრალი ჰაბუკი ბებიას გააუპატიურებდა, მეორე დღეს აღარც ახსოვდა.

თავი III

მინდვრების განაწილება. საკუთრების წარმოშობა

კუნძულს აღარ ჰქონდა ისეთი მკაცრი იერი, როგორც მაშინ, მოტივტივე ყინულებით გარშემორტყმული, თავისი კლდის ქიმებზე ფრინველთა ტომს რომ აძლევდა თავშესაფარს. მისი თოვლიანი მწვერვალი დაიწია და პატარა გორა-

კად გადაიქცა; მწვერვალიდან კი მარადიული ნისლით შებურვილი არმორიკის ნაპირები და უფსკრულიდან სანახევროდ ამოზიდული, ურჩხულების მსგავსი პირქუში წყალქვეშა კლდეებით მოფენილი ოკეანე მოჩანდა. კუნძულის ნაპირები ახლა ფართოდ გაშლილი და ისე დანაწევრებული იყო, თავისი ფორმით თუთის ხის ფოთოლს ჰგავდა. იგი ნახირისათვის ფრიად სასარგებლო მარილიანი ბალახით, ტირიფებით, ანტიკური ლეღვის ხეებითა და დიდებული მუხებით დაიფარა, რაც ბედა ღირსეულმა და სხვა მრავალმა სარწმუნო ავტორმა დაადასტურეს.

კუნძულის ჩრდილოეთით ღრმა ყურე წარმოიქმნა, რომელიც მოგვიანებით მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ პორტად გადაიქცა.

აღმოსავლეთით, კლდოვანი ნაპირის გასწვრივ, ქაფიანი ტალღები რომ ეხლებოდა, უდაბური და სურნელოვანი უშენი გაჭიმულიყო. ეს ჩრდილთა სანაპირო გახლდათ, სადაც კუნძულის მცხოვრებნი შესვლას ვერ ბედავდნენ, ეშინოდათ კლდის ნაპრალებში დაბუდებულ გველებსა და მოლურჯო ალის მსგავს გარდაცვლილთა სულებს არ გადაყროდნენ. სამხრეთით, მყვინთაეთა ნელთბილ უბეს გარს ხილის ბაღები და ტყეები ეკვროდა. ამ სეებედნიერ ნაპირზე მოხუცმა მაელმა ხის ეკლესია და მონასტერი ააგო. დასავლეთით, ორი მდინარე — კლანჟი და სურელი — დალისა და დომბის ნაყოფიერ ხეობებს რწყავდა.

შემოდგომის ერთ დილას, ნეტარი მაელი კლანჟის ხეობაში, ივერნელ ბერთან, ბულოკთან ერთად დასეირნობდა და გზაზე მომავალი, ქვებით შეიარაღებული მძვინვარე ბრბო დაინახა. მაშინვე ხეობის ყოველი მხრიდან ყვირილისა და ტირილის ხმა მშვიდ ზეცას მისწვდა.

და მან ბულოკს უთხრა:

— სევდით ვუყურებ, შვილო ჩემო, რომ ამ კუნძულის მცხოვრებლებმა, რაც ადამიანებად გადაიქცნენ, ძველი გონიერება დაკარგეს. სანამ ფრინველები იყვნენ, მხოლოდ მაშინ ჩხუბობდნენ, როცა სიყვარულის ჟამი დაუდგებოდათ. ახლა მუდამდღე ჩხუბობენ და ზამთარ-ზაფხულ საჩხუბარ მიზეზს ეძებენ. სად გაჭრა მათი ზვიადი სიმშვიდე, პინგვინთა თავყრილობას ბრძენი რესპუბლიკის სენატს რომ ამსგავსებდა!

სურელის მხარეს გახედე, შვილო ჩემო, ბულოკ. ამ გრილ ხეობაში თორმეტიოდე პინგვინი შეკრებილა და ერთმანეთს ბარებსა და წერაქვებს ურტყამს, თუმცა უკეთესი იქნებოდა ამ იარაღებით მიწა დაემუშავებინათ. ქალები კაცებზე სასტიკნი არიან და თავის მტრებს ფრჩხილებით აკაწრავენ სახეს. ოჰ, შვილო ჩემო, ბულოკ, ასე უმოწყალოდ რატომ ჟლეტენ ერთმანეთს?

— საზოგადოებრივი შეგნება აქვთ მამაო, თან მომავლის განაღდებაც სურთ, — უპასუხა ბულოკმა. — ადამიანი ხომ თავისი არსით წინდახედულია და ამყოლი. ასეთია მისი ბუნება. მას თავისი თავიც ვერ წარმოუდგენია საკუთრების გარეშე. ეს პინგვინები, თქვენ რომ ხედავთ, ოსტატო, მიწებს ისაკუთრებენ.

— განა მიწის შეძენა ძალმომრეობის გარეშე არ შეუძლიათ? — იკითხა მოხუცმა. — რისთვის ცემენ, ლანძღავენ და ემუქრებიან ერთმანეთს? თუმცა სიტყვები არ მესმის, ტონის მიხედვით თუ ვიმსჯელეთ, ძალიან გაღიზიანებული უნდა იყვნენ.

— ჭურდობასა და მითვისებაში სდებენ ერთმანეთს ბრალს, — უპასუხა ბულოკმა. — ეს მათი კამათის ზოგადი აზრია.

ამ დროს წმინდა მამა მაელმა გულზე ხელები დაიკრიფა და ღრმად ამოიხვნეშა.

— შვილო ჩემო, — შესძახა მან, — ამ შეშლილს თუ ხედავ, წაქცეულ მოწინააღმდეგეს კბილებით რომ მოაჭამა ცხვირი, ან იმ მეორეს, უშველებელი ქვით თავი რომ გაუპო ქალს?

— ვხედავ, — უპასუხა ბულოკმა. — ისინი სამართალს ქმნიან. საკუთრებას, ცივილიზაციის პრინციპებს, საზოგადოების ბაზისს და სახელმწიფოებრივ წყობას უყრიან საფუძველს.

— კი მაგრამ, როგორ? — იკითხა მოხუცმა მაელმა.

— თავის მინდვრებს სამანი დაუდეს. ეს ყოველგვარი სახელმწიფოებრივი წყობის საფუძველია. თქვენი პინგვინები, ო ,ოსტატო, მოვალეობათა შორის ყველაზე დიად მოვალეობას ასრულებენ. საუკუნეების შემდეგ, მათ საქმეს კანონმდებლები განამტკიცებენ და სახელმწიფო ძალაუფლება დაიცავს.

ბერი ბულოკი ამ სიტყვებს ამბობდა, როცა ერთი თეთრ-

კანიანი, მწითური, უშველებელი პინგვინი, რომელსაც მხარზე ხის ნაპობი გაედო, ხეობაში დაეშვა. იგი ერთ მზეზე გახუხულ პატარა პინგვინს მიუახლოვდა, თავის ბოსტანს რომ რწყავდა და დაუყვირა:

— ჩემია შენი მინდორი!

ამ მბრძანებლური სიტყვის წარმოთქმის შემდეგ კეტი პატარა პინგვინს დაუშვა თავზე და ეს უკანასკნელი, თავისივე ხელით დამუშავებულ მიწაზე მკვდარი დაეცა.

ამის შემხედვარე, წმინდა მამა მაელი მთელი ტანით აკანკალდა, ცრემლის ნიაღვარი წასკდა და საშინელებითა და შიშით დახშული ხმით ლოცვა აღუვლინა ზეცას:

— ღმერთო, უფალო ჩემო, შენ, რომელმაც ახალგაზრდა აბელს შესაწირი მიიღე და კაენი შეაჩვენე, თავის მინდორზე მოკლული უმანკო პინგვინისთვის შური იძიე და შენი მსახვრალი ხელი მკვლელს აგრძნობინე! განა არსებობს ამ მკვლელობასა და ძარცვაზე უფრო უგვანი დანაშაული? შენი სამართლის უფრო დიდი შეურაცხყოფა?

— ფრთხილად, მამაო, — მშვიდად განაცხადა ბულოკმა. — რასაც თქვენ მკვლელობასა და ძარცვას უწოდებთ, სინამდვილეში ბრძოლა და გამარჯვებაა, სახელმწიფოთა წმიდათაწმიდა საფუძველია და ყოველი გრძნობისა და ადამიანური სიდიადის წყაროა. ისიც გაითვალისწინეთ, რომ თუკი დიდ პინგვინს დაგმობთ, ამით საკუთრების არსსა და არსებობის პრინციპს დაეჭვმით თავს. ამის დამტკიცება ძალიან ადვილია. მიწის დამუშავება ერთი საქმეა, ფლობა — მეორე. ეს ორი მხარე ერთმანეთში არ უნდა ავურიოთ. საკუთრების საკითხში პირველი ფლობელის უფლება ფრიად ბუნდოვანია და სუსტი საფუძველი აქვს, მომპოვებლის უფლებებს კი, პირიქით, მყარი საფუძველი გააჩნია. პატივცემულიც ის არის, ვინც მოიპოვებს, რადგან მხოლოდ მას შეუძლია იძულებულგყოს, პატივი სცე. ძალა საკუთრების ერთადერთი და დიდებული საყრდენია. ის ძლიერია და მხოლოდ უფრო ძლიერს ემორჩილება. სწორედ ამიტომ სამართლიანი იქნება, ძლიერი ღირსეულად ჩავთვალოთ. ამ დიდმა მწითურმა, მინდვრის მისათვისებლად მიწათმოქმედი რომ მოკლა, სწორედ ახლა ფრიად კეთილშობილი გვარი დააარსა დედამიწაზე. წავალ, მივულოცავ მას.

ამ სიტყვებით, ბულოკი სისხლიანი ხნულის ნაპირას მდგარ, ხეტზე დაყრდნობილ დიდ პინგვინს მიუახლოვდა, თავი მიწამდე დახარა და უთხრა:

— დიდო გრეტოკ, მოვედი, რათა თაყვანი გცეთ თქვენ, სამართლიანი ძალაუფლებისა და მემკვიდრეობითი ქონების დამაარსებელს, თავის ქალა ამ გასაცოდავებული პინგვინისა, თქვენ რომ მოკალით, ამავე მინდორზე დაფლული, სამუდამოდ დაამკვიდრებს თქვენს შთამომავალთა წმიდათაწმიდა უფლებებს ამ მიწაზე, თქვენ რომ გააკეთილშობილეთ. თქვენს შვილებსა და შვილთაშვილებს ბედნიერება ელით; ისინი გრეტოკები[1] და სკელის[2] ჰერცოგები გახდებიან და კუნძულ ალკას მეუფეებად მოევლინებიან.

შემდეგ ბულოკმა ხმას დაუწია და მოხუც მაელს მიუბრუნდა:

— მამაო, დალოცეთ გრეტოკი, რამეთუ ყოველი ძალაუფლება ღვთისგან მოდის.

მაელი უძრავად იდგა და დუმდა. თვალები კი ზეცისაკენ ჰქონდა აპყრობილი. იგი გულნატკენი და დაბნეული გახლდათ და არ იცოდა, როგორ აღექვა ბერი ბულოკის დოქტრინა. მიუხედავად ამისა, უმაღლესი ცივილიზაციის ეპოქებში სწორედ ამ დოქტრინამ მოიკიდა ფეხი. ბულოკი ალბათ პინგვინეთის სამოქალაქო სამართლის შემქმნელად შეიძლება ჩაითვალოთ.

თავი IV

პინგვინეთის პირველი სათათბირო

— შვილო ჩემო ბულოკ, — თქვა მოხუცმა მაელმა, — პინგვინები უნდა აღვრიცხოთ და წიგნში შევიტანოთ ყოველი მათგანის სახელი.

— სწორედ საშური საქმეა, — უპასუხა ბულოკმა. — უამისოდ კარგი ხელისუფლება ვერ დამყარდება.

მოციქულმა თორმეტი ბერი დაიხმარა, მაშინვე მოსახლეობის აღწერას შეუდგა და როს დაასრულა, განაცხადა:

— ახლა, როცა მთელი მოსახლეობის სია შეგვადგინეთ,

---

[1] Goreat auk (ინგ.) — დიდი პინგვინი.
[2] scull (ინგ.) — თავისქალა

შვილო ჩემო-ბულოკ, სამართლიანი გადასახადი უნდა დავაწესოთ, რათა სახელმწიფო ხარჯები დავფაროთ და მონასტერიც ვარჩინოთ. თითოეულმა იმდენი უნდა გადაიხადოს, რამდენიც შეუძლია. აი, ამიტომ შვილო ჩემო, ალკას უხუცესნი მოიწვიე. მათთან შევათანხმოთ გადასახადის ოდენობა.

ოცდაათამდე უხუცესმა ხის მონასტრის ეზოში, დიდი ნეკერჩხლის ქვეშ მოიყარა თავი, ეს პინგვინეთის პირველი სათათბირო გახლდათ. მის სამ მეოთხედს სურელისა და კლანჭის ხეობების შეძლებული გლეხები შეადგენდნენ. გრეტოკი კი, როგორც ყველაზე ღირსეული პინგვინთა შორის, მაღალ ქვაზე ჩამოჯდა.

ღირსი მაელი ბერებს შუა მოთავსდა და წარმოთქვა:

— შვილნო ჩემნო, უფალი ჩვენი, ქონებას თავისი სურვილისამებრ უძღვნის ან ართმევს ადამიანს. მე მოგიწვიეთ, რათა სახელმწიფო ხარჯების დასაფარი და მონასტრის სარჩენი გადასახადი დავაწესოთ. ვფიქრობ, გადასახადი ყოველი თქვენგანის შესაძლებლობებს უნდა შეეფარდებოდეს. ვისაც ასი ხარი ჰყავს, ათს გადაიხდის, ხოლო ვისაც ათი ჰყავს, მხოლოდ ერთს.

როცა წმინდა მამამ საუბარი დაასრულა, კლანჭის ანისის მიწათმოქმედი, ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი პინგვინი, მორიო, წამოდგა და თქვა:

— ო, მამაო მაელ, ვფიქრობ ყველამ უნდა გაიღოს სახელმწიფო ხარჯებისა და მონასტრის სარჩენი გადასახადი. ეს სამართლიანია. პირადად მე, მზად ვარ ჩემი ძმები პინგვინების კეთილდღეობას ყოველივე შევწირო და თუ საჭირო გახდა, უკანასკნელ პერანგსაც გავიხდი. სხვა უხუცესნიც თანახმა არიან თავიანთი ქონება მსხვერპლად მოიტანონ და ერთგულება მათი ერისა და რწმენისადმი ეჭვმიუტანელია. მხოლოდ საზოგადოებრივი ინტერესი უნდა მივიღოთ მხედველობაში და მის შესაფერისად მოვიქცეთ. საზოგადოებრივი ინტერესი კი ბრძანებს და მოითხოვს კიდეც დავინდოთ ის, ვინც ბევრს ფლობს, თორემ მდიდარნი ნაკლებ მდიდარნი, ღარიბნი კი მთლად ღატაკნი გახდებიან. ღარიბებს მდიდართა ქონება აცხოვრებს, ამიტომ სიმდიდრე წმიდათაწმიდა მოვლენაა... ნუ შეეხებით მას. ეს უსარგებლო სისასტიკე იქნება. მდიდრების

დარბევით დიდ შემოსავალს ვერ შეიძენთ, რადგან ცოტანი არიან ისინი. ამით თქვენს თავსაც გაძარცვავთ და ქვეყანასაც გალატაკების გზაზე დააყენებთ; ხოლო თუ ყოველი მაცხოვრებლისაგან მცირე დახმარებას მოითხოვთ და მათ შესაძლებლობებს ყურადღებას არ მიაქცევთ, საზოგადოებრივი საჭიროებისათვის საკმაო თანხას მოაგროვებთ და არც მოქალაქეთა ქონებრივი მდგომარეობის გამოკვლევა დაგჭირდებათ, რასაც აღმაშფოთებელ ძალადობად ჩაგითვლიან. თუ ერთნაირად და მსუბუქად დაბეგრავთ ყველას, ამით ღარიბებს გაუფრთხილდებით, რადგან მდიდართა ქონებას დაუტოვებთ მათ. ან კი როგორ შეიძლება გადასახადი ქონებას გავუწონასწოროთ? გუშინ მე ორჯერ ხარი მყავდა, დღეს სამოცი მყავს, ხვალ ასი მეყოლება. კლუნიკს სამი ძროხა ჰყავს, მაგრამ გამხდრები არიან; ნიკლუს მხოლოდ ორი ჰყავს, მაგრამ მსუქნები. რომელი უფრო მდიდარია მათ შორის? სიმდიდრეს მაცდუნებელი ნიშნები აქვს. უდავო მხოლოდ ერთია — ყველა ჭამს და ყველა სვამს. გადასახადი მათი დანახარჯის მიხედვით დააწესეთ, ეს უფრო ბრძნული და სამართლიანი იქნება.

ასე ლაპარაკობდა მორიო და უხუცესებმა ტაში შემოჰკრეს.

— მე მოვითხოვ, რომ ეს სიტყვა ბრინჯაოს ფირფიტაზე ამოიკვეთოს, — შესძახა ბერმა ბულოკმა. — იგი შთამომავლობისთვისაა ნათქვამი. თხუთმეტიოდე საუკუნის შემდეგ საუკეთესო პინგვინები სწორედ ამას იტყვიან.

უხუცესნი ჯერ კიდევ ტაშს უკრავდნენ, როცა გრეტკომა ხელი ხმლის ვადას დაადო და მოკლედ მოჭრა:

— მე ღირსეულ მოდგმას ვეკუთვნი და გადასახადს არ გადავიხდი. ეს უღირსი საქმიანობაა. დეე, ბრბომ გადაიხადოს.

ამის შემდეგ, უხუცესნი ჩუმად დაიშალნენ.

პინგვინეთში, ისევე როგორც რომში, ხუთ წელიწადში ერთხელ ხდებოდა აღწერა; ასე შენიშნეს, რომ ისინი ჩქარა მრავლდებოდნენ; და თუმცა ბავშვთა სიკვდილიანობა წარმოუდგენლად დიდი იყო, ხოლო შიმშილი და ჭირი უცვლელი რეგულირებით აცარიელებდა ქალაქებს, პინგვინთა ახალი, უფრო მრავალრიცხოვანი თაობები პირადი სიღატაკით ხელს უწყობდნენ საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

თავი V

კრაკენისა და ობრეროზას ქორწინება

იმ დროისათვის კუნძულ ალკზე ერთი პინგვინი ცხოვრობდა, რომელსაც მძლავრი მკლავები და მახვილი გონება ჰქონდა. მას სახელად კრაკენი ერქვა და ჩრდილთა სანაპიროზე სახლობდა, სადაც კუნძულის მცხოვრებლები არასოდეს შედიოდნენ; ეშინოდათ, კლდის ნაპრალებში დაბუდებულ გველებს და მოლურჯო ალის მსგავს, მოუნათლავად გარდაცვილილ პინგვინთა სულებს არ გადაჰყროდნენ, საცოდავი გოდებით რომ დაეხეტებოდნენ მთელ ღამეს უდაბურ ნაპირზე. პინგვინები თვლიდნენ, თუმცა დაუსაბუთებლად, რომ იმ პინგვინთა შორის, მამა მაელის ლოცვამ ადამიანებად რომ აქცია, მრავალი დარჩა მოუნათლავი და სიკვდილის შემდეგ უკან დააბრუნეს, რათა ქარიშხლის დროს გლოვის ზარი აღევლინათ. კრაკენი ამ უდაბური მხარის ერთ მიუვალ გამოქვაბულში სახლობდა. იქ მიღწევა მხოლოდ ბუნებრივი მიწისქვეშეთის გავლით შეიძლებოდა, რომელიც, ასი ნაბიჯის სიგრძისა იყო და რომლის შესასვლელსაც უსიერი ტყე ფარავდა.

ერთ საღამოს, როცა კრაკენი უდაბურ ველზე მიდიოდა, იგი ფრიად მომხიბვლელ ქალწულს გადაეყარა. ეს სწორედ ის ქალიშვილი გახლდათ, ოდესღაც თავად ბერმა მაკისმა რომ შემოსა; ქალწული, რომელმაც პირველად ჩაიცვა უბიწოების სამოსი. იმ დღის სამახსოვროდ, როცა პინგვინთა აღელვებულმა ბრბომ იხილა, რა საზეიმოდ გარბოდა აისისფერ კაბაში გამოწყობილი ქალწული, მას სახელად ობრეროზა[1] უწოდეს.

როგორც კი კრაკენი დაინახა, შეშინებულმა ქალწულმა წამოიყვირა და გაიქცა. გმირმა კი აფრიალებულ სამოსელში წაატანა ხელი და ასე მიმართა:

— ქალწულო, მითხარ სახელი შენი; ვისი ოჯახის ან რომელი ერის შვილი ხარ?

ამ დროს თავზარდაცემული ობრეროზა შიშით შესცქეროდა მას.

— თავად თქვენ გხედავთ, ბატონო, — ცახცახით შეეკითხა

[1] Obrerose (ფრანგ.) — ვარდისფერი შარაგანდედი

ქალი, — თუ ეს სულია თქვენი აგრერიგად განრისხებული?

ამას ამბობდა, რადგან ალკას მცხოვრებლებს აღარაფერი სმენიათ კრაკენზე მას შემდეგ, რაც ჩრდილთა კუნძულზე დასახლდა იგი და მას გარდაცვლილად და ღამის დემონად გარდასახულად მიიჩნევდნენ.

— ნუ შეშინდები, ალკას ასულო, — უპასუხა კრაკენმა. — გზააბნეული სული კი არა, ძლიერი და გულადი კაცი გესაუბრება. მალე დიდ ქონებასაც შევიძენ.

ნორჩი ობრეროზა შეეკითხა:

— ო, კრაკენ, რით მოიპოვებ დიდ სიმდიდრეს, შენ ხომ პინგვინთა შვილი ხარ.

— გონებით, — უპასუხა კრაკენმა.

— ო, ვიცი, — თქვა ობრეროზამ. — იმ დროს, როცა ჩვენ შორის ცხოვრობდი, განთქმული იყავ ნადირობითა და მებადურობით, ვერავინ შეგედრებოდა ბადის გაშლასა და სწრაფი ფრინველისათვის ისრის ტყორცნის ხელოვნებაში.

— ო, ქალწულო, ეს მხოლოდ ფუჭი და დამქანცველი საქმიანობა გახლდათ .მე კი საშუალება ვპოვე უშრომელად შევიძინო ქონება ჩემი. მაგრამ მითხარი, ვინა ხარ?

— მე ობრეროზა მქვია, — უპასუხა ქალწულმა.

— როგორ დაშორდი ღამით ასე შენს საცხოვრებელს?

— კრაკენ, ეს ალბათ ღვთის ნება იყო.

— რა თქვი?

— რომ ზეცამ, ო, კრაკენ, შენს გზაზე დამაყენა, ხოლო რა მიზნით, ხავად არ ვიცი.

კრაკენი კარგა ხანს უყურებდა ქალს და პირქუშად დუმდა. შემდეგ თბილად უთხრა:

— ობრეროზა, შემოდი ჩემს სახლში, იგი პინგვინთა ყველაზე გონიერი და მამაცი შვილის სახლია. თუ თანახმა ხარ, ჩემი მეგობარი გახდები.

მაშინ ქალმა თვალები დახარა და წაიჩურჩულა:

— გამოგყვებით, ჩემო ბატონო.

ამგვარად, მშვენიერი ობრეროზა გმირი კრაკენის თანამეცხედრე გახდა. ეს ქორწინება არც ზეიმით აღუნიშნავთ, არც გალობითა და ჩირაღდნებით, რადგან კრაკენს ხალხში გამოჩენა არ სურდა. იგი თავის გამოქვაბულში დაიმალა და დიდი საქმე ჩაიფიქრა.

თავი VI

ალკას დრაკონი

„შემდეგ ჩვენ საბუნებისმეტყველო კაბინეტის სანახავად წაველით... განმკარგულებელმა რაღაც შემოწნული პაკეტი გვაჩვენა, სადაც, მისი თქმით, დრაკონის ჩონჩხი იდო; ეი, საბუთი, — დაუმატა მან, — რომ დრაკონი მითიური ცხოველი არ გახლავთ“.

(ჟაკ კაზანოვას მემუარები.
პარიზი. 1843 წ. ტ. IV, გვ. 404—405)

ალკას მოსახლეობა მშვიდობიანად შრომობდა. ჩრდილოეთის მცხოვრებნი ნავებით შედიოდნენ ზღვაში და თევზსა და ნიქარებს აგროვებდნენ. დომბის ხეობის მიწათმოქმედთ შვრია, ჭვავი და ქერი მოჰყავდათ. დალის ხეობის მდიდარმა პინგვინებმა შინაური ცხოველები მოაშენეს. მყვინთავთა უბის მოსახლეობა კი ხებილის ბაღებს უვლიდა. ალკას პორტიდან ვაჭრებს დამარილებული თევზი გაჰქონდათ არმორიკაში. კუნძულზე ბრიტანეთისა და ბრეტანის ოქრო გაჩნდა და სხვადასხვა ნივთების ურთიერთგაცვლა გამარტივდა. პინგვინები მშვიდად იმკიდნენ შრომის ნაყოფს, როცა მოულოდნელად სოფლიდან სოფელში ავბედითი ხმები გავრცელდა. ყველამ გაიგო, რომ ერთმა საშინელმა დრაკონმა მყვინთავთა უბის ორი ფერმა გააჩანაგა.

ცოტა ხნით ადრე ქალწული ობრეროზა გაუჩინარდა. თავდაპირველად მისი არყოფნა თვალში არავის მოხვედრია. სიყვარულით გახელებულმა, ძლიერმა მამაკაცებმა რამდენჯერმე უკვე გაიტაცეს იგი. ბრძენებს ეს არ უკვირდათ, რადგან ობრეროზა პინგვინთა უმშვენიერეს ქალწულად ითვლებოდა. ისიც შეამჩნიეს, რომ ქალი ხადახან თავად ეგებებოდა გამტაცებლებს, რამეთუ ბედისწერას ვერავინ დააღწევს თავს. მაგრამ ამჯერად, იგი უკან აღარ მობრუნებულა და ხალხი შიშობდა, დრაკონის მსხვერპლი ხომ არ გახდაო.

დალის ხეობაც მცხოვრებნი მალე დარწმუნდნენ, რომ დრაკონი ჰასთან მიმსხდარ ქალთა ზღაპრის გმირი არ იყო. ერთ

ღამეს სოფელ ანისში ურჩხულმა ექვსი ქათამი, ცხვარი და პატარა ბიჭუნა ელო შესანსლა. დილით ცხოველებისა და ბავშვის ვერავითარი კვალი ვერ აღმოაჩინეს.

სოფლის უხუცესნი მაშინვე საჯარო მოედანზე შეიკრიბნენ, ქვის მერხზე ჩამოსხდნენ, რათა განესაჯათ — რა გზას დასდგომოდნენ ამ საშინელ გარემოებაში.

მათ თავი მოუყარეს პინგვინებს იმ საშინელ ღამეს, დრაკონი რომ იხილეს, და გამოკითხვა დაუწყეს:

— მისი გარეგნობა ან ზნე ხომ არ შეგინიშნავთ?

ყველამ რიგრიგობით უპასუხა:

— ლომის კლანჭები, არწივის ფრთები და გველის კუდი აქვს.

— ზურგზე ეკლიანი ბიბილო აღგას.

— სხეული მოყვითალო ქერცლითა აქვს დაფარული.

— მომწუსხავი მზერა აქვს და მეხივით გეცემა; ცეცხლს აფრქვევს.

— ჰაერს წამლავს სუნთქვით.

— დრაკონის თავი, ლომის კლანჭები და თევზის კუდი აქვს.

ერთმა ანისელმა ქალმა, რომელიც ნათელი გონებითა და მსჯელობის უნარით იყო განთქმული და რომელსაც დრაკონმა სამი ქათამი მოპარა, განაცხადა:

— გარეგნობით კაცსა ჰგავს. თავდაპირველად ჩემი ქმარი მეგონა; ისიც კი ვუთხარი, წადი, ჩქარა დაიძინე, გასიებულო შტერო-მეთქი.

სხვაგვარადაც ამბობდნენ:

— ღრუბელსა ჰგავს.

— მთასა ჰგავს.

ერთი ბავშვი კი მოვიდა და განაცხადა:

— მე დავინახე, დრაკონმა ჩვენს კალოზე თავი მოიხსნა და ჩემს დას, მინის აკოცა.

უხუცესნი კვლავ კითხულობდნენ:

— რამხელაა დრაკონი?

მათ უპასუხეს:

— ხარისხელაა.

— ბრიტანეთის სავაჭრო გემისხელაა.

— ადამიანისხელაა.

— იმ ლელვის ხეზე მაღალია, რომლის ძირასაც ზიხართ.

ბოლოს დრაკონის ფერის გამოკვლევა დაიწყეს და მცხოვრებლებმაც განაცხადეს:

— წითელია.

— მწვანეა.

— ლურჯია.

— ყვითელია.

— ღია მწვანე თავი აქვს, ჰყეტელა ნარინჯისფერ ფრთებს ვარდისფერი დაჰკრავს, კიდეებს კი მორუხო-მოვერცხლისფერო; გავასა და კუდზე ყავისფერი და ვარდისფერი ზოლები გასდევს, ჰყეტელა ყვითელი ფერის მუცელზე შავი ლაქები აჩნია.

— რა ფერია? სულაც უფერულია.

— დრაკონისფერია.

ასეთი ჩვენებების შემდეგ, უხუცესებმა ვერ გადაწყვიტეს, რა გზას დასდგომოდნენ. ერთი ნაწილის აზრით, სჯობდა დადარაჯებოდნენ დრაკონს, თავს დასხმოდნენ და ისარი დაეშინათ მისთვის. მეორენი უაზრობად თვლიდნენ ასეთი ძლიერი ურჩხულის ყოვლისშემძლეობის წინაშე ამხედრებას და არჩევდნენ, ძღვენით დაემშვიდებინათ იგი.

— ხარკი გადავუხადოთ, — თქვა ერთმა მათგანმა, რომელიც თავისი სიბრძნით განთქმული იყო.

— მის კეთილგანწყობას მოვიპოვებთ, თუ ხილს, ღვინოს და ბატკნებს უხვად მივართმევთ და ქალწულსაც მივგვრით.

სხვათა აზრით, სჯობდა მოეწამლათ ჭები, საიდანაც დრაკონი წყალს სვამდა ან თავის გამოქვაბულში, ბოლში გამოეხრჩოთ იგი.

საბოლოოდ, ვერც ერთმა წინადადებამ ვერ გაიმარჯვა. უხუცესებმა დიდხანს იკამათეს და ისე დაიშალნენ, არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

თავი VII

ალკას დრაკონი

(გაგრძელება)

იმ თვეში, რომაელები ღმერთებს, მარსსა და მავორსს[1] რომ უძღვნიან, დრაკონმა დალისა და დომბრის ფერმები გააჩანაგა, ორმოცდაათი ცხვარი, თორმეტი ღორი წაასხა და სამი ბიჭუნაც წაიყვანა. ყველა ოჯახი ძაძით შეიმოსა და კენძულს გლოვის ზარი ავსებდა. კლანჭისა და სურელის წყლის პირას მდებარე მრავალი დარბეული სოფლის უხუცესებმა, რომლებმაც არ იცოდნენ, როგორ აეშორებინათ თავიდან ეს უბედურება, გადაწყვიტეს დახმარება მაელისათვის ეთხოვათ.

იმ თვის მეხუთე დღეს, რომელსაც ლათინებმა გახსნა[2] უწოდეს, რადგან იგი წელიწადს ხსნის, უხუცესთა პროცესია გაუდგა გზას ხის მონასტრისაკენ, რომელიც კუნძულის სამხრეთით იყო აღმართული. უხუცესები ეზოში შეიყვანეს და ჰაერი მათი კვნესისა და გოდების ხმამ აავსო. მათმა გოდებამ მაელი ააღელვა; მიატოვა ოთახი, სადაც ასტრონომიას სწავლობდა და წმინდა წერილზე ფიქრობდა, სამოციქულო კვერთხზე დაეყრდნო და მათთან ჩამოვიდა. მაელის გამოჩენისთანავე უხუცესნი მიწას განერთხნენ და ძისკენ მწვანე ტოტები გაიშვირეს. ამ დროს კი მრავალი მათგანი სურნელოვან ბალახს წვავდა.

წმინდა მამა მონასტრის ჭის მახლობლად, უძველესი ლელვის ხის ძირას ჩამოჯდა და იკითხა:

— ო, შვილნო ჩემნო, პინგვინთა შთამომავალნო, რად გოდებთ, რად კვნესით ან ვედრებით რად იშვერთ ჩემკენ ამ ტოტებს? რაღ აღავლინეთ ზეცისაკენ სურნელოვანი ბალახის ბოლი? იქნებ მოელით, რომ დიდ უბედურებას აგაშორებთ? რას შემომტირით? მზად ვარ, სიცოცხლეც გავწირო თქვენთვის, ოღონდ მითხარით, რას მოელით თქვენი მამისაგან.

ამ შეკითხვას უხუცესთაგან პირველმა ასე უპასუხა:

---

[1] იგულისხმება მარტი.

[2] იგულისხმება აპრილი. ლათინური aprilis წარმოიქმნება სიტყვისაგან aperire, რაც გახსნას ნიშნავს

— ალკას შვილების მამავ, ო, მაელ, უველას სათქმელს მე მოგახსენებ. საზარელი დრაკონი ჩვენს მინდვრებსა და ბოსლებს აჩანაგებს და საუკუთესო ყმაწვილებს თავის ბუნაგში მიათრევს. მან პატარა ელო და კიდევ ხუთი ბიჭუნა შეჭამა და დალესილი კბილებით უმშვენიერესი ქალწული ობრეროზა დაგლიჯა. სოფელი აღარ დარჩა, მის სუნთქვას არ მოეწამლა და უდაბურად არ ექცია.

ამ საშინელი უბედურების მსხვერპლნი 'მენთან მოვედით, ო, მაელ; გეაჯებით, ბრძენთა ბრძენს ამ კუნძულის მცხოვრებნი, პინგვინთა უძველესი ტომი განადგურებისაგან იხსნა.

— ო, უხუცესო, უპირველესო, — შეესიტყვა მაელი. — შენმა სიტყვებმა ღრმა სევდით ამავსო და ის აზრი, რომ კუნძული საზარელი დრაკონის მძვინვარების მსხვერპლი გახდა, ცრემლს მგვრის. ეს დრაკონი ერთადერთი არ გახლავთ, წიგნებში მრავლად არის მოთხრობილი სასტიკ დრაკონთა ამბები. ამ ურჩხულებს წყლის პირას, გამოქვაბულებში და ძირითადად წარმართთა შორის ხვდებიან. იქნებ მრავალი თქვენგანი, თუმც ეზიარა ნათლობას წმინდას და აბრაამის ოჯახს მიეკუთვნა, ძველი რომაელებივით მაინც კერპებს ეთაყვანება ან რომელიმე წმინდა ხის ტოტზე კერპებს, ალთქმის ფირფიტებს, შალის ლენტებს და ყვავილთ გვირგვინებს კიდებს. ან დედლები ცეკვავდნენ რომელიმე მაგიური ქვის ირგვლივ და ნიმფებით დასახლებული ჭიდან სვამდნენ წყალს. თუ ასეა, მწამს, რომ უფალმა წარმოგზავნა დრაკონი იგი, რათა დასაჯოს უველა თქვენგანი, ერთეულების ცოდვისა გამო, რომ თქვენ, ო, პინგვინთა შვილნო, მკრეხელობა, ცრურწმენა და უღმერთობა აღმოფხვრათ. აი, ამიტომ, წამლად ბოროტებისა, თქვენ რომ გაწამებს, მე მიგითითებთ: კარგად მოძებნეთ თქვენს სახლებში წარმართობის ნიშნები, აღკვეთეთ, ილოცეთ და მოინანიეთ.

ამას ამბობდა წმინდა მოხუცი. პინგვინთა გვარის უხუცესნი მას ფეხზე ემთხვივნენ და დაიმედებულნი თავის სოფლებს დაუბრუნდნენ.

თავი VIII

ალკას დრაკონი

(გაგრძელება)

ალკას კუნძულის მცხოვრებლებმა ყურად იღეს წმინდა მაელის რჩევა და ცრურწმენის აღმოფხვრა დაიწყეს, ასე რომ მოიკიდა ფეხი მათ შორის. თვალყურს ადევნებდნენ, აღარ შეელოცათ და ეცეკვათ ქალწულებს ჯადოსნური ხის ირგვლივ, ახალგაზრდა დედებს მკაცრად აუკრძალეს, ახალშობილები ჯანმრთელობის გასაკაჟებლად მინდორში ამოზიდულ ქვებზე დაეწვინათ. ერთი დომბელი მოხუცი, რომელიც ქერის მარცვლებს საცერზე ყრიდა და მკითხაობდა, ჭაში ჩააგდეს.

ურჩხული კი ამ დროს, ყოველღამე კვლავ აცარიელებდა საფრინველეებსა და ბოსლებს. შეშინებულმა გლეხებმა სახლის შესასვლელები ჩახერგეს. ერთმა ფეხმძიმე ქალმა მთვარის შუქზე ლურჯად შეფერილ მინდორზე დრაკონი დაინახა და შიშისაგან ნაადრევად იმშობიარა.

ამ განსაცდელის ჟამს წმინდა მამა მაელი განუწყვეტლივ ფიქრობდა დრაკონთა ბუნებასა და მათთან ბრძოლის საშუალებებზე. ექვსი თვის განსჯისა და ლოცვის შემდეგ მაელს მოეჩვენა, ვიპოვე, რასაც ვეძებდიო, და ერთ საღამოს, როცა ახალგაზრდა ბერ, სამუელთან ერთად ზღვის სანაპიროს მიუყვებოდა, თავისი აზრი ასე გამოთქვა:

— ასე დიდხანს დრაკონთა ისტორიასა და მანკიერებებს ფუჭი ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად როდი ვსწავლობდი. მსურდა აღმომეჩინა მაგალითები, რომლის გამოყენებასაც ახლანდელ გარემოებაში შევძლებდით. სწორედ ამიტომაა, შვილო ჩემო, სამუელ, ისტორიის ცოდნა სასარგებლო.

დაღგენილია, რომ დრაკონები მეტისმეტად ფხიზელნი არიან. მათ არასოდეს სძინავთ. სწორედ ამიტომ, ხშირად განძის დამცველები ხდებოდნენ. დრაკონი იცავდა კოლხეთის ოქროს ვერძს, იასონმა რომ მოიპოვა, დრაკონი იცავდა ოქროს ვაშლებს ჰესპერიდების ბაღში. იგი ჰერკულესმა მოკლა, იუნონამ კი ცის მნათობად აქცია. წიგნებში ასე წერია და თუ მართალია, ეს ჯადოსნობით მომხდარა, რადგან წარმართთა ღმერთები სინამ-

დეილეში ეშმაკები იყვნენ. დრაკონი უხეშსა და უვიც ხალხს ქასტალიის წყაროდან წყლის დალევას უკრძალავდა. ანდრომედეს დრაკონიც შეიძლება გავიხსენოთ, პერსევსმა რომ მოჰკლა.

მაგრამ თავი დავანებოთ წარმართთა ზღაპრებს, სადაც ტყუილი და მართალი ერთმანეთშია არეული. დრაკონებს ჩვენ მთავარანგელოზ მიქაელის, წმინდანების გიორგისა და ფილიპის, უფროსი იაკობის, პატრიკის, წმინდა მართასა და მარგარეტის დიად ისტორიებშიც ვხვდებით. ნუგეში და ნდობა სწორედ ასეთ სარწმუნო ამბებში უნდა ვეძიოთ.

სილენის დრაკონის ისტორიაში ასეთივე შემთხვევას ვხვდებით. უნდა იცოდეთ, შვილო ჩემო. რომ ამ ქალაქის გვერდზე, დიდი ტბის პირას დრაკონი ცხოვრობდა, რომელიც დროდადრო ქალაქის კედლებთან მოდიოდა და თავისი სუნთქვით გარეუბნის მოსახლეობას სწამლავდა. სილენის მოსახლეობა ყოველდღე თითო ადამიანს აძლევდა ურჩხულს, რათა ყველა ერთად არ ჩაენთქა. მსხვერპლს კენჭისყრით არჩევდნენ, რამდენიმე ასეული შემთხვევის შემდეგ კი მეფის ასულის რიგი დადგა.

ამ დროს წმინდა გიორგიმ, რომელიც მხედართმთავარი გახლდათ, ქალაქს ჩაუარა და გაიგო, რომ მეფის ასული ველურ ცხოველთან მიჰყავდათ. იგი მაშინვე მოახტა ცხენს, შუბი აიღო, დრაკონისკენ გაქანდა და სწორედ მაშინ დაესხა თავს, როცა ურჩხული მეფის ასულის ჩანთქმას აპირებდა. როგორც კი წმინდა გიორგიმ დრაკონი მიწას დაანარცხა, მეფის ასულმა კისერზე სარტყელი შეაბა მას და ურჩხულიც საბელზე გამობმული ძაღლივით გაედევნა ქალს.

ეს მაგალითი გვიჩვენებს, თუ რა დიდია უმანკო ქალწულთა გავლენა დრაკონებზე. წმინდა მართას ამბავი უფრო მეტ დამამტკიცებელ საბუთებს იძლევა. იცით ეს ამბავი, შვილო ჩემო სამუელ!?

— დიახ, მამაო, — უპასუხა სამუელმა.

და ნეტარმა მაელმა განაგრძო:

— ერთხელ მდინარე რონას ნაპირზე, არლსა და ავინიონს შორის გადაჭიმულ ტყეში, დრაკონი გაჩნდა. იგი ნახევრად ცხოველი, ნახევრად თევზი გახლდათ, ხარზე სქელი იყო, რქებივით წაწვეტებული კბილები და მხრებზე ორი დიდი ფრთა ჰქონდა. დრაკონი გემებს ძირავდა და მგზავრებს ნთქავდა. და აი, ხალხის

თხოვნით, წმინდა მართა დრაკონთან მაშინ მივიდა, როცა ის აბაშიანს მიირთმევდა. ქალმა დრაკონს თავისი სარტყელი შეაბა კისერზე და ქალაქში ოლად შემოიყვანა.

სწორედ ამ ორი მაგალითის გამო ვფიქრობ, რომელიმე წმინდა ქალწულს ვთხოვო დრაკონი დაამარცხოს, ალკას კუნძულზე შიშის ზარსა და სიკვდილს რომ თესავს.

და ამიტომ, შვილო ჩემო, სამუელ. სარტყელი შემოიკარ, ორ თანამგზავრთან ერთად ამ კუნძულის ყველა სოფელი შემოიარე და ყველგან განაცხადე, რომ მხოლოდ უმანკო ქალწულს შეუძლია კუნძული იხსნას ურჩხულისაგან, რომელიც ასე არბევს მას.

ყველგან იგალობებ ჰიმნებსა და ფსალმუნს და იტყვი:

„— ო, პინგვინთა შვილებო, თუ არის თქვენ შორის წმინდა ქალწული, აღდგეს, წმინდა ჯვრით შეიარაღდეს და დრაკონის დასამარცხებლად გასწიოს!“

ამას ამბობდა მოხუცი, ახალგაზრდა სამუელმა კი მორჩილება აღუთქვა. მეორე დღესვე მან სარტყელი შემოიკრა და ორ თანამგზავრთან ერთად გზას გაუდგა, რათა ალკას კუნძულის მცხოვრებლებისათვის ეცნობებინა, მხოლოდ ქალწულს შეუძლია პინგვინები დრაკონის მძვინვარებისაგან იხსნასო.

თავი IX

ალკას დრაკონი

(გაგრძელება)

ობრეროზას ფრიად უყვარდა მეუღლე თვისი, თუმცა მხოლოდ მას როდი ეტრფოდა. იმ დროს, როცა ცისკრის ვარსკვლავი ფერმკრთალ ზეცაზე გაკრთებოდა, როცა კრაკენი შიშის ზარს სთესდა სოფლებში, ქალი დალის ხეობის ერთ ახალგაზრდა მწყემსთან, მარსელთან გარბოდა მის მოძრავ-გადასატან სახლში; მწყემსთან, რომლის ნაზ სხეულში დაუშრეტელი ენერგია ჩქეფდა. მშვენიერი ობრეროზა მწყემსის სურნელოვან საწოლში ნეტარებას ეძლეოდა, თუმცა თავისი ჭეშმარიტი ვინაობა არ გაუმხელია. თავის თავს ბრიგიდა უწოდა და განაც-

ხადა, მებაღის ქალიშვილი ვარო მყვინთავთა ყურედან. ბოლოს ქალი სინანულით დაიხსნიდა თავს მწყემსის მკლავებიდან, მხრჩოლავი მდელოს გაელით ჩრდილთა სანაპიროსაკენ მიეშურებოდა და თუ შემთხვევით შეგვიანებულ გლეხს წააწყდებოდა, კაბის კალთებს მაშინვე დიდი ფრთებივით ააფრიალებდა და შესძახებდა:

— თვალი ამარიდე, გამვლელო, რათა მერე არ განაცხადო, ჩემდა საუბედუროდ ვიხილეო უფლის ანგელოზი!

აკანკალებული გლეხი მუხლებზე დაეცემოდა და თავს მიწას ახლიდა. კუნძულზე კი ხშირად ამბობდნენ ღამღამობით. გზებზე უფლის ანგელოზები დადიან და მათი დამნახავი მაშინვე კვდებაო.

კრაკენმა არაფერი იცოდა ობრეროზასა და მარსელის სიყვარულის თაობაზე, რადგან გმირი იყო იგი, გმირებმა კი ცოლების საიდუმლო არასოდეს იციან; და თუმცა არაფერი უწყოდა, ამ სიყვარულით დიდი სარგებელი მიიღო. ყოველ ღამე მეუღლე უფრო და უფრო მოღიმარი, ლამაზი და სიტკბოებით აღგზნებული ხვდებოდა. ცოლქმრულ საწოლს კი კამისა და ცოცხანის სურნელი სდიოდა. ობრეროზას უზრუნველად უყვარდა კრაკენი. მისი სიყვარული აბეზარი სრულიადაც არ გახლდათ, რადგან მხოლოდ კრაკენისთვის არ იყო განკუთვნილი.

მალე ობრეროზას სვებედნიერმა ღალატმა გმირი დიდი საფრთხისაგან იხსნა და სამუდამო ბედნიერება და დიდება მოუტანა. ერთხელ, ობრეროზამ ბინდბუნდში დაინახა ბელმონტელი მეხრე, რომელიც თავის ხარებს მორეკავდა და ისე შეუყვარდა იგი, მწყემსი მარსელი არასდროს რომ არ ჰყვარებია. მეხრე კუზიანი იყო, თავი მხრებში ჰქონდა ჩარგული, სხეული უთანასწორო ფეხებზე ირწეოდა, აწეწილი თმის ქვეშ კი ველური, ელამი თვალები მოუჩანდა. მას უხეში ხმა ჰქონდა, მჭახედ იცინოდა და ბოსლის სუნით ყარდა. და მაინც, ქალისათვის შეუდარებელი გახლდათ და, როგორც გნატონი ამბობს, „ზოგს მცენარე უყვარს, ზოგს მდინარე, ზოგს კი ცხოველი".

ერთხელ დაღლილი ობრეროზა თავისი მეხრის მკლავებში იწვა სოფლურ სხვენზე და ღრმად სუნთქავდა, როცა საყვირების, ნაბიჯებისა და ლაპარაკის ხმა მოესმა. ქალმა სარკმელში გაიხედა და ბაზრის მოედანზე შეკრებილი ხალხი დაინახა; მათ

შუაში ახალგაზრდა ბერი ქვაზე ასულიყო და მკაფიოდ ამბობდა:

— ბალმონტის მცხოვრებნო, თქვენი ღირსეული მამა, აბატი მაელი, ჩემი მეშვეობით გაცნობებთ, რომ მკლავის და იარაღის ძალა უძლურია დრაკონის წინაშე. მისი დაძლევა მხოლოდ უმანკო ქალწულს შეუძლია. თუ თქვენ შორის წმინდა, ხელშეუხებელი ქალწული არის, აღუგეს, წავიდეს ურჩხულთან, ყელზე შეაბას სარტყელი თავისი და პატარა ძაღლივით მორჩილად წამოიყვანს.

ახლგაზრდა ბერმა კაპიუშონი თავზე წამოიხურა და სხვა სოფლებისკენ გასწია, რათა ნეტარი მაელის დანაბარები სხვებისთვისაც ეუწყებინა.

ბერი უკვე შორს იყო, ობრეროზა კი თავის შეყვარებულთან თივაზე იჯდა, მკლავები მუხლებზე დაეწყო, ნიკაპი ხელებზე ჩამოეყრდნო და კვლავ განაგონზე ფიქრობდა. თუმცა ქალს შეიარაღებული ხალხის ძალა უფრო აშინებდა, ვიდრე ქალწულისა, ნეტარი მაელის დანაბარებმა მაინც შეაშფოთა. ბუნდოვანი, მაგრამ უტყუარი ინსტინქტი, მის გონებას რომ წარმართავდა, ამჯერადაც აფრთხილებდა, კრაკენის დრაკონობა საეჭვათო ხდებაო.

ქალი მეხრეს შეეკითხა:

— დრაკონზე რას ფიქრობ, სულიკო?

— ძველ დროში დრაკონები ნამდვილად აოხრებდნენ მიწას და თურმე მთისხელებიც კი იყვნენ; ახლა აღარ არსებობენ და ჩემი აზრით, ის ბანჯგვლიანი ურჩხული სინამდვილეში ან მეკობრეა, ან ვაჭარი და თავის გემით წაიყვანა მშვენიერი ობრეროზა და ალკას საუკეთესო ბავშვები. აბა, ჩემი ხარების მოპარვა გაბედოს! ან ღონით მოვერევი, ან ეშმაკობით დავიმორჩილებ.

მეხრეს სიტყვებმა დააფრთხო ობრეროზა. ქალი შეაშფოთა საყვარელი ქმრის ბედმა.

თავი X

ალკას დრაკონი

(გაგრძელება)

დღეები გადიოდა, მაგრამ კუნძულის არც ერთი ქალწული არ აღმდგარა და დრაკონის დასამარცხებლად არ წასულა. ხის მონასტერში მოხუცი მაელი ლეღვის ხის ჩრდილში, მერხზე იჯდა, ღვთისმოსავ ბერ რეგიმენტალთან ერთად და დარდითა და სევდით ფიქრობდა, ნუთუ კუნძულზე ერთი ქალწულიც არ აღმოჩნდა, დრაკონის დამარცხება შეეძლოსო.

მაელმა ამოიოხრა; მასთან ერთად ამოიოხრა ძმა რეგიმენტალმაც. ამ დროს ბაღში ნორჩი სამეული გამოჩნდა. მოხუცმა მოიხმო იგი და უთხრა:

— შვილო ჩემო, მე კვლავ ვფიქრობ, როგორ მოვსპოთ დრაკონი, ჩვენს რჩეულ ახალგაზრდობას რომ ანადგურებს და ფარებსა და ნათესებს სპობს. ამ თვალსაზრისით, წმინდა რიოკისა და წმინდა პავლე ლეონელის დრაკონთა ამბავი განსაკუთრებით ჭკუის სასწავლებელი მეჩვენა. წმინდა რიოკის დრაკონი ექვსი არშინის სიგრძისა გახლდათ. თავი ნახევრად მგლისა და ნახევრად ბასილისკოსი ჰქონდა, სხეული კი ნახევრად ხარისა და ნახევრად გველის. ბრისტოკუსის მეფობის ჟამს, მან ელორნის სანაპიროები გაანადგურა. წმინდა რიოკმა რომელიც მაშინ მხოლოდ ორი წლის გახლდათ, საბელი შეაბა დრაკონს და ზღვამდე მიიყვანა, სადაც ურჩხულმა სიამოვნებით დაიხრჩო თავი. არანაკლებ საზარელი იყო წმინდა პავლეს დრაკონი, რომელიც სამოცი ფუტის სიგრძისა გახლდათ. ლეონის ნეტარმა მოციქულმა დრაკონს თავისი ოლარი შეაბა და მისი წაყვანა ერთ ძალიან წმინდა ახალგაზრდა კაცს მიანდო. ეს მაგალითი ამტკიცებს, რომ უფალს ისევე ეამება უბიწო ვაჟი, როგორც უბიწო ქალწული. ზეცა ვერ ხედავს განსხვავებას მათ შორის. აი, ამიტომ, შვილო ჩემო, თუ ჩემი გჯერათ, ჩვენ ორნი წავალთ ჩრდილთა სანაპიროზე, დრაკონის გამოქვაბულთან მივალთ, გამოვიხმობთ ურჩხულს და როს მოგვიახლოვდება, მე ჩემს ოლარს შევაბამ, თქვენ კი ზღვის სანაპიროზე წაიყვანთ, სადაც აუცილებლად დაიხრჩობს თავს.

სამუელმა მოისმინა მოხუცის სიტყვა, თავი დახარა, მაგრამ პასუხი არ გაუცია.

— მგონი, ყოყმანობთ, შვილო ჩემო? — თქვა მაელმა.

ძმა რეგიმენტალმა ჩვეულებისამებ ულ-ლატა და სიტყვა ეკა-თხავად წარმოთქვა:

— აბა, როგორ არ იყოყმანოს, — თქვა მან. — წმინდა რიოკი ხომ მხოლოდ ორი წლის გახლდათ, როცა დრაკონი დაამარცხა. ვინ იცის, შესძლებდა კი ცხრა-ათი წლის შემდეგ მის დამარცხებას? გაითვალისწინეთ, მამაო, რომ დრაკონმა, ჩვენს კუნძულს რომ ანადგურებს, ელო და კიდევ ოთხი თუ ხუთი ბიჭუნა ჩანთქა. ძმა სამუელი კი არც ისე თვითდაჯერებულია, რომ ცხრამეტი წლისამ თავისი თავი უფრო უბიწოდ ჩათვალოს, ვიდრე თორმეტ-თოთხმეტი წლის ბიჭუნები არიან.

— ოჰ, — ამოიოხრა ბერმა. — ვის შეუძლია უბიწოებით თავი მოიწონოს ამ ქვეყანაზე, სადაც ყოველივე სიყვარულს გვასწავლის და თვით ცხოველები და მცენარეებიც კი ავხორცული სიტკბოებისაკენ გვიბიძგებს. ყველა ცხოველი თავისებურად ცდილობს შეუღლებას, მაგრამ ოთხფეხათა, ფრინველთა, თევზთა და სხვადასხვა ქვეწარმავალთა შეუღლების მრავალსახეობაში, განსაკუთრებით მშვენიერი ხეთა ქორწინებაა. საზარელი ურცხვობა, წარმართებმა რომ წარმოგვიდგინეს თავის ზღაპრებში, პატარა მინდვრის ყვავილის ურცხვობასთან შედარებით არაფერია და თქვენ რომ იცოდეთ შროშანებისა და ვარდების მრუშობის დონე, გააქცევდით საკურთხევლიდან ამ ცოდვის ფიალებსა და ცდუნების ჭურჭელს.

— ამას ნუ იტყვით ძმაო რეგიმენტალ, — უპასუხა მოხუცმა მაელმა. — ცხოველები და მცენარეები ბუნების კანონებს ემორჩილებიან და უმანკონი რჩებიან მაინც. მათ არა აქვთ სული და არც მის გადარჩენაზე ზრუნავენ. ადამიანი კი...

— მართალია, — უპასუხა ძმა რეგიმენტალმა. — ეს სულ სხვა საქმეა. და მაინც. ნორჩ სამუელს ურჩხულთან ნუ წარგზავნით, იგი მას შეჭამს. უკვე ხუთი წელია სამუელის უბიწოება დრაკონს ელდას ვერ დასცემს. იმ წელიწადს, კომეტა რომ გამოჩნდა, სატანამ სამუელის საცდუნებლად ერთი მეძავი ქალი წარმოგზავნა; ქალს ქვედატანი აეკაპიწებინა და ფონშა გადიოდა. სამუელმა ცდუნება იგრძნო, მაგრამ დათრგუნა იგი.

სატანა არ მოეშვა და ახლა სიზმარში გამოეცხადა ახალგაზრდა ქალწულის ხატი. ახრდილმა ქმნა, რის გაკეთებაც ცოცხალმა სხეულმა ვერ შეძლო: სამუელი ცდუნებულ იქმნა და როს გაიღვიძა, ცრემლით დანამა შებილწული საწოლი თვისი; მაგრამ რას იზამ, მონანიებამ ვერ დაუბრუნა უბიწოება.

სამუელს ვერ გაეგო, როგორ გაიხსნა მისი საიდუმლო, რამეთუ არა უწყოდა, რომ სატანამ მიიღო ძმა რეგიმენტალის სახე და ალკას მონასტრის ბერთა სულების აღელვებას ცდილობდა.

მოხუცი მაელი ღრმად ჩაფიქრდა და წუხილით იკითხა:

— მაინც ვინ გვიხსნის დრაკონის კბილებისაგან, მისი მოწამლული სუნთქვისა და მზერისაგან?

ამასობაში ალკას მცხოვრებლებს თანდათან უბრუნდებოდათ სიმამაცე. დომბის მიწათმოქმედნი და ბელმონტის მეხრეები ფიცს დებდნენ, უკეთ გავუსწორდებითო საზარელ მხეცს, გიდრე ქალწული, კუნთებზე ხელს იტყაპუნებდნენ და ყვიროდნენ: „ერთი მობრძანდეს დრაკონი!“ ბევრმა ქალმა და მამაკაცმა იხილა იგი და თუმცა მის გარეგნობაზე სხვადასხვა აზრი ჰქონდათ, ერთხმად ამტკიცებდნენ, არც ისე უშველებელია, როგორც გვეგონაო; ადამიანზე ბევრად დიდი არ იქნებაო. ყველგან თავდაცვისთვის ემზადებოდნენ. მზის ჩასვლისას დარაჯები სოფლის მისასვლელთან იდგნენ და მზად იყვნენ ნიშანი მიეცათ. ორთითებითა და ცელებით შეიარაღებული გლეხები კი მთელი ღამე იცავდნენ ბაკებს, სადაც პირუტყვი იყო ჩაკეტილი. ერთხელ, სოფელ ანისში, მამაცმა მიწათმოქმედებმა ისიც კი დაინახეს, როგორ გადახტა კედელზე დრაკონი. გლეხები მაშინვე ორთითებით, ცელებით და კეტებით შეიარაღდნენ, ურჩხულს გამოუდგნენ და თითქმის დაეწივნენ კიდეც. ერთმა მამაცმა და მარდმა კაცმა ორთითაც კი გაჰკრა მას, მაგრამ გუბეში ფეხი დაუცდა და ურჩხული გაექცა. დანარჩენები ალბათ დაეწერდნენ კიდეც, მაგრამ შეჩერდნენ და გაქცეული დრაკონის გადმოყრილ კურდღლებსა და ქათმებს დასაწერად გაედევნენ.

ამის შემდეგ გლეხებმა სოფლის უხუცესებს მოახსენეს, ურჩხული ადამიანისხელაა, მაგრამ ეშმარიტად საზარელი თავი და კუდი აქვსო.

თავი XI

ალკას დრაკონი

(გაგრძელება)

ერთ დღეს, კრაკენი ჩვეულებრივზე ადრე დაბრუნდა გამოქვაბულში, თავიდან სელაპის მუსარადი მოახსნა, ზემოდან ხარის ორი რქა, ხოლო ზარადზე საშინელი ეშვები რომ ჰქონდა მიმაგრებული, ფრინველთა ნისკარტებისაგან გაკეთებული საზარელ კლანჭებიანი ხელთათმანები მაგიდაზე დაყარა, შემოიხსნა ქამარიც, რომელზედაც გრძელი, მწვანე, დაკლაკნილი კუდი ჰქონდა მიბმული და თავის პაჟს, ელოს, ჩექმების გახდა უბრძანა; როცა ბავშვმა არასაკმაოდ სწრაფად შეასრულა ბრძანება, კრაკენი წიხლით გაუმასპინძლდა და ელო გამოქვაბულის მეორე ბოლოსაკენ გაფრინდა.

კრაკენმა ზედაც არ შეხედა მშვენიერ ობრეროზას, მატყლს რომ ართავდა, კერიის პირას ჩამოჯდა, სადაც ცხვარი იწვებოდა და ჩაიბუზღუნა:

— უგვანი პინგვინები!.. დრაკონობაზე საშინელი ხელობა არ არსებობს.

— რა ბრძანეთ, ბატონო? — შეეკითხა მშვენიერი ობრეროზა.

— აღარ ეშინიათ ჩემი, — განაგრძო კრაკენმა. — უწინ, გამოვჩნდებოდი თუ არა, ყველა გამირბოდა, მე კი ჩემი ტომრით ქათმები და კურდღლები მიმქონდა, ცხვრებს, ღორებს, ძროხებსა და ხარებს მივერეკებოდი. დღეს ეს გაუთლელები დარაჯები გახდნენ; ყველაფერს იცავენ. ახლახან, სოფელ ანისში, კეტებით, ორთითებითა და ცულებით შეიარაღებული გლეხები გამომედევნენ და იძულებული გავხდი ქათმები და კურდღლები გამეშვა, კუდი ხელში დამეჭირა და ისე გავქცეულიყავი. მე თქვენ გეკითხებით, შეეფერება თუ არა კაპადოსიელ დრაკონს კუდი ხელში ეკავოს და ქურდივით გარბოდეს? თანაც რქები, ეშვები, ბრჭყალები, ბიბილო და ქერცლი მამძიმებდა და ძლივს დაეუსხლტი თავხედს, თავისი ორთითა ორა თითის დადებაზე რომ შემირჭო მარცხენა დუნდულში.

კრაკენმა ფრთხილად მოისვა ხელი ნატკენ ადგილზე, რამდენიმე წუთით ჩაფიქრდა და მწარედ განაცხადა:

— მაინც რა იდიოტები არიან ეს პინგვინები! მომბეზრდა ამ შტერებისათვის ცხვირ-პირში ცეცხლის შეფრქვევა, გესმის, ობრეროზა?

გმირმა საზარელი მუზარადი ხელში აიღო, ერთხანს მოღუშულმა ათვალიერა და სწრაფად განაცხადა:

— ეს მუზარადი თავად გავაკეთე სელაპის ტყავისგან და თევზის თავს დავამსგავსე; უფრო საზარელი რომ ყოფილიყო, მასზე ხარის რქები და ტახის ყბაც მივამაგრე და წითლად შეღებილი ცხენის კუდიც ჩამოვკიდე. კუნძულის ვერც ერთი მცხოვრები ვერ უძლებდა ჩემს დანახვას, როცა ბინდბუნდში ამ მუზარადს ჩამოვიცვამდი. მის გამოჩენაზე ქალები, ბავშვები, ახალგაზრდები თუ მოხუცები თავზარდაცემული გარბოდნენ და მე პინგვინთა მთელ საგვარეულოს შიშის ზარს ვცემდი. ახლა რამ გაუფანტა ამ თავხედ ხალხს საზარელი შიში და ასე პირდაპირ რად უყურებს საზარელ ხახასა და საშინელ ფაფარს?

და მან მუზარადი ქვიან მიწაზე დაანარცხა:

— განადგურდი, მოღალატე მუზარადო! — წამოიძახა კრაკენმა. — არმორის ყველა დემონს ეფიცავ, აღარასოდეს დაგიხურავ თავზე!

ამის შემდეგ მან მუზარადის გვერდზე ხელთათმანები, ჩექმები და დახვეული კუდიც დაყარა.

— კრაკენ, — თქვა მშვენიერმა ობრეროზამ. — თქვენს მოახლეს ნება უბოძე ფანდი გამოიყენოს და თქვენი დიდება და ქონება გადაარჩინოს. ნუ ითაკილებთ ქალის დახმარებას, თქვენ ის გჭირდებათ, რადგან მამაკაცები სულელები არიან.

— ქალო, — იკითხა კრაკენმა. — რას აპირებ?

მშვენიერმა ობრეროზამ მეუღლე გააფრთხილა, ბერები ქალაქებსა და სოფლებში დადიან და მცხოვრებლებს დრაკონისაგან თავდახსნის გზას ასწავლიანო. მათი სიტყვით ურჩხულის დამარცხება მხოლოდ უმანკო ქალწულს შეუძლია, და თუ ასეთი ქალწული თავის სარტყელს ყელზე შეაბამს დრაკონს, იგი პატარა ძაღლივით მორჩილად დაედევნებაო მას.

— შენ საიდან გაიგე, ბერები რას აპირებენ? — შეეკითხა კრაკენი.

— ჩემო მეგობარო, — უპასუხა ობრეროსამ, — ქარაფშუტული შეკითხვებით ნუ შემაწყვეტინებთ ასეთ საგულისხმო საუბარს... და ამიტომ, დაუმატეს ბერებმა, თუ ალკასუ უბიწო ქალწული მოიყვანება, უნდა აღსდგეს იგი. კრაკენ, მე გადავწყვიტე მათი მოწოდების გამოყენება. წავალ. წმინდა მამა მაელს მოვძებნი და ვეტყვი: „მე გახლავართ უბიწო ქალწული, ზეცით მოვლენილი, რათა დრაკონი დავამარცხო!“

— შენ სადაური უბიწო ქალწული ხარ, — შესძახა კრაკენმა. — ან რად უნდა დაამარცხო? გონი ხომ არ დაგიკარგავს, ობრეროსა? იცოდე, არ დავუშვებ, რომ შენ დაამარცხო!

— იქნებ სჯობს, ბოლომდე მომისმინო, სანამ გაბრაზდებოდე? — ღრმად ამოიოხრა ობრეროსამ და მის ხმაში მოკრძალებული ზიზღი გაისმა.

და ქალმა თავისი ეშმაკური განზრახვა გამოუმჟღავნა. გმირი დაფიქრებული უსმენდა, ბოლოს კი უთხრა:

— ფრიად ეშმაკური ხრიკია, ობრეროსა, და თუ შენი განზრახვა აღსრულდა, მე ბევრს მოვიგებ. მაგრამ შენ, შენ როგორღა გადაიქცევი ზეცით მოვლენილ ასულად?

— ამაზე ნუ იდარდებ, კრაკენ, — შეეპასუხა ქალი. — ახლა კი, წამო, დავიძინოთ.

მეორე დღეს, ცხიმის სუნით გაჟღენთილ გამოქვაბულში კრაკენმა ტირიფის ტოტებისაგან მახინჯი კარკასი დაამზადა და საშინელი, აჯაგრული ქერცლით დაფარა. ამ კარკასის ერთ ბოლოზე მშვენიერმა ობრეროსამ მიამაგრა საშინელი ბიბილო და ზარადი, რომელსაც კრაკენი ხმარობდა, როცა სოფლების დასარბევად მიდიოდა, მეორე ბოლოზე კი დახვეული კუდი ჩამოკიდა, რომელიც ჩვენს გმირს ჩვეულებრივ მიწაზე დასთრევდა. როცა ეს საქმე მოათავეს, პატარა ელოსა და ხუთ სხვა ბიჭუნას, მათ რომ ემსახურებოდნენ, ასწავლეს ამ მანქანაში შეძრომა, მისი ამოძრავება, საყვირში ჩაბერვა და შიგ სელის ძენძების დაწვა, რათა დრაკონის ხახიდან ალი და ბოლი გამოფრქვეულიყო.

თავი XII

ალკას დრაკონი

(გაგრძელება)

ობრეროზამ ხამი ქსოვილის კაბა ჩაიცვა, წელზე უხეში თოკი შემოიკრა, მონასტერთან მივიდა და ნეტარ მაელთან საუბარი ითხოვა; და რადგან ქალებს მონასტრის ეზოში შესვლა ეკრძალებოდათ, მოხუცი თავად გამოვიდა ქალთან. მარჯვენა ხელში მაელს მოძღვრის კვერთხი ეპყრა, მარცხენათი კი თავისი ყველაზე პატარა მოწაფის, სამუელის მხარს ეყრდნობოდა.

— ვინ ხარ, ქალო? — იკითხა წმინდანმა.

— მე ქალწული ობრეროზა ვარ.

ამ პასუხის გაგონებაზე მაელმა ცისკენ ალაპყრო აკანკალებული ხელები.

— მართალს ამბობ? ჩვენ ხომ ზუსტად ვიცით, რომ ობრეროზა დრაკონმა შეჭამა. ნუთუ ობრეროზას ვხედავ და მისი ხმა მესმის? შვილო ჩემო, იქნებ დრაკონის მუცელში პირჯვარი გამოისახე და ამიტომ გამოხვედი უვნებელი მისი ხახიდან? ყველაზე სარწმუნოდ ეს მიმაჩნია.

— არ შემცდარხართ, მამაო, — უპასუხა ობრეროზამ. — სწორედ ასე მოხდა. როგორც კი ამოვძვერი ურჩხულის მუცლიდან, ჩრდილთა სანაპიროს ერთ განმარტოებულ ალაგას მივიმალე. ლოცვით, ფიქრითა და არნახული თვითგვემით მარტო ვცხოვრობდი, როცა ზეცამ ჩამაგონა, რომ დრაკონის დამარცხება უმანკო ქალწულს შეუძლია და რომ ეს უმანკო ქალწული მე გახლავართ.

— შენი მისიის დამამტკიცებელი ნიშანი მაჩვენე, შვილო, — თქვა მოხუცმა.

— თავად გახლავართ ეს ნიშანი, — უპასუხა ობრეროზამ.

— მე ვიცი, რა დიდია ნებისყოფა ზათი, ვინც თვითგვემით აკაუებს სხეულს თვისას, — თქვა პინგვინთა მოციქულმა, — მაგრამ ნამდვილად ხარ ისეთი, როგორც ამბობ?

— საქმე გვიჩვენებს, მამაო, — უპასუხა ობრეროზამ.

ბერი რეგიმანტალი მათ მიუახლოვდა:

— ეს საუკეთესო საბუთი იქნება, — თქვა მან. — როგორც მეფე სოლომონმა ბრძანა, რთული შესაცნობია სამი რამ, მეოთხე კი სრულიად შეუძლებელი. ვერ შეიცნობ გველის კვალს კლდეზე, ფრინველისას ჰაერში, გემისას წყალზე და მამაკაცისას დედაკაცში. მე უტიფრებად მიმაჩნია ის ბებერი ქალები, რომლებიც თვლიან, უკეთ ვერკვევითო ამ სექმეში, ვიდრე უბრძენესი მეფეთა შორის. მამაო, ირწმუნეთ ჩემი, ნუ გამოიკვლევთ ასეთ ქალებთან ობრეროზას უმანკოებას. ისინი თავის აზრს მოგაწვდიან, მაგრამ ჭეშმარიტებას მაინც ვერ დაადგენთ. ქალწულობის დამტკიცება ხომ ისევე რთულია, როგორც მისი დაცვა. პლინიუსი თავის ისტორიაში გვასწავლის, რომ უბიწოების ნიშნები წარმოსახვითი თუ არა, ძალიან გაურკვეველი მაინცაა. ერთი გარყვნილების თოთხმეტ ნიშანს ატარებს და მაინც უმანკოა ანგელოზთა თვალში, მეორე, პირიქით, თუმცა მეპორეებმა თითებითა და თვალებით ძირის-ძირამდე შეისწავლეს და უმწიკვლოდ აღიარეს, დახელოვნებულ გარყვნილებას გარეგნული სიკეთით ფარავს. ამ წმინდა ქალწულის უმანკოებას კი მზად ვარ, თავდებად დავუდგე.

ამას ამბობდა იგი, რადგან სატანა გახლდათ, მაგრამ მოხუცმა მაელმა ეს არ იცოდა და ღვთისმოსავ ობრეროზას შეეკითხა:

— შვილო ჩემო რა გზით აპირებთ ამ საშინელი ურჩხულის დამარცხებას, თქვენ რომ გადაგყლაპათ?

ქალწულმა უპასუხა:

— ხვალ, მზის ამოსვლისას, ო, მაელ, ხალხი იმ მწვერვალზე შეკრიბე, საიდანაც ჩრდილთა სანაპირომდე გაწოლილი უშენი მოჩანს. და თვალი ადევნე, არც ერთი პინგვინი ხუთას ნაბიჯზე ახლოს არ მოვიდეს კლდეებთან, თორემ ურჩხულის სუნთქვით მოიწამლებიან. დრაკონი გამოქვაბულიდან გამოვა, მე ჩემს სარტყელს შევაბამ და მორჩილი ძაღლივით წამოვიყვანი.

— იქნებ რომელიმე გულადი და ღვთისმოსავი მამაკაცი ვახლო, რათა დრაკონი მოკლას? — შეეკითხა მაელი.

— ჭეშმარიტებას ღალატებ, ო, მხცოვანო; ურჩხულს მე კრაკენს გადავცემ, ის კი თავის მოელვარე ხმლით ყელს გამოსჭრის მას. უნდა გაცნობოთ, რომ ღირსეული კრაკენი, ყვე-

ლას მკვდარი რომ ეგონა, კვლავ დაუბრუნდა პინგვინთა რიგებს და დრაკონს სწორედ ის მოკლავს. ურჩხულის ნეცლად კი პატარა ბავშვები ამოხტებიან, მან რომ გადაყლაპა.

— რასაც შენ მამცნობ, ო, ქალწულო, — შეჰყვირა მოცქნულმა, — მე სასწაული მგონია. ადამიანის შესაძლებლობას რომ აღემატება.

— სწორედ ასე, — თქვა ქალწულმა ობრეროზამ.—მაგრამ იცოდე, ო, მაელ, ზეცამ ჩამაგონა ამ განთავისუფლების საზღაურად პინგვინთა გვარმა რაიდ კრაკენს ყოველწლიური ხარკი სამასი ქათამი, თორმეტი ცხვარი, ორი ხარი, სამი ღორი, ათას რვაასი წონა პური და ბოსტნეული უნდა გადაუხადოს. და კიდევ, ბავშვები, დრაკონის მუცლიდან რომ ამოხტებიან, ზემოხსენებულ კრაკენს მსახურებად უნდა გადაეცნენ და ყველაფერში დაემორჩილონ.

თუ პინგვინთა გვარი აღარ შეასრულებს ვალდებულებას, კუნძულს ახალი, პირველზე საშინელი დრაკონი მოევლინება. მე დავამთავრე.

თავი XIII

ალკას დრაკონი

(გაგრძელება და დასასრული)

მოხუცმა მაელმა პინგვინთა გვარი შეკრიბა: ღამე მათ ჩრდილთა სანაპიროზე გაატარეს, იმ ზღვართან, მაელმა რომ გააელო, რათა ურჩხულის სუნთქვას არავინ მოეწამლა.

ღამის ბინდი ჯერ კიდევ მოსავდა დედამიწას, როცა ხრინწიანი ღმუილი გაისმა და სანაპიროს კლდეებზე დრაკონის ბუნდოვანი და საზარელი სხეული გამოჩნდა. მის დაკლაკნილ სხეულს თითქოს თხუთმეტი ფუტი სიგრძე ჰქონდა და გველივით მისრიალებდა. შეშინებულმა ბრბომ უკან დაიხია. მალე, ყველას მზერა ქალწულ ობრეროზას მიეჯაჭვა, აისის პირველ ათინათთან ერთად რომ გამოჩნდა თეთრებში ჩაცმული და მანანას ვარდისფერი ბუჩქნარისაკენ გამოემართა. ქალი უშიშარი და მოკრძალებული ნაბიჯით მიუახლოვდა ურჩხულს, რო-

მელმაც საზარლად დაღმუვლა და ცეცხლოვანი ხახა გააღო. პინგვინებს სიბრალულისა და შიშის საშინელი ყვირილი აღმოხდათ. ქალწულმა კი სელის სარტყელი მოიხსნა, დრაკონს კისერზე შეაბა და მაყურებელთა გამაყრუებელ ყიჟინში ერთგული ძაღლივით წაიყვანა.

ობრეროზამ საკმაო მანძილი გაიარა უშენში, როცა მოელვარე ხმლით შეიარაღებული კრაკენი გამოჩნდა. ხალხს მკვდარი ეგონა იგი და ახლა გაოცებისა და სიხარულის ყვირილი აღმოხდა. გმირი ურჩხულს მიუახლოვდა, გადაბრუნა და თავისი ხმლით მას მუცელი გაუფატრა, საიდანაც პერანგისამარა, თმახუჭუჭა, გულზეხელებდაკრეფილი პატარა ელო და კიდევ ხუთი პატარა ბიჭუნა ამოხტა, რომელიც ადრე ურჩხულმა გადაყლაპა. პატარები ქალწული ობრეროზას წინაშე მუხლებზე დაეცნენ. ქალმა გულში ჩაიკრა ისინი და ყურში ჩასჩურჩულა:

— სოფლები შემოიარეთ და თქვით: „ჩვენ ის პატარა ბავშვები ვართ, დრაკონმა რომ გადაყლაპა და ახლა პერანგიანები ამოვხტით მისი მუცლიდან“. ხალხი ყველაფერს მოგცემთ, რასაც ისურვებთ. მაგრამ, თუ რაიმე სხვას იტყვით. წკეპლასა და წკიპურტის გარდა ვერაფერს მიიღებთ. მაშ, გაეშურეთ!

როგორც კი დრაკონი გაფატრული დაინახეს, მრავალი პინგვინი გაჭანდა, რათა ნაჭერ-ნაჭერ დაეგლიჯათ იგი. ერთი თუ სიბრაზისა და შურისძიების გრძნობით იყო ანთებული, მეორეს ჯადოსნური ქვის, დრაკონტატს ხელში ჩაგდება სურდა, დრაკონს თავში რომ იშვებს. მკვდრეთით აღმდგარი ბავშვების დედებსაც სურდათ გაქცეულიყვნენ და ძვირფასი პატარები მკერდში ჩაეკრათ, მაგრამ წმინდა მამა მაელმა ყველა დააოკა და აუწყა, არასაკმაოდ წმინდანნი ხართ, რათა დრაკონს მიეკაროთ და არ დაიხოცოთო.

მალე პატარა ელო და ხუთი სხვა ბაღშვი თავად მიეახლოვდნენ ბრბოს და განაცხადეს:

— ჩვენ ის საწყალი, პატარა ბავშვები ვართ, დრაკონმა რომ გადაყლაპა და ახალა პერანგიანები ამოვედით მისი მუცლიდან.

და ყველა, ვისაც კი ეს სიტყვა ესმა, კოცნიდა მათ და ეუბნებოდა:

— განწმენდილო ბავშვებო, ყველაფერს მოგართმევთ, რაც საც ისურვებთ.

ბრბო ხალისიანი ჰიმნებისა და ლოცვების გალობით დაიშალა.

იმ დღის აღსანიშნავად, განგებამ ერი სასტიკი უბედურებისაგან რომ იხსნა, პროცესია დაწესდა და ამ პროცესიის დროს შებოჭილი დრაკონის ფიტული მოჰქონდათ.

კრაკენი ყოველწლიურ ხარკს კრეფდა და ყველაზე მდიდარი და ძლევამოსილი პინგვინი გახდა. თავისი გამარჯვების აღსანიშნავად და ხალხის შესაშინებლად იგი თავზე დრაკონის ბიბილოს ატარებდა და, ჩვეულებრივ, ასე ამბობდა:

— ურჩხული მოკვდა და ახლა მე ვარ დრაკონი.

ობრეროზა კიდევ დიდხანს ეხვეოდა თავისი მოსიყვარულე მკლავებით მეხრეებსა და მწყემსებს, ღმერთებს უტოლებდა მათ და როცა ქალის სილამაზე გაფერმკრთალდა, თავისი თაეი უფლის სამსახურს მიუძღვნა.

ობრეროზამ საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა, ხოლო სიკვდილის შემდეგ წმინდანთა რიგს მიეკუთვნა და პინგვინეთის ზეციურ მფარველად გადაიქცა.

კრაკენის გაჟიშვილს, მამასავით დრაკონის ბიბილოს რომ ატარებდა თავზე, ზედმეტსახელად დრაკო შეერქვა. სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი პინგვინთა პირველ სამეფო დინასტიას.

წიგნი მესამე

შუა საუკუნეები და აღმავლობის ხანა

თავი I

ბრიან ღვთისმოსავი და დედოფალი · გლამორგანა

ალკას მეფეები, კრაკენის შვილის, დრაკოს შთამომავალნი, თავზე დრაკონის საზარელ ბიბილოს ატარებდნენ, რაც თაყვანისცემას, შიშსა და სიყვარულს უნერგავდა ხალხს. ისინი მუდამ ბრძოლებში იყვნენ ჩაბმულნი; ხან თავის ვასალებსა და ქვეშევრდომებს ებრძოდნენ, ხანაც მეზობელი კუნძულებისა და მატერიკების მეფეებს.

უძველესი მეფეებისაგან მხოლოდ სახელები შემორჩა და ისიც კი უცნობია, როგორ წარმოითქმებოდა ან როგორ იკითხებოდა ისინი. პირველი დრაკონიდი, რომელსაც ისტორია სცნობს, ბრიან ღვთისმოსავი გახლდათ, სახელი რომ გაითქვა თავისი ეშმაკობითა და სიმამაცით ბრძოლისა და ნადირობის ჟამს.

იგი ქრისტიანი იყო, მეცნიერება უყვარდა და პატივს სცემდა ხალხს, რომლებმაც თავისი ცხოვრება მონასტერს შესწირეს. სასახლის დარბაზში, სადაც გაჭვარტლულ კოჭებზე გარეული ცხოველთა თავები და რქები ეკიდა, იგი ღრეობებს მართავდა, ალკასა და მეზობელი კუნძულების ყველა არფაზე დამკვრელს უყრიდა თავს და თაეადაც გმირთა სადი-

დებელ საგალობლებს მღეროდა. და თუმცა იგი სამართლიანი და დიდსულოვანი გახლდათ, დიდებისადმი წრეგადასული სიყვარული ამოძრავებდა, თავს ვერ ერეოდა და ყველას, ვინც მასზე უკეთ მღეროდა, სიკვდილით სჯიდა.

წარმართებმა ბრეტანის სანაპირო ააოხრეს და ივერნელი ბერები მონასტრიდან განდევნეს. მეფე ბრიანმა ისინი თავის სამეფოში მოიხმო და მათთვის, თავისი სასახლის გვერდზე ხის მონასტერი ააგო. ყოველდღე, დედოფალ გლამორგანასთან ერთად მეფე მონასტრის სამლოცველოში მიდიოდა, წირვას ესწრებოდა და ჰიმნებს გალობდა.

ამ ბერთა შორის ერთ-ერთს ოდული ერქვა და თავისი აფეთქებული სინორჩის ასაკში განსაკუთრებული განათლებითა და ღვთისმოსაობით გამოირჩეოდა. სატანას ეს ძალიან სწყინდა და მისი ცდუნება მრავალგზის სცადა. იგი სახეს იცვლიდა და ბერს ხან ბედაურის, ხან ნორჩი ქალწულის და ხანაც მბანგავი თაფლით სავსე თასის სახით ევლინებოდა. შემდეგ ჰიქაში სათამაშო კოჭები ააჩხაკუნა და უთხრა:

— გინდა მეთამაშო? ამქვეყნიურ მეუფებას ვცვლი შენი თმის ერთ ღერზე.

მაგრამ უფლის მსახურმა პირჯვარი გადაიწერა და მტერი უკუაგდო. სატანა მიხვდა, რომ ბერის ცდუნება შეუძლებელი იყო და მის დასაღუპად ეშმაკობა მოიშველია. ზაფხულის ერთ ღამეს, იგი საწოლში ჩაძინებულ დედოფალს მიუახლოვდა, ახალგაზრდა ბერის ხატება მოუვლინა, ყოველდღე რომ ხედავდა ხის მონასტერში და ხატება მოაჯადოვა. მაშინვე სიყვარული გლამორგანას ძარღვებში სწრაფი შხამივით შეიჭრა და ქალი ოდულთან განცხრომის სურვილმა დაიმორჩილა. იგი დაუსრულებლივ ფიქრობდა, როგორ დაეახლოვებინა ბერი და მრავალგზის სთხოვა, მისი ბავშვებისათვის კითხვა და სიმღერა ესწავლებინა.

— თქვენ მოგანდობთ ბავშვებს, — უთხრა ქალმა. — მეც დავესწრები გაკვეთილებს და შვილებთან ერთად დედასაც გაანათლებთ.

მაგრამ ახალგაზრდა ბერმა შორს დაიჭირა თავი და განაცხადა, არასაკმარისად სწავლული გახლავართ და ქალებთან ურთიერთობას მდგომარეობა მიკრძალავსო. ამ უარმა

გლამორგანას სურვილი უფრო გაამძაფრა. ერთ დღეს, როცა საწოლზე განწამებული იწვა და აუტანლად იტანჯებოდა, ქალმა ოდული თავის ოთახში შეიხმობინა. ბერი ბრძანებას დაემორჩილა და მოვიდა, მაგრამ თვალებდახრილი კარის ზღურბლთან შეჩერდა. ქალმა შენიშნა, ზედაც არ მიყურებსო, გული ეტკინა და მოუთმენლობამ აიტანა.

— შემომხედე, — უთხრა ქალმა. — აღარ ძალმიძს ამის ატანა, თვალთ მიბნელდება, სხეული მეწვის და მეყინება.

და რადგან ბერი კვლავ ჩუმად იყო და არ იძროდა, ქალმა მავედრებელი ხმით შესძახა:

— მოდი ჩემთან, მომიახლოვდი!

და სურვილით გაწვდილი ორი ხელით მის დაჭერასა და მოზიდვას ცდილობდა, მაგრამ ბერი გაიქცა და ქალის ურცხვობა შეაჩვენა.

მაშინ ქალი გაბოროტდა, თან შეეშინდა, ოდული ქვეყანას მოსდებს ჩემს დამცირებასო და გადაწყვიტა დაეღუპა ბერი, რათა მისი ხელით თავად არ დაღუპულიყო.

მისი ცრემლნარევი ხმა მთელ სასახლეში გაისმა; ქალი მშველელს უხმობდა, თითქოს მართლა ემუქრებოდა საფრთხე. მსახურებმა გაქცეული ახალგაზრდა ბერი დაინახეს, დედოფალი კი ამ დროს საწოლში საბანს იფარებდა. მაშინ, ერთხმად აყაყანდა ყველა, დედოფალს მოკვლას უპირებენო. როცა ხმაურზე მეფე ბრიანი ოთახში შეიჭრა, გლამორგანამ გაწეწილი თმა, ცრემლიანი თვალები და მკერდი შეაგება, გახელების ჟამს თავად რომ დაიკაწრა:

— მეუღლევ ჩემო და ბატონო, — თქვა მან. — თავად იხილე დიდი შეურაცხყოფის კვალი; სამარცხვინო ვნებით შეპყრობილმა ოდულმა გაუპატიურება ინდომა ჩემი.

ამ ჩივილითა და სისხლის დანახვით განრისხებულმა მეფემ მცველებს უბრძანა, ახალგაზრდა ბერი შეეპყროთ და სასახლესთან, დედოფლის თვალწინ ცოცხლად დაეწვათ.

ივერნის მონასტრის წინამძღოლმა გაიგო ეს ამბავი, მეფეს ეახლა და უთხრა:

— მეფეო ბრიან, ეს მაგალითი ქრისტიან და წარმართ ქალთა შორის განსხვავებაზე მიგვითითებს. რომაელი ლუკრეცია, წარმართ მეფის ასულთა შორის ყველაზე უმანკო გახლ-

დათ; მაინც ვერ ჰპოვა ძალა გასათუთებული ყმაწვილის თავდასხმისაგან დაეცვა თავი და თავისი სისუსტით შერცხვენილი, უიმედობამ შეიპყრო. გლამორგანამ კი ენების საშინელი, დემონით გახელებული დამნაშავის იერიშს გმირული წინააღმდეგობა გაუწია.

ამ დროს, სასახლის ციხეში ოდული ელოდებოდა, როდის დაწვავდნენ ცოცხლად; მაგრამ უფალმა არ ინება უდანაშაულოს დასჯა. ოდულთან ანგელოზი წარგზავნა, რომელმაც დედოფლის მსახურის, გუდრუნის სახე მიიღო, ბერი ციხიდან გამოიყვანა და სწორედ იმის ოთახში მიიყვანა, ვისი სახითაც გამოეცხადა.

ანგელოზმა ახალგაზრდა ოდულს უთხრა:

— შენი სიმამაცის გამო შემოიყვარდი.

ახალგაზრდა ოდულს ქალი ნამდვილად გუდრუნა ეგონა; მან თვალები დახარა და უპასუხა:

— მხოლოდ უფლის წყალობით შეეძელი დედოფლის ძალდატანებას წინ აღვდგომოდი და ამ ძლიერი ქალის გულისწყრომა არად ჩამეგდო.

ანგელოზი შეეკითხა:

— როგორ? არ ჩაგიდენია ის, რაშიც დედოფალი გდებს ბრალს?

— ჭეშმარიტად, არ ჩამიდენია, — უპასუხა ოდულმა და გულზე ხელი დაიდო.

— არ ჩაგიდენია?

— არა, არ ჩამიდენია. ამის გაფიქრებაც კი მზარავს.

— მაშ, — შესძახა ანგელოზმა. — აქ რაღას უზიხარ, შე დოყლაპია?

მან კარი გააღო, ახალგაზრდა ბერი ხელისკერით გამოაგდო და გაპარვის საშუალება მისცა; მაგრამ როგორც კი ქუჩაში გამოვიდა, ვიღაცამ ოდულს ღამის ჭოთანი გადმოაქცია თავზე და მან გაფიქრა:

— ო, უფალო, იდუმალია სურვილები შენი, გზანი კი შეუცნობელნი.

თავი II

დრაკო დიდი — წმინდა ოგრეროზას ნაწილების გადმოსვენება

ბრიან ღეთისმოსავის პირდაპირმა შთამომავლობამ თავისი არსებობა დაასრულა 900-იან წლებში, როცა კოლიკ მოკლეცხვირა გარდაიცვალა. ტახტი მემკვიდრეობით ერგო მეფის ბიძაშვილს, ბოსკო დიდსულოვანს, რომელმაც ტახტის გასაძლიერებლად ყველა თავისი ნათესავი სიკვდილით დასაჯა. ძლიერ მეფეთა მთელი რიგი სწორედ მისგან იწყება.

ერთ-ერთმა მათგანმა, დრაკო დიდმა, ომებით გაითქვა სახელი. მართალია, ის სხვებზე ხშირად მარცხდებოდა, მაგრამ მოგეხსენებათ, დიდი მხედართმთავარი სწორედ მუდმივი დამარცხებით შეიცნობა. ოცი წლის მანძილზე ასი ათასზე მეტი ახალშენი, დაბა, გარეუბანი, სოფელი, ქალაქი და დასახლება გადასწვა. განურჩევლად არბევდა მტრის მიწებსაც და საკუთარ სამფლობელოებსაც. თავის მოქმედებას კი ჩვეულებრივ, ასე ხსნიდა:

— რა უხანძრო ომი და რა უსაწებელო შ-განი. უგემურია!

მას სასტიკი სამართალი ჰქონდა. თუ შეპყრობილი გლეხი გამოსასყიდის გადახდას ვერ შეძლებდა, პირველივე ხეზე კიდებდა, ხოლო თუ რომელიმე უბედური ქალი ვალაუვალი მეუღლის დანდობას ტირილით შესთხოვდა, ცხენის კუდზე აბამდა და ისე ათრევდა. იგი, როგორც მეომარს შეეფერება, უფუფუნებოდ ცხოვრობდა და ყველა ერთხმად აღნიშნავდა, რომ უმწიკვლო ზნეობის პატრონი გახლდათ. მან არათუ ძირს არ დასცა სამეფოს მემკვიდრეობითი სიდიადე, დამარცხების ჟამსაც კი ვაჟკაცურად იცავდა პინგვინთა ერის ღირსებას.

სწორედ დრაკო დიდმა გადმოატანინა ალკაზე ოგრეროზას წმინდა ნაწილები. ნეტარის ნეშტი ჩრდილთა სანაპიროს სურნელოვანი უშენის ერთ მღვიმეში იყო დაკრძალული. პირველად მის საფლავთან სალოცავად მეზობელი სოფლის ბიჭები და გოგონები მივიდნენ. უმეტეს შემთხვევაში, ისინი იქ სალამოობით მიდიოდნენ და თანაც წყვილ-წყვილად, რადგან

ღვთისმოსავ გრძნობებს, სრული სიმშვიდისათვის როგორც ჩანს, ბინდი და განმარტოება სჭირდება. ქალ-ვაჟნი თავდადებულად და ფრთხილად ეთაყვანებოდნენ თავის წმინდანს და საეჭვოდ იცავდნენ ამ მსახურების იდუმალებას. მათ არ უყვარდათ იქ განცდილი გრძნობების გამომჟღავნება, მაგრამ ხშირად ჩანდა, როგორ ეჩურჩულებოდნენ ერთმანეთს აღგზნებულ და აღფრთოვანებულ სასიყვარულო სიტყვებს და მას წმინდა ობრეროზასადმი მიმართულ სიტყვებში ურევდნენ. ერთი ოხრავდა, იქ მთელი ქვეყანა გავიწყდებაო, მეორე ამტკიცებდა, მდვიმიდან დაწყნარებული და დამშვიდებული გამოვედიო. ახალგაზრდა ქალწულნი ერთმანეთს უზიარებდნენ შთაბეჭდილებას იქ განცდილ ნეტარებაზე.

აი, ასეთ სასწაულებს ახდენდა აღკას ქალწული დიადი მარადისობის განთიადზე! ამ სასწაულებში სინაზე და აისის ბუნდოვანება იგრძნობოდა. მალე მღვიმის საიდუმლოება ნაზი სურნელებასავით მთელ ქვეყანას მოედო. წმინდა სულებისათვის იგი ლხენისა და განათლების წყარო გახდა, გარყვნილი ხალხი კი ამაოდ ცდილობდა ტყუილითა და ცილისწამებით მორწმუნენი წმინდანის სამარხიდან მომდინარე მადლიანი წყაროსათვის აეცილებინა. ეკლესიამ იზრუნა, რომ ის მადლი რამდენიმე შვილისა კი არა, მთელი პინგვინეთის საქრისტიანოს საკუთრებად ქცეულიყო. მღვიმეში ბერები დასახლდნენ, სანაპიროზე მონასტერი, სამლოცველო და სტუმართსამყოფელი ააგეს და მლოცველებიც ყოველი მხრიდან მოაწყდნენ.

ნეტარ ობრეროზას თითქოს ძალა შემატაო ზეცაში ყოფნამ და ახლა უფრო დიდ სასწაულებს სჩადიოდა მათთვის, ვისაც მის აკლდამასთან ძღვენი მოჰქონდა. იგი უნაყოფო ქალებს აიმედებდა, ეჭვიან მოხუცებს სიზმრებს უვლენდა და ახალგაზრდა ცოლების ერთგულებაში უსამართლოდ დაეჭვებულებს ამშვიდებდა. ცდილობდა ერისთვის ჭირი, ცხოველთა გაწყვეტა, შიმშილი, ქარიშხალი და კაპადოსიის დრაკონები აეცილებინა.

მაგრამ მეფე კოლიკისა და მისი მემკვიდრეების მეფობის ჟამს, სამეფო შფოთმა მოიცვა. წმინდა ობრეროზას სამარხი გაძარცვეს, მონასტერი დააქციეს, ბერები კი სხვადასხვა მხარეს მიმოიფანტნენ. გზა, რომელზედაც ასე დიდხანს დიოდა

მლოცველთა ჯარი, ახლა ეკლესიარდებით, მანანათი და ცრისფერი გუდაფშუტათი დაიფარა. ასი წლის მანძილზე, სასწაულმოქმედ სამარხს მხოლოდ გველები, სინდიოფალები და ღამურები აკითხავდნენ და ერთხელაც, წმინდანი გლეხ მოჩოდრეს გამოეცხადა.

— მე ქალწული ობრეროზა ვარ, — უთხრა მას. — წინ აგირჩიე, რათა აღადგინო ტაძარი ჩემი. ამ მხარის მოსახლეობას აცნობე, რომ, თუ აღარ მოიხსენიებენ სახელს ჩემსას, სამარხს კი უპატრონსა და გაძარცულს დატოვებენ, პინგვინეთს ახალი დრაკონი აიოხრებს.

ეკლესიის სწავლულებმა ობრეროზას გამოცხადება შეიწყალეს და დაადგინეს, ეს ზეციური მოვლინებაა და არა ეშმაკისეულიო; ისიც აღნიშნა, რომ საფრანგეთში ასეთივე გარემოებაში წმინდა ფუამ და წმინდა ეკატერინემ იგივე მოიმოქმედეს და იგივე თქვეს.

მონასტერი აღადგინეს და მლოცველები კვლავ მოაწყდნენ სამარხს. ქალწული ობრეროზა უფრო და უფრო დიდ სასწაულებს ახდენდა. იგი სხვადასხვა, ძალიან მძიმე დაავადებებს, კერძოდ გამრუდებულ ფეხს, წყალმანკს და დამბლას ჰკურნავდა. სამარხის მცველი ბერები შესაშურ ფუფუნებაში ცხოვრობდნენ, როცა წმინდანი დრაკო დიდს გამოეცხადა, უბრძანა სამეფოს ზეციურ მფარველად გამოეცხადებინა იგი და მისი წმინდა ნეშტი ქალაქ ალკას ტაძარში გადაეტანა.

ამის შემდეგ, ქალწულის სურნელოვანი ნაშთი დიდ ზარზეიმით სატახტო ქალაქის ეკლესიაში გადაიტანეს, მგალობელთა რიგებში გაატარეს და დაასვენეს ოქროსა და მინანქრის სამარტვილეში, რომელსაც ძვირფასი ქვები ამკობდა.

კაპიტულმა იმ სასწაულთა აღწერა დაიწყო, ნეტარი ობრეროზას ხელშეწყობით რომ მოხდა.

დრაკო დიდს არასოდეს შეუწყვეტია ქრისტიანობის დაცვა და განდიდება. იგი ფრიად ღვთისმოსაიი გარდაიცვალა და ეკლესიას დიდძალი ქონება დაუტოვა.

თავი III

დედოფალი კრუშა

დრაკო დიდის სიკვდილს საშინელი შფოთი მოჰყვა. მის მემკვიდრეებს ხშირად სისუსტეში სდებდნენ ბრალს და მართლაც, არც ერთ მათგანს ოდანავადაც არ მიუბაძავს თავისი მამაცი წინაპრისათვის.

მისი ვაჟიშვილი შუმი კოჭლი გახლდათ და პინგვინთა ტერიტორიის გაფართოებას სულაც არ ცდილობდა. შუმის ვაჟიშვილი, ბოლო, ცხრა წლისა, როცა ტახტზე ადიოდა, სასახლის დარაჯებმა მოკლეს. ტახტის მემკვიდრე მისი ძმა გუნი გახდა და რადგან იგი მხოლოდ შვიდი წლისა იყო, სახელმწიფოს დედამისი, დედოფალი კრუშა მართავდა.

კრუშა ლამაზი, განათლებული და ჭკვიანი ქალი გახლდათ, მაგრამ ვნებებს ვერ იოკებდა. თავის მატიანეში ღირსეული ტალპა ასე გვიხატავს ამ ცნობილ დედოფალს:

„დედოფალი კრუშა, სილამაზით არც ბაბილონელ სემირამიდას უდებდა ტოლს, არც ამორძალთა დედოფალს, პენტესილეს და არც ჰეროდიას ქალიშვილს, სალომეს. მის ხასიათში კი შეიმჩნევა განსაკუთრებული თვისებები, რომელსაც ხალხისა და საზოგადოების განსხვავებული აზრი ხან მშვენიერად თვლის, ხან მახინჯად. შუბლს ორი პატარა რქა უმშვენებს, რომელიც ოქროსფერი თმის ბარაქიან საფარში იმალება. ერთი თვალი ლურჯი აქვს, მეორე შავი, კისერი კი, ალექსანდრე მაკედონელივით ოდნავ მარცხნივაა გადახრილი. მარჯვენა ხელზე ექვსი თითი აქვს, ჰიპის ქვეშ კი პატარა მაიმუნის თავი ჰკიდია.

იგი ზვიადი ქცევითა და თავაზიანობით გამოირჩევა. გულუხვია, თუმცა სურვილებს თვისას მუდამ ვერ უმორჩილებს გონების კარნახს.

ერთ დღეს, სასახლის საჯინიბოში, ქალმა ახალგაზრდა და ძალიან ლამაზი მეჯინიბე შენიშნა, მაშინვე მისი სიყვარულით აღენთო და არმიის მხედართმთავრად დანიშნა. უცილობელ ქებას კი ეს დიდი დედოფალი თავისი უხვი შესაწირით იმსახურებს; შესაწირით, რომელსაც სამეფოს ეკლესიებს, მონასტრებსა და

სამლოცველოებს, განსაკუთრებით კი ბერგარდენის წმინდა სახლს უძღვნიდა, სადაც უფლის ნებით, თოთხმეტი წლის ასაკში მეც აღვიკვეცე ბერად. თავისი სულის გასანათლებლად, დედოფალმა იმდენი წირვა შეუკვეთა, პინგვინთა ეკლესიების ყველა მღვდელი გადაიქცა ანთებულ სანთლად, რომლის ღაღადისი ზეცას სწვდებოდა და უფალს ევედრებოდა, მისი უდიდებულესობა კრუშა შეეწყალებინა".

ამ ამონაწერითა და კიდევ რამდენიმე შეფასებით, რითაც ჩემი ტექსტი გავამდიდრე, შეიძლება „Gesta pinguinorum" — ის ისტორიულ და ლიტერატორულ ღირებულებაზე ვიმსჯელოთ. სამწუხაროდ, ეს მატიანე მოულოდნელად, გუნ სუსტის მემკვიდრის, დრაკო მიამიტის მეფობის მესამე წელზე წყდება. ამ პერიოდის შემდეგ, ჩემდა სავალალოდ, ფრიად თავაზიანსა და სარწმუნო მეგზურს ვკარგავ.

შემდგომი ორი საუკუნის მანძილზე, პინგვინეთი ანარქიის სისხლიან ტბაში ჩაიხრჩო, ხელოვნება კი მოისპო. ამ საერთო უვიცობას, მხოლოდ მონასტრის ჩრდილს შეფარებული ბერები გადაურჩნენ და მეცნიერული ნაშრომებით გატაცებულნი, დაუშრეტელი გულმოდგინებით ამრავლებდნენ წმინდა წერილს. ამ დროს პერგამენტი იშვიათობა გახლდათ, ამიტომ ისინი ძველ ხელნაწერებს ფხეკდნენ და ზედ ღვთიურ სიტყვას წერდნენ. ასე და ამგვარად, პინგვინთა ქვეყანაში ბიბლიები ვარდის ბუჩქებივით ჰყვაოდნენ.

წმინდა ბენედიქტეს ორდენის ბერმა, ერმოლდ-პინგვინმა ოთხი ათასი ბერძნული და ლათინური ხელნაწერი წაშალა და წმინდა იოანეს სახარება ოთხი ათასჯერ გადაწერა. ასე განადგურდა ანტიკური პოეზიისა და მჭევრმეტყველების შედევრების დიდი ნაწილი. ისტორიკოსები ერთხმად აღიარებენ, შუა საუკუნეების პინგვინთა მონასტერი სწავლულთა თავშესაფარი გახლდათო.

ისტორიის ამ მონაკვეთს პინგვინთა და ზღვის ღორთა საუკუნოვანი ბრძოლა ასრულებს. ამ ომების შესახებ ჰეშმარიტების დადგენა საგანგებოდ რთულია, არა იმიტომ, როს გადმოცემები გვაკლია, პირიქით, ზედმეტად ბევრია. ზღვის ღორთა და პინგვინთა მემატიანეებს ურთიერთსაწინააღმდეგო საბუთები აქვთ; უფრო მეტიც, როგორც პინგვინთა, ისე ზღვის

ღორთა მემატიანენი ერთმანეთში ვერ რიგდებიან. მე ორად ორი მემატიანე ვნახე, ერთმანეთს რომ ეთანხმებოდა, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, ერთს მეორისაგან გადაეწერა. უდავო ბსოლოდ ერთი ფაქტია, კერძოდ ის, რომ ხოცვა-ჟლეტა, ძალმომრეობა, დარბევა და ძარცვა დაუსრულებლად გრძელდებოდა.

უბედური მეფის, ბოსკო IX მეფობის ჟამს, სამეფოს დაღუპვის საშიშროება დაემუქრა. როგორც კი ხმა გავრცელდა, ზღვის ღორთა ფლოტი ექვსასი დიდი ხომალდის შემადგენლობით ალკასკენ მიემართებაო, ეპისკოპოსმა სასწრაფო პროცესია მოაწყო. კაპიტელებმა, არჩევითმა მოსამართლეებმა, პარლამენტის წევრებმა და უნივერსიტეტის სწავლულებმა წმინდა ობრეროზას სამარტვილე ტაძრიდან გამოიტანეს და მთელი ქალაქი შემოატარეს; უკან კი, ჰიმნების გალობით ბალხი მოჰყვებოდა. მორწმუნენი ამაოდ არ უხმობდნენ პინგვინეთის წმინდა მფარველს. ზღვის ღორებმა ზღვიდან და ხმელეთიდან ქალაქს ალყა შემოარტყეს, შეტევით აიღეს და სამი დღე-ღამის განმავლობაში იმ გულმოდგინებით, ჩვეცა რომ წარმოშობს, ხალხს ხოცავდნენ, ძარცვავდნენ, აუპატიურებდნენ და წვავდნენ.

ამ რკინის და გრძელი წლების მანძილზე პინგვინეთმა რწმენის შეუვალობა შეინარჩუნა, რაც ისეთ აღფრთოვანებას იწვევს, გამოხატვაც კი შეუძლებელია. სოფიზმით შეურყვნელ სულებს ჯერ კიდევ ჭრიდა თვალს ჭეშმარიტების ბრწყინვალება. რწმენის ერთიანობაც სწორედ ამან განაპირობა. ამასთანავე, ეკლესიის შეუცვლელი წესები უდავოდ ხელს უწყობდა მორწმუნეთა ბედნიერი ერთობის დაცვას. ყველას, ვინც კი სხვებისგან განსხვავებულად ფიქრობდა, მაშინვე წვავდნენ.

თავი IV

ლიტერატურა: იოანე ტალპა

უწლოვანი მონარქის, გუნის მეფობის ჟამს, ბერგარდენის მონასტრის ბერმა, იოანე ტალპამ, თორმეტი წლისა რომ აღიკვეცა და მას შემდეგ ერთი დღეც არ გაუტარებია მონასტრის გარეთ, ცნობილი ლათინური მატიანე შექმნა თორმეტ წიგნად, რომელსაც სახელად „De Gestis Pinguinorum“ უწოდა.

ბერგარდენის მონასტრის მაღალი კედლები მიუვალ მწვერვალზეა აღმართული. მის ირგვლივ კი ღრუბლებით დაჩეხილ მთათა ლურჯა მწვერვალები მოჩანს.

იოანე ტალპა უკვე ფრიად ხნიერი გახლდათ, როცა „Gesta Pinguinorum“-ის შექმნა დაიწყო. ამ კეთილმა ბერმა საჭიროდ ჩათვალა და წიგნში თავად გვამცნო ასაკი თავისი. „ჩემმა თავმა დიდი ხანია დაკარგა ის სამკაული, ქერა კულულები რომ ჰქვია, — წერს იგი. — და ჩემი თავის ქალა ლითონის იმ ამოზნექილ სარკეს დაემსგავსა, რომელშიც ასე ბეჯითად და ხალისიანად იჭვრიტებიან პინგვინთა ქალები. ჩემი სხეული, ბუნებრივადაც მოკლე, წლებთან ერთად კიდევ უფრო დამოკლდა და წელში მოიხარა. თეთრი წვერი კი მკერდს მითბობს“.

ტალპა მომხიბლავი გულუბრყვილობით აღწერს თავისი ცხოვრების ზოგიერთ გარემოებასა და ხასიათის ზოგიერთ თვისებას. „მე, ღირსეული ოჯახის შვილს, — ამბობს იგი, — ბავშვობიდანვე მამზადებდნენ სასულიერო მოღვაწეობისათვის და გრამატიკასა და მუსიკას მასწავლიდნენ. კითხვა იმ მასწავლებელმა შემასწავლა, ამიკუსი[1] რომ ერქვა, თუმცა სჯობდა ინიმიკუსი[2] რქმეოდა. ანბანს ადვილად ვერ ვითვისებდი და ისიც დაუზოგავად მამათრახებდა; ამიტომ თამამად შემიძლია ვთქვა: ანბანი მან მწველი ხაზებით ამოტვიფრა ჩემს დუნდულებზე“.

სხვა ადგილას, ტალპა თავის ბუნებრივ მიდრეკილებას ავხორცობისაკენ ასეთი ექსპრესიული ფრაზებით აღწერს: „ახალგაზრდობისას ისეთი ალმოდებული გახლდით, რომ

---

[1]. Amicus (ლათ) — მეგობარი

[2] Inimicus (ლათ.) — მტერი.

ტყის ჩრდილშიც ასე მეგონა, გრილ ჰაერს კი არ ვსუნთქავდი, ქვაბში ვიხარშებოდი. ქალებს გავურბოდი, მაგრამ ამაოდ! ჩხაკუნა ან ბოთლიც საკმარისი ხდებოდა, კვლავ ქალის ხატი დამდგომოდა თვალწინ“.

იმ დროს, როცა ტალპა მატიანეს წერდა, სამამულო და სამოქალაქო საშინელი ომები პინგვინეთს ანადგურებდა. კრუშას ჯარისკაცები, ბერგარდენის მონასტერს ბარბაროსი ზღვის ღორებისაგან რომ იცავდნენ, იქ საფუძვლიანად მოეწყვნენ. მათ კედლებში სათოფურები გახვრიტეს, რათა მონასტერი მიუდგომელი გამხდარიყო, შემდეგ ეკლესიას ტყვიის სახურავი გადააძრეს და შურდულისათვის ტყვიები ჩამოასხეს. ღამღამობით, მონასტრის ეზოში, მეომრები დიდ კოცონს ანთებდნენ, მთის უძველესი ნაძვების გასხეპილ ტოტებზე წამოგებულ ზთელ ხარებს წვავდნენ, ცეცხლის ირგვლივ, ცხიმისა და ფისის სუნით გაჟღენთილ ბოლში იდგნენ და ღვინითა და ლუდით სავსე კასრებს აცარიელებდნენ. მათი სიმღერა, ლანძღვა-გინება და აყალმაყალი განთიადისას ჩამორეკილი ზარის ხმას ფარავდა.

ბოლოს ზღვის ღორებმა ხეობა გადალახეს და მონასტერს ალყა შემოარტყეს. ეს ჩრდილოელი მხედრები რკინის აბჯარში იყვნენ ჩამსხდარი. ქარიშხლის დროს, წყვდიადში, ისინი კლდის კედლებს ას ორმოცდაათი არშინის სიგრძის კიბეს ადგამდნენ. კიბე სხეულებისა და საჭურველის სიმძიმით იხრებოდა და ადამიანთა კუნწულები ღრანტეებსა და უფსკრულებში ცვიოდა; წყვდიადის სიღრმიდან ხანგრძლივი ღმუილი ამოსკდებოდა და შეტევა კვლავ გრძელდებოდა. პინგვინები მათ მდუღარე ფისს ასხამდნენ თავზე და მოიერიშეები ჩირაღდნებივით იწვოდნენ. გახელებულმა ზღვის ღორებმა სამოცჯერ შეუტიეს მონასტერს და პინგვინებმაც სამოცჯერ მოიგერიეს მათი იერიში.

მონასტერი უკვე ათი თვის ალყაშემორტყმული გახლდათ, როცა წმინდა ზიარების დღეს ხეობის ერთმა მწყემსმა ზღვის ღორებს საიდუმლო ბილიკი ასწავლა. მეომრები მთაზე აცოცდნენ, მიწისქვეშეთი გაიარეს, შემდეგ მონასტრის ეზოებში, სამზარეულოებში, ეკლესიაში, კაპიტულის დარბაზში, წიგნთსაცავში, სამრეცხაოში, სენაკებში, სატრაპეზოში და დორტუა-

რებში შეკრნენ, შენობები გადაწვეს და ხოცეს და ეპატიურეს ყველა, განურჩეველად ასაკისა და სქესისა. უცებ გამოღვიძებული პინგვინები იარაღისკენ გაქანდნენ, მაგრამ შიშმა და სიბნელემ თვალი აუბა მათ და ერთმანეთს დაერივნენ. ამ დროს კი, ზღვის ღორები ნაჯახების ქნევით წმინდა ჰურჭელს, საცეცხლურებს, შანდლებს, ანაფორებს, სამარტვილეებს, ოქროს ჯვრებსა და ძვირფას ქვებს ინაწილებდნენ.

ჰაერში დამწვარი ხორცის მძაფრი სუნი დატრიალდა; ცეცხლის მიღმა განწირულთა ყვირილი და კვნესა გაისმა. ჩამოქცეული სახურავის კიდეებზე ათასობით ბერი ჰიანჭველებივით დარბოდა და ხეობაში იჩეხებოდა. იოანე ტალპა კი ამ დროს თავის მატიანეს წერდა. კრუშას ჯარისკაცებმა სასწრაფოდ მიატოვეს იქაურობა, მონასტრის ყველა შესასვლელი უშველებელი ლოდებით ამოქოლეს და ზღვის ღორები ცეცხლმოდებულ შენობაში გამოკეტეს. შემდეგ ყველაზე დიდი მუხები ურნალებად გამოიყენეს, რათა მტრები ლოდებისა და კედლის ნარჩენების ზვავით ჩაექოლათ. ცეცხლმოდებული ძელები საშინელი ხმაურით ეცემოდა. გიგანტურ ხეებს ერთდროულად ექვსასი კაცი აქანავებდა და ნეფის დიდებული, პატარა თაღები ინგრეოდა. მალე მდიდრული და ფართო მონასტრისაგან მხოლოდ იოანე ტალპას სენაკი დარჩა, რომელიც ბედნიერი შემთხვევითობის წყალობით ცეცხლმოდებული გუმბათის ნარჩენზე იდგა. ბებერი მემატიანე კი კვლავ წერდა.

ეს განსაცვიფრებელი გულისყური იმ ანალიტიკოსისათვის, თავისი დროის უკვე მომხდარი ფაქტების აღწერას რომ ცდილობს, შეიძლება გადამეტებულიც იყოს, მაგრამ რა დაბნეული და გულგრილიც უნდა იყოს ადამიანი გარემომცველი საგნების მიმართ, მის გავლენას მაინც განიცდის. მე გადავხედე იოანე ტალპას ხელნაწერს; იგი ეროვნულ ბიბლიოთეკაშია დაცული: **fonds ping. K. L⁸, 12390 quater.** ნაშრომი პერგამენტზეა დაწერილი და 628 გვერდისაგან შედგება. ასოები იმის ნაცვლად ერთ სწორ რიგში იყოს ჩამწკრივებული, სრულიად უწესრიგოდ, ყოველმხრივაა გაფანტული, ან, უკეთ ვთქვათ, არეულ-დარეულად ახტება ერთმანეთს. თანაც ისე ცუდად არის გამოსახული, უმეტეს შემთხვევაში ვერც ერთმანეთისაგან გაარჩევ და ვერც იმ ლაქებისაგან, ასე ხშირად რომ

გვხვდება. ეს ფასდაუდებელი გვერდები თავისი სახით სწორედ იმ არეულ დროს წარმოგვიდგენს, რომელსაც აღწერს. ხელნაწერის წაკითხვა ძალიან რთულია. ბერგაღენელი ბერის სტილი კი, პირიქით, არავითარი მღელვარების ნიშანს არ ატარებს. Gesta Pinguinorum-ის ტონი სიმარტივის ზღვარს არ სცილდება; თხრობა სხარტია და იმდენად ლაკონური. ხანდახან აზრს აღატაკებს; მსჯელობა ცოტაა და უმეტეს შემთხვევაში, გონიერულია.

თავი V

ხელოვნება: პინგვინთა ფერწერის პრიმიტივები

პინგვინეთელი კრიტიკოსები აცხადებენ, პინგვინთა ხელოვნება დასაბამიდან გამოირჩეოდა ძლიერი და სასიამოვნო ორიგინალობით და ამაო იქნებოდა სხვაგან ძებნა იმ მადლისა და სიმართლისა, მათ პირველ ნაწარმოებებს რომ ახასიათებსო. ზღვის ღორები კი ამტკიცებენ, ჩვენი მხატვრები პინგვინთა ოსტატების მასწავლებლები და მამამთავრები იყვნენო. აქ რთულია სიმართლის დადგენა, რადგან პინგვინებმა, სანამ პრიმიტიული მხატვრების თაყვანისცემას დაიწყებდნენ, მათი ყველა ტილო გაანადგურეს.

ჭეშმარიტად სამწუხარო დანაკარგია. და მეც, ჩემის მხრივ მწარედ განვიცდი, რადგან პინგვინთა ანტიკას ვეთაყვანები, პრიმიტივი კი კულტად მაქვს ქცეული.

მშვენიერია პრიმიტივები. მე არ ვამტკიცებ, რომ ყველა ერთმანეთს ჰგავს; ეს მცდარი აზრი იქნებოდა, მაგრამ ზოგადი თვისებები ნამდვილად აქვს და ყველა სკოლაში მოიპოვება. მე იმ ყალბს ვგულისხმობ, არც ერთი პრიმიტივისტი რომ არ გადაუხვევს და კიდევ განსაკუთრებულ დაუსრულებლობას, რადგან, რაც იციან, პრიმიტივისტებმა ჭეშმარიტად კარგად იციან. საბედნიეროდ, პინგვინთა პრიმიტივებზე წარმოდგენა შეიძლება იტალიური, ფლამანდური და გერმანული პრიმიტივებით შეიქმნა; ანდა ფრანგული პრიმიტივების მიხედ-

ვით, უველაზე მაღლა რომ დგას და, როგორც ბატონი გრუიე ბრძანებს, ლოგიკით გამოირჩევა, რადგან ლოგიკა წმინდა ფრანგული თვისებაა. რომც არ დაეთანხმო ამ სიტყვებს, საბოლოოდ იძულებული გახდები, მაინც აღიარო, რომ პრიმიტიველები საფრანგეთმა შემოინახა, სხვა ერებს კი აღარ შემორჩათ. 1904 წელს მარსანის პავილიონში, ფრანგული პრიმიტივის გამოფენაზე, უკანასკნელი ვალუებისა და ჰენრი მეოთხის დროინდელი მრავალი პატარა ტილო წარმოადგინეს.

მე ბევრი ვიმოგზაურე, რათა ძმები ვან-დეიკების, მემლინგის, „ქალწულ მარიამის გარდაცვალების“ ავტორის, ვან დერ ვეიდენის, ამბროჯიო ლორენცეტის და ძველი უმბრიელების ტილოები მეხილა.

მაგრამ არც ბრუგში, არც კელნში, არც სიენაში და არც პერუჯაში არ დასრულებულა ჩემი წამოწყება; ამ გულუბრყვილო მხატვრობის ჰეშმარიტი თაყვანისმცემელი მხოლოდ პატარა ქალაქ არეცოში გავხდი. ეს ათიოდე წლის წინ მოხდა. მაშინ სიღატაკისა და უბრალოების ხანა იდგა, საქალაქო მუზეუმები მედამ დაკეტილი გახლდათ, მაგრამ უცხოელებისათვის მაშინვე იღებოდა. ერთ საღამოს, არეცოში, მოხუცმა ქალმა, სანთელი რომ ეჭირა ხელში, ნახევარ ლირად გამიღო ბინძური მუზეუმი, სადაც მარგარიტონეს „წმინდა ფრანცისკო“ აღმოვაჩინე, რომლის ღვთისმოსავმა სევდამ ცრემლი მომგვარა. სურათმა ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და ამ დღის შემდეგ არეცოელი მარგარიტონე ჩემთვის უველაზე ძვირფასი პრიმიტივისტი გახდა. პინგვინთა პრიმიტივისტებს მე ამ ოსტატის ნამუშევრების მიხედვით წარმოვიდგენ. ამიტომ, გავბედავ და შევუყოვნებლი მის შემოქმედებაზე; თუმცა წვრილმანებით თავს არ შეგაწყენთ და მხოლოდ ზოგადი ასპექტით, მთავარსა და დამახასიათებელს განვიხილავ.

ჩვენ, მისი ხელმოწერილი ხუთი თუ ექვსი ტილო გვაქვს შემორჩენილი. მთავარი ნაწარმოები, ქალწული, რომელიც ტახტზე ზის და ყრმა იესო უჭირავს ხელში, ლონდონის ეროვნულ გალერეშია დაცული. ამ სურათში, უველაზე მეტად პროპორციები გაოცებს. ქალწულის სხეული კისრიდან ფეხებამდე მხოლოდ ორჯერ უფრო დიდია თავზე, ამიტომ ფიგურა უკიდურესად მოკლე და ჩასკვნილი ჩანს. ფერები იქვე უცნაუ-

რია, როგორც ფორმა. დიდ მარგარიტონეს საღებავების მცირე რაოდენობა ჰქონდა, მათ სუფთად ხმარობდა და ტონებს ერთმანეთში არასოდეს ურევდა. ამის გამო მისი კოლორიტი ცხოველმყოფელი უფრო გახლავთ, ვიდრე ჰარმონიული. ქალწულსა და ყრმას წითელი ლოყები აქვთ და ეს სიწითლე ძველ ოსტატს, სიზუსტისაკენ თავისი გულუბრყვილო მისწრაფებით, ორივე ლოყაზე ისე ერთნაირი წრეებით დაუხატავს, თითქოს ფარგლით შემოუხაზავსო.

XVIII საუკუნის ხელოვნების კრიტიკოსი აბატი ლანცი, მარგარიტონეს ტილოებისადმი ღრმა სიძულვილით არის განმსჭვალული. „ეს ჯღაბნაა და მეტი არაფერი, — თქვა მან. — იმ უბადრუკ ჟამს ხატვა არ იცოდნენ.“ ასეთი გახლდათ ამ პუდრმოფრქვეული მცოდნეების საერთო აზრი; მაგრამ, ამ დიდი სიძულვილისათვის მალე იძიეს შური. XIX საუკუნის ღვთისმოსავი ინგლისის ბიბლიურ სოფლებსა და რეფორმისტულ კოტეჯებში მრავალი პატარა, ბატკანივით თმახუჭუჭა სამუელი და წმინდა იოანე იშვა. 1840—1850 წლებში ისინი სათვალიან სწავლულებად გადაიქცნენ და პრიმიტივის კულტი დააფუძნეს.

პრერაფაელიზმის ცნობილი თეორეტიკოსი, ბატონი ჯეიმს თეკერეი არც შეყოყმანებულა, ისე მიაკუთვნა ეროვნული გალერეის „ქალწული“ ქრისტიანული ხელოვნების შედევრთა რიგს. „როცა ქალწულის თავი მთელი სხეულის მესამედი ზომისა დახატა, — ამბობს ბატონი ჯეიმს თეკერეი, — ძველმა ოსტატმა მნახველთა ყურადღება ადამიანის ყველაზე ამაღლებულ ნაწილებზე, განსაკუთრებით კი თვალებზე შეაჩერა, სულიერი ცხოვრების ორგანოდ რომ ითელებიან. ამ სურათში კოლორიტი ნახატს ერწყმის, რათა იდეალური და მისტიკური შთაბეჭდილება შექმნას. ლოყათა სიწითლე კანის ბუნებრივ ფერს არა ჰგავს; ძველ ოსტატს, როგორც ჩანს, ქალწულისა და ყრმის სახეზე სამოთხის ვარდების გამოხატვა სურდა“.

ამ კრიტიკული განხილვის მიღმა, ასე ვთქვათ, იმ სურათის ანარეკლი მოჩანს, ასე რომ აღუფრთოვანებია კრიტიკოსი. ედინბურგელმა ესთეტმა მაკ სილიმ კი უფრო მგრძნობიარედ და ამაღლებულად გამოხატა შთაბეჭდილება, რომე-

ლიც ამ პრიმიტიულმა ნახატმა მოახდინა მ-ს ეროვნებაზე. „მარგარიტონეს „ქალწული“, — თქვა ღირსეულმა მაკ სილიმ, — ხელოვნების ტრანსცენდენტურ მიზანს აღწევს. იგი უმანკოებისა და სიწმინდის გრძნობით აღაესებს მხილველს და მათ პატარა ბავშვებად აქცევს. ეს ჰეშმარიტად ასეა და მეც, სამოცი წლის ბერიკაცმა, მას შემდეგ, რაც სამი საათი ვუმკრეტდი სურათს, უცებ ჩემი თავი ჩვილ ბავშვად წარმოვიდგინე. კები ტრაფალგარ — სკვერზე მიმაქანებდა, მე კი ჩემი სათვალის ბუდეს საჩხაკუნოსავით ვიქნევდი და ვტიკტიკებდი. შემდეგ, როცა პანსიონის მოახლემ სადილი მომართვა, პატარა ბავშვის გულუბრყვილობით, სუპის ყურში ჩასხმა დავიწყე.

„აი, ასეთი შედეგით შეიცნობა ხელოვნების სიმშვენიერე“. — ამბობს მაკ სილი.

ვაზარის გადმოცემით, მარგარიტონე სამოცდაჩვიდმეტი წლისა გარდაიცვალა და ნანობდა, რომ ახალი ხელოვნების წარმოშობასა და ახალ მხატვართა სახელების განდიდებას მოესწრო. ამ წინადადებებმა კი, ქვემოთ სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნი, ბატონ ჯეიმს თეკეტს შეიძლება თავისი ნაწარმოების ყველაზე საამო გვერდები შთააგონა. მან ისინი თავის „ესთეტთა სამაგიდო წიგნში“ შეიტანა, რაც ყველა პრერაფაელისტმა ზეპირად იცის. მეც ჩავრთე ჩემს წიგნში, როგორც ძვირფასი სამკაული და საერთო აზრის მიხედვით. ბიბლიის შემდეგ, ასეთი შთაგონებული არაფერი დაწერილა.

მარგარიტონეს სიკვდილი

წლებითა და შრომით დამძიმებულმა მარგარიტონემ ერთხელ ქალაქში ახალ დასახლებული ახალგაზრდა მხატვრის სახელოსნო მოინახულა. იქ მან ახლად დასრულებული ქალწულის ხატი იხილა, რომელიც მკაცრი და უმოძრაო გახლდათ, მაგრამ ზოგიერთი ზუსტი პროპორციისა და შუქ-ჩრდილთა სატანისებური შეხამების წყალობით გასაოცარი გამომსახველობა ჰქონდა და ცოცხალს ჰგავდა. ამ სურათმა არეცოს გულუბრყვილო და თავდადებულ ოსტატს მომავალი მხატვრობის მთელი საშინელება გადაუშალა თვალწინ.

მან სახეზე ხელები აიფარა და ალუღუღდა:

„წარმოიდგინეთ, რა ურცხვობას წარმოშობს ეს სურათი. ამ ნახატში მე დასახსრულს ვხედავ ქრისტიანული ფერწერისა, სულებს რომ გამოსახავდა და ზეცისაკენ მზერავდე მისწრაფებას აღვიძებდა. მომავლის მხატვრები კედელზე ან ხის ნაფოტზე არა მხოლოდ გამოსახავენ იმ დაწყეველილ მატერიას, ჩვენს სხეულს რომ ქმნის, ერამედ სახელს გაუთქვამენ და განადიდებენ მას. თავის ფიგურებს ხორცის დამღუპველი გარეგნობით მორთავენ და ისინიც ამქვეყნიურ ადამიანებს დაემგვანებიან. ხალხი მათ სხეულს იხილავს, სამოსელს მიღმა კი მათი ფორმები გამოჩნდება. წმინდა მაგდალინელს მკერდი ექნება, წმინდა მართას—მუცელი, წმინდა ბარბარეს—თეძოები, წმინდა აგნესას — დუნდულები (buttocs), წმინდა სებასტიანე საბურველს შემოხსნის ნორჩი სხეულის სიმშვენიერეს, წმინდა გიორგი კი აბჯრიდან ღონიერი კაცის ძლიერ კუნთებს გამოჰფენს, შოციქულები, მოძღვრები, ღვთისმსახურნი და თავად ძამა ღმერთიც იმ თავაშვებულ ადამიანებს დაემსგავსებიან, თქვენ და ბე რომ ვართ; ანგელოზები საეკვო, ორაზროვანი და იდუმალი სილამაზით მოახდენენ შთაბეჭდილებას. განა ასეთი ხატება ზეცისაკენ მისწრაფებას წარმოშობს? არა და არა! ეს ხალხს მიწიერი ფორმებით ტკბობას ასწავლის. სად შეჩერდება მსატვართა უბოდიშო ძიება? ისინი არაფერს შეეპუებიან და იქამდეც მივლენ, რომ ქალსა და მამაკაცს, რომაული კერპებივით შიშვლებს დახატავენ. საერო და წმინდა ხელოვნება ცალცალკე იარსებებს, მაგრამ წმინდა ხელოვნებაც არანაკლებ საერო გახდება.

„— განვედ ჩემგან, სატანა!“ — წამოიძახა მხცოვანმა ოსტატმა, როცა მისნური ხილვით მოციქულები და წმინდანები დაინახა, მელანქოლიურ ათლეტებს რომ დამსგავსებოდნენ; იხილა აპოლონები, რომლებიც აყვავებულ მწვერვალზე, თხელ ტუნიკებში გამოწყობილ მუზებს შორის ვიოლინოს უკრავდნენ; მუქი მურტების ქვეშ მწოლიარე ვენერები და დანაები მშვენიერ სხეულს ოქროს წვიმას რომ უშვერდნენ; კოლონადების ქვეშ, პატრიციებს, ქალებს, მუსიკოსებს, პაჟებს, ზანგებს, ძაღლებსა და თუთიყუშებს შორის ჩამდგარი იესოები; ერთმანეთში არეულ სხეულის ნაწილებსა, გაშლილ ფრთებსა და აფრიალებულ ქსოვილებს შორის წარმოჩენილი ჩასახვის

მძაფრი სცენები და ჯვარცმის მაღალფარდოვანი სცენები: ეკლენძილი წმინდა ოჯახები, წმინდა ეკატერინეები, წმინდა ბარბარეები, წმინდა აგნესები, ხაუერდის, ფარჩისა და მარგოლიტების ბრწყინვალებითა და აფუებული მკერდით პატრიციებს რომ ჩრდილავდნენ; ავაზორები, ვარდებს რომ აბნევდნენ და ჩრდილიან ნაკადულებთან შიშვლად მდგარი ნიმფები და დიანები. და დიდი მარგარიტონე ალმაულობისა და ბოლონიის სკოლის შექმნის საშინელი წინათგრძნობით შეპყრობილი გარდაიცვალა.

თავი VI

მარგოდი

XV საუკუნის პიდგვინური ლიტერატურის ძვირფასი ძეგლი დღემდეა შემონახული. ეს არის მოთხრობა, რომელიც გვიამბობს, თუ როგორ იმოგზაურა ჯოჯოხეთში ბენედიქტელთა ორდენის ბერმა, პოეტ ვერგილიუსის ერთგულმა თაყვანისმცემელმა, მარბოდმა. მოთხრობა საკმაოდ კარგი ლათინურითაა დაწერილი და ბატონმა დიუ კლო დე ლენმა გამოსცა. ფრანგულ ენაზე იგი პირველად მე ვთარგმნე და ვფიქრობ, ამით კარგი სამსახური გავუწიე ჩემს თანამედროვეებს, რადგან ასეთი ხასიათის თხზულება ერთადერთი არ უნდა იყოს შუასაუკუნეების ლათინურ ლიტერატურაში. მსგავსი მოთხრობებია, ვთქვათ: „წმინდა ბრენდანის მოგზაურობა“, „ალბერიკის ხილვა“, „წმინდა პატრიკის განსაწმენდელი“ და გარდაცვლილთა წარმოსახვითი სამყოფელის ისეთი აღწერა, როგორიცაა დანტე ალიგიერის „ღვთაებრივი კომედია“.

ამ თემაზე დაწერილ თხზულებათა შორის, მარბოდის მოთხრობი ყველაზე გვიანდელ ხანას ეკუთვნის, მაგრამ არანაკლებ უცნაური გახლავთ.

ქრისტესშობიდან ათას ოთხას ორმოცდაცამეტ წელს, რამდენიმე დღით ადრე, სანამ ჯვრის მტრები ელენესა და დიდი კონსტანტინეს ქალაქს ააოხრებდნენ, მე, უღირსმა ბერმა მარბოდმა, ის ვიხილე და გავიგონე, რაიც ჯერ არავის უხილავს და არც არავის გაუგონია. და რადგან მცირეა ჟამი ადამიანისა და არ მსურს მოგონება ჩემი ჩემთან ერთად გაქრეს, მე ზუსტად აღვწერე ყოველი.

ზემოხსენებული წლის მაისის პირველ რიცხვში, კორეგანის სააბატოში, მწუხრის ლოცვის ჟამს ვიჯექი ჰასთან, რომელსაც ირგვლივ ასკილის ბუჩქი შემოხვეოდა და ჩვეულებისამებრ ჩემი უსაყვარლესი პოეტის, ვერგილიუსის ლექსებს ვკითხულობდი, მიწის სამუშაოებს, მწყემსებსა და ბელადებს რომ ასხამს ხოტბას. მონასტრის თაღები საღამოს მეწამულ ფერებში ეხვეოდა, მე კი აღელვებული ვბუტბუტებდი ლექსებს, რომელიც გვიამბობს, როგორ დალასლასებდა ჯოჯოხეთის მურტებს ქვეშ ღია ჭრილობიანი ფინიკიელი დიდო. ამ დროს წინ ძმა ჰილერმა და კარისკაცმა, ძმა ჰიაცინტმა ჩამიარეს.

ძმა ჰილერი მუზების აღორძინების ხანამდე, ბარბაროსულ ჟამს იყო აღზრდილი და ანტიკურ სიბრძნეს ნაზიარები არ გახლდათ. და მაინც, მანტუელის პოეზია, ვით მოკაშკაშე ჩირაღდნის სხივი, მის გონებაშიც აღწევდა.

— ძმაო, მარბოდ, — მითხრა მან. — ეს ლექსები, რომლებსაც ასე შთაგონებული, აღელვებული და თვალებგაფართოებული კითხულობთ, იმ დიდი „ენეიდადან“ არის, დილიდან საღამომდე თვალს რომ არ აშორებთ?

მე ვუპასუხე, რომ ვკითხულობდი ნაწყვეტს, თუ როგორ იხილა ანქიზეს ვაჟმა დიდო, ფოთლებში გამოჩენილ მთვარეს რომ ჰგავდა.[1]

— ძმაო, მარბოდ, — მითხრა მან. — დარწმუნებული ვარ,

[1] ტექსტში ნათქვამია: „...qualem primo qui surgere mense. Aut videt aut vidisse putat per nubiba lunam. ძმა მარბოდი უცნაური დაუდევრობის გამო ავტორის შექმნილ სურათს სულ სხვა სურათით ცვლის. (აუტ. შენ.)

ვერგილიუსი მუდამ ბრძნულ და ღრმა აზრებს გამოთქვამს; მაგრამ სიმღერები, თავის სირაკუზულ ფლეიტაზე რომ უკრავდა, ისეთ მშვენიერ გრძნობებსა და ამაღლებულ სიბრძნეს წარმოგვიდგენს, ჰეშმარიტად თვალს გვრის.

— ფრთხილად, მამაო, — აღელვებით წამოიძახა ძმა ჰიაცინტმა. — ვერგილიუსი ჯადოქარი იყო და სასწაულებს ცემონთა მეშვეობით ახდენდა. ასე გახვრიტა მან მთა ნეაპოლის ახლოს და ბრინჯაოს ცხენი გააკეთა, რომელსაც ყველა დაავადებული ცხენის განკურნება შეეძლო. იგი ნეკრომანტი გახლდათ და იტალიის ერთ ქალაქში დღესაც აჩვენებენ სარკეს, რომელშიც იგი მიცვალებულთა სულებს იძახებდა. და მაინც, ეს დიდი ჯადოქარი ქალმა მოატყუა. ერთმა ნეაპოლელმა კურტიზანმა ქალმა, ფანჯრიდან აძვრომა შესთავაზა მას იმ კალათით, რითაც სურსათი აჰქონდა და მთელი ღამე ორ სართულს შორის ჩამოკიდებული დატოვა.

ძმა ჰილერმა მისი ნათქვამი ყურად არ იღო:

— ვერგილიუსი წინასწარმეტყველია, — აღნიშნა მან. — და თავისი წინასწარმეტყველებით შორს ჩამოიტოვა სიბილიელნი, მათი წმინდა სიმღერებით, პრიამეს ასული და უდიდესი წინასწარმეტყველი პლატონ ათენელი. მის მეოთხე სირაკუზულ სიმღერაში უფლის შობა ისეთი ენითაა აღწერილი, ზეცისას უფრო რომ ჰგავს, ვიდრე მიწისას[1].

„ჩემი სწავლების ჟამს, როცა პირველად წავიკითხე „Iam redit et virgo", ვიგრძენი, რომ უკიდეგანო აღტაცებამ მომიცვა; მაგრამ აღტაცება მაშინვე ტკივილმა შეცვალა, როცა გავიფიქრე, ამ წინასწარმეტყველური სიმღერების, საუკეთესო სიმღერების ადამიანის ბაგეს რომ წარმოუთქვამს, ავტორს აღკვეთილი აქვს უფლის ხილვა და მარადიულ წყევლაშია, წარმართებთან ერთად წვალობს-მეთქი. ეს სასტიკი ფიქრი აღარ მცილდებოდა; თან მდევდა სწავლის, ლოცვის, ფიქრისა და თვითგვემის ჟამს. ის აზრი, რომ ვერგილიუსს აღკვეთილი ჰქონდა უფლის ხილვა და ვინ იცის, ჯოჯოხეთში შეჩვენებულთა ხვედრს იზიარებდა, საშუალებას არ მაძლევდა სი-

[1] სამი საუკუნის წინ, სანამ ჩვენი მარბოდი გაჩნდებოდა, შობა დღეს ეკლესიაში ასე მღეროდნენ: Maro, vates gentilium. Da christo testimonium (ავტ. შენ.)

ხარულითა და სიმშვიდით დავმტკბარიყავი და ზეცისაკენ ხელაპყრობილს მრავალგზის აღმომხდენია: „ო, უფალო, ძამკნე ბედი მისი, ვინც ისე გალობდა მიწაზე, ვით ანგელოზნი ზეცაში“.

ჩემი წუხილი რამდენიმე წლის შემდეგ ჩაწყნარდა, როცა ერთ ძველ წიგნში წავიკითხე, დიდმა მოციქულმა, წმინდა პავლემ, წარმართებს ქრისტიანული ეკლესიისაკენ რომ მოუხმობდა, ნეაპოლში ჩასვლისას, ცრემლით განწმინდაო პოეტთა მეფის აკლდამა[1]. ამან დამაჯერა, ვერგილიუსი, ვით იმპერატორი ტრაიანე დაშვებულ იქნა სამოთხეში, რადგან საერთო გზააბნეულობაში ჭეშმარიტება განჭვრეტა. არ არის აუცილებელი ეს ირწმუნო, მაგრამ მე მსიამოვნებდა თავის დარწმუნება“.

ამის თქმაზე მოხუცმა ჰილერმა წმინდა ღამის მშვიდობა მისურვა და ძმა ჰიაცინტთან ერთად გამშორდა.

მე კვლავ აღფრთოვანებით ვსწავლობდი ჩემს პოეტს და მაშინ, როცა წიგნი ხელში მეჭირა და წარმოვიდგენდი, როგორ მიუყვებოდნენ მურტების ტყის სიღრმეში იდუმალ ბილიკებს ისინი, ვინც ამურმა სასტიკი წამებით დასაჯა, მონასტრის ჯაში, წყლის ზედაპირზე აკანკალებულ ვარსკვლავთა ანარეკლს ასკილის ჩაცვენილი ფოთლები შეერია. უცებ ცივალი, სურნელება და მშვიდობიანი ზეცა გაქრა. ქარიშხლითა და წყვდიადით სავსე საზარელი ბორეა ღმუილით დამესხა თავს, ამიტაცა, მინდვრების, ქალაქების, მდინარეების, მთების თავზე, მგრგვინავ ღრუბლებს შორის ჩალის ღერივით გამაჭროლა და ეს ქროლვა წყვდიადში მრავალ დღე-ღამეს გაგრძელდა. ამ შეუწყვეტელი, სასტიკი მძვინვარების შემდეგ ქარაშოტი ბოლოს და ბოლოს დაწყნარდა და მე სამშობლოსაგან მოშორებით, კიპარისებით გარშემორტყმული ხეობის სიღრმეში აღმოვჩნდი. იქ ერთი ლამაზი, მაგრამ პირქუში ქალი მომიახლოვდა, უკან გრძელი კაბა დასთრევდა, მარცხენა ხელი მხარზე დამადო, მარჯვენა კი შეფოთლილი მუხისაკენ გაიშვირა:

— შებედე! — მითხრა მან.

მე მაშინვე ვიცანი სიბილა, ავერნუსის წმინდა ტყის მცვე-

---

[1] **Ad Maronis mausoleum**
Ductus, fudit' super eum
Piae rorem lacrymae
Quem te, inquit reddidissem,
Si te vivum inbenissem
Poetarum maxime! (ავტ. შენ.)

ლი და ხის ხშირ ტოტებში, საითაც მან თითი გაიშვირა. მწვანე ნერი პროზერპინას წინატრი ოქროს ტოტი დაელანდე.

— ო, წინასწარძეტყველო ქალწულო, —შეეძახე მე ღრ ფეხზე წამოვხტი. — შენ გამოიცანი სურვილი ჩემი და დაკმაყოფილე კიდეც. შენ მიმითითე ხეზე, მოკაშკაშე ტოტი რომ აქვს, ურომლისოდაც მიცვალებულთა საუფლოში ვერც ერთი ცოცხალი ვერ შეაღწევს. მართლაც, გულმხურვალედ მსურს ვერგილიუსის სულთან საუბარი.

ვთქვი თუ არა ეს, უძველეს ხეს ოქროს ტოტი შევატეხე და უშიშრად გადავეშვი აღებულ უფსკრულში, სტიქსის შლამიან ნაპირზე რომ გაჰყავხარ, სადაც სულები ჩამოცვენილი ფოთლებივით ფარფატებენ. როგორც კი პროზერპინასადმი მიძღვნილი ტოტი დაინახა, ქარონმა მაშინვე თავის ნავში ჩამსვა. ნავი ჩემი სიმძიმისაგან აჩრიალდა და მეც მიცვალებულთა ნაპირს მივაღწიე, სადაც სამთავიანი ძაღლის, ცერბერის უხმო ყეფა შემომესმა. მე თავი ისე დავიჭირე, თითქოს მისთვის ქვათა ჩრდილები მსურდა დამეშინა და ურჩხული თავის გამოქვაბულში შეიმალა. აქ, ლერწმიანში ტრიან ჩვილები, რომელთა თვალები, დღის ბედნიერი სინათლე იხილეს თუ არა, მაშინვე დაიხუჭა; აქ, ბნელი გამოქვაბულის სიღრმეში, მინოსი ადამიანებს ასამართლებს. მე შევაღწიე მურტების ხეივანში, სადაც სიყვარულის მსხვერპლნი ფედრა, პროკრიდა, მოწყენილი ერიფილე, ევადნე, პასიფაე, ლაოდამეა, კენიდა და ფინიკიელი დიდო უხალისოდ დაფარფატებდნენ. შემდეგ მტვრიანი მინდორი გადავიარე, ცნობილი მეომრებისთვის რომ არის გამოყოფილი. მინდვრის მერე გზა ორად იყოფა: მარცხენა გზა ტარტაროსში, მკრეხელთა საუფლოში მიდის. მე კი მარჯვენა გზას დავადექი, პლუტონის სავანესა და ელისეს ველისაკენ რომ მიემართება. წმინდა ტოტი ქალღმერთის კართან დავკიდე და სასიამოვნო, მეწამულ შუქში გახვეულ ველზე ალმოვჩნდი. ფილოსოფოსთა და პოეტთა სულები საქმიანად საუბრობდნენ. გრაციებისა და მეზების გუნდები ბალახზე მოკალათებულიყვნენ და საამურად ღიღინებდნენ. მხცოვანი ჰომეროსი სოფლური ლირის თანხლებით მღეროდა; თვალები დახუჭა, ბაგეზე კი ღვთაებრივი ხატება უკაშკაშებდა. ვიხილე სოლონი, ლემოკრიტე და პითაგორა, პატარა მდელოზე

მოთამაშე ახალგაზრდებს თვალს რომ აღევნებდნენ და უძველესი დაფნის ფოთლების მიღმა ჰესიოდე, ორფევსი, სევდიანი ევრიპიდე და მამაცი საფოც შევნიშნე. შემდეგ გზას გავუყევი და გრილ ნაკადულთან პოეტები ჰორაციუსი, ვარიუსი, გალუსი და მათთან მდგარი ლიკორიდა დავინახე: ცოტა იქით, მუქი ქვამუხის ტანს მიყრდნობილი ვერგილიუსი ტყეს გაჰყურებდა დაფიქრებული. იგი ტანმაღალი. და გამხდარი გახლდათ, მზემოკიდებულს, სოფლური იერი, დაუდევარი ჩაცმულობა და გაუთლელი გარეგნობა შერჩენოდა, სიცოცხლეში ასე რომ ფარავდა მის გენიას. მე მდაბლად დავუკარი თავი და კარგა ხანს ვდუმდი. ბოლოს შეკრული კრიჭა გამეხსნა და ხმა ამოვიღე:

— ო, ვერგილიუსო, — შევძახე მე. — ავზონიის მუზათა რჩეულო, ლათინური სახელის დიდებავ. შენ მაზიარე მშვენიერებას, შენით შევიცან უფლის ტაბლა და ღმერთქალთა საწოლი. მაშ, მიიღე ყველაზე მოკრძალებული თაყვანისმცემლის ხოტბა-დიდება.

— წამოდექ, უცხომიწელო, — მიპასუხა ღვთაებრივმა პოეტმა. — მე ვხვდები, რომ შენ ცოცხალი ხარ; ამ მარადიულ მწუხრში, ბალახზე გაწოლილი შენი ჩრდილი მამცნობს ამას. და თუმცა ჩვენსა და ცოცხლებს შორის ყოველგვარი ურთიერთობა ფრიად რთულია, შენ პირველი არ ხარ, ვინც სიკვდილამდე ჩამოვიდა ჩვენს სამყოფელში. მაგრამ ხოტბას ნუ შემასხამ. არ მიყვარს ხოტბა. დიდების ყრუ ხმები მუდამ შეურაცხყოფდა ჩემს სმენას. სწორედ ამიტომ გავიქეცი რომიდან, სადაც ცნობისმოყვარე ხალხი მიცნობდა და ჩემს ძვირფას პარტენოპეაში მარტოდმარტო ვიღვწოდი. ამას გარდა, შენი ხოტბის შესაფასებლად დარწმუნებული უნდა ვიყო, რომ შენი საუკუნის ხალხს ჩემი ლექსების გაგება ძალუძს. ვინა ხარ?

— მე მარბოდი მქვია და წარმოშობით ალკას სამეფოდან გახლავარ. კორიგანის ბერი, შენს პოემებს დღითა და ღამით ვკითხულობ. შენსა და მხოლოდ შენს გამო ჩამოვედი ჯოჯოხეთში; მოუთმენლად მსურდა გამეგო, რა ბედი გეწია. დედამიწაზე სწავლულები ხშირად დაობენ ამაზე. ერთნი სრულიად შესაძლებლად თვლიან, სიცოცხლეში დემონთა მსახური, ახლაც უქრობელ ცეცხლში იწვოდე, მეორენი, უფრო გონიერ-

ნი, საერთოდ არაფერს ამბობენ და მიიჩნევენ, რომ ყოველივე, რაც მიცვალებულზე ითქმება, უსაფუძვლო და ნაკლებსაწუნოა; მრავალნი სხვანი, თუმცა არცთუ ყველაზე გონიერნი, ამტკიცებენ, თითქოს შენ სიცილიური მუსები განადიდე და ზეციდან ახალი შთამომავლის მოვლინება იწინასწარმეტყველე, ამიტომ, ვით იმპერატორ ტრაიანეს, ქრისტიანული სამოთხისაკენ გზა ხსნილი გაქვს და მარადიულ ნეტარებასაც ეზიარე.

— შენ ხედავ, რომ მსგავსი არაფერი მომხდარა, — ღიმილით თქვა სულმა.

— ჰეშმარიტად, ო, ვერგილიუსო, მე გმირთა და ბრძენთა შორის გხედავ, იმ ელისეს ველებზე, რომელიც შენვე აღწერე. ესე იგი, ზეცის მეუფის სახელით არავინ მოსულა შენ საძებნელად, თუმცა დედამიწაზე ასე ჰგონიათ.

ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ ვერგილიუსმა თქვა:

— არ დაგიმალავ, მიხმეს. მისი მაცნე, ერთი უბრალო კაცი მოვიდა და მითხრა, იქ გელიანო. და თუმცა მათ იდუმალებას არ მაზიარებდნენ, ჩემი წინასწარმეტყველური სიმღერების სანაცვლოდ ახალი სექტის წარმომადგენლებს შორის მქონდა გამოყოფილი ადგილი. მაგრამ მე უარვყავი მიწვევა. ადგილის გამოცვლა არ მსურდა; არა იმიტომ, რომ ელისეს ველებით ბრძენთა აღფრთოვანებას ვიზიარებ ან ის სიხარული ვიგემე, პროზერპინას დედის ხსოვნა რომ დააკარგვინა. განსაკუთრებით არასოდეს მჯეროდა, რასაც „ენეიდაში“ ვწერდი. ფილოსოფოსებისა და ფიზიკოსების აღზრდილს, ჰეშმარიტების საკმაოდ ზუსტი აღქმა მქონდა. ჯოჯოხეთში ცხოვრება ერთობ შეზღუდულია; აქ არც ტკივილს გრძნობ და არც სიხარულს. ისე არსებობ, თითქოს არც არსებობდე. მკვდრებს მხოლოდ ის არსებობა აქვთ, ცოცხლები რომ მიაწერენ. და მაინც, აქ დარჩენა ვამჯობინე.

— კი მაგრამ, რით გაამართლე, ვერგილიუსო, ასეთი უცნაური უარი?

— ჩინებული პასუხი გავეცი. უფლის წარგზავნილს ვაცნობე, არ დამიმსახურებია პატივი, რასაც მაკუთვნებენ და ჩემს სიმღერებში არ დევს ის აზრი, რასაც მიაწერენ-მეთქი. სინამდვილეში, მამა-პაპათა რწმენისათვის არ მიღალატია. მხო-

ლოდ უკვე აბრალებს შეეძლოთ ბარბაროსი ღმერთის სასარგებლოდ გამოეყენებინათ ლექსები, იმ ოქროს ხანის დაბრუნებას რომ ქადაგებენ, რაც ბიბლიურ წიგნებშია წინასწარმეტყველურად აღწერილი. ამიტომ, ბოდიში მოვიხადე; მე არ შემეძლო იმ ადგილის დაკავება, შეცდომით რომ შემომთავაზეს; არავითარი უფლება არ მქონდა დამეკავებინა იგი. ამას გარდა, ჩემს გუნებასა და გემოვნებაზეც მივუთითე, სრულიად არ ეხამება განახლებულ ზეცას-მეთქი.

„— არასოდეს ვყოფილვარ უკარება, — ვუთხარი იმ კაცს. — სიცოცხლეში თვინიერი და შემგუებელი ხასიათი მქონდა; და თუმცა ჩემი ჩვევების განსაკუთრებული უბრალოების გამო ძუნწად ჩამთვალეს, მხოლოდ ჩემთვის არაფერი შემინახავს არასდროს. ჩემი ბიბლიოთეკის კარი ყველასათვის ღია გახლდათ და ცხოვრების წესიც ევრიპიდეს ამ მშვენიერ სიტყვებს დავუმორჩილე: „მეგობრებს ყველაფერი საერთო უნდა ჰქონდეთ“. აუტანელი იყო, როცა მე მასხამდნენ ხოტბას, მაგრამ მსიამოვნებდა, როცა მას ვირიუსს ან მაკრის შეასხამდნენ. არსებითად კი მე ტეტია ველური ვარ და ცხოველთა საზოგადოება უფრო მიტაცებს. ისე დიდხანს ვაკვირდებოდი ცხოველებს და მათ მიმართ ისეთ მზრუნველობას ვიჩენდი, რომ დიდად არ შემცდარან, როცა კარგ ვეტერინარად ჩამთვალეს. მითხრეს, თქვენი სექტის წარმომადგენლები უკვდავ სულს თავის საკუთრებად თვლიან და ცხოველებში მის არსებობას უარყოფენო. ეს ისეთი უაზრობაა, რომ მათი გონიერება სერიოზულად მაეჭვებს. მე მიყვარს ფარა და ვინ იცის, იქნებ უფრო მეტად მწყემსები. თქვენ დამძრახავდით ამ საქციელისთვის. მე კი ვცდილობდი, ჩემი ცხოვრება დამემორჩილებინა ერთი წესისთვის: ნურას ისურვებ ზედმეტს. შერყეულმა ჯანმრთელობამ, უფრო მეტად კი ჩემმა ფილოსოფიამ ყოველივეთი ზომიერად სარგებლობა მასწავლა. კვებაში თავშეკავებული ვარ; სალათა, რამდენიმე ზეთისხილი და ფალერნული ღვინის წვეთი გახლდათ ჩემი საჭმელი. უცხოელ ქალთა საწოლებს იშვიათად ვაკითხავდი, არც იმ სამიკიტნოში დავრჩენილვარ დიდხანს, ახალგაზრდა სირიელი ქალი ჩაღანებით რომ ცეკვავდა[1]. მაგრამ მე ჩემს ნდომას მხოლოდ საკუთარი

[1]. როგორც ჩანს, ეს ფრაზა მიგვითითებს, რომ, თუ მარბოდს ვერწმუნებით, „la Copa“ ვერგილიუსმა დაწერა. (ავტ. შენ.)

სურვილითა და შინაგანი დისციპლინით ვაოკებდი. რადგან მა-
შის გამო სიამოვნების უარყოფა და სიტკბოებისაგან გაქცევა ბუნების ყველაზე ბილწ შეურაცხყოფად მეჩვენებოდა. მარწმუნებენ, თითქოს თქვენი ღმერთის ზოგიერთი რჩეული თავის სიცოცხლეში მხოლოდ სიდუხჭირის სიყვარულით უკლებდა საკვებს, გაურბოდა ქალებს და ამ უსარგებლო ტანჯვას საკუთარი სურვილით ემორჩილებოდა. მე არ ვისურვებდი ამ ბოროტმოქმედებთან შეხვედრას. მათი გაშმაგება მაშინებს. პოეტს არ უნდა მოსთხოვო, ძალიან მკაცრად დაიცვას რაიმე ფიზიკური ან ზნეობრივი წესი. ამასთანავე, მე რომაელი ვარ. რომაელებს კი ბერძნებივით არ ეხერხებათ დახვეწილი, ღრმა და განყენებული მსჯელობა. რაიმე ფილოსოფიურ სწავლებას ისინი ძირითადად პრაქტიკული სარგებლობისათვის იღებენ. სირონმა, რომელიც ჩვენ შორის ძლიერ აღიარებული იყო, ეპიკურის სისტემა შეგვასწავლა; ამით ჩემი სული უსარგებლო შიშისაგან გაათავისუფლა და იმ სისასტიკისთვისაც მაქცევინა ზურგი, რელიგია უვიც ხალხს რომ უნერგავს. ზენონისაგან ვისწავლე, როგორ ავიტანო მტკიცედ გარდაუვალი უბედურება. პითაგორას იდეებიც შევითვისე, ადამიანთა და ცხოველთა სულებს ორივეს ღვთიური საწყისი აქვსო, რომ გვასწავლის და საშუალებას გვაძლევს, ჩვენს თავს სიამაყისა და სირცხვილის გარეშე შევხედოთ. ალექსანდრიელებისაგან გავიგე, რომ თავიდან რბილი და ბლანტი მიწა თანდათან მაგრდებოდა, როცა ნერევსი ტოვებდა მას და თავის ნესტიან საცხოვრებლებს თხრიდა; გავიგე, როგორ შეუმჩნევლად შეიქმნა ყოველივე, როგორ ქვებავს გაფანტული ღრუბლებიდან წამოსული წვიმა ჩუმ ტყეებს და როგორ დაბორიალებდნენ ჯერ კიდევ იშვიათი ცხოველები უსახელო მთებზე. მე, ალბათ, ვერ მივეჩვევი თქვენს კოსმოგონიას, სირიის უდაბნოში აქლემთა მდევნელებს უფრო რომ შეეფერებათ, ვიდრე არისტარქე სამოსელის მოწაფეებს. და რა მელოდა თქვენს ნეტარ სავანეში; იქ ხომ ვერ ვპოვებდი ჩემს მეგობრებს, წინაპრებს, მასწავლებლებსა და ღმერთებს; იქ ხომ ვერ ვიხილავდი რეას დიდებულ ვაჟიშვილს, ენეადების დედას, ნაზღიმილიან ვენუსს, პანს, ახალგაზრდა დრიადებს, სილვანებსა და ბებერ სილენეს, ეგლემ მაყვლის წვენით რომ გათხუპნა.

სწორედ ამ მიზეზების წარდგენა ვთხოვე იმ უბრალო კაცს იუპიტერის შემცველელისათვის“.

— და მას შემდეგ, ო, დიადო სულო, აღარავინ გხლებია?

— არავინ გამოჩენილა.

— შენს არყოფნაში სამი პოეტით იწყნარებდნენ თავს: კომოდიანუსით, პრუდენციუსითა და ფორტუნატუსით. სამივე იმ ბნელ ჟამს იშვა, როცა აღარც ლექსთწყობა იცოდა ვინმემ და არც გრამატიკა. მაგრამ მითხარი, ო, მანტუელო, აღარ მიგიღია ცნობა უფლისაგან, ვისთან ურთიერთობაც ასე ხელაღებით უარყავი?

— რამდენადაც მახსოვს, არასოდეს.

— შენ ხომ მითხარი, რომ მე არ ვარ პირველი, ვინც ცოცხალი ჩამოვიდა ამ სამყოფელში და შენ მოგეახლა.

— შენ გამახსენე. თუ არ ვცდები, საუკუნე-ნახევრის წინ (სულებს უჭირთ დღეებისა და წლების აღრიცხვა) ჩემი ღრმა სიმშვიდე უცნაურმა სტუმარმა დაარღვია. სტიქსის სანაპიროზე, მოლურჯო ფოთლების ქვეშ დავბორიალებდი და ჩემ წინ აღმართული ადამიანის სილუეტი დავინახე, უფრო თვალშეუვალი და მუქი რომ იყო, ვიდრე ამ სანაპიროს მცხოვრებლები არიან. მე ცოცხალი ადამიანი შევიცანი. იგი მაღალი და გამხდარი იყო, არწივისებური ცხვირი, წვეტიანი ნიკაპი და ჩაცვენილი ლოყები ჰქონდა; მისი შავი თვალები ცეცხლს აფრქვევდნენ, დაფნის გვირგვინით შემკული წითელი ჩაჩი ჩაცვივნულ საფეთქლებს ეკონებოდა. ვიწრო, ყავისფერ კაბაში, კოჭებამდე რომ დასთრეოდა, ძვლები უჩანდა. მოწიწებით დამიკრა თავი და მის მოწიწებაში ველური სიამაყე გამოკრთა; შემდეგ უფრო ცუდი და გაურკვეველი ენით მომმართა, ვიდრე გალების ენა გახლდათ, იმ გალებისა, ღვთაებრივმა იულიუსმა თავისი ლეგიონები და კურია რომ გაავსო. ბოლოს და ბოლოს გავიგე, იგი ფეზულესთან ახლოს დაიბადა ეტრუსკთა კოლონიაში, სულამ რომ დააარსა არნოს სანაპიროზე და მას შემდეგ აყვავდა; მან მალალ საზოგადოებრივ მდგომარეობას მიაღწია და სენატს, რაინდებსა და ხალხს შორის აფეთქებული სისხლიანი უთანხმოების დროს ამბოხებაში მხურვალე მონაწილეობა მიიღო და ახლა დამარცხებული და გაძევებული საცოდავად დაეხეტე-

ბოდა მთელ მსოფლიოში. მან აღმიწერა იტალია, რომელიც უთანხმოებითა და ომებით უფრო მეტად იყო დარბეული, ვიდრე ჩემი ახალგაზრდობის ჟამს და რომელიც ახალი ავგუსტუსის მოსვლის იმედით სულდგმულობდა. შემეცოდა ეს უბედური კაცი, როცა ჩემი წარსული ტანჯვა-წამება გამახსენდა.

მას მამაცი სული ედგა, გონება კი დიადი აზრებით ჰქონდა მოცული, მაგრამ მისი უხეშობა და უმეცრება, სამწუხაროდ, ბარბაროსობის ტრიუმფს წარმოადგენდა. არც პოეზიას იცნობდა, არც მეცნიერებას, არც ბერძენთა ენას და არც სამყაროს წარმოშობისა და ღმერთების ბუნებაზე შექმნილ ანტიკურ თქმულებებს. მედიდურად მიამბობდა არაკებს, რომლებიც ჩემს დროს, რომში, გააცინებდა იმ ბავშვსაც კი, ვინც ჯერ კიდევ უფასოდ დადის აბანოში. მდაბიონი ადვილად იჯერებენ ურჩხულთა არსებობას. ეტრუსკების აზრით, ჯოჯოხეთი მახინჯი დემონებით იყო დასახლებული, ავადმყოფის სიზმრებს რომ ჰგავდნენ. მათი ბავშვობისდროინდელი წამოსახვები ამდენი საუკუნის შემდეგაც კი არ გამქრალა და ეს უვიცობისა და სიღატაკის განვითარებით აიხსნება. მაგრამ ბრძენსაც კი დაასევდიანებს აზრი, რომ მდაბიოთა წარმოდგენებს საზოგადო მოღვაწეც იზიარებს, რომლის გონებრივი დონე საშუალოზე მაღალია და მაინც იმ მახინჯ დემონებს უფრთხის, პორსენას დროს ამ მიწის მცხოვრებლები აკლდამის კედლებზე რომ ხატავდნენ. ჩემმა ეტრუსკმა თავისი შეთხზული ლექსები წამიკითხა, რომელიც ახალ დიალექტზე იყო დაწერილი, თავად ხალხურ ენას რომ ეძახდა, ჩემთვის კი გაუგებარი გახლდათ. ზომის აღსანიშნავად, დროის რეგულარულ მონაკვეთებში, სამჯერ თუ ოთხჯერ ერთსა და იმავე ბგერას იმეორებდა, რითიც ჩემი სმენა განცვიფრებული უფრო დარჩა, ვიდრე მოხიბლული. ეს ფანდი მაინცდამაინც ოსტატურად არ ჩამითვლია, მაგრამ სიახლეთა შეფასება მკვდრების საქმე არ გახლავთ.

ამ კაცს იმისათვის კი არ ეძრახავ, რომ სულას კოლონიაში უბედურ ჟამს შობილი უჰარმონიო ლექსებს თხზავდა და, თუ ეს შესაძლებელია, ისეთივე ცუდი პოეტი იყო, როგორც ბავიუსი და მევიუსი. მხოლოდ იმას ვსაყვედურობ, რაც პირადად მე შემეხო. მან საშინელი, თითქმის დაუჯერებელი დანაშაული ჩაიდინა: ეს კაცი მიწაზე დაბრუნდა და ჩემს შესახებ საზიზღა-

რი ტყუილი გააცრცელა. თავისი ველური პოემის მრავალ თავში ამტკიცებდა, რომ მისი მეგზური გახლდით ახალ ჯოჯოხეთში, რომელსაც სრულიად არ ვიცნობ: შემდეგ უტიფრად განაცხადა, რომ მე რომის ღმერთებს ცრუები ვუწოდე და ჰეშმარიტ ღმერთად იუპიტერის ახალი ნაცვალი ვაღიარე. მეგობარო, როს დაუბრუნდები დღის სინათლეს და კვლავ იხილავ შენს სამშობლოს, უარყავ ეს უგვანო არაკები; აცნობე შენს ხალხს, რომ ღვთისმოსავი ენეასის მეხოტბეს არასოდეს უკმევია გუნდრუკი ურიათა ღმერთისთვის.

მარწმუნებენ, თითქოს მისი ყოვლისშემძლეობა სუსტდება და ზოგიერთი ნიშნის მიხედვით სრული დაცემა ახლოვდება. ეს ახალი ამბავი გამახარებდა, გახარება რომ შეიძლებოდეს ამ სამყოფელში, სადაც არც შიშს გრძნობენ და არც სურვილებს".

თქვა ეს, დამშვიდობების ნიშნად ხელი დამიქნია და გამშორდა. ვუყურებდი, როგორ მისრიალებდა მისი ჩრდილი მთის შროშანებზე, რომელთა ღეროები არც შერხეულა, დაშორებასთან ერთად როგორ დაპატარავდა და გაბუნდოვანდა მისი ჩრდილი და უფრო ადრე გაქრა, ვიდრე მარადმწვანე დაფნის ტყეს მიაღწევდა. მაშინ მისი სიტყვების აზრს მივხვდი: „მიცვალებულებს მხოლოდ ის არსებობა აქვთ, რასაც ცოცხლები მიაწერენ." ჩაფიქრებულმა, გამკრთალებული ველი გავიარე და ჯოჯოხეთის კარისაკენ გავემართე.

ვაცხადებ, რომ ჰეშმარიტია ყოველივე ამ მოთხრობაში თქმული![1]

---

[1]. მარბოდის ნაამბობში ერთი ადგილი ყურადღებას იმსახურებს. კორიგანელი ბერი ალიგიერის სწორედ ისეთს აღწერს, როგორსაც დღეს წარმოვიდგენთ. „ღვთაებრივი კომედიის" Codex venetianus ერთ-ერთ უძველეს ხელნაწერში მინიატურები პოეტს პატარა, მსუქანი კაცის სახით წარმოგვიდგენს, რომელსაც ისეთი მოკლე ტუნიკა აცვია, რომ ქვედატანის კალთები მუცელზე აქვს ატაცებული. რაც შეეხება ვერგილიუსს, XV საუკუნის გრავიურებზეც კი იგი ფილოსოფოსის წვერს ატარებს.

ძნელი დასაჯერებელია, რომ მარბოდი ან თენდაც თავად ვერგილიუსი კეისრის ან კორნეტოს ეტრუსკულ აკლდამებს იცნობდა. სადაც ნამდვილად არის კედელზე გამოსახული საშინელი და სასაცილო დემონები, ძალიან რომ ჰგვანან ორკანიას დემონებს. და მაინც, თხზულების „მარბოდის ჩასვლა ჯოჯოხეთში" უტყუარობა ეკვმიუტანელია. ბატონმა დიუ კლო დე ლუნმა ზუსტად დაადგინა ეს და ამაში დაეჭვება პალეოგრაფიაში დაეჭვებას ნიშნავს. (აეტ. შენ.)

მთვარის ნიშნები

პინგვინეთი ჯერ კიდევ უვიცობისა და ბარბაროსობის ხანაში გახლდათ ჩაფლული, როცა ფრანცისკანელი ბერი, ჟილ ლუაზელე, თავის ცნობილ ნაშრომებს ეგზიტუს აუკუპისის ფსევდონიმს აწერდა და ლიტერატურასა და მეცნიერებას დაუცხრომელი ენერგიით სწავლობდა. ღამეებს მათემატიკასა და მუსიკას უძღვნიდა და მათ ორ სასიამოვნო დასა და რიცხვებისა და წარმოსახვის ჰარმონიულ ქალიშვილებს უწოდებდა. მედიცინასა და ასტროლოგიაში ასევე კარგად გახლდათ გათვითცნობიერებული. იმასაც ეჩვეობდნენ მაგიას იყენებსო, და მგონი, მართლაც შეეძლო გარდასახვა და საიდუმლოებასაც ხსნიდა.

მონასტრის ბერებმა მის სენაკში ბერძნული წიგნები იპოვეს, წაკითხვა ვერ შეძლეს, მაგიურ წიგნებად ჩათვალეს და თავისი ზედმეტად სწავლული ძმა ჯადოქრად გამოაცხადეს. ეგზიტუს აუკუპისი გაიქცა და ირლანდიის კუნძულს მიაღწია, სადაც ოცდაათი წელი სწავლობდა. იგი მონასტრიდან მონასტერში გადადიოდა, იქ შეხახულ ბერძნულ და ლათინურ ხელნაწერებს ეძებდა და მათ ასლებს იღებდა. ამასთანავე ფიზიკასა და ალქიმიასაც სწავლობდა. მან უნივერსალური მეცნიერება აითვისა და ცხოველთა, მეცნიერთა და ქვათა საიდუმლოებები პირადად გახსნა. ერთხელ, ჩაკეტილ ოთახში მასთან ერთად სრულქმნილი სილამაზის ქალი იხილეს, რომელიც მუხლის ხმაზე მღეროდა. შემდგომში გაირკვა, რომ ეს მისი გაკეთებული მანქანა გახლდათ.

ბერი ხშირად მიცურავდა ზღვაში, გალების ქვეყანაში გადადიოდა და იქაური მონასტრების ბიბლიოთეკებით სარგებლობდა. ერთხელ, როცა ღამით გემბანზე იდგა წყალში, გემთან ახლოს, ორი თართი დაინახა. მას მახვილი სმენა ჰქონდა, თევზთა ენაც ესმოდა და გაიგონა, რომ ერთმა თართმა მეორეს უთხრა:

— მხრებზე გუდურამოკიდებული კაცი, უსსოვარი დროიდან მთვარეზე რომ ხედავდნენ, ზღვაში ჩავარდა.

მეორე თართმა თავის მხრივ დაამატა:

— ახლა ვერცხლის დისკოში ორ შეყვარებულს დაინახავენ, ერთმანეთს ტუჩებში რომ კოცნიან.

რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ეგიდიუს აუკუპუსი სამშობლოში დაბრუნდა, ანტიკური ლიტერატურა აღორძინებული, მეცნიერება კი კვლავ პატივდებული დახვდა. ზნე-ჩვეულებები შერბილდა; ადამიანები აღარ შეურაცხყოფდნენ ტყეების, წყლებისა და მთის ნიმფებს; თავის ბაღებში მუზებისა და სათნო გრაციების გამოსახულებები ჩადგეს და ძველებურად აღუვლინეს ხოტბა ღმერთთა და ადამიანთა სიხარულის ტკბილბაგიან ღმერთქალს. ისინი ბუნებას შეურიგდნენ, უსარგებლო ზიში ფეხით გათელეს და ცისკენ აპყრობილ თვალებს აღარ ეშინოდათ, ზეცაში სიბრაზისა და წყევლის მუქარის ნიშნებს დავინახავთო.

ამის დანახვაზე ეგიდიუს აუკუპისს ერინის ზღვაში მოსაუბრე ორი თართი გაახსენდა.

წიგნი მეოთხე

ახალი ხანა — ტრინკო

თავი I

რუკენის ცოლი

პინგვინეთელი ერაზმი, ეგიდიუს აუკუპისი არ შემცდარა; პინგვინეთს ჭეშმარიტად დაუდგა აზრის თავისუფლების ხანა. მაგრამ ამ დიდმა ადამიანმა ჰუმანისტების სინატიფე მიიჩნია ზნეობის შერბილების ნიშნად და ვერ განჭვრიტა, რა შედეგს გამოიღებდა პინგვინთა ინტელექტუალური აღზევება. შედეგმა კი რელიგიურ რეფორმაში იჩინა თავი. კათოლიკეებმა პროტესტანტები ამოხოცეს, პროტესტანტებმა კი კათოლიკეები. ასეთი გახლდათ გათავისუფლებული აზრის პირველი შედეგი. პინგვინეთში კათოლიკეებმა გაიმარჯვეს; მაგრამ სულში ანგარიშმიუცემლად ჩაუსახლდათ განსჯის სურვილი. მათ გონება და რწმენა შეაჯვარეს და განაცხადეს, რელიგია სამარცხვინო ცრურწმენისაგან უნდა გავწმინდოთო; სწორედ ისე, როგორც მოგვიანებით გაწმინდეს ეკლესიათა კედლები მასზე მიშენებული მეჯღანეების, მეწვრილმანეებისა და მკემსავების ფარდულებისაგან. სიტყვა „ლეგენდამ", რომელიც ადრე სწორედ იმ ნაშრომს ერქვა, მორწმუნეებს რომ უნდა წაეკითხათ, ახლა უცებ ღვთისმოსაური არაკებისა და საბავშვო ზღაპრების მნიშვნელობა შეიძინა.

მრავალი და მრავალი წმინდანი დააზარალა აზრთა ასეთმა წყობამ და განსაკუთრებით ერთმა ძლიერმა სწავლულმა,

მკაცრმა და სასტიკმა პატარა კანონიკოსმა, პრენსეტომ. მან მიუთითა იმ მრავალრიცხოვან წმინდანებზე, რომლებიც სულაც არ იმსახურებდნენ უქმე დღეს და ამით წმინდანთმაძიებლის სახელი მოიპოვა. კანონიკოსს არ სჯეროდა, წმინდა მარგარიტას ლოცვა, მელოგინეებს ცხელი საფენივით რომ ადებდნენ მუცელზე, მათ ტკივილებს უყურებს და მშობიარობას შველისო.

მის მკაცრ კრიტიკას პინგვინეთის ღირსეული მფარველიც ვერ გადაურჩა. თავის ნაშრომში „ალკას უძველესი ხანა", იგი წერს:

„წმინდა ობრეროზას ამბავი და თვით მისი არსებობაც კი ნაკლებ სარწმუნო გახლავთ. ძველი, უცნობი მემატიანე, დომბელი ბერი აღწერს, თითქოს ერთ ქალს, ობრეროზას, ეშმაკი დაეუფლა სწორედ იმ გამოქვაბულში, სადაც მემატიანეს სიცოცხლეშივე სოფლის გოგო-ბიჭები მიდიოდნენ ეშმაკსა და ობრეროზობანას თამაშობდნენ. იგი გვიამბობს, ეს ქალი ხასა გახდა საშინელი დრაკონისა, მთელ მხარეს რომ ანადგურებდაო. ეს დაუჯერებელი ამბავია და არც ობრეროზას შემდგომი ისტორია იმსახურებს ნდობას".

„წმინდანის ცხოვრების სავარაუდო ფაქტები, აბატმა სემპლიცირიუსმა თითქმის სამასი წლის შემდეგ აღწერა. ავტორი უზომო გულუბრყვილობას წარმოგვიდგენს და ყოველგვარი კრიტიკის უნარსაა მოკლებული".

ეჭვები პინგვინთა ზებუნებრივ წარმოშობასაც მისწვდა. ისტორიკოსმა ოვიდიუს კაპიტომ პინგვინთა სასწაულებრივი გარდასახვა უარყო და თავისი „პინგვინეთის მატიანე" ასე დაიწყო:

„სქელი ბინდი ფარავს ამ ისტორიას და, მგონი, გადაუჭარბებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ იგი საბავშვო არაკებისა და მოთხრობისაგან არის ნაქსოვი. პინგვინები მიიჩნევენ, რომ წმინდა მაელის მიერ მონათლული ფრინველებისგან წარმოიშვნენ, რომ უფალმა ისინი ადამიანებად ამ სახელოვანი მოციქულის შუამავლობით აქცია, რომ მათმა კუნძულმა, თავდაპირველად დელოსივით მცურავმა ყინულოვან ოკეანეში, ზეცის რჩეულ ზღვებს მიაღწია, ღუზა ჩაუშვა და დღესდღეო-

ბით მეფობს კიდეც. ჩემი ვარაუდით, ეს მითი პრესვიხთა ძველ-ლესი მიგრაციის გამოძახილი გახლავთ".

შემდეგი საუკუნე განმანათლებელთა საუკუნე გახლდათ და სკეპტიციზმი უფრო გამწვავდა. საბუთად კი მხოლოდ ერთ ცნობილ ნაწყვეტს გთავაზობთ, ნაშრომიდან „ზნეობრივი ცდა".

„კაცმა არ იცის, საიდან მოვიდნენ. მათი წარმოშობა ფრიად გაურკვეველია. სამხრეთის, ჩრდილოეთის, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ოთხმა თუ ხუთმა ტომმა რიგრიგობით დაიპყრო და დაარბია ისინი. შეჯვარებული, ჯიშაღრეული, შერწყმული და შერეული პინგვინები თავისი რასის სიწმინდეს ასხამენ ხოტბას და მართლებიც არიან, რადგან ნამდვილად გარდაისახნენ წმინდა რასად. ადამიანთა სხვადასხვა მოდგმის — წითლის, შავის, ყვითლის, თეთრის, მრგვალთავიანთა თუ გრძელთავიანთა ნაზავმა საუკუნეების მანძილზე ადამიანთა საკმაოდ ერთგვაროვანი ოჯახი ჩამოაყალიბა, თავისი დამახასიათებელი თვისებებითურთ, ცხოერებისა და ზნე-ჩვეულებათა ერთიანობამ რომ შექმნა.

ის აზრი, მსოფლიოში უმშვენიერეს რასას რომ განეკუთვნებიან და საუკეთესო ოჯახის წარმომადგენლები არიან, მათ ღირსეულ სიამაყეს, დაუძლეველ სიმამაცეს და ადამიანთა მოდგმისადმი სიძულვილს უნერგავს.

ყოველი ერის ცხოერება სიღატაკის, დანაშაულისა და შეშლილობის მონაცვლეობა გახლავთ. პინგვინთა ერი ისევე ადასტურებს ამ ჭეშმარიტებას, როგორც სხვა ერები, და მაინც, პინგვინთა ისტორია თავიდან ბოლომდე მშვენიერია".

პინგვინთა ორი კლასიკური საუკუნე საკმაოდ ცნობილია და მასზე შეჩერება არ ღირს. მაგრამ დღემდე გაუგებარია, როგორ წარმოშვეს შემდგომ საუკუნეებში ურწმუნონი კანონიკოს პინსტოს მსგავსმა რაციონალისტმა ღვთისმეტყველებმა. ეს ღვთისმეტყველნი გონების სახელით არბევდნენ ყოველივეს, რაც რელიგიაში არაარსებითად მიაჩნდათ; ხელუხლებლად, მათ მხოლოდ რწმენის მკაცრი დოგმები დატოვეს. მათმა ინტელექტუალურმა მემკვიდრეებმა კი მეცნიერებისა და გონების გამოყენება მათგან ისწავლეს და ერთიცა და მეორეც სარწმუნოების ნარჩენების საწინააღმდეგოდ გამოიყენეს;

რაციონალისტურმა ღვთისმეტყველებამ საბუნებისმეტყველო ფილოსოფია შექმნა.

აი, ამიტომ (თუ ნებას მოიცემთ, უძველესი პინგვინებიდან უზენაეს ქურუმს გადავწვდე, დღეს კათოლიკურ ეკლესიას რომ უდგას სათავეში) ასე მშვენიერია სიბრძნე პაპი პიუს მეათისა, რომელიც სჯიდა წმინდა წერილის ყოველ გამოკვლევასა და განმარტებას, როგორც ზეშთაგონებულ ჭეშმარიტების მტერს, თეოლოგიური დოქტრინებისათვის დამღუპველ, ხოლო რწმენისათვის მომაკვდინებელ მოვლენას. თუ გამოჩნდებოდა ისეთი ღვთისმეტყველი, რომელიც მეცნიერების კანონებს დაუჭერდა მხარს, იგი დამღუპველი დოქტორი და გამრყვნელი ოსტატი ხდებოდა; ხოლო თუ ამას მხარს აუბამდა რომელიმე ქრისტიანი, იგი უთაო კაცის გარდა, მგონი, პროტესტანტიც უნდა ყოფილიყო.

განმანათლებლური საუკუნის დასასრულს პინგვინეთის ძველი რეჟიმი სრულიად დაარბიეს; მეფე სიკვდილით დასაჯეს, არისტოკრატიის უპირატესობა გააუქმეს და ამ არეულობაში, საზარელი ომის წამოჭრის საშიშროების მიუხედავად, ქვეყანა რესპუბლიკად გამოაცხადეს. სათათბიროში, რომელიც მაშინ პინგვინეთს ხელმძღვანელობდა, ბრძანება გასცა გადასადნობად წაეღოთ ლითონის ყოველი ნაკეთობა, რაც კი ეკლესიებში ინახებოდა. პატრიოტებმა მეფეთა სამარხები გახსნეს. ამბობენ დრაკო დიდი აბანოზივით შავი და ისეთი ზვიადი იწვა თავის სამარხში, რომ დაზაფრული მკრეხელები მაშინვე გაიქცნენო. სხვები კი ჰყვებოდნენ, ამ გაუთლელმა ხალხმა მას პირში ჩიბუხი ჩასჩარა და დამცინავად ჭიქა ღვინო შესთავაზაო.

ყვავილთა თვის მეჩვიდმეტე დღეს, წმინდა ობრეროზას სამარტვილე, რომელიც ხუთი საუკუნის მანძილზე იყო დასვენებული წმინდა მაელის ეკლესიაში და პატივისცემით სარგებლობდა, რატუშის შენობაში გადაიტანეს და ხალხის არჩეულ ექსპერტს შეამოწმებინეს. სამარტვილე მოოქროვილი სპილენძისაგან იყო ჩამოსხმული, ნავის ფორმა ჰქონდა და დაფარული იყო მინანქრითა და ძვირფასი თვლებით, რომლებიც ყალბი თვალ-მარგალიტი აღმოჩნდა. ეკლესიის წინდახედულმა კაპიტულმა მას ლალის , საფირონის, ზურმუხტისა და მთის ბროლის დიდი ბურთულები ააცალა და ისინი შუშის ნატეხე-

ბით შეცვალა. ზოგნით, სამარტყოფლეში მხოლოდ მტვერი და ძველი ჩვრები აღმოჩნდა, რაც გრევის მოედანზე გაჩაღებულ დიდ კოცონში ჩაყარეს; წმინდანის რელიკვიები ასე გაანადგურეს. ხალხი კოცონის ირგვლივ ცეკვავდა და პატრიოტულ სიმღერებს გაჰკიოდა.

რატუშას გვერდზე ფარდული მიჰკვროდა, რომლის ზღურბლზე რუკენი და მისი ცოლი იდგნენ და შეშლილთა როკვას უყურებდნენ. რუკენი ძაღლებს კრეჭდა, კატებს კოდავდა და სამიკიტნოების ხშირი სტუმარი გახლდათ. რუკენის ცოლი ჩალის სკამებს წნავდა, მაჭანკლობდა და გონიერი ქალი იყო.

— ხედავ, რუკენ, — უთხრა მან ქმარს. — რა მკრეხელურია მათი საქმე. მალე მოინანიებენ ამას.

— შენ რა გესმის, ქალო, — შეეპასუხა რუკენი. — ისინი ფილოსოფოსები გახდნენ, ფილოსოფოსობა კი მთელი ცხოვრება გრძელდება.

— მე კი გეუბნები, რუკენ, რომ ადრე თუ გვიან მოინანიებენ თავის საქციელს. ახლა მასხარად იგდებენ წმინდანებს, რადგან ფიქრობენ არასაკმარისად დაგვეხმარენო; მაგრამ ციდან მანანა მაინც არ ჩამოუცვივათ; ისეთივე ლატაკები დარჩებიან, როგორიც იყვნენ და როცა დაიმშევიან, კვლავ დაუბრუნდებიან უფალს. დადგება დღე, და ეს დღე გაცილებით ადრე დადგება, ვიდრე ჰგონიათ, როცა პინგვინეთში კვლავ მუხლს მოიყრიან ხეციური მფარველის წინაშე. ძალიან ჭკვიანური იქნება, რუკენ, ამ დღისათვის, შინ, რაიმე ძველ ქოთანში ერთი მუჭა მტვერი და რამდენიმე ძვალი ან ჩვარი შემოვინახოთ. განვაცხადებთ, რომ ეს წმინდა ობრეროზას რელიკვიებია; და რომ ჩვენ სიცოცხლე საფრთხეში ჩავიგდეთ და ისინი ცეცხლისაგან გადავარჩინეთ. თუ ამით პატივსა და ხეირს არ ვნახავთ, მაშინ შემშლია. ვინ იცის, იქნებ ამ სიკეთის გამო ბატონმა კიურემ სიბერეში სანთლების გაყიდვისა და წმინდა ობრეროზას სამლოცველოში სკამების გაქირავების უფლება მოგვცეს.

იმავე დღეს, რუკენის ცოლმა თავისი კერიიდან ცოტა ნაცარი და რამდენიმე გამოხრული ძვალი აიღო და კარადაში, მურაბის ძველ ქილაში ჩააწყო.

თავი II

ტრინკო

სახალხო მთავრობამ არისტოკრატიასა და სასულიერო წოდებას მიწები ჩამოართვა და ბურჟუაზიასა და გლეხობას გროშის ფასად მიჰყიდა. ბურჟუაზიამ და გლეხობამ თავის მხრივ განსაჯა, რომ რევოლუცია მიწების შესაძენად იყო კარგი, შესანარჩუნებლად კი ცუდი გახლდათ.

რესპუბლიკის კანონმდებლებმა საკუთრების დასაცავად სასტიკი კანონები გამოსცეს და ყველას, ვინც კი ქონების გაყოფას მოითხოვდა, სიკვდილით ემუქრებოდნენ. მაგრამ, რესპუბლიკისათვის ამას ხეირი არ დაუყრია. გლეხები მესაკუთრეებად გადაიქცნენ და მიხვდნენ, რომ რესპუბლიკამ, თუმცა გაამდიდრა ისინი, საკუთრების მყარი საფუძველი შეარყია და ისურვეს დამყარება სხვა რეჟიმისა, რომელიც კერძო საკუთრებას მეტი პატივისცემით მოეკიდებოდა და ახალი წესრიგის დაცვასაც შეძლებდა.

დიდხანს არ დაჭირვებიათ ლოდინი. რესპუბლიკამ ისევე, როგორც აგრიპინამ, თავად შვა თავისი მკვლელი.

ქვეყანა დიდ ომებს აწარმოებდა, ამიტომ რესპუბლიკამ შექმნა სამხედრო ძალა, რომელმაც კიდეც გადაარჩინა იგი და კიდეც დაამხო. კანონმდებლები სასჯელის შიშით ცდილობდნენ გენერალთა დაოკებას; მაგრამ თუ ხანდახან დამარცხებულ ჯარისკაცებს კიდეც კვეთდნენ თავებს, გამარჯვებულებს ვერ უბედავდნენ. ამას, რადგან ისინი რესპუბლიკის გადამრჩენნი იყვნენ და ამით ძალაუფლებას იძენდნენ.

გამარჯვების ენთუზიაზმით აღგზნებული პინგვინები თავის ლეგენდარულ დრაკონზე უფრო საშინელი დრაკონის გავლენაში მოექცნენ და ეს დრაკონი, თავისი გაუმაძღარი ნისკარტით, ვით წერო ბაყაყებს, მათ თოთხმეტი წლის მანძილზე ნთქავდა.

ახალი დრაკონის მეფობა ნახევარ საუკუნეს ითვლიდა, როცა ერთმა მალაელმა ახალგაზრდა მაჰარაჯა ჯამბიმ, სკვით ანაქარსისივით ისურვა მოგზაურობით გაეფართოებინა თავისი განათლება. იგი პინგვინეთს ეწვია და შექმნა საინტერესო მოთხრობა, რომლის პირველ გვერდს ახლა გთავაზობთ:

ოთხმოცდაათდღიანი ცურვის შემდეგ. მე მებრძოლ პინგვინთა ფართო და უდაბურ პორტს მივადექი, დაუმუშავებელი მინდვრები გადავკვეთე და ნანგრევებადქცეული დედაქალაქი ვიხილე. მიწაყრილებით გარშემორტყმული და ყაზარმებითა და არსენალებით სავსე ქალაქი შემართულსა და აკლებულს ჰგავდა. ქუჩებში რაქიტული და დასახიჩრებული ხალხი ძველ უნიფორმებსა და დაჟანგულ იარაღს ამაყად ატარებდა.

— რა გნებავთ? — უხეშად მკითხა ქალაქის კართან მდგარმა ჯარისკაცმა, რომელსაც ულვაში ცისკენ მუქარით აეშვირა.

— ბატონო, — ვუპასუხე მე. — ცნობისმოყვარეობამ მომიყვანა, კუნძულის დათვალიერება მსურს.

— ეს კუნძული არ არის, — შემეპასუხა ჯარისკაცი.

— როგორ! — შევძახე მე. — პინგვინთა კუნძული კუნძული აღარ არის?

— არა, ბატონო, ეს ინსულა[1] გახლავთ, ადრე კუნძული ერქვა, მაგრამ უკვე ერთი საუკუნეა, დეკრეტით ინსულას სახელი მიეკუთვნა. ეს ერთადერთი ინსულა გახლავთ მთელ მსოფლიოში. პასპორტი გაქვთ?

— დიახ.

— წადით, საგარეო ურთიერთობათა სამინისტროში დაამოწმეთ.

კოჭლი მეგზური, გზას რომ მიჩვენებდა, ფართო მოედანზე შეჩერდა.

— ალბათ მოგეხსენებათ, — თქვა მან, — ამ ინსულამ შვა მსოფლიოს უდიდესი გენიოსი, ტრინკო, რომლის ქანდაკებასაც თქვენ წინ ხედავთ; ეს ობელისკი თქვენგან ხელმარჯვნივ რომ დგას, ტრინკოს დაბადების მოსაგონებლად აღმართეს; ხელმარცხნივ, კოლონების თავზე გვირგვინდადგმულ ტრინკოს ხედავთ; ტრიუმფალური თაღი კი, აქედან რომ მოჩანს, ტრინკოსა და მისი ოჯახის სადიდებლად აშენდა.

---

[1]. Insula (ლათ.) — კუნძული

— ასეთი საგანგებო რა ჩაიდინა? — ვკითხე მე.

— იბრძოდა.

— მერე, რას ხედავთ აქ განსაკუთრებულს?! ჩვენ, მალაელები, მუდამ ვიბრძვით.

— შესაძლებელია, მაგრამ ტრინკო ყველა ქვეყნისა და დროის უდიდესი მებრძოლია. მსოფლიოს არ ახსოვს მასზე დიდი დამპყრობელი. როცა ჩვენს პორტში შემოხვედით, აღმოსავლეთით ალბათ შენიშნეთ კონუსისებური ფორმის, საშუალო სიდიდის, ვულკანური წარმოშობის კუნძული, ამპელოფორი; იგი თავისი ღვინოებითაა განთქმული; დასავლეთით კი, მოზრდილ კუნძულს შეამჩნევდით, რომელსაც წყეტიანი კბილების გრძელი რიგი ცისკენ აუშვერია. მას სწორედ „ძაღლის ყბა“ ჰქვია და სპილენძის საბადოებითაა მდიდარი. ტრინკოს ხელისუფლებამდე ორივე კუნძული ჩვენ გვეკუთვნოდა; ჩვენი საზღვარიც იქ გადიოდა. ტრინკომ პინგვინთა ძალაუფლება ფირუზის არქიპელაგზე და მწვანე კონტინენტზე გაავრცელა, პირქუში ზღვის ღორები დაიმორჩილა და თავისი დროშები პოლარულ ყინულებზე და აფრიკული უდაბნოს გავარვარებულ ქვიშებზეც აღმართა. იგი ყველა დაპყრობილ ქვეყანაში აგროვებდა სამხედრო ძალებს და, როცა მისი ჯარები საზეიმო მარშით მიაბიჯებდნენ, ჩვენი მსროლელების, გრენადერების, ჰუსარების, დრაგუნების, არტილერისტებისა და ალალების შემდეგ მოდიოდნენ ლურჯ აბჯარში გამოწყობილი ყვითელი მებრძოლები, რომლებიც კუდებზე შემართულ კიბოებს ჰგავდნენ; თუთიყუშის ფრთებით მორთული წითელი მებრძოლები, რომლებიც მზისა და ნაყოფიერების ნიშნებით მოხატულიყვნენ, ზურგზე კი მოწამლული ისრებით სავსე კაპარჭები ეკიდათ; მხოლოდ საკუთარი კბილებითა და ფრჩხილებით შეიარაღებული სრულიად შიშველი შავი მებრძოლები; წეროებზე შემომსხდარი პიგმეები; ჯოხზე დაყრდნობილი გორილები, რომელთაც წინ მოუძღოდა უხუცესი მამრი, ბანჯგვლიან მკერდზე საპატიო ლეგიონის ჯვარი რომ ეკიდა. და ყველა, ტრინკოს ბაირაღის ქვეშ იყო დარაზმული და მძაფრი პატრიოტიზმით შეპყრობილი მხოლოდ გამარჯვებას ზეიმობდა. ოცდაათი წლის მანძილზე ტრინკომ მსოფლიოს ნახევარი დაიპყრო.

— როგორ? — შევძახე მე. — თქვენ ნახევარ მსოფლიოს ფლობთ?

— ტრინკომ დაიპყრო და ტრინკომვე დაკარგა. იგი ისეთივე ზვიადი იყო დამარცხებისას, როგორც გამარჯვებისას გახლდათ და უკან დააბრუნა ყოველივე, რაც დაიპყრო. მან დაკარგა ის ორი კუნძულიც, ამპელოფორი და ძაღლის ყბა, მანამდე რომ ვფლობდით. ტრინკომ პინგვინეთი გალატაკებული და უკაცრიელი დატოვა. მოსახლეობის საუკეთესო ნაწილი ომებში დაიღუპა. მისი დამხობის შემდეგ ჩვენს სამშობლოში გადარჩნენ მხოლოდ კუზიანები, დღეს, ჩვენი წინაპრები რომ არიან. და მაინც, ტრინკომ დიდება მოგვიტანა.

— ძვირი კი დაგიჯდათ.

— დიდება არასოდეს არ ჯდება ძვირი, — შემეპასუხა გამყოლი.

თავი III

დოქტორ ობნუბილის მოგზაურობა

როცა დასრულდა უმაგალითო ავბედითობანი, რის შესახებაც მოგონებების უმეტესი ნაწილი დროის გამანადგურებელი მოქმედებისა და ისტორიკოსთა ცუდი სტილის გამო დაიკარგა, პინგვინებმა თვითმმართველობა დაამყარეს, რჩეულთა კრება, ანუ სათათბირო დააარსეს და მას სახელმწიფოს მეთაურის არჩევის უფლება მიანიჭეს. სახელმწიფოს მეთაურად ერთი რიგითი პინგვინი აირჩიეს. იგი თავზე არც საშინელი ურჩხულის ბიბილოს ატარებდა და არც შეუზღუდავი უფლებამოსილება ჰქონდა, პირიქით, თავად ემორჩილებოდა ეროვნულ კანონებს. მეფის ტიტული არავის მიუნიჭებია მისთვის და არც რიგითი ნომერი უძღოდა წინ მის სახელს. მეთაურს პატურლ, ჟანვიონ, ტრუფალდენ, კოკანპო ბრედუილი ერქვა. ახალი ხელისუფალნი არ ომობდნენ, საამისოდ მათ მუნდირები არ ჰქონდათ.

ახალ სახელმწიფო წყობას საზოგადო საქმე, ანუ რესპუბ-

ლიკა უწოდეს. მის მომხრეებს რესპუბლიკანისტებს ან რესპუბლიკელებს ეძახდნენ. გარდა ამისა, მათ საქმოსნებს, ხანდახან კი თაღლითებსაც უწოდებდნენ, ოღონდ ეს უკანასკნელი სალანძღავ სახელად ითვლებოდა.

პენგვინთა დემოკრატია თვითდინებას არ გაჰყოლია; იგი ემორჩილებოდა ფინანსურ ოლიგარქიას, რომელიც გაზეთების მეშვეობით საზოგადოებრივ აზრს ქმნიდა, დეპუტატებს, მინისტრებსა და პრეზიდენტს ქცდა ახრევინებდა და რესპუბლიკის ფინანსებსა და საშინაო პოლიტიკას თვითმპყრობლურად განაგებდა.

ამ დროს იმპერიებსა და სამეფოებს უზარმაზარი არმიები და ფლოტები ჰყავდათ; უსაფრთხოების მიზნით პენგვინეთი იძულებული იყო მათ აჰყოლოდა და შეიარაღების სიმძიმე ქვეყანას სულს უხუთავდა. ეს აუცილებლობა ყველას აწუხებდა ან ისეთ სახეს იღებდა, თითქოს აწუხებდა; და მაინც მდიდრები, ვაჭრები და საქმოსნები მას სიამოვნებით ემორჩილებოდნენ პატრიოტიზმის გრძნობის სახელით და იმის გამო რომ ჯარისკაცები და მეზღვაურები თავისი ქონების დასაცავად და ახალი ბაზრებისა და მიწების მოსაპოვებლად სჭირდებოდათ. მსხვილი მრეწველები ზარბაზნებისა და ხომალდების წარმოებას ეროვნული თავდაცვის ინტერესებისა და პირადი შეკვეთის მოსაპოვებლად უჭერდნენ მხარს. საშუალო და თავისუფალი პროფესიის მოქალაქეთა ერთი ნაწილი უდრტვინველად ემორჩილებოდა ამ აუცილებლობას, რადგან თვლიდა, ეს სამუდამოდ გაგრძელდებაო; მეორე ნაწილი მოუთმენლად ელოდა დასასრულს და იმედოვნებდა, მივაღწევთ, ყველა მთავრობამ ერთდროულად მოითხოვოს განიარაღებაო.

ცნობილი პროფესორი ობნუბილი ამ უკანასკნელთა რიცხვს ეკუთვნოდა.

— ომი, — ამბობდა ის, — ბარბაროსობაა, რომელსაც ცივილიზაციის პროგრესი გაანადგურებს. დიდი დემოკრატია მშვიდობისმოყვარეა და მისი სული მალე თვითმპყრობელობასაც გადაეღება.

პროფესორმა ობნუბილმა, რომელიც სამოცი წელი კარჩაკეტილი და მარტოსული ცხოვრობდა თავის ლაბორატორიაში სადაც გარედან ვერავითარი ხმაური ვერ აღწევდა, გადაწყვი-

ტ. პირადად შეეწყალა ხალხის აზრი. თავისი გამოკვლევა მან უველაზე დემოკრატიული ქვეყნიდან დაიწყო და ახალი ატლანტიდისაკენ გაემართა.

თხუთმეტდღიანი ცურვის შემდეგ, ღამით, მისი გემი შევიდა ტრტანპორტის დოკში. სადაც ათასობით გემი იდგა. წყალს ზემოთ ნათურებით გაკაშკაშებული რკინის ხიდი გაჭიმულიყო; ორი სანაპირო კი იმდენად იყო დაშორებული, პროფესორ ობნუბილს ეგონა, სატურნის ზღვებში მიცურავდა და ბებერი პლანეტის ირგვლივ ბრწყინვალე შარავანდედს ეხედავა. ამ უშველებელ ხიდზე მსოფლიო სიმდიდრის მეოთხედზე მეტი გადადიოდა. სწავლული პინგვინი ნაპირზე ჩამოვიდა და დასახლდა ორმოცდარვა სართულიან სასტუმროში, ავტომატური მომსახურება რომ ჰქონდა; შემდეგ ჩაჯდა მატარებელში, რომელმაც იგი გიგანტოპოლისში, ახალი ატლანტიდის დედაქალაქში წაიყვანა. მატარებელში რესტორნები, სათამაშო ოთახები, სავაჭრო მოედნები, კომერციული და ფინანსური დეპეშების გასაგზავნი ბიურო, ევანგელიკური სამლოცველო და დიდი გაზეთის სტამბა იყო; თუმცა გაზეთის წაკითხვა დოქტორს არ შეეძლო, რადგან ახალატლანტელთა ენა არ იცოდა. მატარებლიდან, დიდი მდინარეების სანაპიროებზე გაშენებული სამრეწველო ქალაქები მოჩანდა. მათი ღუმელებიდან ამოსული ბოლი ცას ფარავდა. ეს ქალაქები დღისით შავი და ღამით წითელი გახლდათ და მზის სინათლესაც და წყვდიადშიც ერთნაირად ხმაურობდა.

„ეს ხალხი, — ფიქრობდა დოქტორი. — ზედმეტადაა დაკავებული მრეწველობითა და ვაჭრობით, რათა ომზე იფიქროს. ახლა მჯერა, რომ ახალატლანტელები მშვიდობის პოლიტიკას ემხრობიან. ყველა ეკონომისტი ხომ აქსიომად აღიარებს, საშინაო და საგარეო მშვიდობა აუცილებელია ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებისთვისო“.

გიგანტოპოლისის დათვალიერებამ ეს აზრი უფრო განუმტკიცა. ხალხი ისეთი სისწრაფით მიჭროდა ქუჩებში, რაც გზაზე ხვდებოდა, ყველაფერს აყირავებდა. ობნუბილი რამდენჯერმე გადააკოტრიალეს, შემდეგ ალღო აუღო და ერთი საათის შემდეგ თავად წააქცია ერთი ატლანტი.

დიდ მოედანზე მან კლასიკური სტილით ნაგები სასახლის

პორტიკი დაინახა. კორინთული კოლონები კვარცხლბეკიდან სამოცდაათ მეტრზე აღმართულიყო და აკინთოს ხისებრი კაპიტელებით თავდებოდა.

იმ დროს, როცა ობნუბილს თავი უკან გადაეგდო და სასახლეს გაოგნებული შესცქეროდა, ერთი უბრალო კაცი მიუახლოვდა და პინგვინურ ენაზე ჰკითხა:

— თქვენი ჩაცმულობა მანიშნებს, რომ პინგვინეთიდან ხართ. ვიცი თქვენი ენა, მე თარჯიმანი ვარ. ეს სასახლე პარლამენტია. სწორედ ახლა, იქ სახელმწიფო დეპუტატები თათბირობენ. ხომ არ გსურთ თათბირის დაესწროთ?

დოქტორი ერთ ტრიბუნაზე ავიდა და გადახედა მრავალრიცხოვან კანონმდებელს, სავარძელში რომ ისხდნენ, ფეხები კი პიუპიტრებზე შემოეწყოთ.

თავმჯდომარე წამოდგა და უფრო ჩაილაპარაკა, ვიდრე თქვა სიტყვა, რომელიც სრულიად უყურადღებოდ მიიღეს და რომელიც თარჯიმანმა მაშინვე უთარგმნა დოქტორს.

— მონგოლეთის ბაზრების დასაპყრობად წამოწყებული ომი შტატებისთვის დამაკმაყოფილებლად დასრულდა. წინადადება შემომაქვს, ანგარიში ფინანსურ კომისიას გადავუგზავნოთ...

წინააღმდეგი არის ვინმე?..

წინადადება მიღებულია.

მესამე ზელანდიის ბაზრების დასაპყრობად წამოწყებული ომი შტატებისათვის დამაკმაყოფილებლად დასრულდა. წინადადება შემომაქვს, ანგარიში ფინანსურ კომისიას გადავუგზავნოთ...

წინააღმდეგი არის ვინმე?

„წინადადება მიღებულია“.

— ხომ არ მოძესძა? — იკითხა პროფესორმა ობხუბილძა. — როგორ? ეს მწარმოებელი ერი ამდენ ომს აწარმოებს?

— ცხადია, — უპასუხა თარჯიმანმა. — ეს ხომ სამრეწველო ომებია. იმ ხალხს, რომელსაც არც მრეწველობა აქვს, არც ვაჭრობა, ომები არ სჭირდება; მაგრამ საქმმანი ერი იძულებულია დაპყრობის პოლიტიკას მიმართოს. ომების რაოდენობა ჩვენს მრეწველობასთან ერთად იზრდება. თუ ინდუსტრიის რომელიმე დარგი პროდუქციის გასაღებას ვეღარ შეძ-

ლებს, ომმა უნდა მოუპოვოს ახალი ბაზარი. ასე და ამგვარად, ჩვენ წელს გვქონდა ქვანახშირის ომი, სპილენძის ომი და ბამბის ომი. მესამე ზელანდიაში მოსახლეობის ორი მესამედი გავწყვიტეთ, დანარჩენები კი იძულებულნი გახდნენ, ქოლგები და აჩიმები ჩვენგან შეეძინათ.

ამ დროს მსუქანი მამაკაცი, საკრებულოს შუაში რომ იჯდა, ტრიბუნაზე ავიდა.

— მოვითხოვ, ომი გამოვუცხადოთ ზურმუხტის ქვეყნის მთავრობას, რომელიც ლორისა და ძეხვის ჰეგემონიას მსოფლიო ბაზარზე თავხედურად ედავება ჩვენს ღორებს, — თქვა მან.

— ეს კანონმდებელი ვინ არის? — იკითხა დოქტორმა ობნუბილმა.

— ღორებით ვაჭრობს.

— წინააღმდეგი არავინაა? — იკითხა თავმჯდომარემ. — კენჭი ვუყაროთ.

დეპუტატთა უმეტესობამ ხელი ასწია და ომი ზურმუხტის რესპუბლიკის წინააღმდეგ მიღებულ იქნა.

— როგორ? — შეეკითხა ობნუბილი თარჯიმანს. — ასე ჩქარა და გულგრილად როგორ დაეთანხმეთ ახალი ომის დაწყებას?

— ო! ეს უმნიშვნელო ომია; რვა მილიონი დოლარიც კი არ დაჯდება.

— კი მაგრამ, ხალხი...

— ხალხი ამ რვა მილიონში შედის.

მაშინ დოქტორმა ობნუბილმა თავი ხელებში ჩარგო და გაიფიქრა:

„თუ სიმდიდრე და ცივილიზაცია იმდენივე საომარ მიზეზს შობს, რამდენსაც სიღატაკე და ველურობა, თუ ადამიანის სიგიჟე და სიბოროტე განუკურნავია, მხოლოდ ერთი კეთილი საქმის გაკეთება შეიძლება. ბრძენი დინამიტს შეაგროვებდა და ჩვენს პლანეტას ააფეთქებდა; და როცა იგი სივრცეში ნაწილებად გაიფანტება, სამყარო მცირეოდენ გაუმჯობესდება. ამით დაკმაყოფილდება მსოფლიო სინდისი, რომელიც, სხვათა შორის არც არსებობს“.

წიგნი მეხუთე

ახალი ხანა — შატილიონი

თავი I

ღირსი მამები აბარიკი და კორნელიშუზი

ყოველგვარი რეჟიმი უკმაყოფილებას წარმოშობს. რესპუბლიკით, ანუ საზოგადოებრივი საქმით უკმაყოფილო, უპირველეს ყოვლისა, არისტოკრატია გახლდათ. მან წარსული უპირატესობა დაკარგა და ახლა სინანულითა და იმედით სავსე მზერა მიაპყრო დრაკონიდების უკანასკნელ წარმომადგენელს, პრინც კრუშოს, რომელსაც ახალგაზრდობა და გაძევებულის მწარე ხვედრი მიმზიდველს ხდიდა. უკმაყოფილებამ დაისადგურა წვრილ ვაჭრებშიც, ღრმა ეკონომიკური მიზეზების გამო სარჩოს რომ ვეღარ შოულობდნენ. ისინი ამას რესპუბლიკას აბრალებდნენ; სწორედ იმ რესპუბლიკას, ადრე რომ აღმერთებდნენ და ახლა დღითიდღე შორდებოდნენ.

როგორც ქრისტიანი, ისე ებრაელი ფინანსისტები თავისი თავხედობითა და სიძუნწით რეჟიმის სამარცხვინო ლაქად და ქვეყნის ჭირად გადაიქცნენ, რადგან ძარცვავდნენ და ამცირებდნენ მას. ისინი არც რეჟიმის შენარჩუნებას ცდილობდნენ და არც გაუქმებას; სწამდათ, ნებისმიერი მმართველობის ჟამს ჩვენს ჭკუაზე ვიბოგინებთო. მათი სიმპათია კი ყველაზე შეუზღუდავ მმართველობას ეხმარებოდა და მას სოციალისტების, მათი სუსტი, მაგრამ მგზნებარე მოწინააღმდეგეებისაკენ მიმართულ საუკეთესო იარაღად თვლიდნენ. როგორც კი

არისტოკრატიის ზნე-ჩვეულებები გადმოიღეს, მათი რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებებიც გაითავისეს; ხოლო მათ პატივმოყვარე და ქარაფშუტა ცოლებს განსაკუთრებით უყვარდათ პრინცი და სამეფო კარზე მოხვედრაზე ოცნებობდნენ.

და მაინც, რესპუბლიკას მომხრეები და დამცველები ჰყავდა. მოხელეების ერთგულება ჩრადაც არ ღირდა, მაგრამ მუშათა ერთგულება იყო მყარი საძირკველი; მუშების გაჭირვება მას არ შეუმსუბუქებია, მაგრამ გაჭირვების ჟამს ისინი ბრბოდ გამოდიოდნენ საბადოებიდან მის დასაცავად და ქუჩაში ფერმკრთალი, შავი და პირქუში ხალხის გრძელი რიგი იქმებოდა. მუშები მზად იყვნენ, თავი დაედოთ მისთვის; რესპუბლიკამ მათ იმედი გაუღვიძა.

თეოდორ ფორმოზის მმართველობის ჟამს ქალაქ ალკის მშვიდ გარეუბანში ცხოვრობდა ბერი აგარიკი, რომელიც ბავშვებს წვრთნიდა და მაჭანკლობდა. თავის სკოლაში უძველეს ოჯახთა ცნობილი წარმომავლობის ვაჟიშვილებს, რომელთაც აღარც ძველი დიდება ჰქონდათ და არც ქონება. იგი ღვთისმეტყველებას, ფარიკაობასა და ცხენზე ჯდომას ასწავლიდა. როცა ასაკი მოუვიდოდათ, საძულველი კაპიტალისტების მდიდარ ქალიშვილებზე აჭორწინებდა.

მაღალი, გამხდარი, შავგვრემანი აგარიკი, ლოცვანთ ხელდამშვენებული, მუდამ შეფიქრიანებული და საზრუნავით შუბლდაღარული, სკოლის დერეფნებსა და ბოსტნის ბილიკებზე შეუსვენებლივ დასეირნობდა. მის საზრუნავს მხოლოდ ის როდი შეადგენდა, თავისი მოსწავლეებისათვის იდუმალი დოქტრინები და მექანიკური წესები ესწავლებინა და შემდეგ მდიდარი ცოლები ეშოვა. მას პოლიტიკური ხასიათის ჩანაფიქრი ჰქონდა და გიგანტური გეგმის განხორციელებას ცდილობდა. აგარიკის ნანატრი ოცნება და საქმიანობის არსი რესპუბლიკის დაქცევა იყო. მას პირადი ინტერესი არ ამოძრავებდა. დემოკრატიულ სახელმწიფოს იგი წმინდა ეკლესიის მტრად მიიჩნევდა, ამ უკანასკნელს კი სულით ხორცამდე ეკუთვნოდა. ყველა მისი მოძმე ბერი ასევე ფიქრობდა. რესპუბლიკა ხომ ბერთა კონგრეგაციას და მორწმუნეთა საძმოს ებრძვის მუდამ. ახალი რეჟიმის დამხობა უეჭველად რთული და

სახიფათო საქმე იყო. ყოველ შემთხვევაში აგარიკს ნამდვილად შეეძლო საზარელი შეთქმულების მოწყობა. ამ ეპოქაში სასულიერო წოდება პინგვინთა საზოგადოების უმაღლეს ფენებს ხელმძღვანელობდა და ბერს ალკას არისტოკრატიაზე დიდი გავლენა ჰქონდა.

მისი აღზრდილი ახალგაზრდობა შესაფერის დროს უცდიდა, რომ სახალხო ხელისუფლების წინააღმდეგ გაელაშქრა. უძველეს გვართა ნაშიერებს არც ხელოვნება აინტერესებდათ, არც ვაჭრობა. თითქმის ყველა მათგანი სამხედრო გახლდათ და რესპუბლიკას ემსახურებოდა. და თუმცა ემსახურებოდნენ, არ უყვარდათ იგი და დრაკონის ბიბილოს მისტიროდნენ. მომხიბვლელი ებრაელი ქალები მათ სინანულს იზიარებდნენ, რათა ღირსეულ ქრისტიანთა სახელი გავარდნოდათ.

იელისის ერთ დღეს, აგარიკი მიდიოდა გარეუბნის ქუჩაზე, რომელიც მტვრიან მდელოზე თავდებოდა და მებაღეების მიტოვებული, ხავსმოდებული ჭიდან კვნესა გაიგონა. თითქმის მაშინვე, მახლობლად მცხოვრები მეწაღისაგან გაიგო, რომ ერთმა ღარიბულად ჩაცმულმა კაცმა „გაუმარჯოს რესპუბლიკას!“ დაიძახა. გამვლელმა კავალერიის ოფიცრებმა მაშინვე ჭაში გადაუძახეს, სადაც იგი შლამმა დაფარა. აგარიკმა ამ ერთეულ შემთხვევას სიამოვნებით მიანიჭა საზოგადოებრივი მნიშვნელობა და გადაწყვიტა, არისტოკრატთა და სამხედროთა ფენა გამოფხიზლდა და მოქმედების დრო დადგაო.

მეორე დღესვე, კეთილი მამა კორნემუზის სანახავად, კონილის ტყეს მიაშურა. ეს სულიერი მამა, აგარიკმა იპოვა თავის ლაბორატორიაში, სადაც გამოსახდელ ქვაბში იგი ოქროსფერ ლიქიორს აყენებდა.

პატარა, მსუქან კაცუნას, კორნემუზს, ღაჟღაჟა პირისახე და ზედმიწევნით გაპრიალებული თავის ქალა ჰქონდა. თეთრი კურდღლის მსგავს თვალებში ძოწის გუგები მოსჩანდა. იგი თავაზიანად მიესალმა სტუმარს და პატარა ჭიქით წმინდა ობრეროზას ლიქიორი შესთავაზა. ამ სასმელს ბერი თავად ამზადებდა და მისი გაყიდვით უზარმაზარი სიმდიდრე შეიძინა.

აგარიკმა ხელის გაქნევით უარყო სასმელი. შემდეგ თავის გრძელ ფეხებზე მყარად დადგა, მუცელზე მელანქოლიური ქუდი მიიკრა და კვლავ დადუმდა.

— იქნებ ინებოთ და დაბრძანდეთ, — უთხრა კორნემუზმა.

აგარიკი მორყეულ სკამზე ჩამოჯდა და დამუნჯდა.

მაშინ, კონილის ბერმა თავად წამოიწყო საუბარი:

— თქვენს ახალგაზრდა მოსწავლეებზე მიამბეთ რამე. კეთილი ზრახვები თუ უტრიალებთ თავში?

— ძალიან კმაყოფილი ვარ, — უპასუხა მოძღვარმა. — მთავარია, მყარი პრინციპები ჰქონდეთ. სანამ აზროვნებას დაიწყებ, ჯანსაღი განსჯა უნდა შეგეძლოს. მერე გვიან იქნება... ჩემ ირგვლივ ბევრ დამამშვიდებელ ნიშანს ვხედავ. და მაინც, ჩვენ სევდიან ეპოქაში ვცხოვრობთ.

— ასეა! — ამოიოხრა კორნემუზმა.

— მძიმე დღეები დაგვიდგა...

— გამოცდის ჟამი.

— და მაინც, კორნემუზ, ხალხის სული არც ისე შერყვნილია, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

— შესაძლებელია.

— ხალხი დაღალა ამ მთავრობამ, რომელიც არბევს და არაფერს უკეთებს მას. ყოველ ცისმარე დღეს ახალი შფოთი ხდება. რესპუბლიკა სირცხვილში იხრჩობა. იგი განწირულია.

— ღმერთმა გისმინოთ!

— კორნემუზ, პრინც კრუშოზე რა აზრისა ხართ?

— სასიამოვნო ახალგაზრდა კაცია; გავბედავ და ვიტყვი, სამეფო ოჯახის ღირსეული შთამომავალი მგონია. სამწუხაროა რომ ასე ადრეულ ასაკში მოუწია განდევნის ტკივილის შეცნობა. განდევნილისათვის ყვავილები არ ყვავის გაზაფხულზე, შემოდგომაზე კი ხილი არ მწიფს. პრინც კრუშოს კარგი შეხედულებები აქვს. იგი სამღვდელოებას პატივს სცემს, რელიგიურ წესებს იცავს და ჩემს პროდუქციას დიდი რაოდენობით ყიდულობს.

— კორნემუზ, ბევრი მდიდარი და ღარიბი ოჯახი ნატრობს მის დაბრუნებას. მერწმუნეთ, ის დაბრუნდება!

— ნეტა იმ დროს მოვესწრო, რათა ჩემი მოსასხამი ფეხქვეშ გავუშალო, — ამოიოხრა კორნემუზმა.

როცა მისი თანამდგომლობა შეჰპირდა, აგარიკმა საზოგადოებრივი აზრი სწორედ ისეთად წარმოუდგინა, როგორც თავად ესახებოდა. მან უამბო, არისტოკრატები და მღვდლები დემოკრატიული რეჟიმით აღშფოთებულნი არიან. არმიას ახალი დამცირების ატანა არ სურს, მოსამსახურენი ღალატისათვის ემზადებიან, ხალხი უკმაყოფილოა, ამბოხება მწიფდება და ეკლესიის მტრებსა და ხელისუფალთა მომხრეებს ალყას ჭებში ყრიანო. დასასრულს განაცხადა, გაბედული მოქმედების ჟამი დადგაო.

— ჩვენ შეგვიძლია პინგვინთა ერის გადარჩენა, — შესძახა მან. — ჩვენ შეგვიძლია იგი ტირანიისა და საკუთარი თავისაგან ვიხსნათ და რელიგიის პატივსაცემად თუ ეკლესიის სადიდებლად დრაკონთა ბიბილო და ძველი, საუკეთესო სახელმწიფოებრივი წყობა აღვადგინოთ. დიახ, შეგვიძლია, თუკი მოვინდომებთ. დიდი სიმდიდრე და საიდუმლო გავლენა გვაქვს. მრისხანე და მგზნებარე გაზეთებით ვუკავშირდებით ქალაქებისა და სოფლების სასულიერო წოდებას; გადავცემთ ენთუზიაზმს, ჩვენ რომ გვავსებს, და რწმენას, სულით ხორცამდე რომ ვეკუთვნით. ისინი კი მომნანიებლებსა და მორწმუნეებს აღანთებენ. არმიის უმაღლესი სარდლობა შემზადებული მყავს; ხალხთანაც მაქვს ურთიერთობა; თავადაც არ იციან, ისე ვხელმძღვანელობ ქოლგების გამყიდველებს, მიკიტნებს, სიახლეების გამავრცელებლებს, გაზეთის დამტარებლებს, მსუბუქი ყოფაქცევის ქალბატონებს და პოლიციის აგენტებს. ჩვენ უფრო მეტი ხალხი გვყავს, ვიდრე გვჭირდება. მაშ, რაღას ველოდოთ? სჯობს, ვიმოქმედოთ!

— რას აპირებთ? — შეეკითხა კორნემუზი.

— დიდ შეთქმულებას ვაწყობ. რესპუბლიკის დამხობასა და დრაკონიდების ტახტზე კრუშოს აყვანას ვაპირებ.

კორნემუზმა ტუჩები რამდენჯერმე გაილოკა. შემდეგ შეპარავად თქვა:

— ცხადია, დრაკონიდების აღდგენა სასურველია და ფრიად სასურველიც, რასაც ჩემის მხრივ, მთელი გულით ვინდომებდი. რაც შეეხება რესპუბლიკას, თქვენ ჩემი აზრი კარგად მოგეხსენებათ... იქნებ უკეთესია, ნებაზე მივუშვათ და თავისივე მმართველობის მანკიერებამ მოუღოს ბოლო!

თქვენი გეგმა, ძვირფასო აგარიკ. უეჭველად ღირსეული და დიდებულია. ამ დიდი და უბედური ქვეყნის გადარჩენა და მ-სი წარსული სიდიადის აღდგენა ნაშვენარი საქმეა. მაგრამ დაფიქრდით: ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ პოლიტიკური წამოწყებით არ შევლახოთ რელიგი-ს სახელი.

აგარიკი სწრაფად შეეპასუხა:

— ნუ გეშინიათ. შეთქმულების ყველა ძაფი ხელში გვაქნება, თავად კი ჩრდილში დავრჩებით. ჩვენ არ გამოვჩნდებით.

— როგორც ბუზი რძეში, — ჩაიბუტბუტა კონილის ბერმა. შემდეგ ეშმაკური ძოწისფერი გუგებით მეგობარს გახედა და თქვა:

— ფრთხილად, მეგობარო. რესპუბლიკა შეიძლება უფრო ძლიერი აღმოჩნდეს, ვიდრე თავს აჩენს. შეიძლება გავაძლიეროთ კიდეც, თუ გამოვაფხიზლებთ იმ დუნე სიმშვიდისაგან. რასაც ახლა მოუცავს. იგი ძალიან ღვარძლიანია; თუ დავესხმებით, თავს დაიცავს. ახლა ცუდ კანონებს გამოსცემს, მაგრამ ჩვენთვის უვნებელია; ხოლო თუ შეშინდა, ჩვენ წინააღმდეგ მიმართავს საშინელ კანონს. ასე ქარაფშუტულად ნუ გავერევით იმ საქმეში, რომელშიც ჩვენვე შეიძლება თავი წავაგოთ. თქვენ ამბობთ, ხელსაყრელი ვითარება შეიქმნაო, მე კი არ მჯერა და იმასაც მოგახსენებთ, რატომ. ახლანდელი მმართველობის ფორმა ყველასათვის არაა ცნობილი ან, თუ გნებავთ ყველასთვის უცნობია. ის კი ამტკიცებს, საერთო, სახალხო ინტერესებს ვიცავო. ხალხს სჯერა და კვლავ დემოკრატად და რესპუბლიკელად რჩება. მაგრამ მოითმინეთ! ერთ მშვენიერ დღეს იგივე ხალხი მოითხოვს, რომ სახალხო საქმე ნამდვილად გადაიქცეს ხალხის საქმედ. ვგონებ, არ საჭიროებს ახსნას, რა კაძნიერად, ზნედაცემულად და წმინდა წერილის პოლიტიკური იდეალების მტრად მიმაჩნია ასეთი პრეტენზია. მაგრამ ხალხს ექნება იგი და წარმოადგენს კიდეც. მაშინ მმართველობის ახლანდელ ფორმას ბოლო მოეღება. ეს დროც მალე დადგება. სწორედ მაშინ უნდა ვიმოქმედოთ და ჩვენი წმიდათა წმიდა საძმოს ინტერესები დავიცვათ. მოვიცადოთ! რა გვეჩქარება? ჩვენს არსებობას საფრთხე არ ემუქრება და არც ცხოვრება გვაქვს გაუსაძლისი.

მართალია, რესპუბლიკა პატივისცემასა და მორჩილებას არ გვიცხადებს და არც სამღვდელოებას მიაგებს სასურველ პატივს, მაგრამ ცხოვრების საშუალებას გვაძლევს. ჩვენი მდგომარეობის უპირატესობაც ხომ ის არის, რომ ცხოვრება ჩვენთვის განცხრომას ნიშნავს. სახალხო საქმე გვემტერება, მაგრამ ქალები გვცემენ პატივს; პრეზიდენტი ფორმოზი ჩვენს წირვა-ლოცვას არ ესწრება, მაგრამ მისი ცოლი და ქალიშვილები მუხლმოყრილი ხშირად მიხილავს. ჩემს სასმელს ისინი ბეთუმად იძენენ. უკეთესი მუშტარი არისტოკრატიაშიც არა მყავს. უმჯობესია, ვაღიაროთ: სამღვდელოებისათვის პინგვინეთზე უკეთესი ქვეყანა მსოფლიოში არ არის. სხვაგან სად შეეძლებდით ასე დიდი რაოდენობითა და დიდი ფასით გაგეყიდა წმინდა სანთლები, საკმეველი, კრიალოსნები, ავგაროზები, აიაზმა და წმინდა ობრეროზას ლიქიორი? პინგვინების გარდა ვინ გადაიხდიდა ას ოქროს, რათა ჩვენთვის მოესმინა და ხელის აქნევა ან ბაგეთა მოძრაობა ეხილა. მე სურნელოვანი ბალახიდან ესენციას ვიღებ და ამ ჩვენს წყნარ, ერთგულ და მორჩილ პინგვინეთში, ასჯერ უფრო მეტი შემოსავალი მაქვს, ვიდრე ევროპისა და ამერიკის მჭიდროდ დასახლებულ ქვეყნებში მექნებოდა, თუნდაც ორმოცი წელი მექადაგა და ცოდვები შემენდო. ვითომ უფრო ბედნიერი გახდება პინგვინეთი, თუ პოლიციის კომისარი აჭაურობას მომაშორებს, გემში ჩამსვამს და ღამის კუნძულებზე გამგზავნის?

ამის თქმაზე კონილის ბერი წამოდგა, თავისი სტუმარი ფართო ფარდულში წაიყვანა და აჩვენა ლურჯ სამოსში გამოწყობილი ასობით ობოლი, ბოთლებს რომ ფუთავდნენ, ყუთებს ჭედავდნენ და ეტიკეტებს აწებებდნენ. ირგვლივ ჩაქუჩის კაკუნისა და მოძრავი, სავსე ყუთების გამაყრუებელი ხმაური იდგა.

— აი, აქედან ვაგზავნით, — თქვა კორნემუზმა. — მთავრობამ ტყეში რკინიგზის ხაზი გაიყვანა და სახლის კართან პატარა სადგური ამიშენა. ყოველდღე სამ ვაგონს ვტვირთავ ჩემი ნაწარმით. როგორც ხედავთ, რესპუბლიკას არ ჩაუკლავს რწმენა.

აგარიკმა უკანასკნელად სცადა ბრძენი მეღვინეს აყოლიე-

ბა. მან თავისი წამოწყების, სწრაფი, უცილობელი და ბრწყინვალე გამარჯვება დაასაბუთა.

— ნუთუ არ გინდათ, ხელი შეუწყოთ, — დაამატა მან. — ნუთუ არ გსურთ, მეფის განდევნას ბოლო მოუღოთ?

— კეთილი ნების ადამიანთათვის განდევნა არ არის მძიმე, — შეესიტყვა კონილის ბერი. — თუ ყურად იღებთ ჩემს რჩევას, ძვირფასო ძმაო აგარიკ, უცილობლად გადასდებთ თქვენს წამოწყებას. პირადად მე ილუზიები აღარ მაწუხებს. ვიცი, რაც მელის. მივიღებ თუ არ მივიღებ მონაწილეობას თქვენს წამოწყებაში, თუკი დამარცხდით, მეც თქვენსავით ვაგებ პასუხს.

მამა აგარიკი მეგობარს დაემშვიდობა და თავის სკოლაში კმაყოფილი დაბრუნდა. რახან კორნემუზს შეთქმულებისათვის ხელის შეშლა არ შეუძლია, მის გამარჯვებას ისურვებს და ფულსაც მოგვცემსო, ფიქრობდა. აგარიკი არც შემცდარა. მღვდელთა და ბერთა სოლიდარობა მართლაც ასეთია; ერთის საქციელი დანარჩენებსაც თანამზრახველობაში სდებს ბრალს. ამაშია მათი ძალაცა და სისუსტეც.

თავი II

პრინცი კრუშო

აგარიკმა გადაწყვიტა მაშინვე ენახა პრინცი კრუშო, რომელიც მას თავის სიახლოვის ღირსად ჰყოფდა. შეღამებისას ხარების ვაჭრის ტანსაცმელში გადაცმული ბერი პატარა კარით სკოლიდან გავიდა და გემ „წმინდა მაელში“ ჩაჯდა.

მეორე დღეს უკვე ზღვის ღორთა სამფლობელოში იყო. განდევნილის მწარე ლუკმას კრუშო სწორედ ამ სტუმართმოყვარე ქვეყნის ციტერლინგის ციხესიმაგრეში მიირთმევდა.

აგარიკი მას გზაზე შეხვდა. პრინცი ორ ქალიშვილთან ერთად ავტომობილში იჯდა და საათში ას ორმოცდაათი კილომეტრი სიჩქარით მიქროდა. ამის დანახვაზე ბერმა თავისი წითელი ქოლგა ააქნია და უფლისწულმაც მანქანა გააჩერა.

— ეს თქვენა ხართ, აგარიკ? მოდით, ჩაჯექით თუმცა

ისეც სამნი ვართ, ცოტას კიდევ შევეწროვდებით. ერთი ქალიშვილი კალთაში ჩაისვით.

ღირსი აგარიკი მანქანაში ჩაჯდა.

— ახალს რას მეტყვით, მამაო? — ჰკითხა ახალგაზრდა პრინცმა.

— დიდი ამბებია, — უპასუხა აგარიკმა. — შეიძლება ვლაპარაკო?

— შეიძლება. ამ ქალიშვილებთან არაფერი მაქვს დასამალი.

— მეუფეო, პინგვინეთი გიხმობთ. ყურად იღეთ ღაღადი მისი.

აგარიკმა მას ხალხის აზრი მოახსენა და ფართო შეთქმულების გეგმა დასახა.

— ჩემს პირველსავე ნიშანზე, — თქვა მან. — თქვენი მომხრეები ერთსულოვნად აღსდგებიან. ერთგული სულიერი მამები ანაფორის კალთებს აიკრეფენ, ჯვარს აიღებენ ხელში და შეიარაღებულ ბრბოს ფორმოზის სასახლისაკენ წარუძღვებიან. თქვენს მტრებს შორის შიშსა და სიკვდილს დავთესავთ. გულმოდგინების საფასურად კი მხოლოდ ერთსა გთხოვთ; მეუფეო, უკვალოდ ნუ ჩაიელის ჩვენი შრომა. გემუდარებით, დაიკავეთ ტახტი, თქვენთვის რომ მოვამზადეთ.

პრინცმა უბრალოდ უპასუხა:

— მწყანე ცხენით შემოვალ ალკაში.

აგარიკმა ყრუდ იღო ეს ვაკკაცური პასუხი და, თუმცა მუხლებზე ახალგაზრდა ქალიშვილი ეჯდა, რაც ჩვეულად სულაც არ ჰქონდა, მაინც აღტყინებული შეემუდარა ახალგაზრდა უფლისწულს, თქვენი სამეფო მოვალეობის ერთგული დარჩითო.

— მეუფეო, — შესძახა მან და თვალზე ცრემლი მოადგა. — ერთ დღეს გაიხსენებთ, რომ ბერებმა მოუღეს ბოლო თქვენს განდეგილობას, თქვენი თავი ერს დაუბრუნეს, წინაპართა ტახტზე აგიყვანეს და თქვენს თავზე დრაკონთა ბიბილო აკურთხეს. მეუფეო კრუშო, დაე, თქვენი წინაპრის, დრაკო დიდის დიდება მოგეპოვებინოთ.

ახალგაზრდა პრინცი თავის უფლებათა აღმდგენელს მოსახვევამდე მიეტანა, მაგრამ ამ ისტორიულ მანქანაში ისეთი

სიეიწროვე იყო, აგარიკთან მისასვლელად მას ორი ქალიშვილი უნდა გადაელახა.

— ღირსო მამაო, — შესძახა მან. — მე ვისურვებდი მთელი პინგვინეთი ყოფილიყო ჩვენი ჩაკონების მოწმე.

— გამამხნევებელი სანახაობა იქნებოდა, — თქვა აგარიკმა.

ამასობაში, ავტომანქანა ქალაქებსა და სოფლებში ქარიშხალივით მიქროდა და ქათქებს, ბატებს, ინდაურებს, იხვებს, ციცრებს, კატებს, ძაღლებს, ღორებს, ბავშვებს, გლეხებსა და გლეხის ქალებს უმოწყალოდ სრესდა.

ღირს აგარიკს ამ დროს თავში დიდი გეგმები უტრიალებდა. ქალიშვილთა მიღმა მისი ხმა გაისმა და შემდეგი აზრი გამოთქვა:

— ფული დაგვჭირდება, ბევრი ფული.

— ეს თქვენი საქმეა, — უპასუხა პრინცმა.

ამასობაში პარკის ალაყაფის კარი ამ საშინელი ავტომობილისათვის უკვე გაიღო.

სადილი ბრწყინვალე იყო და დრაკონის ბიბილოს სადღეგრძელო შეისვა. ყველამ იცის, რომ დახურული თასი უმაღლესი ხელისუფლების ნიშანია, ამიტომ პრინცი კრუშო და მისი მეუღლე გუდრუნი სანაწილესავით დახურული თასებიდან სვამდნენ ღვინოს. უფლისწულმა რამდენჯერმე შეავსო თავისი სასმისი წითელი და თეთრი პინგვინური ღვინით.

კრუშომ ჭეშმარიტად სამეფო აღზრდა მიიღო. მან შესანიშნავად იცოდა ავტომობილის მართვა და ცოტა ისტორიაშიც ერკვეოდა. ამბობდნენ, თავის ოჯახის წარსული ბრწყინვალების ისტორია შესანიშნავად იცისო. მართლაც, სადილის ბოლოს კრუშომ ნამდვილად დაამტკიცა თავისი განსწავლულობა. საუბარი დიდებულ ქალთა ზოგიერთ უცნაურობას შეეხო.

— ცნობილია, — თქვა მან. — რომ დედოფალ კრუშას, ვის სახელსაც მე ვატარებ ჰიპქვეშ მაიმუნის პატარა თავი ეკიდა.

იმავე საღამოს აგარიკსა და პრინცის სამ უხუცეს მრჩეველს შორის გადამწყვეტი მოლაპარაკება შედგა. მათ დაადგინეს, ფული ეთხოვათ კრუშოს სიმამრისთვის, რომელსაც სურდა სიძე მეფედ ეხილა, ებრაელი ქალბატონებისათვის, არისტოკრატიის რიგებში შეპრის სურვილით რომ იწვოდნენ და

ზღვის ღორღთა უფლისწულ-რეგენტისათვის, დრაკონიდებს დახმარებას რომ ჰპირდებოდა, რადგან იმედოვნებდა, კრუშოს აღდგენა ჩემი ქვეყნის უძველეს მტრებს, პინგვინებს დაასუსტებსო.

სამმა უხუცესმა მრჩეველმა კამერჰერის, სენეშალისა და ეკონომის სამი უმთავრესი თანამდებობა ერთმანეთში გაიყო და ბერებს ნება დართო დანარჩენი ადგილები, პრინცის ინტერესების გათვალისწინებით, თავად გაენაწილებინათ.

— ერთგულებისათვის ყველას უნდა მოეზღოს, — განაცხადა სამმა მრჩეველმა.

— ღალატისთვისაც, — თქვა აგარიკმა.

— პეშმარიტად, — უპასუხა ერთმა მათგანმა, მარკიზმა დე სეპლემ, რომელსაც რევოლუციის საკითხში გამოცდილება ჰქონდა.

ამის შემდეგ ცეკვები გახურდა. მეჯლისის დასასრულს დედოფალმა გუდრუნამ თავისი მწვანე კაბა დახია და კოკარდები გააკეთა. ქალმა თავისი ხელით მიამაგრა მწვანე ქსოვილის ნაჭერი მკერდზე გულაჩუყებულ ბერს, მადლიერების ცრემლი რომ გადმოსცვივდა.

იმავე საღამოს პრინცის მეჯინიბეთუხუცესი დე პლუმი მწვანე ცხენის საძებნელად გაეშურა.

თავი III

საიდუმლო თათბირი

პინგვინეთის დედაქალაქში დაბრუნებულმა ღირსმა მამა აგარიკმა თავისი პროექტი თავად ადელსტან დე ბოსენოს გაუზიარა, რადგან ამ უკანასკნელის სიმპათია დრაკონიდებისადმი კარგად მოეხსენებოდა.

თავადი უმაღლესი არისტოკრატიის ფენას ეკუთვნოდა. ტორტიკოლ დე ბოსენოს გვარი ბრიან ნეტარისაგან იწყებოდა. მათ, დრაკონიდების მეფობის ჟამს, სამეფოს უმაღლესი თანამდებობები ეკავათ. 1179 წელს პინგვინეთის მთავარმა ადმირალმა, მამაცმა, ერთგულმა, დიდსულოვანმა, მაგრამ

შურისმაძიებელმა ფილიპ ტორტაკოლმა, ლა კრიკის პორტი და პინგვინეთის ფლოტი მხოლოდ იმიტომ დაუთმო სამეფოს მტრებს, რომ ეპვობდა, დედოფალი კრუშა, რომლის საყვარელიც გახლდათ, მეკინიბესთან მღალატობსო. სწორედ ამ დიდმა დედოფალმა აჩუქა დე ბოსენოთა გვარს მათ გერბზე გამოსახული ვერცხლის სათბურა. მათი დევიზი XVI საუკუნიდან მოდის; მისი წარმოშობის ისტორია კი ასეთი გახლავთ: ერთ დღესასწაულზე, ღამით, ჰერცოგი ჟან დე ბოსენო გაერია კარისკაცთა ბრბოში, რომელიც სამეფო ბაღში დასეირნობდა და ფეიერვერკით ტკბებოდა; იგი ჰერცოგის მეუღლე სკულს მიუახლოვდა და ხელი ქვედატანქვეშ შეუცურა ქალბატონს, რომელიც სულაც არ განაწყენებულა. ამ დროს მეფემ ჩაიარა, მათ თავს წაადგა და მხოლოდ ერთი ფრაზა თქვა: „აი, ასე პოულობენ ერთმანეთს". ამის შემდეგ, ეს ოთხი სიტყვა დე ბოსენოთა საგვარეულო დევიზად იქცა.

თავადი ადელსტანი არაფრით ჩამორჩებოდა თავის წინაპრებს. დრაკონიდების გვართან მას ურყეული ერთგულება აკავშირებდა და არაფერი სურდა პრინც კრუშოს ტახტზე ხილვის გარდა. ეს, მისი აზრით, დარბეული ქონების აღდგენის ნიშანი იქნებოდა. ამგვარად, ღირსი მამა აგარიკის გეგმებს დე ბოსენო თანაგრძნობით მოეკიდა. თავადმა მაშინვე გაიზიარა ბერის ზრახვები და შეეცადა, იგი თავის ნაცნობ, ყველაზე მგზნებარე და ერთგულ როიალისტებთან, გრაფ კლენასთან, ბატონ დე ლა ტრუმელთან, ვიკონტ ოლივეთან და ბატონ ბიგურთან დაეკავშირებინა. ერთ ღამეს ისინი ალკას აღმოსავლეთით ორ ლიეზე მდებარე ჰერცოგ დ'ამპულის აგარაკზე შეიკრიბნენ და გზები და საშუალებები განიხილეს.

ბატონმა დე ლა ტრუმელმა კანონიერ მოქმედებას დაუჭირა მხარი.

— კანონიერების საზღვრებს არ უნდა გადავცდეთ, — მოკლედ მოსჭრა მან. — ჩვენ წესრიგს ვემხრობით. შეუსვენებელი პროპაგანდა გახლავთ ის საშუალება, რომლითაც ჩვენს იმედებს განვახორციელებთ. საზოგადოებრივი აზრი უნდა შეიცვალოს. ჩვენ გავიმარჯვებთ, რადგან სამართლიანია საქმე ჩვენი.

თავადმა დე ბოსენომ საწინააღმდეგო აზრი გამოთქვა იგი

ფიქრობდა, სამართლიან საქმეს გამარჯვებისათვის ახლენიეე ან უფრო მეტი ძალა სჭირდება, ვიდრე უსამართლოსო.

— შექმნილ გარემოებაში, — მშვიდად თქვა მან, — საჭი საშუალება უნდა გამოვიყენოთ: ყასბები გადმოვიბიროთ, ძირისტრები მოვისყიდოთ და პრეზიდენტი ფორმოზი დავაპატიმროთ.

— პრეზიდენტის დაპატიმრება შეცდომა იქნება, — შეეპასუხა ბატონი დე ლა ტრუმელი. — პრეზიდენტი მხარს გვიჭერს.

ამ წინააღმდეგობას — ერთმა დრაკოფილმა, პრეზიდენტის ხელყოფა რომ მოითხოვა, ხოლო მეორემ მეგობრად გამოაცხადა იგი, — საზოგადოებრივი საქმის მეთაურის ქცევა და გრძნობები განაპირობებდა. ფორმოზი პატივს სცემდა როიალისტებს, ქედს იხრიდა და მათ მანერებს ბაძავდა. მაგრამ, როგორც კი დრაკონის ბიბილოზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, მხოლოდ მაშინ იღიმებოდა, როცა ფიქრობდა, რა კარგი იქნება იგი საკუთარ თავზე დავიდგაო. შეუზღუდავი მმართველობა მისი სანუკვარი ოცნება გახლდათ; განა ეგონა, მმართველობა შემიძლიაო, არა, დიდება უყვარდა. და როგორც ერთი პენგვინეთელი მემატიანეს მძაფრი გამოთქმა ბრძანებს, „ნამდვილი ინდაური იყო“.

თავადი დე ბოსენო დაჟინებით მოითხოვდა, ფორმოზის სასახლეს და დეპუტატთა პალატას თავს შეიარაღებულნი დავესხათო.

გრაფი კლენა უფრო ენერგიული ზომების მიღებას ითხოვდა.

— დასაწყისისათვის, — თქვა მან. — რესპუბლიკელები და მთავრობის მომხრეები მოვაშოთოთ, ყელი გამოვღადროთ, გამოვფატროთ. დანარჩენს დრო გვიჩვენებს.

ბატონი დე ლა ტრუმელი ზომიერი კაცი იყო. ზომიერები კი ძალმომრეობას მუდამ ზომიერად ეწინააღმდეგებიან. მან განაცხადა, გრაფ კლენას პოლიტიკა დიდსულოვანი და ღირსეული გრძნობებით გახლდათ შთაგონებულიო, მაგრამ იქვე ფრთხილად აღნიშნა, რომ ეს პოლიტიკა მათ პრინციპებს არ ეთანხმებოდა და ვინ იცის, საფრთხესაც უქმნიდა. ბოლოს შესთავაზა, სახალხოდ განეცხადათ იგი.

— სახელო მოწოდება დავწეროო, — თქვა მან. — ხალხს გავაგებინოთ, ვინ ვართ. პირადად მე, გარწმუნებთ, ჩემს რწმენას არ დავმალავ.

ბატონმა ბიგურმა სიტყვა აიღო:

— ბატონებო, — თქვა მან. — პინგვინები ახალი წყობით უკმაყოფილონი არიან, რადგან სარგებლობენ ამ წყობით; ადამიანისათვის კი ბუნებრივია ცხოვრების პირობებზე წუწუნი. ამასთანავე, პინგვინებს რეჟიმის გამოცელის ეშინიათ, რადგან ყოველგვარი სიახლე აფრთხობთ. მათ არ იციან, დრაკონის ბიბილო რა არის, და თუ ხანდახან სინანულით იხსენიებენ, ამას არ უნდა ვერწმუნოთ; ერთი შეხედვით ჩანს, ამას დაუფიქრებლად, ანდა უგუნებობა რომ შეიპყრობთ, მაშინ ამბობენ. თავს ნუ მოვიტყუებთ, თითქოს მათი სიმპათიები ჩვენკენ იხრება. ხალხს არ ვუყვარვართ. მათ არისტოკრატია უმდაბლესი შურისა და თანასწორობისადმი კეთილშობილური სიყვარულის გამო სძულთ. ამ ორი გრძნობის ნაზავი კი ხალხში ძლიერ არის ფესვგადგმული. საზოგადოებრივი აზრი ჩვენ წინააღმდეგ არ არის მიმართული, რადგან არ გვიცნობს. როგორც კი გაიგებს, რა გვსურს, არ გამოგვყვება. თუ დავანახეთ, რომ დემოკრატიული რეჟიმის დამხობა და დრაკონის ბიბილოს აღდგენა გვსურს, ვინ დაგვიჭერს მხარს? ალბათ ალკას ყასბები და მეწვრილმანეები, და მაოზეც კი არ შეიძლება დაყრდნობა. ახლა ისინი უკმაყოფილონი არიან, მაგრამ სულის სიღრმეში მაინც რესპუბლიკელებად რჩებიან. მათ თავიანთი უგვანო საქონლის გაყიდვა ურჩევნიათ პრინც კრუშოს ტახტზე აღდგენას. თუ აშკარად ვიმოქმედებთ, ჩვენ მათ დავაფრთხობთ. სიმპათიებისა და მომხრეების მოსაპოვებლად უნდა დაგვიჯერონ, რომ რესპუბლიკის დამხობა კი არა, მისი აღდგენა, გაწმენდა, გასუფთავება, შემკობა, მორთვა, მოკაზმვა, გამშვენიერება და სურნელებით ავსება გვსურს; ერთი სიტყვით, უფრო მომხიბვლელი და მშვენიერი გვინდა გახდეს. ამისათვის თავად არ უნდა ვჩანდეთ. ყველამ იცის, რომ ახალ წყობას მხარს არ ვუჭერთ. რესპუბლიკის რომელიმე მეგობარს ან, უკეთესია, არსებული რეჟიმის დამცველს მივმართოთ. არჩევანი დიდი გვაქვს. უპირატესობა ყველაზე ცნობილ, გავბედავ და ვიტყვი, ყველაზე აშკარა რესპუბლიკელს უნდა მივანიჭოთ.

იგი ლიქნით, საჩუქრებითა და, რაც მთავარია, დაპირებებ-თ უნდა მოვისყიდოთ. დაპირება საჩუქარზე იაფი ჯდება, წონა კი მეტი აქვს. ადამიანს ხომ იმედზე დიდს ვერაფერს მისცემ. არ არის აუცილებელი, ეს კაცი ჭკვიანი იყოს. მე სულელი მირჩევნია. ბრიყვები შეუდარებლად ტყუიან. მერწმუნეთ, ბატონებო, რესპუბლიკა მისი მომხრის ხელით დაამხეთ. გაფრთხილდით! სიფრთხილე არაფერს აკლებს ენერგიას. თუ დაგჭირდებით, მუდამ თქვენს სამსახურში მიგულეთ.

ამ სიტყვამ მსენელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. განსაკუთრებით გაოგნებული ღირსი აგარიკი დარჩა. და მაინც, ყოველი მათგანი ძირითადად საკუთარ პატივსა და გამორჩენაზე ფიქრობდა. ჩამოყალიბდა საიდუმლო მთავრობა და ყველა მათგანი მისი ნამდვილი წევრი გახდა. ჰერცოგი დ'ამპული, რომელიც პარტიის ფინანსური გენია გახლდათ, ხაზინადრად აირჩიეს და პროპაგანდისათვის ფონდების ცენტრალიზაცია დააკალეს.

კრება დასასრულს უახლოვდებოდა, როცა გაისმა უხეში ხმა, რომელიც ძველებურ მოტივზე მღეროდა:

ბოსენოა დიდი ღორი, ჯიშიანი, მსუქანი,
მისგან ძეხვი რომ მზადდება, მისი დარი სად არის!
მსუყე-მსუყე, გემრიელი სოსისები და ღორი,
ჭეელების სახალწლო სუფრაზე მისატანი.

ალკას გარეუბნებში უკვე ორასი წელია ამ სიმღერას იცნობდნენ. თავად დე ბოსენოს არ უყვარდა მისი მოსმენა. იგი ჩოედანზე ჩავიდა და დაინახა, რომ მომღერალი ერთი მუშა გახლდათ, რომელიც ეკლესიის სახურავზე კრამიტს ასწორებდა. თავადმა მას თავაზიანად სთხოვა, სხვა რამე იმღეროო.

— რაც მომწონს, იმას ვმღერი, — უპასუხა კაცმა.

— მეცით პატივი, მეგობარო...

— არავითარი სურვილი არ მაქვს, პატივი გცეთ.

თავადი დე ბოსენო მშვიდობიანი, მაგრამ ფიცხი და ძალიან ღონიერი კაცი იყო.

— არამზადავ, ჩამოდი, თორემ მე ამოვალ შენთან, — საშინელი ხმით დაიღრიალა მან.

მუშა სახურავის თავბანდზე უნაგირივით გადამჯდარიყო და ადგილიდან დაძვრას არავითარ სურვილს არ ამჟღავნებდა; თავადმა სწრაფად აირბინა კოშკის კიბე, სახურავზე გავიდა, მომღერალს ეცა, მუშტის დაკვრით ყბა მოუნგრია და ძირს გადმოუშვა. ამ დროს მეგობრის ყვირილმა სხვენზე მომუშავე შვიდი თუ რვა დურგალი დააფრთხო; მათ ლუკარნებში გამოყვეს ცხვირი და სახურავის წვერზე მდგარი თავადი დაინახეს; მაშინვე კრამიტის სახურავზე მიდგმული კიბით მისკენ აცურნენ, თავად დე ბოსენოს ხელი სტაცეს, როცა იგი კოშკში თავის შეფარებას აპირებდა და ხვეული კიბის ას ოცდაჩვიდმეტი საფეხური თავით დაათვლევინეს.

თავი IV

ვიკონტის მეუღლე ოლივი

მსოფლიოში პირველი არმია პინგვინებს ჰყავდათ, ისეთ როგორც ზღვის ღორებსა და ევროპის სხვა ხალხებს. კარგად თუ დაუკვირდი, ამაში გასაოცარი არაფერია. მეორე არმია, რომც არსებობდეს ასეთი ჯარი, აშკარად ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. დარწმუნებული იქნებოდა, გამანადგურებენო, და მისი დათხოვნაც აუცილებელი გახდებოდა. ამიტომ ყოველი არმია მსოფლიოში პირველი გახლავთ. ეს კარგად გაიგო ცნობილმა ფრანგმა პოლკოვნიკმა მარშანმა და როცა ჟურნალისტებმა იალუსთან გამართული რუსეთ-იაპონიის ბრძოლის წინ აზრის გამოთქმა სთხოვეს, არც კი შეყოყმანებულა, ისე მიანიჭა რუსეთისა და იაპონიის არმიებს მსოფლიოში პირველი არმიის წოდება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თვით საშინელი დამარცხების დროსაც კი არმია პირველობის უფლებას არ კარგავს, რადგან გამარჯვებას ხალხი მყუდრო გენერალთა ტალანტსა და ჯარისკაცთა სიმამაცეს მოაწერს, დამარცხება კი საბედისწერო შემთხვევითობად ითვლება. რაც შეეხება ფლოტს, იგი გემების რაოდენობით ფასდება. არსებობს პირველი, მეორე, მესამე და ა. შ. ხარისხის ფლოტები. ამიტომ საზღვაო ომთა შედეგი წინასწარაა ცნობილი.

პინგვინებს მსოფლიოში პირველი არმია და მეორე ფლოტი ჰყავდათ. მათ ფლოტს ხელმძღვანელობდა სახელგანთქმული შატილიონი, რომელიც ემირალ ბარის, ანუ შემოკლებით ემირალის[1] ტიტულს ატარებდა. ეს სიტყვა, სამწუხაროდ დამახინჯებული, დღესაც ევროპის ბევრ ხალხებში საზღვაო არმიის უმაღლეს წოდებას აღნიშნავს. მაგრამ პინგვინებს მხოლოდ ერთი ემირალი ჰყავდათ. ამიტომ ეს წოდება, გაუბედავ და ვიტყვი, განსაკუთრებული პატივით სარგებლობდა.

ემირალი აზნაური არ იყო, ხელხის შვილი გახლდათ. ხალხსაც უყვარდა იგი და იმ პატივითაც ტკბებოდა, მისი წოდების კაცს რომ ხვდა წილად. შატილიონი ლამაზი, ბედნიერი კაცი იყო და არც საზრუნავი ჰქონდა. მის ნათელ გამოხედვას ჩრდილი არ ეფინებოდა. როცა ღირსი მამა აგარიკი ბატონი ბიგურის აზრს დაეთანხმა და მიხვდა, რომ არსებული წყობის დამხობა მხოლოდ რესპუბლიკის დამცველს შეეძლო, თავისი მზერა სწორედ ემირალ შატილიონს მიაპყრო. აგარიკი თავის მეგობარ, ღირს მამა კორნემუზთან წავიდა და დიდი თანხა სთხოვა. კორნემუზმა ოხერით მისცა ფული. წმინდა მამამ ამ ფულით ალკას ექვსასი ყასაბი დაიქირავა; ისინი ფეხდაფეხ დასდევდნენ შატილიონის ცხენს და „გაუმარჯოს ემირალსო!" გაჰკიოდნენ.

შატილიონს ნაბიჯის გადადგმაც აღარ შეეძლო ოვაციების გარეშე.

ვიკონტის შეუღლე ოლივმა ემირალს საიდუმლო მიღება სთხოვა. შატილიონმა ქალი საადმირალოს ღუზებით, ელვითა და ყუმბარებით მორთულ პავილიონში მიიღო.

ქალს სადა მოცისფრო-მონაცრისფერო კაბა ეცვა. კოხტა ქერა თავზე ვარდებით შემკული ქუდი ეხურა. პირბადის მიღმა კი თვალები საფირონებივით უბრწყინავდა. მთელ მაღალ წოდებაში ვერ შეხვდებოდით უფრო ნატიფ ქალს, რომელიც წარმოშობით ებრაელ ფინანსისტთა წრეს ეკუთვნოდა. იგი ტანმაღალი, კარგი აღნაგობის გახლდათ, იმ წლის მოდის შესაფერისი სხეული და სეზონის შესაფერისი წელი ჰქონდა.

---

[1] სიტყვა ადმირალი წარმოიშვა არაბული სიტყვებისაგან amir al-bahr, რაც ზღვის მეუფეს ნიშნავს. ავტორი მცირე სახეცვლილებით აღადგენს საწყის ფორმას.

— ემირალ, — მომხიბლავი ხმით წარმოთქვა ქალმა. — მღელვარებას ვერ ვფარავ... გასაგებიცაა... გმირის წინაშე...

— დიდად დაძაბალეთ. ბრძანეთ, ქალბატონო ვიკონტის მეუღლევ, რით დავიმსახურე თქვენი ხილვის ბედნიერება?

— კარგა ხანია თქვენი ნახვა და თქვენთან საუბარი მსურდა... ამიტომ სიამოვნებით ვიტვირთე, თქვენთვის გადმომეცა ორიოდ სიტყვა.

— ბრძანეთ, გეთაყვა.

— რა სიმშვიდეა!

— ჭეშმარიტად, აქ საკმაო სიწყნარე სუფევს.

— ჩიტების ჭიკჭიკიც ისმის.

— დაბრძანდით, ქალბატონო.

ემირალმა ქალს სავარძელი მიუჩოჩა.

ქალმა სკამი აიღო და სინათლისაკენ ზურგშექცევით დაჯდა.

— ემირალ, მე თქვენთან მნიშვნელოვანი დავალებით მოვედი. დავალებით...

— ამიხსენით.

— ემირალ, ოდესმე გიხილავთ პრინცი კრუშო?

— არასოდეს.

ქალმა ამოიოხრა.

— უბედურებაც სწორედ ეს არის. პრინცი კი ბედნიერი იქნებოდა თქვენი ხილვით. იგი გაფასებთ და პატივს გცემთ. თქვენი პორტრეტი თავისი დედის, დედოფლის პორტრეტის გვერდით სამუშაო მაგიდაზე უდგას. რა სამწუხაროა, რომ მას არ იცნობენ! იგი მშვენიერი უფლისწულია და მადლიერებით იღებს ყოველივეს, რასაც მისთვის აკეთებენ! პრინცი დიდი მეფე იქნება, ხოლო მეფე რომ გახდება, ამაში ეჭვიც არ შეგეპაროთ. ის დაბრუნდება; უფრო ადრე დაბრუნდება, ვიდრე ჰგონიათ... ამის სათქმელად მოვედი. დავალება, მე რომ მომანდეს, სწორედ...

ემირალი წამოდგა.

— საკმარისია, ვიკონტის მეუღლევ. მე მწამს და პატივს ვცემ რესპუბლიკას და არასდროს ვუღალატებ. ანკი რატომ ვუღალატო? რესპუბლიკამ ხომ ღირსებითა და პატივით შემამკო.

— ძვირფასო ემირალ, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ეს პატივი და ღირსება სულაც არ ეტოლება თქვენს დამსახურებას. დაფასებული რომ იყოს თქვენი შრომა, ახლა ემირალისიმუსი ან გენერალისიმუსი და სახმელეთო და საზღვაო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი უნდა იყოთ. რესპუბლიკა ძალიან უმადურად გექცევათ.

— ყოველი მთავრობა მეტ-ნაკლებად უმადურია.

— ცხადია, მაგრამ რესპუბლიკელებს თქვენი შურთ. ამ ხალხს ყოველგვარი უპირატესობა აფრთხობს, სამხედროებს ვერ იტანს, სძულს ყოველივე, რაც ფლოტსა და არმიას ახსენებს. რესპუბლიკელებს ეშინიათ თქვენი.

— შესაძლებელია.

— ისინი სალახანები არიან; ქვეყანას დაღუპავენ. ნუთუ პინგვინეთის გადარჩენა არ გინდათ?

— კი მაგრამ, როგორ?

— პირისაგან მიწისა აღგაევეთ ყველა თაღლითი რესპუბლიკელი.

— რას მთავაზობთ, ძვირფასო ქალბატონო?

— თქვენც ის გააკეთეთ, რაც აუცილებლად გაკეთდება. თქვენ თუ არა, სხვა გააკეთებს. გენერალისიმუსი, მაგალითად, მზად არის მინისტრებს, დეპუტატებსა და სენატორებს ზღვაში გადაუძახოს და ტახტისაკენ პრინც კრუშოს მოუხმოს.

— ოჰ, თაღლითი, გაიძვერა! — შესძახა ემირალმა.

— ჰოდა, თქვენც ისე მოექეცით, როგორც თავად მოგექცეოდათ. პრინცი დააფასებს თქვენს სამსახურს. იგი კონეტაბლის ხმალსა და მოზრდილ თანხას მოგართმევთ. მე კი დავალებული მაქვს, მისი მეფური მეგობრობის საწინდრად ეს მოგართვათ.

ამ სიტყვებით ქალმა კორსაჟიდან მწვანე კოკარდა ამოიღო.

— ეს რა არის? — იკითხა ემირალმა.

— კრუშო თავის ფერებს გიგზავნით.

— მომაცილეთ, თუ შეიძლება.

— და გენერალისიმუსს შესთავაზონ, რომელიც შიიღებს კიდეც... არა! ჩემო ემირალო, ნება მიბოძეთ, იგი თქვენს გმირულ მკერდზე მივამაგრო.

შატილიონმა ნაზად მოიცილა ახალგაზრდა ქალი. უკვე

რამდენიმე წუთია ფიქრობდა, ქალი ლამაზიაო, და როცა ორი მოშიშვლებული მკლავი და ვარდისფერი ხელსაგული ოდნავ შეეხო, ეს გრძნობა გაუმძაფრდა. კაცი თითქმის მაშინვე დანებდა. ოლივი ნელა კვანძავდა ლენტებს. შემდეგ, საქმიანობა მოითავა; შატილიონს ღრმა რევერანსით მიესალმა და კონტაბლის ტიტულით მოიხსენია.

— ჩემი ამხანაგებივით მეც პატივმოყვარე ვიყავი, — უპასუხა მეზღვაურმა — არც დამრცხვენია. იქნებ ახლაც პატივმოყვარეობა ჰამოძრავებს, მაგრამ, პატრონსან სიტყვას გაძლევთ, თქვენი ხილვისას მხოლოდ ერთი სურვილი გამიჩნდა: ჭოხი მქონდეს და თქვენი გული მეკუთვნოდეს.

ქალმა გუგუბერდან გამომკრთალი საფირონთა მშვენიერი სხივი სტყორცნა.

— იქნებ მოვიპოვოთ კიდეც... რას სჩადიხართ, ემირალ?

— გულს ვეძებ...

როგორც კი საადმირალოს პავილიონიდან გამოვიდა, ვიკონტის მეუღლემ მამა აგარიკს მიაშურა და შეხვედრის შედეგები მოახსენა.

— ხშირად ეწვიეთ, ძვირფასო ქალბატონო, — უთხრა სასტიკმა ბერმა.

თავი V

თავადი და ბოსენო

დრაკოფილების ხარჯზე გამოსული დილისა და საღამოს გაზეთები შატილიონს ხოტბას, რესპუბლიკის მინისტრებს კი ლაფს ასხამდნენ.

ალკას ბულვარებზე შატილიონის პორტრეტებით ვაჭრობდნენ. რემუსის ნორჩი შთამომავალნი, თავზე თაბაშირის ფიგურებს რომ ატარებდნენ, ხიდებთან შატილიონის ბიუსტებს ჰყიდდნენ.

ყოველ საღამოს, თეთრ ცხენზე ამხედრებული შატილიონი სეირნობდა მდელოზე, სადაც მაღალი საზოგადოება იყრიდა თავს, დრაკოფილებს ღატაკი პინგვინები მოჰყავდათ, ემირალს

გზაზე რომ ხვდებოდნენ და „შატილიონი გეჭირდებაო“, მეუბნებოდნენ. ალკას ბურჟუაზია მის წინაშე ქედს იხრიდა. ვაჭრის ქალები, „რა ლამაზიაო“, ჩურჩულებდნენ. ნატიფი ქალბატონები სვლაშენელებული მანქანებიდან, ხალხის აღგზნებული ყვირილის მიღმა მას ჰაეროვან კოცნას უგზავნიდნენ.

ერთხელ ემირალი თამბაქოს ფარდულში შევიდა. ორმა პინგვინმა, საფოსტო ყუთში წერილებს რომ ყრიდა, შეიცნო იგი და მთელი ხმით შესძახა. „გაუმარჯოს ემირალს! ძირს რესპუბლიკელები!“ გამელელები ფარდულთან შეჯგუფდნენ. შატილიონი წარსდგა მოქალაქეთა დიდი ბრბოს წინაშე, ქუდებს რომ იქნევდა და ყვიროდა და სიგარას მოუკიდა. ბრბო გაიზარდა. მთელი ქალაქი გმირის კვალს გაჰყვა და ჰიმნების გალობით იგი საადმირალოს პავილიონამდე მიაცილა.

ემირალს ერთი ძველი, ფრიად დამსახურებული თანამებრძოლი ვიცე-ემირალი ვოლკანმული ჰყავდა. იგი ოქროსვით წმინდა და ხმალივით ერთგული გახლდათ. თავისი მკაცრი დამოუკიდებლობით ამაყობდა, კრუშოს მომხრეებსაც იცნობდა, რესპუბლიკის მინისტრებსაც და ერთსაც და მეორესაც პირში ახლიდა სიმართლეს. ბატონი ბიგური ბოროტად აღნიშნავდა, ერთის სიმართლეს მეორეს ეუბნებაო, მართლაც ვოლკანმულმა მრავალგზის წამოაყრანტალა სიბრიყვე, რაც იმ ჯარისკაცის თვითნებობად ჩაითვალა, ძალიან შორს რომ დგას ინტრიგებისაგან. ყოველ დილით, ვიცე-ემირალი შატილიონთან მიდიოდა და მას მებრძოლი მეგობრის გულთბილი უხეშობით ეჭცეოდა.

— ხედავ, რა ცნობილი კაცი გახდი, მეგობარო, — ამბობდა იგი. — შენს სიფათს ყალიონებსა და არყის ბოთლებზე ხატავენ; შენს სახელს ალკას ლოთები ქუჩის არხებში აბოყინებენ. შატილიონი პინგვინეთის გმირია! შატილიონი პინგვინეთის დიდებისა და შემძლეობის დამცველია! ვინ იფიქრებდა? ვინ დაიჯერებდა?

მან გულგამგმირაუად გადაიხარხარა; შემდეგ ტონი იცვალა და ჰკითხა:

— თავი დავანებოთ ხუმრობას. ცოტა მაინც არ გაოცებს, რაც ხდება?

— არა, — უპასუხა შატილიონმა.

ერთგულმა ვოლკანმუსმა კარი გაუხსნა.

ამ დროს შატილიონმა იოანე ტალპას ქუჩის თვრამეტ ნომერში, ეზოს სიღრმეში, პირველ სართულზე პატარა ბინა დაიქირავა, რათა ვიკონტის მეუღლე ოლივიასთან საპაემნო ადგილი ჰქონოდა. ისინი ყოველდღე ხვდებოდნენ ერთმანეთს. ემილარალს გაგიჟებით უყვარდა ქალი. შატილიონი მარსსა და ნეპტუნს ემსახურებოდა და ამ სამსახურის დროს მრავალი ქალი — წითელი, შავი, ყვითელი თუ თეთრი — დაიპყრო. ზოგიერთი ძალიან ლამაზიც გახლდათ, მაგრამ ვიკონტის მეუღლესთან შეხვედრამდე მაინც არ იცოდა, ქალი რა იყო. ახლა, როცა ვიკონტის მეუღლე ოლივი მას მეგობარს, თავის ნაზ მეგობარს უწოდებდა, ემილარალს თავი ზეცაში ეგონა და ეჩვენებოდა, ვარსკვლავები ჩემს თმას ეხებიანო.

ქალი ოდნავ დაგვიანებით მოდიოდა, ხელჩანთას მრგვალ მაგიდაზე დებდა და გულისხმიერად ამბობდა:

— ნება მიბოძეთ, თქვენ წინ ჩავიმუხლო.

ქალი იმას ამბობდა, რაც ღირსმა აგარიკმა ჩააგონა და თავის სიტყვებს კოცნითა და ოხვრით ასრულებდა. იგი რომელიმე ოფიცრის გაძევებას მეორის დანიშვნას, ესკადრის სადღაც გაგზავნას ითხოვდა, შემდეგ უცებ წამოიყვირებდა:

— ჩემო მეგობარო, რა ახალგაზრდა ხართ!

შატილიონი ქალს ყველა სურვილს უსრულებდა, რადგან გულუბრყვილო იყო, კონეტაბლის ხმალი და მდიდრული ჯილდო სურდა, ორმაგი თამაში ხიბლავდა, პინგვინეთის გადარჩენის ბუნდოვანი აზრი აწვალებდა და შეყვარებული გახლდათ.

ამ მომხიბლავმა ქალმა ემილარალს ჯარები გამოაყვანინა პორტ კრიკიდან, სადაც კრუშო უნდა გადმოსულიყო ნაპირზე. ამგვარად, პინგვინეთში დაუბრკოლებელი შემოსვლა პრინცს განაღდებული ჰქონდა.

ღირსი აგარიკი საზოგადოებრივ კრებებს მართავდა, რათა მღელვარება არ დამცხრალიყო. ყოველდღე დრაკოფილები ორ ან სამ კრებას ატარებდნენ ალკას ოცდათექვსმეტა ოლქიდან როშელიმე, უპირატესად უღარიბესი მოსახლეობის უბნებში. მათ უმდაბლესი ფენების გადმობრერება სურდათ, მოსახლეობის უმრავლესობას რომ შეადგენდა. ოთხ მაისს, მჭიდროდ დასახლებული გარეუბნის შუაგულში, მარცელე-

ულის ძველ ბაზარში, დიდი კრება შედგა. ბაზარი კარებთან მიმსხდარი დიასახლისებითა და თხრილში მოთამაშე ბავშვებით გაიტენა. კრებაზე რესპუბლიკელების აღრიცხვით, ორი ათასი კაცი მოვიდა, დრაკოფილების ანგარიშით კი ექვსი ათასი. მას პინგვინეთის საზოგადოების ნაღები, თავადი და თავადის მეუღლე დე ბოსენო, გრაფი კლენა, ბატონი დე ლა ტრუმელი, ბატონი ბიგური და რამდენიმე მდიდარი ებრაელი ქალბატონი დაესწრო.

ეროვნული არმიის გენერალისიმუსი მუნდირში გამოწყობილი მობრძანდა. მას ტაშისკვრით შეეგებნენ.

ბიურო მონდომებით შეირჩა. ხალხის შვილი, კეთილი აზრების მქონე მუშა, ყვითელი პროფკავშირის მდივანი ბატონი როშენი პრეზიდენტად აირჩიეს და ისიც გრაფ კლენასა და ყასაბ ბატონ მიშოდს შუა მოთავსდა.

რამდენიმე მჭევრმეტყველურმა გამოსვლამ რეჟიმს, პინგვინეთმა თავად რომ აირჩია, წუმპისა და ნაგვის სახელწოდება მიანიჭა. საერთო გვემას მხოლოდ პრეზიდენტი ფორმოზი გადაურჩა. კრუშოსა და სამღვდელოების საკითხი არ წამოჭრილა.

კრებაზე კამათი დაიწყო. არსებული წყობისა და რესპუბლიკის დასაცავად ერთი მუშა წამოდგა.

— ბატონებო,— თქვა პრეზიდენტმა როშენმა,— ჩვენ განვაცხადეთ, რომ კამათს დავუშვებდით. უარს არც ახლა ვამბობთ; ჩვენს მოწინააღმდეგეებს კი არ ვგავართ, პატიოსანი ხალხი ვართ. სიტყვას ოპონენტს ვაძლევ, თუმცა, ღმერთმა უწყის, რას გაიგონებთ! ბატონებო, გთხოვთ შეძლებისდაგვარად დიდხანს შეიკავოთ თავი და თქვენი ზიზღი, სიძულვილი და გულისწყრომა არ გამოხატოთ.

— ბატონებო, — დაიწყო ოპონენტმა...

აღშფოთებულმა ბრბომ იგი მაშინვე ჩამოაგდო, ფეხით გათელა და მისი დამახინჯებული სხეული დარბაზიდან გარეთ მოისროლა.

აღშფოთება ჯერ კიდევ არ დამცხრალიყო, როცა ტრიბუნაზე გრაფი კლენა ავიდა. უკმაყოფილო სტვენა მისასალმებელმა ყიჟინამ შეცვალა და, როცა ბოლოს და ბოლოს სიჩუმე ჩამოწვა, ორატორმა შემდეგი სიტყვა წარმოთქვა:

— ამბანაგებო, ვნახოთ, გიდუღთ თუ არა სისხლი ძარღვებში! რესპუბლიკელები უნდა მოვაშოროთ, ყელი გამოვღადროთ, გამოვფატროთ!

ამ სიტყვამ ტაშისკვრის ისეთი ქარიშხალი გამოიწვია, ძველი შენობა შეზანზარდა; მტვრის სქელმა ფენამ, ჰუჰუანი კედლებიდან და დამპალი ბოძებიდან რომ გადმოცვივდა, კრების მონაწილენი მწკლარტე და მუქი ღრუბლით დაფარა.

კრებამ ერთხმად მიიღო დადგენილება, რითაც მთავრობას გმობდა და შატილიონს ესალმებოდა. მონაწილეებმა „შატილიონი გვჭირდება“ დასჭექეს და დაიშალნენ.

ძველ ბაზარს მხოლოდ ერთი გრძელი, ჰუჰუიანი გასასვლელი ჰქონდა, რომელიც დავიწროებული იყო, ერთი მხრივ, ომნიბუსების ფარდულით, მეორე მხრივ კი ნახშირის საწყობებით, უმთავარო ღამე იყო; ცივი წვიმა ცრიდა. პოლიციელების დიდმა რაზმმა დაიკავა გასასვლელი, რომელიც ქუჩას უერთდებოდა და დრაკოფილები აიძულა პატარა ჯგუფებად გამოსულიყვნენ. პოლიციელებმა სწორედ ასეთი ბრძანება მიიღეს თავისი ხელმძღვანელობისაგან, რომელსაც სურდა გაშმაგებული ბრბოს აღფრთოვანებული რბევა აეცილებინა თავიდან.

გასასვლელში შეჯგუფებული დრაკოფილები „შატილიონი გვჭირდებას“ მღეროდნენ და კვლავ მიაბიჯებდნენ. მალე ამ შენელებულმა მოძრაობამ, რომლის მიზეზიც ვერ გაიგეს, მათ მოთმინების ფიალა აუვსო და წინ მდგომებს მუჯლუგუნებით გაუმასპინძლდნენ. ამ მუჯლუგუნებმა მთელ გასასვლელს გადაუარა და წინ მდგომნი პირდაპირ პოლიციელთა მკერდს შეასკდნენ. პოლიციელებს დრაკოფილები არ სძულდათ, სულის სიღრმეში კი შატილიონი უყვარდათ. მაგრამ შეტევის მოგერიება და ძალადობისათვის ძალადობის შეგებება ფრიად ბუნებრივი მოვლენა გახლავთ. ღონიერ ხალხს ღონის ვამოყენება უყვარს. ამიტომ, პოლიციელები დრაკოფილებს ხალებით დაჭედილი ჩექმებით შეხვდნენ.

ბრბომ უცებ დაიხია უკან. მათ სიმღერას ყვირილი და მუქარა შეერია.

— მკვლელებო! მკვლელებო!.. „შატილიონი გვჭირდება“! მკვლელებო! მკვლელებო!

ბნელ გასასვლელში ყველაზე გონიერება „ხელს ნუ მკრავთო", იძახდნენ ბრბოს მიღმა, სიბნელეში, დალეწილ ნეკნებსა და დაბეჟილ გვერდებს შუა, წყნარი, მშვიდი და თავდაჯერებული თავადი დე ბოსენოს მაღალი ტანი, ფართო მხრები და ძლიერი მკერდი აღიმართა. იგი მოთმინებით და აუღელვებლად იცდიდა. ამასობაში, ხალხი პოლიციელთა რიგებს შორის რეგულარულად გადიოდა. თავადის ირგვლივ მუჯლუგუნებმა იკლო და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება გაჩნდა.

— ხომ ხედავთ, ბოლოს და ბოლოს ყველა გავალთ, — თბილი ღიმილით თქვა ამ კეთილმა გოლიათმა. — მოთმინება და დრო...

მან სიგარა ამოიღო, ტუჩებთან მიიტანა და ასანთს გაჰკრა. უცებ ასანთის ალზე გრაფ კლენას მკლავებში გარინდული თავადის მეუღლე ანა, საკუთარი ცოლი იხილა. ამის დანახვაზე თავადი გაქანდა და მათაც და ირგვლივ მყოფებსაც ჯოხი მოსცხო. დე ბოსენო ძლივს განაიარაღეს, მაგრამ მოწინააღმდეგეს მაინც ვერ მოაშორეს. გულშეწუხებული თავადის მეუღლე აღგზნებული და ცნობისმოყვარე ბრბოს ხელიდან ხელში გადადიოდა, სანამ ეტლს არ მიაღწია; ორ მამაკაცს შორის კი ამ დროს სასტიკი ბრძოლა გაჩაღდა. თავადმა დე ბოსენომ ამ ჩხუბში ქუდი მონოკლი, ყელსახვევი, ინტიმური და პოლიტიკური წერილებით სავსე საფულე და თვით მამა კორნემუზისაგან მიღებული სასწაულმოქმედი თილისმებიც კი დაკარგა, მაგრამ ისეთი საშინელი ძალით ჩასცხო მოწინააღმდეგეს მუცელში, უბედურმა რკინის გისოსი შეანგრია, შუშის კარი თავით შელეწა და ნახშირის საწყობში შეფრინდა.

პოლიციელებმა ბრძოლის ხმაურსა და ირგვლივ მყოფთა ყვირილს მოჰკრეს ყური და გაქანდნენ თავადისაკენ, რომელმაც საშინელი წინააღმდეგობა შეაგება. სამი დასახიჩრებული პოლიციელი მიწაზე, ეგდო, ხოლო ყბამონგრეული, ტუჩგახეთქილი, ცხვირგატეხილი, თავგატეხილი, ყურახეული. ლავიწებ და ნეკნებჩალეწილი შვიდი პოლიციელი გაიქცა. და მაინც, ბოლოს და ბოლოს დე ბოსენო ძირს დაეცა და დასისხლიანებული, დასახიჩრებული და ტანსაცმელშემოფლეთილი უახლოეს საპოლიციო უბანში წაათრიეს, სადაც ღამე მძვინვარებასა და ღმუილში გაატარა.

მანიფესტანტთა ჯგუფები დილამდე დარბოდნენ ქალაქში, „შატ-ლიონი გვჭირდებას“ მღეროდნენ და რესპუბლიკის მინ-სტრთა სახლებში ფანჯრებს ამტვრევდნენ.

თავი VI

ემირალის დაცემა

იმ ღამეს დრაკოფილთა მოძრაობამ აპოთეოზს მიაღწია. მონარქისტებს გამარჯვებაში ეჭვი აღარ ეპარებოდათ. მათი მეთაურები უმავთულო ტელეგრაფით მილოცვებს უთვლიდნენ პრინც კრუშოს. ქალბატონები მას ლენტებსა და საშინაო ფეხსაცმლებს უქარგავდნენ. ბატონმა დე პლუმმა მწვანე ცხენი იპოვნა.

ღირსი აგარიკი სხვებივით დაიმედებული გახლდათ. და მაინც, იგი პრეტენდენტისათვის მომხრეებს ეძებდა.

— მოსახლეობის ღრმა ფენებში უნდა შევიჭრათ, — ამბობდა იგი.

ამისათვის მამა აგარიკმა მუშათა სამ პროფკავშირთან შეკრა პირი.

ამ დროისათვის ხელოსნებს აღარ ჰქონდათ კორპორაციები, დრაკონიდების ჟამს რომ შეიქმნა; და თუმცა თავისუფლები იყვნენ, მყარი შემოსავალი არ გააჩნდათ. კარგა ხანს ერთმანეთისაგან განცალკევებულნი დახმარებისა და საყრდენის გარეშე ცხოვრობდნენ, შემდეგ პროფკავშირში გაერთიანდნენ. პროფკავშირების სალაროები ცარიელი გახლდათ, რადგან მისი წევრებისათვის უჩვეულო იყო საწევრო შესატანების გადახდა. ზოგიერთი პროფკავშირი ოცდაათიათას წევრს ითვლიდა, ზოგი ათასს, ხუთასს და ორასსაც კი. იყო ისეთი პროფკავშირებიც, მხოლოდ ორ-სამ წევრს ან ცოტა ნაკლებსაც რომ აერთიანებდა. მაგრამ წევრთა რაოდენობას საჯაროდ არ აცხადებდნენ. ამიტომ დიდი პროფკავშირის პატარასაგან გარჩევა ადვილი საქმე არ იყო.

ღირსი აგარიკი, მთელი რიგი რთულ და ბნელით მოცული წინასწარი მოლაპარაკების შემდეგ, მულენ დე ლა გალეტის

ერთ-ერთ დარბაზში, ამხანაგებს — დაგობერს, ტრონს და ბალაფილს, — პროფკავშირების მდივნებს შეხვდა. პირველი პროფკავშირი თოთხმეტ წევრს აერთიანებდა, მეორე — ოცდაოთხს, მესამე კი მხოლოდ ერთს. ამ შეხვედრის დროს, აგარიკმა დიდი მოხერხება გამოიჩინა.

— ბატონებო, — თქვა მან. — ჩვენს პოლიტიკურ და სოციალურ იდეებს შორის დიდი განსხვავებაა, მაგრამ შეხების წერტილიც არსებობს და ერთმანეთის გაგებაც შეგვიძლია. ჩვენ საერთო მტერი გვყავს. მთავრობა ექსპლოატაციას გაწევთ და დაგცინით. მოგვეხმარეთ მის დამხობაში. საარსებო საშუალებას შეძლებისდაგვარად მოგაწვდით; ჩვენი მადლიერების იმედიც გქონდეთ.

— გასაგებია, მოიტა ფული, — თქვა დაგობერმა.

ღირსმა მამამ მაგიდაზე დააგდო ქისა, რომელიც კონცილის თვალცრემლიანმა არყისმხდელმა მისცა.

— შევთანხმდით, — თქვა სამმა ამხანაგმა.

ასე დაიდო საზეიმო შეთანხმება.

როგორც კი წავიდა ბერი, ამ აზრით გაბედნიერებული, რომ თავის მიზანს ფართო მასები აზიარა, დაგობერმა, ტრონმა და ბალაფილმა დაუსტვინეს მეგობარ ქალებს — ამელის, რენსა და მატილდას, რომლებიც ქუჩაში მათ ნიშანს ელოდნენ და ექვსივემ, ხელიხელჩაკიდებულმა, ქისის ირგვლივ ცეკვა-სიმღერა გააჩაღა.

მე გამაჩნია ფული ლითონის,
შენ, შატილიონ, გროშიც არა გაქვს
შორს! შორს ჩვენგან! სამღვდელოებავ!

და ერთი თასი თბილი ღვინო შეუკვეთეს.

სალამოობით ექვსივე დადიოდა და ახალ სიმღერას ღიღინებდა. მალე საიდუმლო პოლიციის აგენტებმა შეამჩნიეს, რომ გარეუბანში მრავალი მუშა დადიოდა და მღეროდა:

მე გამაჩნია ფული ლითონის,
შენ, შატილიონ, გროშიც არა გაქვს.
შორს! შორს ჩვენგან! სამღვდელოებავ!

დრაკოფილთა აგიტაციამ პროვინციაში ფეხი ვერ მოიკიდა. ღირსი აგარიკი ამაოდ იმტერევდა თავს და ერთხელაც ბებერმა კორნემუზმა ამცნო მიზეზი.

— უტყუარი საბუთი მაქვს, — ამოიოხრა კონილის ბერმა, — რომ დრაკოფილთა ხაზინადარმა, ჰერცოგმა დ'ამპულმა, იმ ფულით, პროპაგანდისთვის რომ მიიღო, ზღვის ღორთა ქვეყანაში მიწები იყიდა.

პარტიას ფული აკლდა. თავადმა დე ბოსენომ ჩხუბის დროს საფულე დაკარგა და თავი ძლივს გაჰქონდა. ეს ცუდად ეგუებოდა მის ამპარტავან ხასიათს. ვიკონტის მეუღლე ოლივი ძალიან ძვირი ჯდებოდა. კორნემუზმა ამ ქალბატონის ყოველთვიური ხელფასის შემცირება ურჩია.

— ძალიან გვჭირდება, — შეეპასუხა ღირსი აგარიკი.

— უდავოდ, — წარმოთქვა კორნემუზმა. —მაგრამ თუ დაგვაქცია, გვავნებს კიდეც.

დრაკოფილთა შორის განხეთქილება ჩამოვარდა მათ თათბირზე აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი. ერთნი ბატონი ბიგურისა და ღირსი აგარიკის პოლიტიკას უჭერდნენ მხარს და აცხადებდნენ, საჭიროა ბოლომდე მოვიკატუნოთ თავი, თითქოს რესპუბლიკის რეფორმას ვაპირებთო; მეორენი ამ ხანგრძლივმა შეერწროებამ დაღალა და მტკიცედ არჩევდნენ, აშკარად მოვითხოვოთ დრაკონის ბიბლოს აღდგენაო; ამასთანავე, ფიცს დებდნენ, ამ დროშით დარაზმულნი გავიმარჯვებთო.

ისინი ამტკიცებდნენ, აშკარა მოქმედება საუკეთესო გზაა და შემდგომი თვალთმაქცობა შეუძლებელიაო. არსებითად, ხალხმა უკვე იცოდა, საით იხრებოდა მათი აგიტაცია და ხედებოდა, რომ ემირალის მომხრეები რესპუბლიკას საძირკველს ურყევდნენ.

ხმა დაირხა, პრინცი კრუშო ზღვას გადმოცურავს და ალკაში მწვანე ცხენით შემოვაო.

ეს ჭორები ფანატიკოს ბერებს აღაგზნებდა, ღარიბი არისტოკრატები აღტაცებაში მოჰყავდა, მდიდარ ებრაელ ქალბატონებს აკამაყოფილებდა და წვრილი ვაჭრების გულში იმედს აღვივებდა. მაგრამ მხოლოდ უმცირესობა იყო თანახმა ეს ნეტარება სოციალური კატასტროფისა და სახელმწიფო კრედიტის დაცემის ხარჯზე შეეძინათ: და ეთერო ნაკლებს სურდა

ამ საქმისათვის თავისი ფული, დასვენება, თავისუფლება, ან თუნდაც სიამოვნების ერთი საათი დაეთმო. მუშები კი, პირიქით, როგორც ყოველთვის, მზად იყვნენ რესპუბლიკისათვის სამუშაო დღე შეეწირათ. გარეუბნებში ყრუ წინააღმდეგობა მწიფდებოდა.

— ხალხი მხარს გვიჭერს, — ამბობდა ღირსი აგარიკი.

ამის მიუხედავად, სახელოსნოდან გამოსული კაცები, ქალები და ბავშვები ერთხმად მღეროდნენ:

ძირს შატილიონ!
შორს! შორს ჩვენგან! სამღედელოებავ!

რაც შეეხება მთავრობას, იგი სწორედ ისეთ სისუსტეს, ყოყმანს, უმოქმედობასა და უზრუნველობას ამჟღავნებდა, რაც ყველა მთავრობისათვის არის დამახასიათებელი და იქამდე გრძელდება, სანამ თვითნებობითა და ძალმომრეობით არ შეიცვლება. ერთი სიტყვით, მთავრობამ არაფერი იცოდა, არაფერი უნდოდა და არაფერი შეეძლო. პრეზიდენტის სასახლის სიღრმეში ჩაკარგული ფორმოზი ბრმა, მუნჯი, ყრუ, ვეებერთელა და უჩინარი გახლდათ და სიამაყეს გერმის საბანივით იფარებდა.

ვიკონტი ოლივი ურჩევდა, უკანასკნელად შეეკრიბათ ფული და სანამ ალკა ჯერ კიდევ ბობოქრობდა, გადამწყვეტი ნაბიჯი გადაედგათ.

აღმასრულებელმა კომიტეტმა, თავად რომ აირჩია თავი თვისი, გადაწყვიტა დეპუტატთა პალატა აეღო და გზებსა და საშუალებებს დაუწყო ძებნა.

აჯანყება ოცდარვა ივლისისათვის დაინიშნა. იმ დღეს ქალაქის თავზე მზე ამობრწყინდა; საკანონმდებლო პალატის წინ კალათიანი დიასახლისები მიმოდიოდნენ, ქუჩის მოვაჭრენი ატმებს, მსხლებსა და ყურძენს ყვირილით სთავაზობდნენ გამვლელთ; ეტლის ცხენებს ცხვირი ტომრებში ჩაერგოთ და შვრიას ცოხნიდნენ. არავინ ელოდა ამბოხებას; არა იმიტომ, რომ საიდუმლოდ მოამზადეს, უბრალოდ უნდობლად უსმენდნენ ჭორებს. არავინ ფიქრობდა, გადატრიალება მოხდებაო, რაც იმას ამტკიცებს, რომ არც არავის სურდა იგი. ორი სა-

თისათვის დეპუტატები გამოჩნდნენ. თითო-თითოდ, შეკრჩნეველად შედიოდნენ სასახლის უკან კარში. სამ საათზე ცუდად ჩაცმული ხალხის რამდენიმე ჯგუფი გამოჩნდა. ოთხის ნახევარზე მომიჯნავე ქუჩებიდან შემოჭრილმა შავმა ბრბომ რევოლუციის მოედანი გაავსო. ეს ფართო სიერცე რბილი ქუდების ოკეანემ წალეკა და მანიფესტანტების ბრბომ, ცნობისმოყვარეების ხარჯზე დაუსრულებლად რომ იზრდებოდა, ხიდი გადაჭრა და საკანონმდებლო პალატის გალავანს პირქუშ ტალღად მიუახლოვდა. ნათელი ცისკენ ყვირილი, სიმღერა, გუგუნი — „შატილიონი გვჭირდება!“ „ძირს დეპუტატები!“ „ძირს რესპუბლიკა!“ „სიკვდილი რესპუბლიკელებს!“ — აიჭრა. დრაკოფილთა წმიდათა წმიდა ბატალიონმა თავადი დე ბოსენოს წინამძღოლობით დიადი ჰიმნი წამოიწყო:

ეს ჩვენს კრუშოს გაუმარჯოს,
გულადსა და ბრძენს,
აკუნიდანვე ჰკუით ქებულს
ყველა პატივს სცემს.

გალავანს მიღმა სამარისებური დუმილი სუფევდა. ეს სიჩუმე და დარაჯების არყოფნა ბრბოს კიდეც აგულიანებდა და კიდეც აფრთხობდა. უცებ ვიღაცამ საშინელი ხმით შესძახა:

— წინ!

თავადი დე ბოსენოს გიგანტური ფიგურა რკინის წვეტებითა და რკინისავე გირჩებით დაცულ გალავანზე გამოჩნდა. უკან ჯერ თავისი თანამგზავრები, შემდეგ კი მთელი ბრბო მიჰყვა. ერთნი კედელს ურტყამდნენ და გასასვლელის გაკვრევას ცდილობდნენ, მეორენი რკინის წვეტებს ეჯაჯგურებოდნენ. ალაგ-ალაგ ეს ზღუდე გაანგრიეს კიდეც და ზოგიერთი მემბოხე გათავისუფლებულ კედელს ისე გადააჯდა, როგორც უნაგირს. თავადი დე ბოსენო უშველებელ მწვანე დროშას იქნევდა. მოულოდნელად ბრბო შეტორტმანდა და შემაძრწუნებელი ყვირილიც გაისმა. პოლიცია და რესპუბლიკის კარაბინიერები სასახლის ყველა კარიდან ერთდროულად გამოცვივდნენ და კედლის ქვეშ კოლონებად გამწკრივდნენ. ბრბომ უკან დაიხია. მოლოდინი ერთ გრძელ წუთს გაგრძელ-

და, შემდეგ იარაღი აჩხარუნდა და პოლიცია ხიშტიანი თოფებით ბრბოსკენ დაიძრა. ორიოდე წუთის შემდეგ, ჯოხებითა და კუდებით მოფენილ დაცლილ მოედანზე აკბედითი სიჩუმე ჩამოწვა. დრაკონიელებმა კიდევ ორჯერ მიიტანეს იერიში და ორჯერვე უკუიქცნენ. აჯანყება ჩაახშეს. მაგრამ პტრის სასახლის კედელზე შემომდგარი თავადი დე ბოსენო, დროშით ხელში, მარტო ებრძოლა მთელ რაზმს. იგი ყველას ცელავდა, ვინც უახლოვდებოდა. ბოლოს და ბოლოს იგი ძირს კადმოუშვეს. თავადი დე ბოსენო გირჩას დაასკდა და დრაკონიდების ბაიარაღით ხელში რკინის წვეტზე ჩამოეკიდა.

მეორე დღეს რესპუბლიკის მინისტრებმა და პარლამენტის წევრებმა ენერგიული ზომების მიღება გადაწყვიტეს. ამჯერად პრეზიდენტი ფორმოზი ამაოდ ცდილობდა დამნაშავეების დაფარვას. მთავრობამ დაადგინა, შატილიონისათვის ჩინი და რეგალიები ჩამოერთმიათ და, როგორც გამცემი, საზოგადოების მტერი და რესპუბლიკის მოღალატე უმაღლესი სასამართლოსთვის გადაეცათ.

ემირალის ძველი თანამებრძოლები, ჯერ კიდევ წინა დღეს თავისი მლიქვნელობით შატილიონს გულს რომ უწყალებდნენ, სიხარულს ვერ ფარავდნენ. მაგრამ შატილიონი ალკას ბურჟუაზიას შორის კვლავ პოპულარული გახლდათ და ბულვარებზე ჯერ კიდევ გაისმოდა ჰიმნი: „შატილიონი გეყირდება".

მინისტრები დაიბნენ. მათ სურდათ უმაღლესი სასამართლოსთვის გადაეცათ შატილიონი, მაგრამ საბუთები არ ჰქონდათ. ისინი სწორედ იმ ტოტალურ არცოდნას ამჟღავნებდნენ, რაც მთავრობის უპირატესობად გვევლინება. მთავრობა უძლური იყო შატილიონისათვის რაიმე ბრალდება წამოეყენებინა. ბრალმდებლისათვის მხოლოდ თავისი ჯაშუშების სასაცილო სიცრუის მიწოდება შეეძლოთ. შატილიონის მონაწილეობა შეთქმულებაში, მისი ურთიერთობა პრინც კრუშოსთან ოცდაათიათასი დრაკოფილის საიდუმლო გახლდათ. მინისტრები და დეპუტატები ეპვობდნენ, დარწმუნებულნიც კი იყვნენ, მაგრამ დამტკიცება არ შეეძლოთ. რესპუბლიკის პროკურორმა იუსტიციის მინისტრს უთხრა: „ძალიან ცოტა მინდა, რომ პოლიტიკური სარჩელი აღვძრა, მაგრამ ცოტაც არა მაქვს, ეს არ

კმარა". საქმე ადგილიდან არ იძროდა. რესპუბლიკის მტრები სეიმობდნენ.

თვრამეტ სექტემბერს, დილით, ალკაში ხმა დაირხა, შატილიონი გაიქცაო. ყველა აღელვებული და გაოგნებული იყო, ყველა ეკვობდა, არავის არაფერი ესმოდა.

მოხდა კი აი, რა:

ერთ დღეს, როცა ოთხი ვიცე-ემირალი ვოლკანმული თითქოს შემთხვევით შინაგან საქმეთა მინისტრის, ბატონ ბარბოტანის კაბინეტში იყო, მან ჩვეული პირდაპირობით განაცხადა:

— ბატონო ბარბოტან, თქვენი კოლეგები მაინცდამაინც ჰკვიანები არ უნდა იყვნენ. ზედ ეტყობათ, რომ ზღვაზე არ ყოფილან. ამ ბრიყვმა შატილიონმა მათ ჯოჯოხეთური შ. ში ჩაუნერგა.

უარის ნიშნად, მინისტრმა ქაღალდის საჭრელი დანით საწერი მაგიდის ზემოთ სივრცე დასერა.

— ნუ უარობთ, — შეეპასუხა ვოლკანმული. — არ იცით, როგორ მოიშოროთ თავიდან შატილიონი. თქვენ ხომ ვერ გაბედავთ, იგი უმაღლეს სასამართლოს გადასცეთ, დარწმუნებული არ ხართ, რომ საკმარის საბუთს შეაგროვებთ. მას ბიგური დაიცავს, ბიგური კი დახელოვნებული ვექილია. მართალი ბრძანდებით, ბატონო ბარბოტან, მართალი ბრძანდებით! ეს პროცესი სახიფათო შეიძლება გახდეს.

— ჩემო მეგობარო, — ძალდაუტანებელი ტონით უპასუხა მინისტრმა, — თქვენ არც კი იცით, რა მშვიდად ვართ. ჩემი პრეფექტებისაგან ფრიად დამამშვიდებელ ახალ ამბებს ვიგებ. პინგვინთა კეთილგონიერება დათრგუნავს ამბოხებული ოფიცრის ინტრიგებს. ნუთუ ერთი წუთით მაინც იფიქრეთ, რომ ეს დიადი ერი, ეს ჭკვიანი, მშრომელი ხალხი, რომელიც ასე მოეჯაჭვა ლიბერალურ დაწესებულებებს...

ვოლკანმულმა ხმამაღლა ამოიოხრა, შეაწყვეტინა.

— ოჰ! — თქვა მან. — დრო რომ მქონდეს, ამ მდგომარეობიდან გამოგიყვანდით. ცხვირწინ აგიცილებდით ჩემს შატილიონს და წკიპურტის ერთი გაკვრით მას ზღვის ღორებთან გადავისროდი.

მინისტრმა ყურები ცქვიტა.

— დიახ, კაცის ზღვაზე გასტუმრებას დიდი დრო არ სჭირდება. უცებ გაგათავისუფლებთ იმ ცხოველისაგან... მაგრამ ახლა ამისთვის არ მცალია. დიდი თანხა წავაგე. დიდი ფული უნდა ვიშოვო. ეშმაკმა დალახვროს, ღირსება უპირველეს ყოვლისა.

მინისტრი და ვიცე-ემირალი ერთხანს მდუმარედ შესცქეროდნენ ერთმანეთს. შემდეგ მინისტრმა გადაწყვეტა გაცნობა:

— ვიცე-ემირალო ვოლკანმულ, გაგვანთავისუფლეთ ამ ამბოხებული ოფიცრისაგან. თქვენ დიდი სამსახურს გაუწევთ პინგვინეთს, ბანქოს ვალის გადახდაში კი შინაგან საქმეთა მინისტრი დაგეხმარებათ.

იმავე საღამოს ვოლკანმული შატილიონს ეწვია და იდუმალი და შეწუხებული მზერით დიდხანს უყურა.

— რა დაგემართა? — შეეკითხა შეწუხებული ემირალი.

მაშინ ვოლკანმულმა ვაკაცური სევდით უპასუხა:

— ჩემო ძველო, მებრძოლო ძმაო, საიდუმლო გამჟღავნდა. უკვე ნახევარი საათია, მთავრობამ ყველაფერი იცის.

ამ სიტყვებით თავზარდაცემულმა შატილიონმა უნკან დაიხია.

ვოლკანმულმა განაგრძო:

— ყოველ წუთში შეიძლება შეგიპყრონ. გაქცევას გირჩევ.

მან საათი ამოიღო.

— არც ერთი წუთის დაკარგვა არ შეიძლება.

— და მაინც, მგონი შემიძლია ვიკონტის მეუღლე ოლივს გავუარო.

— ეს სიგიჟე იქნება, — უთხრა ვოლკანმულმა. შემდეგ მას პასპორტი და ლურჯი სათვალე გაუწოდა და ვაჟკაცობა უსურვა.

— მაქვს იგი, — თქვა შატილიონმა.

— მშვიდობით, ძველო მეგობარო.

— მშვიდობით და გმადლობთ! შენ გადამარჩინე.

— ეს ჩემი ვალი იყო.

თხუთმეტი წუთის შემდეგ მამაცმა ემირალმა ალკა დატოვა. იმავე ღამით იგი ძველი კატარღით კრიკის პორტიდან გაემ-

ზავრა და გეზი ზღვის ღორთა ქვეყნისკენ აიღო. მაგრამ ნაპირიდან ოცი მილის დაშორებით შატილიონი შეიპყრო გემმა, რომელიც სინათლეჩამქრალი, შავი კუნძულების დედოფლის ბაირაღით მოდიოდა. ეს დედოფალი კარგა ხანია შატილიონისადმი საბედისწერო ვნებათაღელვას შეეპყრო.

თავი VII

დასკვნა

Nunc est bibendum.[1] მთავრობამ შიში დათრგუნა და საფრთხის თავიდან აცილებით გახარებულმა გადაწყვიტა პინგვინთა აღორძინებისა და რესპუბლიკის დაარსების წლისთავი სახალხო ზეიმით აღენიშნა.

საზეიმო ცერემონიას პრეზიდენტი ფორმოზი, მინისტრები, დეპუტატები და სენატორები დაესწრნენ.

პინგვინთა არმიის გენერალისიმუსი საპარადო ფორმით მობრძანდა. მას ტაშისკვრით შეეგებნენ.

საზეიმო მარშით ჩაიარეს მუშებმა, პირქუში და მფარველური იერი რომ ჰქონდათ. წინ მათ სიღატაკის შავი და ამბოხების წითელი დროშები მიუძღოდა.

პრეზიდენტმა, მინისტრებმა, დეპუტატებმა, მოსამსახურეებმა, საერო და სამხედრო ხელისუფლებმა თავისი და თავისუფალი ხალხის სახელით კვლავ დადეს უძველესი ფიცი: — თავისუფლება ან სიკვდილი. და თუმცა ამ ალტერნატივას გაბედულად იღებდნენ, თავისუფლად ცხოვრება ერჩიათ. ამის მერე თამაშები გაიმართა და სიტყვები და სიმღერები გაისმა.

სახელმწიფოს მეთაურთა წასვლის შემდეგ, მოქალაქეთა ბრბომ დინჯად და მშვიდად დაიწყო დაშლა, თან „გაუმარჯოს რესპუბლიკას", „გაუმარჯოს თავისუფლებას", „ძირს სამღვდელოებაო", გაჰყვიროდა.

გაზეთებმა ამ მშვენიერ დღეს მხოლოდ ერთი სამწუხარო შემთხვევა აღნიშნეს. თავადი დე ბოსენო სამეფო მდელოზე

---

[1] ახლა კი შევსვათ (ლათ.)

თავის სიგარას მშვიდად ეწეოდა, როცა მის წინ მთავრობის კორტეჟმა ჩაიარა. დე ბოსენო მინისტრთა ეტლს მიუახლოვდა და „სიკვდილი რესპუბლიკელებსო“, შესძახა. თავადს მაშინვე სტაცეს ხელი პოლიციის აგენტებმა, რომლებსაც თავგანწირული წინააღმდეგობა გაუწია. მან მრავალი პოლიციელი დასცა ძირს, მაგრამ ბოლოს მათმა სიმრავლემ დაჯაბნა. გრძნობადაკარგული თავადი, ისეთი დაბეჟილი, დასიებული და დასერილი, რომ საკუთარი ცოლიც კი ვერ იცნობდა, მხიარული ქუჩების გავლით, ბნელი ციხისაკენ წაათრიეს.

მაგისტრატმა განსაკუთრებული ყურადღებით გამოიძია შატილიონის საქმე. საადმირალოს პავილიონში იპოვეს წერილები, საიდანაც ჩანდა, რომ შეთქმულებაში ღირსი მამა აგარიკის ხელი ერია. საზოგადოებრივი აზრი მაშინვე სამღვდელოების წინააღმდეგ ამხედრდა და პარლამენტმა მიყოლებით თორმეტიოდე კანონი გამოსცა, რითიც კვეცავდა, ამცირებდა, ზღუდავდა, ლაგმავდა, აუქმებდა, ასუსტებდა, ართმევდა მათ შეღავათებს, შეუვალობას, უპირატესობას, სარგებელს და მათთვის მრავალ შეზღუდვასა და უუფლებობას აწესებდა.

ღირსი მამა აგარიკი მამაცურად იტანდა კანონთა სიმკაცრეს, პირადად მისკენ რომ იყო მიმართული და პირადად მას შეურაცხყოფდა და ამცირებდა; ასევე ეგუებოდა ემირალის საშინელ დაცემას, რომლის უპირველესი მიზეზი თავად იყო. იგი სულაც არ დაემორჩილა საშინელ ბედისწერას, მას დროებით მოვლენად თვლიდა და პირველზე უფრო გაბედულ, ახალ პოლიტიკურ გეგმებს აწყობდა.

ერთ დილას, როცა მისი ჩანაფიქრი მომწიფდა, კონილის ტყისაკენ გაემართა. ხეზე შაშვი უსტვენდა, პირქუში ზღარბი ქვიან ბილიკზე გარბოდა. აგარიკი ფართო ნაბიჯებით მიდიოდა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

იგი ლაბორატორიას მიუახლოვდა, სადაც ღირსი მწარმოებელი მრავალი ბედნიერი წლის მანძილზე წმინდა ობრეროზას ოქროსფერ ლიქიორს ხდიდა და უცებ ცარიელი მიდამოსა და დაკეტილი კარის წინ აღმოჩნდა. აგარიკმა შენობას შემოუარა და ღირსი კორნემუზი დაინახა, რომელსაც ანაფორა აეკალთავებინა და კედელზე მიყუდებულ კიბეზე აფორთხებას ცდილობდა.

— ეს თქვენა ხართ, მეგობარო? — შეეკითხა აგარიკი. — აქ რას აკეთებთ?

— როგორც ხედავთ, შინ ვბრუნდები, — ჩამწყდარი ხმით გაეპასუხა კონილის ბერი და აგარიკს სევდიანი თვალები მიაპყრო.

მის წითელ გუგებს ძოწის საზეიმო ბრწყინვალება აღარ ჰქონდათ. ისინი პირქუშ, ამღვრეულ ათინათს გამოსცემდნენ. მის სახეს ხალისიანი სისავსე დაეკარგა. თვალს აღარ ახარებდა მისი პრიალა მელოტის ხილვა. შრომის ოფლსა და წითელ ლაქებს მისი შეუდარებელი სრულქმნილება დაერღვია.

— არაფერი მესმის, — თქვა აგარიკმა.

— მე კი მგონია, ადვილი გასაგებია. აქ თქვენი შეთქმულების შედეგს ხედავთ. მრავალი კანონით გახლავართ დევნილი და თუმცა უმეტესობა თავიდან ავიცილე, ზოგიერთი მეხივით დამეცა. ამ შურისმაძიებელმა ხალხმა ჩემი ლაბორატორიები და დუქნები დაკეტა, ბოთლები და რეტორტები კი ჩამომართვა. ჩემი კარი დალუქეს. ახლა ფანჯარაში გადაძრომა მიხდება. იმასღა ვახერხებ, დროდადრო ჩუმად გამოვხადო მცენარეთა წვენი ისეთი აპარატით, უკანასკნელი არყისმხდელიც რომ დაიწუნებდა.

— თქვენ დევნის მსხვერპლი ხართ, — უთხრა აგარიკმა. — ყველას შეგვეხო იგი.

კონილის ბერმა შუბლზე უნეგეშოდ გადაისვა ხელი.

— ხომ გითხარით, ძმაო აგარიკ, ხომ გაგაფრთხილეთ, თქვენი წამოწყება ჩვენ წინააღმდეგ შემობრუნდება-მეთქი.

— ჩვენ მხოლოდ დროებით დავმარცხდით, — მკვირცხლად შეეპასუხა აგარიკი. — ეს დამარცხება მხოლოდ შემთხვევითმა მიზეზებმა, ავბედითმა შემთხვევითობამ გამოიწვია. შატილიონი სულელი იყო და საკუთარმა უგნურებამ დაღუპა. მომისმინე, ძმაო კორნემუზ, წუთიც არა გვაქვს დასაკარგავი. პინგვინთა ერი უნდა გადავარჩინოთ, ტირანიისა და საკუთარი თავისგან ვიხსნათ; რელიგიისა და კათოლიკური სარწმუნოების სადიდებლად დრაკონის ბიბილო და ძველი ხელისუფლება უნდა აღვადგინოთ. შატილიონი უვარგისი იარაღი აღმოჩნდა, ხელში ჩაგვატყდა, უკეთესით უნდა შევცვალოთ. მე ვიპოვე კაცი, რომლის მეშვეობითაც უღმერთო დემოკრატიას დავარ-

ბევთ. ის სამოქალაქო პირი გომორე გახლავთ. პინგვინები მისით აღტაცებულნი არიან. მან კი თავისი პარტია უკვე გაყიდა ბრინჯის შეშამანღზე, სწორედ ჩვენთვის საჭირო კაცია!

ამ საუბრის დაწყებისთანავე კონილის ბერი ფანჯარაში შეძვრა და კიბეც შეათრია.

— წინასწარ ვგრძნობ, — თქვა მან და ფანჯრის ჩარჩოში ცხვირი გამოყო. — თქვენ არ დაწყნარდებით, სანამ ყველას არ გაგვყრიან პინგვინეთის ამ ლამაზი, გულითადი და მშვენიერი ქვეყნიდან. მშვიდობით, გფარვიდეთ ღმერთი!

აგარიკი კედელთან იდგა და ძვირფას ძმას ეველრებოდა, ერთი წუთით მიგდე ყურიო.

— საკუთარი ინტერესები გაითვალისწინეთ, კორნემუზ! პინგვინეთი ჩვენ გვეკუთვნის. რა გვჭირდება მის დასაპყრობად? კიდევ ერთი ცდა... კიდევ ცოტაოდენი ფული და...

მაგრამ კონილის ბერმა მოსმენა აღარ ისურვა, ცხვირი შესწია და ფანჯარა დახურა.

წიგნი მეექვსე

ახალი ხანა. ოთხმოცი ათასი კონა თივის საქმე

თავი I

გენერალი გრეტოკი, ჰერცოგი დე სკული

ემირალის გაქცევის შემდეგ მცირე დრომ განვლო; ერთი ებრაელი, სახელად პიერო, რომელიც საშუალო ფენას ეკუთვნოდა, მაგრამ არისტოკრატიასთან დაახლოვება და თან ქვეყნის სამსახურიც უნდოდა, პინგვინთა არმიაში შევიდა. მაშინდელი სამხედრო მინისტრი გრეტოკი, იგივე ჰერცოგი დე სკული მას ვერ იტანდა. გრეტოკი პიეროს გულმოდგინებისათვის, მოკაუჭებული ცხვირისათვის, პატივმოყვარეობისათვის, შრომისმოყვარეობისათვის, მსხვილი ტუჩებისა და სამაგალითო ყოფაქცევისათვის ჰგმობდა. როგორც კი რაიმე უგვანო საქციელის ჩამდენს დაუწყებდნენ ძებნას, გრეტოკი ამბობდა:

— პიერო იქნებოდა!

ერთ დილას, გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა პანტერმა, გრეტოკს სერიოზული შეშფოთება მოახსენა. კავალერიისათვის განკუთვნილი ოთხმოცი ათასი კონა თივა ისე გაქრა, კვალიც არსად ჩანდა.

გრეტოკმა მაშინვე შესძახა:

— პიერო მოიპარავდა!

შემდეგ რამდენიმე წუთით ჩაფიქრდა და თქვა:

— რაც უფრო მეტს ვფიქრობ, მეტად ვრწმუნდები, რომ

ეს ოთხმოცი ათასი კონა თივა პირომ მოიპარა. მე მგონი, ჩვენს უბოროტეს მტრებს, ზღვის ღორებს უნდა იაფად მიყიდოს. რა სამარცხვინო ღალატია!

— უდავოდ ასეა, — უპასუხა პანტერმა. — ისღა დაგვრჩა, დავამტკიცოთ.

იმავე დღეს, კავალერისტების ყაზარმის წინ თავადმა დე ბოსენომ გაიარა და დაინახა, რომ კირასირები ეზოს ხვეტდნენ და მღეროდნენ:

> ბოსენოა დიდი ღორი, ჯიშიანი, მსუქანი,
> მისგან ძეხვი რომ მზადდება, მისი დარი სად არის!
> მსუყე-მსუყე, გემრიელი სოსისები და ლორი,
> ჯეელების საახალწლო სუფრაზე მისატანი.

დე ბოსენომ დისციპლინის დარღვევად მიიჩნია ამ ერთდროულად სამეურნეო და რევოლუციური სიმღერის შესრულება, აჯანყების დროს თავხედი მუშები რომ ბღაოდნენ. მან არმიის ზნეობრივი დაცემა გამოიტირა და ამ დაცემული არმიის მეთაური, ძველი მეგობარი გრეტოკი, რომელმაც თავადი ანტიპატრიოტულ მთავრობასთან დააბეზღა, მწარე ღიმილით გაიხსენა. დე ბოსენომ გადაწყვიტა, მისთვის ბოლო მოეღო.

— ეს ნაძირალა გრეტოკი დიდხანს არ იქნება მინისტრი, — ჩაილაპარაკა მან.

თავადი დე ბოსენო თანამედროვე დემოკრატიის, აზროვნების თავისუფლებისა და პინგვინთა მიერ ნებაყოფლობით მოღებული წყობის ყველაზე შეურიგებელი მოწინააღმდეგე გახლდათ. მას ძლიერ და აშკარად სძულდა ებრაელები და სახალხოდ თუ ჩუმად, დღისით თუ ღამით დრაკონიდების აღსადგენად იღვწოდა. თავადის მძაფრ მონარქიზმს პირადი მიზნები უფრო ამძაფრებდა. მისი მატერიალური მდგომარეობა დღითი დღე უარესდებოდა. იგი იმედოვნებდა, როგორც კი ალკაში დრაკო დიდის შთამომავალი შემოვა, ჩემი მდგომარეობა მაშინვე გამოსწორდებაო.

თავადი შინ დაბრუნდა და სეიფიდან ძველი წერილების დასტა გამოიღო. ეს კერძო და ძალიან საიდუმლო მიმოწერა, რომელიც თავადმა ერთი მოღალატე ნოკრისაგან იშოვა, აშ-

კარად ადასტურებდა, რომ მისი ძველი მეგობარი გრეტოკ-. პერაგი დე სკული, მომარაგების საქმეში მთლად სუფთა არ იყო. ვაჭარ მალურისაგან მან მიიღო არცთუ ისე დიდი ქრთამი, რომლის სიმცირეც მინისტრს თავის გამართლების უფლებას უსპობდა.

თავადმა მძაფრი სიამოვნებით გადაიკითხა წერილები, კვლავ გულმოდგინედ შეაწყო სიფში და სამხედრო სამინისტროსაკენ გაქანდა. იგი მტკიცე ხასიათის კაცი იყო და მეკარის განცხადება, მინისტრი არავის იღებსო, იმით უპასუხა, რომ შიკრიკი წააქცია, ადიუტანტები მიყარ-მოყარა, სამხედრო და სამოქალაქო მოსამსახურეები ფეხით გათელა, კარი შეგლიჯა და გაოგნებული გრეტოკის კაბინეტში შეიჭრა.

— მოკლედ და ნათლად მოგახსენებ, — უთხრა თავადმა გრეტოკს. — შენ ბებერი ნაძირალა ხარ, მაგრამ ეს კიდევ არაფერია. მე გთხოვე, რესპუბლიკელების წყეული ყმა, გენერალი მონშენი გადაგვეყენებინა. შენ არ ისურვე. გთხოვე ხელმძღვანელობა მიგეგნდო გენერალ კლაპიესათვის, რომელიც დრაკონიდებისათვის იღვწის და ვისგანაც პირადად მე, დიდად დავალებული გახლავარ. არც ეს ისურვე. გთხოვე, სხვაგან გადაგეყვანა ალკას პორტის განმკარგულებელი გენერალი ტანდემი, რომელმაც ორმოცდაათი ოქრო წამართვა და როცა უმაღლესი სასამართლოს წინაშე წარვდექი, როგორც ემირალ შატილიონის თანამოაზრე, ბრძანა ჩემთვის ხელბორკილი დაედოთ. არც ეს ისურვე. შვრიითა და ქატოთი მოგამარაგებ-ვეთქი გთხოვე, არ ისურვე. ზღვის ღორთა ქვეყანაში საიდუმლო მისიით გაგზავნა გთხოვე, არც ეს ისურვე. და განა მხოლოდ უარი მითხარი; მთავრობაში, შენს კოლეგებთან დამახასიათე, როგორც სახიფათო პიროვნება, რომელსაც ზედამხედველობა სჭირდება. შენ გამო, ძველო მოღალატევ, პოლიცია მითვალთვალებს. ახლა აღარაფერს გთხოვ, მხოლოდ ერთს გეტყვი, ჯანდაბისაკენ გზა გქონია! სჯობს აქედან აიბარგო. თქვენს ბინძურ რესპუბლიკას ვაიძულებთ, შენს ადგილზე ვინმე ჩვენიანი აირჩიოს. შენ იცი, მე სიტყვის კაცი ვარ. თუ ოცდაოთხ საათში გადადგომას არ მოითხოვ, გაზეთებში შენი და მალურის მიმოწერას გამოვაქვეყნებ.

გრეტოკი მშვიდად და აუღელვებლად გაუპასუხა:

— დაწყნარდი, იდიოტო. სწორედ ახლა ერთ ურიას კატორღაში ვაგზავნი. ოთხმოცი ათასი კონა თივის მოპარვის გამო პირო გადაეცი სამართალს.

თავადი დე ბოსენოს სიბრაზე ღრუბლებივით გაიფანტა; მან გაიღიმა:

— მართლა?

— თავად ნახავ.

— მომილოცავს გრეტოკ. მაგრამ შენთან ურთიერთობა მუდამ სიფრთხილეს მოითხოვს, ამიტომ დაუყოვნებლივ გამოვაქვეყნებ ამ სასიამოვნო სიახლეს. დღეს საღამოს მთელ ალკას ეცოდინება პიროს დაპატიმრების ამბავი.

და წასვლისას ჩაილაპარაკა:

— ოჰ, პირო! დარწმუნებული ვიყავი ცუდს იზამდა რამეს!

ორიოდ წუთის შემდეგ გრეტოკს გენერალი პანტერი წარუდგა.

— ბატონო მინისტრო, ეს-ესაა დავასრულე ოთხმოცი ათასი კონა თივის საქმის გამოძიება. პიროს წინააღმდეგ სამხილი არ არის.

— უნდა ვიპოვოთ, — უპასუხა გრეტოკმა. — მართლმსაჯულება მოითხოვს ახლავე დააპატიმროთ პირო.

თავი II

პირო

პიროს საზარელი დანაშაულის ამბავი მთელ პინგვინეთს მოედო. ხალხი ერთგვარად კმაყოფილიც გახლდათ; ღალატის ტოლი ქურდობა, ლამის მკრეხელობის ზღვარამდე აღწევდა და ვილაც წვრილფეხა ურიამ ჩაიდინა. ეს გრძნობა კარგად რომ გავიგოთ, ბობოლა და წვრილფეხა ებრაელებზე შექმნილი საზოგადოებრივი აზრი უნდა ვიცოდეთ. ჩვენ უკვე გვქონდა შემთხვევა და ამ ისტორიაში აღვნიშნეთ კიდეც, რომ ყველასთვის საძულველი, განსაკუთრებით ძლიერი ფინანსისტების კასტა ქრისტიანებისა და ურიებისაგან შედგება. ებრაელები მხოლოდ მის ნაწილს შეადგენდნენ. მაგრამ ხალხის სი-

ძულვილი ბობოლა ებრაელებს ატყდებოდათ თავზე. ისინი უზარმაზარ კაპიტალს ფლობდნენ და ხმები დადიოდა, მათ ხელში მთელი პინგვინეთის ქონების მეხუთედი იყრის თავსო. ამ საშიში კასტის გარდა არსებობდა კიდევ მრავალი საშუალო და წვრილფეხა ებრაელი, რომელიც ასევე არ უყვარდათ, მაგრამ მათი ნაკლებად ეშინოდათ. ყველა ცივილიზებულ სახელმწიფოში სიმდიდრე წმიდათა წმიდა მოვლენად ითვლება, მაგრამ დემოკრატიულ ქვეყნებში მხოლოდ ქონებაა წმინდა მოვლენა. პინგვინეთი დემოკრატიული ქვეყანა იყო. სამ თუ ოთხ ფინანსურ კომპანიას უფრო ფართო, განსაკუთრებით მყარი და მუდმივი ძალაუფლება ჰქონდა, ვიდრე რესპუბლიკის მინისტრებს, რომლებსაც ისინი ფარულად მართავდნენ და ქრთამითა თუ მუქარით აიძულებდნენ სახელმწიფო ხარჯზე მათთვის ხელი შეეწყოთ. თუ მინისტრები პატიოსნები აღმოჩნდებოდნენ, მათ საგაზეთო ცილისწამებით ანადგურებდნენ. ფინანსისტთა ეს ანაბრები გასაიდუმლოებული გახლდათ; და მაინც საკმარისად გახმაურდა, რათა ქვეყანა აღშფოთებულიყო; მაგრამ პინგვინთა მსხვილი და წვრილი ბურჟუაზია, განურჩევლად იმისა, მცირე ქონებას ფლობდა თუ მოზრდილს, ფულის თაყვანისცემით იყო ჩასახულიც და გაზრდილიც. ამიტომ კაპიტალისტთა მიმართ სოლიდარობის გრძნობით გახლდათ განმსჭვალული და ესმოდა, რომ მცირე ქონებას მხოლოდ დიდი სიმდიდრის ხელშეუხებლობა იცავს. ისინი ებრაელთა მილიონებს ისევე ეთაყვანებოდნენ, როგორც ქრისტიანთა მილიონებს და რადგან სარგებლის სიყვარული მათთვის ზიზღზე ძლიერი იყო, სიკვდილივით ეშინოდათ საძულველ ებრაელთა თავზე თუნდაც ერთ ღერ თმას შეხებოდნენ. რაც შეეხება წვრილფეხა ებრაელებს, მათ ნაკლებად ინდობდნენ, და თუ რომელიმეს წაქცეულს დაინახავდნენ, წიხლითაც კარგად შედგებოდნენ. აი, ამიტომ მთელმა ერმა სასტიკი კმაყოფილებით შეიტყო, რომ მოღალატე ებრაელი იყო, მაგრამ წვრილფეხა ებრაელი გახლდათ. მისი სახით პინგვინეთს ყველა ებრაელზე შეეძლო შური ეძია ისე, რომ არ შეშინებოდა, სახელმწიფო კრედიტს განსაცდელში ჩავაგდებო.

ერთი წუთითაც არავინ დაეჭვებულა, იქნებ არ მოუპარავს

პიროს ოთხმოცი ათასი კონა თივაო. როცა სულ არაფერი იცი, ეპვი ვერ წამოიშლება, რადგან დაეპვებას მოტივი სჭირდება. უმიზეზოდ დაეპვება შეუძლებელი გახლავთ, დაჯერება კი შეიძლება. არავინ ეპვობდა იმიტომ, რომ ამ ამბავს ყველგან ჰყვებოდნენ, გამეორება კი უმეტესობისათვის დასაბუთებას ნიშნავს. არავინ ეპვობდა იმიტომაც, რომ სურდათ დამნაშავე პირო ყოფილიყო, ხოლო რაც სურთ, იმას ყოველთვის იჯერებენ. ბოლოს და ბოლოს დაეპვების ნიჭი იშვიათი მოვლენაა და გონებაც იშვიათად ატარებს ამ ჩანასახს, რომელსაც აღზრდა და განვითარება სჭირდება. დაეპვების ნიჭი განსაკუთრებული, საუცხოო, ფილოსოფიური, ამორალური, ამაღლებული, საზარელი და ეშმაკი თვისებაა; ადამიანთათვის და ქონებისათვის იგი მავნეა, პოლიციას და სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის მტრული, კაცობრიობისათვის დამღუპველი, ღმერთებისათვის დამარბეველი და ზეცისა და მიწისათვის საძულველი. პინგვინთა ბრბომ დაეპვება არ იცოდა; მან დაიჯერა პიროს დანაშაული და ეს რწმენა მაშინვე მისი ეროვნული რწმენის ძირითად პრინციპად და პატრიოტიზმის არსებით შემშარიტებად გადაიქცა.

პირო საიდუმლოდ გაასამართლეს და დასაჯეს.

გენერალი პანტერი მაშინვე სამხედრო მინისტრთან მივიდა და პროცესის შედეგი აცნობა:

— საბედნიეროდ, — თქვა მან, — მოსამართლეებმა ირწმუნეს პიროს დანაშაული, რადგან სამხილი არ ჰქონდათ.

— სამხილი, — ჩაიბუტბუტა გრეტკამ, — რას ამტკიცებს იგი? მხოლოდ ერთი ხელშეუხებელი სამხილი არსებობს, დამნაშავის აღიარება. პირო გამოტყდა?

— არა, გენერალო.

— გამოტყდება, უნდა გამოტყდეს. თქვენ უნდა დაარწმუნოთ, პანტერ. უთხარით, რომ მისთვის ასე სჯობია. შეჰპირდით, რომ თუ აღიარა, სასჯელს შეუმსუბუქებენ და შეიწყალებენ. შეჰპირდით, რომ, თუ აღიარა, მის უდანაშაულობას ირწმუნებენ და დააჯილდოებენ კიდეც. საუკეთესო გრძნობებს შეეხეთ. გამოტყდეს პატრიოტიზმის, დროშის, საზოგადოებრივი წესრიგის, იერარქიის პატივისცემის გამო, სამხედრო მინისტრის საგანგებო ბრძანებით, სამხედრო დისციპლინის

გამო... მაგრამ, მოთხარით, პანტერ, განა უკვე არ გამოტყდა? ხომ არსებობს მდუმარე აღიარება; სიჩუმეც აღიარებას ნიშნავს.

— ის არ დუმს, გენერალო, გადარეულივით გაჰკივის, უდანაშაულო ვარო.

— პანტერ, დამნაშავის აღიარება ხანდახან განსაკუთრებით ჯიუტ უარში მჟღავნდება. სასოწარკვეთილი უარყოფაც აღიარებას ნიშნავს. პირო გამოტყდა; ჩვენ მისი აღიარების მოწმეები გვჭირდება. ამას მართლმსაჯულება მოითხოვს.

პინგვინეთის დასავლეთით ერთი პორტი მდებარეობდა, რომელსაც ლა კრიკი ერქვა და შედგებოდა სამი პატარა ყურესაგან, სადაც ადრე გემები შედიოდნენ; ახლა ეს პორტი სილით სავსე და უდაბური გახლდათ. დაჭაობებული ლაგუნები დაბალი სანაპიროების გასწვრივ გაჭიმულიყო, საზიზღრად ყარდა და მიძინებულ წყლებს თავს ციებ-ცხელება დასტრიალებდა. აქ, ზღვის სანაპიროზე, აღმართული იყო მაღალი, ოთხკუთხედი კოშკი, რომელიც ძველებურ ვენეციურ სამრეკლოს ჰგავდა. მის ერთ გვერდზე, თითქმის სახურავთან, გარდიგარდმო გადებულ ძელზე ჯაჭვი იყო მიმაგრებული; ჯაჭვზე კი გალია, რომელშიც დრაკონიდების დროს ალკას ინკვიზიტორები ერეტიკოსებს სვამდნენ. ამ გალიაში, სამასი წელი ცარიელი რომ იყო, ახლა პირო ჩასვეს. მისი დაცვა სამოც ზედამხედველს მიანდეს, რომლებიც კოშკში ცხოვრობდნენ, დღითა და ღამით პიროს უთვალთვალებდნენ და მის აღიარებას ელოდნენ, რათა მაშინვე სამხედრო მინისტრისათვის მოეხსენებინათ. კეთილსინდისიერი და ფრთხილი გრეტოკი აღიარებასა და ზეაღიარებას მოითხოვდა; და თუმცა იგი სულელი ეგონათ, სინამდვილეში ბრძენი და ფრიად წინდახედული გახლდათ.

ამ დროს კი მზით დამწვარი, კოღოებით დაკბენილი, წვიმით, სეტყვით და თოვლით დამბალი, სიცივისაგან გაყინული და გალიაზე ჩამომსხდარი ყვავების ყრანტალით გაწამებული პირო სისხლში ამოვლებული კბილის საჩიჩქნით პერანგის ნახევებზე თავის სიმართლეს წერდა. ეს ჩვრები ზღვაში ცვიოდა ან ზედამხედველებს უვარდებოდა ხელში. ზოგიერთმა მათგანმა საზოგადოებამდეც მიაღწია, მაგრამ პიროს განცხადებას არავინ აუღელვებია. მისი აღიარება უკვე გამოქვეყნებული იყო.

გრაფი დ ემოგეკ დე ლა დანდულინჰსი

წერილფეხა ებრაელთა ზნე-ჩვეულებანი მუდამ უმწიკვლო როდი იყო. უმეტეს შემთხვევაში ისინი ქრისტიანული სარწმუნოების მანკიერებას არ უარყოფდნენ, მაგრამ ოჯახისა და ტომის ინტერესებთან თანადგომა პატრიარქალური ხანიდან შეიძოინახეს. პიროს ძმებს, ნახევარძმებს, ბიძებს, ბაბუის ძმებს, ბიძაშვილებს, ბიძაშვილიშვილებს, ძმიშვილებს, ძმიშვილიშვილებს, დედითა და მამით ნათესავებს, სულ შვიდას კაცს, თავიდან ისეთი ელდა დასცა ერთ-ერთი თანამოძმის უბედურებამ, რომ სახლებში შეიკეტნენ, თავზე ნაცარი წაიყარეს, მადლი შეასხეს ხელს, მათ რომ სჯიდა და ორმოცი დღე მკაცრი მარხვა დაიცვეს; შემდეგ დაიბანეს და საფრთხის მიუხედავად გადაწყვიტეს, რადაც ენდა დასჯდომოდათ, დაემტკიცებინათ პიროს უდანაშაულობა, რაშიც ეჭვიც არ ეპარებოდათ. ან კი როგორ შეეძლოთ დაეჭვებაჲ პიროს უდანაშაულობა ისევე ნათელი იყო მათთვის, როგორც მისი დანაშაული ქრისტიანი პინგვინებისათვის, რადგან ზეშთაგონება, რასაც ფარული მიზეზები ქმნის, მისტიკურ ხასიათსა და რელიგიური ჰეშმარიტების ხელშეუხებლობას იძენს. შვიდასი პიროტი ფრთხილად და გულმოდგინედ შეუდგა საქმეს და იდუმალ, მაგრამ საფუძვლიანი გამოძიება დაიწყო. ისინი ყველგან იყვნენ და არსად ჩანდნენ; შეიძლება ითქვას, ულისეს მესაჭესავით მიწისქვეშაც თავისუფლად დადიოდნენ. შენიღბულმა პიროტებმა სამხედრო სამინისტროში შეაღწიეს და მსაჯულებს, მდივნებსა და მოწმეებს ესაუბრენ. გრეტოკის სიბრძნე სწორედ აქ გამოჩნდა. მოწმეებმა არაფერი იცოდნენ, მსაჯულებსა და მდივნებს შორის კი სრული გაურკვეველობა სუფევდა. პიროტთა მზვერავებმა თავად პირომდეც მიაღწიეს და ზღვის დასრულებულ ხმაურსა და ყვავების ყრანტალში, გალიაში გამოკეტილი კაცი აღელვებულებმა დაჰკითხეს. ყოველივე ამაო იყო: წსჯავრდადებულმაც არაფერი იცოდა. შვიდას პიროტს არ შეეძლო დანაშაულის სამხილების განადგურება, რადგან ვერ მიაკვლია მას. და მხოლოდ იმიტომ ვერ მიაკვლია, რომ

შეუძლებელია არარსებულის მიკვლევა. პიროს დანაშაული უდავო მხოლოდ იმიტომ გახლდათ, რომ არ არსებობდა. და ერთხელ გრეტკომა გენერალ პანტერს ჰეშმარიტი შემოქმედის კანონიერი სიამაყით განუცხადა: „ეს პროცესი შედევრია; იგი არაფრისაგანაა შექმნილი". ეს იყო. შვიდას პიროტს იმედი გადაეწურა, ამ ბნელ საქმეს ნათელი მოეფინებაო, რომ უცებ მოპარული წერილით აღმოაჩინეს, რომ ოთხმოცი ათასი კონა თივა საერთოდ არ არსებობდა და რომ ერთმა ცნობილმა აზნაურმა, გრაფმა მობეკმა იგი სახელმწიფოს მიჰყიდა, ფულიც აიღო, მაგრამ არასოდეს ჩაუბარებია, რადგან, მართალია, ძველი პინგვინეთის უმდიდრეს მემამულეთა ოჯახს ეკუთვნოდა და დე მობედ დე ლა დანდულინქსებს მემკვიდრე გახლდათ, ერთ დროს ოთხ საჰერცოგოს, სამოც საგრაფოს, ექვსას თორმეტ სამარკიზოსა და საბარონოს რომ ფლობდნენ, მაგრამ თავად მას, ერთი მტკაველი მიწაც არ ჰქონდა და თავის მამულში ერთი კონა ბალახის მოთიბვაც არ შეეძლო. ასევე შეუძლებელი იყო მას რომელიმე მეწარმისაგან ან გადამყიდველისაგან ეყიდა თუნდაც ერთი ღერი თივა, რადგან მინისტრებისა და მთავრობის გარდა ყველამ იცოდა, რომ ქვას უფრო ადვილად გამოადენდი ზეთს, ვიდრე მობეკს გააგდებინებდი კაპიკს.

შვიდასმა პიროტმა დაწვრილებით შეისწავლა გრაფ დე მობეკ დე ლა დანდულინქსის ფინანსური რესურსები და დარწმუნდა, რომ ამ აზნაურის შემოსავლის დიდი ნაწილი მოდიოდა ერთი სახლიდან, სადაც გულუხვი ქალები, გარკვეულ საფასურად, ყველას ანიჭებდნენ სიამოვნებას. პიროტებმა სახალხოდ დასდეს ბრალი გრაფს ოთხმოცი ათასი კონა თივის ქურდობაში, რის გამოც უდანაშაულო დასაჯეს და გალიაში ჩასვეს.

მობეკი ცნობილი ოჯახის შთამომავალი გახლდათ, რომელიც დრაკონიდებს ენათესავებოდა. დემოკრატიულ ქვეყნებში კი არაფერს სცემენ ისეთ პატივს, როგორც ბრწყინვალე წარმოშობას. მობეკი პინგვინთა არმიაში მსახურობდა, პინგვინები კი, მას შემდეგ, რაც ყველა ჯარისკაცად იქცა, თავის არმიას აღმერთებდნენ. მობეკმა ბრძოლის ველზე ჯვარი მოიპოვა, რაც პინგვინთათვის საპატიო ნიშანი გახლდათ და ცოლის საწოლსაც კი ერჩივნათ. მთელმა პინგვინეთმა მობეკს დაუჭირა მხარი

და ხალხის ხმამ შვიდასი ცილისმწამებლისათვის სასტიკი სასჯელის დადება მოითხოვა.

მობეკი აზნაური იყო; მან შვიდასი პიროტი დაშნებით, დამბაჩებით, თოფებით, ხმლებით ან ჯოხებით ორთაბრძოლაში გამოიწვია.

„მყრალო ურიებო, — წერდა იგი თავის ცნობილ წერილში, — თქვენ ჩემი ღმერთი აცვით ჯვარს და ახლა მე გინდათ ტყავი გამაძროთ; გაფრთხილებთ, მასავით მხდალი არა ვარ და ათას ოთხას ყურს ჩამოგათლით. ჩემი პანჩური მიიღეთ თქვენს შვიდას უკანალზე“.

მთავრობის ხელმძღვანელი მაშინ ერთი გლეხი, მდიდრებისა და ძლიერებისათვის გულთბილი, ღარიბთათვის სასტიკი, არცთუ ისე გულადი და მხოლოდ საკუთარი ინტერესებისათვის მზრუნველი რობენ მიელო გახლდათ. იგი მობეკის უდანაშაულობასა და პატიოსნებას საჯაროდ დაუდგა თავდებად და შვიდასი პიროტი ცილისწამებისათვის სამართალს გადასცა. სასამართლოს განაჩენმა კი სამართლის ხარჯებისა და უდანაშაულო მსხვერპლის სარჩელის დასაფარად მათ უშველებელი ჯარიმა დააკისრა.

საქმეს ისეთი პირი უჩანდა, პირო სამუდამოდ რჩებოდა გალიაში, რომელსაც ყვავები ასხდებოდნენ. და თუმცა ყოველ პინგვინს სურდა სცოდნოდა და დაემტკიცებინა ამ ებრაელის დანაშაული, წარმოდგენილი საბუთები მთლად სარწმუნო ვერ იყო და ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდა. გენერალური შტაბის ოფიცრები დიდ გულმოდგინებას იჩენდნენ, მაგრამ ზოგიერთებს წინდახედულება აკლდათ. გრეტოკი ზვიადად დუმდა, გენერალი პანტერი კი დაუსრულებელ დისკუსიებში ებმებოდა და დილის ყოველ გაზეთში დასჯილის დანაშაულს ამტკიცებდა. ვინ იცის, იქნებ ჯობდა, არაფერი ეთქვა: დანაშაული ხომ ნათელი იყო, ცხადს კი დამტკიცება არ სჭირდება. ეს დაუსრულებელი მსჯელობა ხალხს აცბუნებდა, რწმენა შეირყა და, რაც უფრო მეტი საბუთი ჩანდა, ხალხი უფრო მეტს მოითხოვდა.

მაგრამ ეს უამრავი საბუთი ისე საშიში არ იქნებოდა პინგვინეთში, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, თავისუფლად მოაზროვნე ვინება რომ არ არსებულიყო, რომელსაც რთულ სა-

კითხებში გარკვევის უნარი შესწევს და ფილოსოფიური ეჭვიანებაც გახლავთ მიდრეკილი. ასეთები ცოტანი იყვნენ და უფრო ნაკლებს სურდა აშკარად ელაპარაკა; ხალხი მზად არ იყო მათი ნათქვამის მოსასმენად. და მაინც, ისინი მხოლოდ ყრუებისათვის როდი ლაპარაკობდნენ. ბობოლა ებრაელები და ალკა, ყველა მილიონერი ებრაელი, როგორც კი პიროზე ჩამოვარდებოდა სიტყვა, ამ კაცს არ ვიცნობთო, ამბობდნენ, გულში კი მის გადარჩენაზე ოცნებობდნენ. ისინი იმ სიფრთხილეს იცავდნენ, რასაც სიმდიდრე მოითხოვდა და სურდათ სხვა ეხილათ ნაკლებად ფრთხილი. მათი სურვილი მალე აღსრულდა.

თავი IV

კოლომბანი

შვიდასი პიროტის დასჯის შემდეგ რამდენიმე კვირა გავიდა, როცა ერთ დილით პატარა, ახლომხედველი, მოღუშული და ბანჯგვლიანი კაცი თავის სახლიდან გამოვიდა, წებოს ქილა, კიბე და აფიშების დასტა გამოიტანა, ქუჩებს დაუყვა და კედლებზე პლაკატები გააკრა, რომელზეც დიდი ასოებით ეწერა: „პირო უდანაშაულოა, მობეკი დამნაშავეა“. ეს კაცი აფიშებს გამკვრელი როდი იყო; სახელად კოლომბანი ერქვა, პიგვინთა სოციოლოგიაზე შექმნილი ას სამოცი ტომის ავტორი ჯახლდათ და ალკას ყველაზე უფრო შრომისმოყვარე და საპატივცემულო მწერლად ითვლებოდა. კოლომბანმა კარგა ხანს იფიქრა და, როცა პიროს უდანაშაულობაში დარწმუნდა, თავისი აზრი ყველაზე თვალსაჩინო საშუალებით განაცხადა. წყნარ ქუჩებში მან დაუბრკოლებლად გააკრა რამდენიმე აფიშა, მაგრამ როგორც კი უფრო ხალხმრავალ უბნებში გადანაცვლა, კიბეზე ასული კაცის ირგვლივ მუდამ გაოცებისა და აღშფოთებისაგან გაოგნებული ცნობისმოყვარე ბრბო იკრიბებოდა და მუქარით უმზერდა. ამ მზერას კოლომბანი სწორედ იმ სიმშვიდით იტანდა, სიმამაცე და ახლომხედველობა რომ წარმოშობს. მის ზურგს უკან მეკარეები და მეწვრილმანეები კედლიდან აფიშებს ხევდნენ; ის კი მიდიოდა და თავის აღჭურ-

ვილობას მიათრევდა. უკან მისდევდნენ კალათაამოჩრილნი ან ზურგზე ჩანთამოკიდებული ბიჭები სულაც რომ არ ჩქარობდნენ სკოლაში წასვლას. კოლომბანი გულმოდგინედ აკრავდა აფიშებს. ჩუმი აღშფოთება პროტესტმა და ბუზღუნმა შეცვალა, მას კი არაფრის დანახვა და გაგონება არ სურდა და, როცა წმინდა ობრეროზას ქუჩის დასაწყისში ერთ-ერთ ფურცელს აკრავდა, შემოკრებილმა ბრბომ თავშეუკავებელი რისხვის ნიშნები გამოავლინა. „გამყიდველო, ქურდო, ბოროტმოქმედო, ნაძირალავ!“ — უყვიროდნენ მას. ერთმა დიასახლისმა ფანჯარა გამოაღო და ნაგვის ყუთი თავზე გადმოაპირქვავა. ქუჩის მეორე მხრიდან მეეტლემ შოლტის მოქნევით ქუდი მოხადა და შურნაძიები ბრბო აღტაცებით ახმაურდა. ყასაბმა, წებოიან-ფუნჯიან-აფიშებიანად იგი თხრილში გადაისროლა და გაამაყებულმა პინგვინებმა სამშობლოს სიდიადე შეიგრძნეს. კოლომბანი წამოდგა; იდაყვები და ფეხები დაკაწრული და ტალახით მოთხვრილი ჰქონდა; და მაინც, მშვიდი და შეუპოვარი გახლდათ.

— პირუტყვებო, — წაიჩურჩულა მან და მხრები აიჩეჩა.

შემდეგ თხრილში ოთხზე დადგა, რათა პენსნე მოეძებნა, დაცემისას რომ დაკარგა და აღმოაჩინა, სამოსი საყელოდან ბოლომდე ჩაფხრეწილი, პანტალონი კი ნაფლეთებად ქცეული მაქვსო. ბრბოს მტრული განწყობილება იზრდებოდა.

ქუჩის მეორე მხარეს წმინდა ობრეროზას სახელობის დიდი ჯუქანი იდგა. პატრიოტებმა გამოფენილ საქონელს სტაცეს ხელი და კოლომბანს ფორთოხლები, ლიმონები, მურაბის ქილები, შოკოლადის ფილები, ლიქიორის ბოთლები, სარდინის კოლოფები, პაშტეტები, შაშხი დაკლული ფრინველი, ზეთის ბოთლები და ლობიოს ტომრები დაუშინეს. სურსათით დაფარული, დაბეჟილი, დაკაწრული, დაკოპლებული და დაბრმავებული კოლომბანი გაიქცა; უკან კი ნოქრები, მეფუნთუშეები, მაწანწალები, ბურჟუები და უქნარები დაედევნენ. მათი რიგები ყოველ წუთს იზრდებოდა და ყველა ერთად გაჰკიოდა: „წყალში გადააგდეთ! სიკვდილი მოღალატეს! წყალში გადააგდეთ!“ მდაბიოთა ეს უხეში ბრბო ყველა ბულვარს მოედო და წმინდა მაელის ქუჩაზე შეიჭრა. პოლიცია თავის მოვალეობას ასრულებდა; ყველა მომიჯნავე ქუჩიდან აგენტები გამოდიოდ-

ნენ, მარცხენა ხელს ხანჯლის ქარქაშს უჭერდნენ. მდევნელებს სათავეში უდგებოდნენ და თავადაც გარბოდნენ. რა-ის იყო, ბრბოს კოლომბანისათვის ხელი უნდა ეტაცა, რომ იგი მიეღოდნელად გასხლტა და გაწსნილი ლიეკთ საკანალიზაციო მილის სიღრმეში ჩაეკარგა.

ღამე კოლომბანმა ლიეკში გაატარა. სიბნელეში, ბინძური წყლის ნაპირას, სველ და მსუქან ვირთხებს შორის იჯდა და თავის ამოცანაზე ფიქრობდა. მისი გული სიმამაცით და სიბრალულით იყო სავსე; და როცა განთიადის მკრთალმა სხივმა ლიეკში შემოაღწია, წამოდგა და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— როგორც ვხედავ, საშინელი ბრძოლა მომელის.

მაშინვე შეადგინა ბარათი, რომელიც ნათლად ამტკიცებდა: პიროს არ შეეძლო სამხედრო საგინისტროდან მოეპარა ოთხმოცი ათასი კონა თივა, იქ არასოდეს რომ არ მიეღიათ, რადგან მობეკს არასოდეს ჩაუბარებია, თუმცა საფასური მიღებული ჰქონდათ. ეს ბარათი კოლომბანმა ალკას ჭუჩებში მიმოფანტა. ხალხმა არ ისურვა წაკითხვა და რისხვით დაფხრიწა იგი. მედუქნეები მუშტს უღერებდნენ ამ ბარათის დამრიგებლებს, ისინი კი გაურბოდნენ ქალებს, იატაკის საწმენდი ჯაგრისებით რომ მოსდევდნენ. მღელვარება და აღგზნება მთელ დღეს გაგრძელდა. საღამოს ტანსაცმელშემოფლეთილი ხალხის პირქუში ჯგუფები ქუჩაში ბღავილით დარბოდნენ. „სკვედილი კოლომბანს“, გაისმოდა ყველგან. პატრიოტები ხელიდან გლეჯდნენ დამტარებლებს ბარათის მთელ შეკვრებს, სახალხო მოედნებზე წვავდნენ და კოცონების იძგელივ, იმ გოგოებთან ერთად, ქვედატანები მუცლამდე რომ წამოეხადათ, წრეშეკრული ცეკვავდნენ.

ყველაზე მგზნებარე პატრიოტები წავიდნენ და სახლის ფანჯრები ჩალეწეს, სადაც კოლომბანი ორმოცი წელი ცხოვრობდა და ღრმა სიმშვიდით დამტკბარი აუღელვებელად შრომობდა.

პალატები აღელდნენ და მთავრობის მეთაურს დაეკითხნენ, რა ზომების მიღებას აპირებდა ეროვნული არმიის ღირსებისა და პინგვინთა უსაფრთხოებაზე კოლომბანის უგვანო თავდასხმის შესაჩერებლად. რობენ მიელომ კოლომბანის წამბილწველი კადნერება დაგმო და კანონმდებელთა ტაშის გრიალში

განაცხადა, ეს კაცი სასამართლოს წინაშე წარსდგება და თავის სამარცხვინო პასკვილზე პასუხს იქ აგებსო.

გამოძახებული სამხედრო მინისტრი ტრიბუნაზე გარდასახული ავიდა. იგი აღარ ჰგავდა პინგვინიის ციხესიმაგრის წმინდა ბატს; ახლა თმაგაჩეჩილი, მოღერებული ყელით და წაწვეტებული ცხვირით იგი სიმბოლურ არწივს უფრო მოგაგონებდათ, სამშობლოს მტრების ღვიძლს რომ კენკავდა.

საკრებულოს დიად სიჩუმეში მან მხოლოდ ეს სიტყვები წარმოთქვა:

— ვფიცავ, პირო ნაძირალააა!

გრეტოკის სიტყვები მთელ პინგვინეთს მოედო და საზოგადოებრივი სინდისი დააწყნარა.

თავი V

ღირსი მამები აბარიკი და კორნემუზი

გაკვირვებული კოლომბანი მშვიდად იტანდა სახალხო შეჩენებას. სახლიდან გამოსულს მუდამ ქვები ხვდებოდა, ამიტომ სულ ამოიკვეთა ფეხი და თავის კაბინეტში მომხიბვლელი სიჯიუტით გალიაში ჩასმული უდანაშაულოს სასარგებლოდ ახალ ბარათებს წერდა. ამ დროს, იმ მცირერიცხოვან მკითხველთა შორის, მას რომ ჰყავდა, თორმეტიოდე მისმა დასაბუთებამ განაცვიფრა და პიროს დანაშაულში დაეჭვდა. ეს აზრი მათ ახლობლებს გაუზიარეს და სცადეს თავის გონებაში ნაშობი ნათელი ირგვლივ მოეფრქვიათ. ერთი მათგანი რობენ მიელოს მეგობარი გახლდათ და მას თავისი ეჭვები გაუზიარა, რის შემდეგაც რობენმა მისი მიღება აღარ ისურვა. მეორემ ღია წერილით სამხედრო სამინისტროსაგან განმარტება მოითხოვა, მესამემ საშინელი პამფლეტი გამოაქვეყნა; ამ უკანასკნელს, სახელად კერდანიკს, საშიშ პოლემიკოსად იცნობდნენ. საზოგადოება გაოგნდა. იმასაც ამბობდნენ, მოღალატის დამცველები მსხვილმა ებრაელებმა მოისყიდესო. მათ ზიზღით პიროტები შეარქვეს და პატრიოტები ფიცს დებდნენ, მოღალატეებს პირისაგან მიწისა აღვგვითო. ამ ეებერთელა რესპუბლი-

კაში სულ ათასი თუ ათას ორასი პიროტი გახლდათ, მაგრამ შიშისაგან ყველგან პიროტები ელანდებოდათ. შიშობდნენ, მათ სეირნობისას, სათათბიროში, კრებებზე, მაღალი წრის სალონებში, საოჯახო სადილზე ან ცოლქმრულ საწოლში არ გადაყროდნენ. მოსახლეობის ერთი ნაწილი მეორე ნაწილს ეჭვის თვალით უყურებდა. ალკაში განხეთქილების ცეცხლი აგიზგიზდა.

ამასობაში, მამა აგარიკი, რომელიც ახალგაზრდა არისტოკრატთა დიდ სკოლას ხელმძღვანელობდა, მღელვარე ყურადღებით ადევნებდა თვალს მოვლენებს. პინგვინთა ეკლესიის უბედურებამ ვერ გასტეხა იგი. მამა აგარიკი პრინც კრუშოს ერთგული დარჩა და იმედოვნებდა, პინგვინეთის ტახტზე კვლავ დრაკონიდთა შთამომავალს ვიხილავო. მისი ვარაუდით, მოვლენები, ამ ქვეყანაში რომ ხდებოდა ან მწიფდებოდა საზოგადოებრივი აზრი, ამ მოვლენათა შედეგი და მიზეზი რომ გახლდათ და შფოთი აუცილებლად რომ წარმოიშობოდა, ეკლესიის მსახურის ღრმა სიბრძნით ფარულად სულჩადგმული, მიმართული და თავმობმული შეძლებდა რესპუბლიკის საფუძვლის შერყევას და პინგვინებს პრინც კრუშოს მიმართ განაწყობდა. ამ უკანასკნელის ღირსება კი ერთგულთ ნუგეშს ჰპირდებოდა. აგარიკმა დაიხურა თავისი ფართო, შავი ქუდი, რომლის კიდეები ღამის ფრთებს ჰგავდა და კონილის ტყეს გაელით გაემართა სახელოსნოსაკენ, სადაც მისი პატივცემული მეგობარი, მამა კორნემუზი წმინდა ობრეროზას ჰიგიენურ ლიქიორს ხდიდა. კეთილი ბერის წარმოება, ემირალ შატილიონის დროს ასე ძლიერი დარტყმა რომ მიიღო, ნანგრევებიდან აღორძინებას იწყებოდა. ტყის გასწვრივ კვლავ ისმოდა სატვირთო მატარებლის ხმაური, ფარდულებში კი ასობით ობოლი ბოთლებს ფუთავდა და უყუთებს აჭედებდა.

აგარიკმა თავისი პატივცემული მეგობარი ქურის წინ, რეტორტებს შორის აღმოაჩინა. მოხუცის მოძრავი გუგები კვლავ ძოწისფრად ელავდა, მელოტი კი სასიამოვნოდ უპრიალებდა.

თავდაპირველად აგარიკმა ღირსეულ არყისმხდელს მისი ლაბორატორიებისა და სახელოსნოების ამოქმედება მიულოცა.

— მადლობა ღმერთს, საქმე გამოკეთდა, — უპასუხა კონი-

ლის მოხუცმა. — ეჰ! ცუდად იყო საქმე, ძმაო, აგარიკ. თავადაც ნახეთ, რა შავ დღეში ჩამაგდეს. მეტი რაღა მეთქმის.

აგარიკმა თავი მიაბრუნა.

— წმინდა ობრეროზას ლიქიორი კვლავ ზეიმობს, — განაგრძო კორნემუზმა. — და მაინც, ჩემი წარმოება არასაიმედო და მერყევია. მისი დამარბეველი და ამაოხრებელი კანონები ხომ არ გაუქმებულა, მათი გამოყენება შეჩერდა მხოლოდ...

და კონილის ბერმა ცისკენ აღაპყრო ხელ სფერი გუგები.

აგარიკმა მხარზე დაადო ხელი:

— კორნემუზ, რა საშინელი სანახავია უბედური პინგვინეთი! ყველგან დამოუკიდებლობა და თავისუფლება გაისმის და ამპარტავანი და ქედმაღალი მეამბოხენი მოჩანს. მას შემდეგ, რაც ღვთის კანონები დაგმეს, ადამიანურ კანონებსაც განუდგნენ, საიდანაც ნათლად ჩანს, რომ კარგი მოქალაქე ჯერ კარგი ქრისტიანი უნდა იყოს. კოლომბანი სატანას ბაძავს. მრავალი ბოროტმოქმედი კი მის დამღუპველ მაგალითს მისდევს. გაცოფებულნი ცდილობდნენ ყველა სადავე გაწყვიტონ, უღელი მოიშორონ, წმიდათა წმიდა ბორკილებისაგან გათავისუფლდნენ და მხსნელი შეივიწროვებისაგან თავი დაიხსნან. ისინი სამშობლოს არბევენ, რათა დაიმორჩილონ, მაგრამ ხალხის სიძულვილი, გაკიცხვა, გულისწყრომა, რისხვა და ზიზღი დაღუპავთ. აი, ასეთ უფსკრულთან მიიყვანა ისინი ულმერთობამ, აზრის თავისუფლებამ და შემზარავმა პრეტენზიამ: თავად განესაჯოთ და საკუთარი აზრი ვიქონიოთო.

— უეჭველად, უდავოდ, — თავის ქიცინით უპასუხა მამა კორნემუზმა. — მაგრამ გამოგიტყდებით, ბალახების დისტილაციაზე ზრუნვამ მთლიანად დამიპყრო და ვეღარ მოვიცალე სახალხო საქმისათვის მედევნებინა თვალი. მხოლოდ ის ვიცი, რომ ბევრს ლაპარაკობენ ვიღაც პიროზე. ერთნი ამტკიცებენ, დამნაშავეაო, მეორენი — უდანაშაულოაო, მაგრამ კარგად არ მესმის, რა მოტივი აიძულებს ან ერთს ან მეორეს ისეთ საქმეში ჩაერიონ, სულ რომ არ ეხებათ.

ღირსი აგარიკი მკვირცხლად შეეკითხა:

— თქვენ მაინც ხომ გჯერათ, რომ პირო დამნაშავეა?

— მე არ ძალმიძს დაეჭვება, ძვირფასო აგარიკ, —უპასუხა კონილის ბერმა. — ეს ჩემი ქვეყნის კანონებს ეწინააღმდეგება;

მას კი პატივი უნდა სცე, რადგან ღვთიურ კანონებს ემორჩილება. პირო დამნაშავეა, რადგან დასჯილია. ამას გარდა, მის სასარგებლოდ ან უარსაყოფად რაიმეს თქმა მსაჯულთა ავტორიტეტის ჩემი ავტორიტეტით შეცვლას ნიშნავს; ამისგან კი თავს შევიკავებ. ეს უსარგებლოა, პირო ხომ უკვე დასჯილია. თუ უდანაშაულოდ დასაჯეს, დამნაშავეა, რადგან დასჯილია. საბოლოო ჯამში ეს ხომ ერთი და იგივეა. მე სწორედ ისე მჯერა მისი დანაშაულის, როგორც ყველა კარგ მოქალაქეს უნდა სჯეროდეს. და სანამ დადგენილი სამართალი მოგვიწოდებს, გჯეროდესო, კიდეც ვიწამებ. სამართალში მიცემული კაცის უდანაშაულობის საჯაროდ გამოცხადება კერძო პირის კი არა, მსაჯულთა საქმეა. ადამიანთა სამართალი პატივსაცემია თვით იმ ნიშანდობლივი შეცდომებითაც კი, მისი ცდომილი და შეზღუდული ბუნება რომ წარმოშობს. შეცდომები არასოდეს არ გახლავთ გამოუსწორებელი; თუ მას მიწაზე მსაჯულნი არ გამოასწორებენ, უფალი გამოასწორებს ზეცაში. ამასთანავე გენერალ გრეტოკის მჯერა. ვგონებ, უფრო ჭკვიანი უნდა იყოს, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს და ვიდრე ისინი, თავს რომ ესხმიან.

— ძვირფასო კორნემუზ, — შესძახა ღირსმა აგარიკმა. — პიროს საქმეს თუ ღვთისა და საპირო თანხის შეწევნით იქით წარვმართავთ, საითაც გვინდა, დიდ სარგებლობას მოგვიტანს: იგი ანტიქრისტიანული რესპუბლიკის მანკიერებას გააშიშვლებს და პინგვინებს დრაკონიდებისა და ეკლესიის უფლებამოსილების აღდგენისაკენ განაწყობს მაგრამ ხალხმა თავისი ლევიტები დამცველთა პირველ რიგებში უნდა იხილოს. აღვდგეთ არმიის; მტრებისა და გმირთა შეურაცხმყოფელების წინააღმდეგ; ყველა გამოგვყვება.

— ყველა? მე მგონი, აჰარბებთ, — თავის ქნევით ჩაილაპარაკა კონილის ბერმა. — ვხედავ, პინგვინებში შუღლი ჩამოვარდა. თუ მათ ჩხუბში ჩავერევით, ჩვენს ხარჯზე შერიგდებიან და საბრძოლო ხარჯებსაც ჩვენვე აგვანაზღაურებინებენ. ძვირფასო აგარიკ, თუ დამიჯერებთ, ნუ გახვევთ ეკლესიას ამ ფათერაკში.

— ჩემი ენერგიულობა მოგეხსენებათ, ახლა ჩემს წინდახედულობასაც იხილავთ. მე არაფის შევარცხვენ... უძვირფა-

სესო კორნემუზ, მხოლოდ აუცილებელ თანხას გთხოვთ ამ კომპანიის წამოსაწყებად.

კორნემუზი კარგა ხანს უარზე იყო, ფული დაებანდებინა იმ წამოწყებაში, რომელსაც დამღუპველად თვლიდა. აგარიკი ხან პათეტიკურად უტეხდა, ხანაც მრისხანედ. და ბოლოს, კორნემუზმა თხოვნასა და მუქარას დაუთმო და თავისი მკაცრი სენაკისაკენ, სადაც ყველაფერს ევანგელისტური სილატაკის დაღი ესვა, თავჩაქინდრული წალასლასდა. კირით შეთეთრებულ კედელზე, ნაკურთხი ბზის ქვეშ სეიფი იყო ჩადგმული კორნემუზმა იგი ოხვრით გააღო, ფასიანი ქაღალდების პატარა დასტა გამოიღო და ღირს მამა აგარიკს დუნედ და გაუბედავად გაუწოდა.

— ეჰვი არ შეგეპაროთ, ძვირფასო კორნემუზ, — თქვა წმინდა მამამ და ქაღალდები ანაფორის ჯიბეში ჩაიდო, — პიროს საქმე უფალმა გამოგვიგზავნა, რათა პინგვინეთის ეკლესიის დიდებას ქება შევასხათ.

— კარგი იქნება, მართალი ალმოჩნდეთ! — ამოიხვნეშა კონილის ბერმა.

ლაბორატორიაში მარტო დარჩენილმა კორნემუზმა ნატიფი თვალებით, გამოუთქმელი სევდით შეხედა ჭურასა და რეტორტებს.

თავი VI

შვიდასი პიროტი

საზოგადოებას შვიდასი პიროტი დღითი დღე სულ უფრო და უფრო მეტად სძულდა. ყოველ ცისმარე დღეს, ალკას ჭუჩებში ორ-სამ მათგანს ესხმოდნენ თავს; ერთი სახალხოდ გაწკეპლეს, მეორე მდინარეში ჩააგდეს, მესამეს ფისი წაუსვეს, ბუმბულში ამოავლეს და აღელვებული ბრბოს თანხლებით ბულვარებზე ჩაატარეს; მეოთხეს ერთმა დრაგუნთა კაპიტანმა ცხვირი მოაჭრა. პიროტები ვეღარ ბედავდნენ კლუბში, ტენისზე ან დოღზე გამოჩენილიყვნენ; ბირჟაზე კი ფარულად მოიპარებოდნენ. შექმნილ გარემოებაში თავადმა დე ბოსენომ საჭიროდ ჩათვალა, მათი თავხედობა აელაგმა და უტიფრობა

ჩაეხშო. ამისათვის გრაფ კლენას, ბატონ დე ლა ტრუმელოთან, ვიკონტ ოლივთან და ბატონ ბიგურთან ერთად დააარსა ანტიპიროტთა ასოციაცია, რომელსაც ასიათასობით მოჭალაქე. ჯარისკაცი, კომპანიები, პოლკები, რაზმები. ქალაქები. ოლქები და პროვინციები შეუერთდა.

დაახლოებით ამ დროს, სამხედრო მინისტრმა შტაბის უფროსი მოინახულა და გაოცებულმა დაინახა, რომ გენერალ პანტერის სამუშაო ოთახი ჯერ კიდევ ახლახან ცარიელი რომ იყო, ახლა გაჭედილი გახლდათ იატაკიდან ჭერამდე აღმართული დიდი თაროებით, სადაც ყოველგვარი ფორმისა და ფერის საქაღალდეების სამმაგი და ოთხმაგი რიგი ეწყო. რამდენიმე დღეში ოთახი საშინელ არჩიევსა და საუკუნოვან ქაღალდსაცავს დამსგავსებოდა.

— ეს რა არის? — იკითხა გაოცებულმა მინისტრმა.

— სამხილი გახლავთ პიროს წინააღმდეგ, — პატრიოტის კმაყოფილებით უპასუხა გენერალმა პანტერმა. — სამხილი არ გექნდა, როცა პირო დავსაჯეთ. ახლა ეს ნაკლი კარგად შევავსეთ.

კარი ღია იყო; გრეტოკმა მტვირთავების გრძელი რიგი დაინახა, დარბაზში ქაღალდის მძიმე დასტებს რომ ყრიდა და ამწევი ონკანიც იხილა, საქაღალდეების სიმძიმისაგან რომ ჭრიალებდა.

— ეს რაღაა? — იკითხა მან.

— ეს ახალი სამხილებია, სწორედ ახლა მივიღეთ, — თქვა პანტერმა. — მე პინგვინეთის ყველა ოლქს, ყველა შტაბს და ევროპის ყველა სამეფო კარს მივმართე. სამხილები ამერიკასა და ავსტრალიის ყველა ქალაქს და აფრიკის ყველა დასახლებას შევუკვეთე; ასეთ დასტებს ბრემენიდანაც მივიღებ. მელბურნიდან კი სატვირთო გემს ველოდები.

პანტერმა მინისტრს გმირის მშვიდი და განსხივოსნებული მზერა მიაპყრო. მაგრამ გრეტოკი ქაღალდის ამ უზარმაზარ დასტებს თავისი მონოკლიდან დაჰყურებდა და მის მზერაში შეშფოთება უფრო ჩანდა ვიდრე კმაყოფილება.

— კარგია, — თქვა მან. — ყველაფერი კარგიაა მაგრამ ვშიშობ, პიროს საქმე მშვენიერ სისადავეს დაკარგავს. ეს საქმე ხომ ბროლიევით სუფთა იყო და სისადავე გახლდათ მისი მთა-

ვარი ღირსება. რა ახრი ჰქონდა გამადიდებელი შუშით ხენჯის, ლაქისა და უმცირესი შეცდომის ძებნას. ჩემი ხელიდან იგი ღღესაეით ნათელი გავიდა. მარგალიტი ჩაგაბარეთ, თქვენ კი მთად გადააქციეთ იგი. სიმართლე თუ გნდათ, ეშიშობ, ცუდად არ დამთავრდეს ეს გადაჭარბებული გულმოდგინება. სამხედრები! კარგია, სამხილები რომ გაქვთ, მაგრამ იქნებ არქონა ჯობდეს? მე უკვე გითხარით, პანტერ, არსებობს მხოლოდ ერთი უცილობელი სამხილი: დამნაშავის აღიარება; (ან უდანაშაულოსი, რა მნიშვნელობა აქვს). პიროს საქმე იმ სახით, მე რომ წარვადგინე, კრიტიკის საბაბს არ იძლეოდა; მას ვერცერთი მხრიდან ვერ მიუდგებოდი; უხნებელი იყო, რადგან უჩინარი გახლდათ. ახლა ფართო მსჯელობის საგნად გადაიქცა. პანტერ, გირჩევთ, ფრთხილად გამოიყენოთ თქვენი საბუთები. დიდი მადლობელი დაგრჩებით, თუ ნაკლებს ისაუბრებთ ჟურნალისტებთან. თქვენ კარგად ლაპარაკობთ, მაგრამ ბევრს ლაპარაკობთ. მითხარით, პანტერ, ამ ქაღალდებში ყალბიც ურევია?

პანტერს გაეღიმა:

— ზოგიერთი მორგებულია.

— მეც ამას ვამბობ. ზოგი მორგებულია. მით უკეთესი. ფასიანი სწორედ ასეთი ქაღალდები გახლავს. სამხილად ყალბი საბუთები უფრო ვარგისია, ვიდრე ნამდვილი. ჯერ ერთი შეკვეთითაა დამზადებული, როგორც საქმეს სჭირდება, ამიტომ სწორი და ზუსტია. ამასთანავე გონება იდეალურ სამყაროში გადაჰყავს და აშორებს რეალობას, რომელსაც ამ ცხოვრებაში ცუდი მინარევებიც გააჩნია... და მაინც, პანტერ, მე მირჩევნია, არავითარი სამხლი არ გქონდეს.

ანტიპიროტთა ასოციაციამ, უპირველეს ყოვლისა, მთავრობას მოსთხოვა, შეიდასი პიროტელი, თავისი მომხრეებით, როგორც სამშობლოს მოღალატეები, უმაღლესი სასამართლოსათვის გადაეცა. თავად დე ბოსენოს ასოციაციის სახელით სიტყვის თქმა დაავალეს. იგი წარსდგა მინისტრთა საბჭოს წინაშე, რომელიც მის მოსასმენად შეიკრიბა და იმედი გამოთქვა, მთავრობის სიფხიზლე და სიმტკიცე მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდებაო. თავადმა ყველა მინისტრს ჩამოართვა ხელი და როცა გრეტოკს ჩაუარა, ყურში ჩასჩურჩულა:

— ხმა არ ამოიღო, იხერო, თორემ მალურას წერილებს გამოვაქვეყნებ.

რამდენიმე დღის შემდეგ. მთავრობისა და პალატის ერთსულოვანი დადგენილებით ანტიპიროტთა ასოციაცია სასოგადოებრივად სასარგებლო საქმედ გამოაცხადეს.

ასოციაციამ მაშინვე გაგზავნა ელჩები ზღვის ღორთა ქვეყნის ციხე-კოშკ ჩიტერლინგსში, სადაც კრუშო განდევნილის მწარე ლუკმას ჭამდა და პრინცს სიყვარული და ერთგულება შეჰფიცა.

ამ დროს პიროტთა რიცხვმა იმატა და ათი ათასს მიაღწია. ბულვარებზე მათ კაფეები მოაწყვეს. პატრიოტებსაც, თავის მხრივ, უფრო მდიდრული და ფართო კაფეები ჰქონდათ. ყოველ საღამოს ერთი ტერასიდან მეორისაკენ ლუდის კათხები, ლამბაქები, საასანთეები, სურები, სკამები და მაგიდები მიფრინავდა; შუშები იმსხვრეოდა; სიბნელე ჩხუბს ფარავდა და რიცხობრივ უპირატესობას აწონასწორებდა. ასეთ ბრძოლას, როგორც წესი, პოლიციელები ამთავრებდნენ და ორივე პარტიის წარმომადგენლებს ლანჩებით თელავდნენ.

ერთ ასეთ დიდებულ ღამეს, როცა თავადი დე ბოსენო რამდენიმე პიროტელთან ერთად მოდური კაბარედან გამოდიოდა, ბატონმა დე ლა ტრუმელმა ერთ პატარა, სათვალიან, წვერიან, უქუდო კაცს მოჰკრა თვალი. მას პიჯაკზე მხოლოდ ერთი სახელო შერჩენოდა და ნამტვრევებით მოფენილ ქვაფენილზე ძლივს მიაბიჯებდა.

— შეხედეთ, — შეჰყვირა მან. — აი, კოლომბანი!

თავადი ძალ-ღონით სავსე, მაგრამ მშვიდი და ლმობიერი კაცი იყო; ახლა კი, კოლომბანის სახელის გაგონებაზე ძარღვებში სისხლი აუდუღდა. იგი პატარა კაცს ეცა, ცხვირში მუშტი ჩასცხო და მიწაზე დაანარცხა.

მაშინ ბატონმა დე ლა ტრუმელმა შეამჩნია, დაუმსახურებელმა მსგავსებამ შეცდომაში შემიყვანა და კოლომბანად ვინმე ბატონი ბაზილი, ყოფილი ვექილი, ანტიპიროტელთა ასოციაციის მდივანი, მგზნებარე და სულგრძელი პატრიოტი ჩავთვალეო. თავად დე ბოსენოს. ანტიკური გმირის ქედუხრელი სული ედგა, მაგრამ შეცდომის აღიარება შეეძლო.

— ბატონო ბაზილ, — თქვა მან და ქუდი მიაწოდა, —

თუმც უპატიურად მოგექეცით, ალბათ მომიტევებთ, გამიგებთ და დამეთანხმებით, რას ვაბობ, შემაქებთ და მომილოცავთ კიდეც, როცა ჩემი საქციელის მიზეზს გაიგებთ. მე თქვენ კოლომბანი მეგონეთ.

ბაზილმა დასისხლიანებული ნესტოები ცხვირსახოცით მოიწმინდა და არარსებული სახელოდან გამოჩრილი იდაყვი ასწია.

— არა, ბატონო, — მკაცრად უპასუხა მან. — არ მოგილოცავთ, არ შეგაქებთ და არც დაგეთანხმებით, რადგან თქვენი საქციელი, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ზედმეტი და, მე ვიტყოდი, გადაჭარბებულიც გახლდათ. დღეს მე უკვე სამჯერ ჩამთვალეს კოლომბანად და სწორედ ისე მომექცნენ, როგორც მას ეკადრება. პატრიოტებმა მის ნაცვლად მე დამიხილეს გვერდები და ნეკნებიც ჩამილეწეს. მე მეგონა, ბატონო ჩემო, ეს საკმარისი იყო.

ის იყო, ბაზილმა სიტყვა დაამთავრა, რომ პიროტთა ბრბოც გამოჩნდა. ამ ავბედითმა მსგავსებამ პიროტებიც მოატყუა და გადაწყვიტეს, პატრიოტები კოლომბანს სცემენო. ისინი რკინისთავიანი ჯოხებით და მათრახებით დაესხნენ თავს თავად დე ბოსენოსა და მის თანამგზავრებს, ცემით მიასიკვდილეს, ბაზილი ხელთ იგდეს და მიუხედავად მისი აღშფოთებული პროტესტისა, ქუჩები ტრიუმფით შემოატარეს. „გაუმარჯოს კოლომბანს! გაუმარჯოს პიროს!“ გაჰყვიროდა ბრბო. სანამ პოლიციელები არ დაეწიენენ და უბანში არ წაათრიეს, იქ ვეჭილი ბაზილი, ისევე როგორც კოლომბანი, ნალიანი ჩექმებით გადათელეს.

თავი VII

ბიდო-კოკი და მანიფლორა. სოციალისტები

ალკაში სიბრაზისა და სიძულვილის ქარიშხალი ქროდა; ამ დროს უღარიბესი და უბედნიერესი ასტრონომი ეჟენ ბიდო-კოკი დრაკონიდების დროინდელ ძველ ანძაზე ჩამომჯდარიყო, ცუდი ტელესკოპით ზეცას ათვალიერებდა და ცუდ ფირფიტებზე მოწყვეტილ ვარსკვლავებს ფოტოგრაფიულად იღებდა.

მისი გენია ხელსაწყოთა შეცდომებს ასწორებდა, მეცნიერებისადმი სიყვარული კი აპარატთა უზუსტობას სძლევდა. ბიდო-კოკი უშრეტი მგზნებარებით აღევნებდა თვალს ატროლიტებს, მეტეორიტებს, ბოლიდებს, გავარვარებულ ნამსხვრევებს, ანთებულ მტვრის ნაწილაკებს, არაჩვეულებრივი სისწრაფით რომ დაჭრიან დედამიწის ატმოსფეროში და ამ ბეჯითი სიფხიზლის ფასად საზოგადოების გულგრილობა, მთავრობის უმადურობა და სწავლულთა სიძულვილი მოიმკო. ზეციურ სივრცეებში ჩანთქმულმა მეცნიერმა მიწაზე რა ხდებოდა, არ იცოდა. იგი გაზეთს არ კითხულობდა. როცა ასტეროიდებზე ფიქრით გართული ნოემბრის ქალაქში მიაბიჯებდა, საქალაქო ბაღის აუზსა ან ავტომობილის ბორბლებქვეშ არაერთხელ ჩავარდნილა.

ძალიან მაღალი და ამაღლებული აზრებით შეპრობილი ბიდო-კოკი საკუთარ თავსაც სცემდა პატივს და სხვებსაც. ამას კი ცივი თავაზიანობით გამოხატავდა, როგორც თხელი შავი სერთუკითა და ცილინდრით, მის პიროვნებას უფრო ამაღლებულსა და ნატიფს რომ აჩენდა. საჭმელს იგი მიირთმევდა პატარა რესტორანში, რომელშიც ნაკლებ ამაღლებული აზრების მქონე მუშტართა ნაკლებობა იგრძნობოდა. ცარიელ უჯრაში, ხის რგოლში გაყრილი მხოლოდ მისი ხელსაწმენდი ნებივრობდა. ერთ საღამოს, ამ რესტორანში მას თვალში პიროს დასაცავი კოლომბანის ბარათი მოხვდა. ბიდო-კოკმა იგი ფუყე თხილის მტვრევით წაკითხა და განცვიფრებით, აღფრთოვანებით, საშინელებითა და სიბრალულით აღგზნებულმა უცებ გადაიცწყა მეტეორიტთა და ვარსკვლავთა ცვენა და ვერღარა იხილა, გარდა უდანაშაულო კაცისა, რომლის გალიას ქარი არხევდა და ყვავები ასხდებოდნენ.

ეს ხატება ალარ მოშორებია მის გონებას; რვა დღის შემდეგ, რესტორნიდან გმოსვლისას, მან მოქალაქეთა ბრბო დაინახა. ბრბო შეიჭრა სამიკიტნოში, სადაც სახალხო კრება უნდა შემდგარიყო. ბიდო-კოკიც ბრბოს გაჰყვა. კრება წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა. გაბოლილ ოთახში ხალხი ბღაოდა, იგინებოდა და ერთმანეთს ურტყამდა. სიტყვას ხან პიროტები იღებდნენ, ხან ანტიპიროტები და შესაბამისად ზოგს ლანძღავდნენ, ზოგს კი ოვაციით ხვდებოდნენ. კრების

მონაწილეებს პარკში და გაერკვეველი ენთუზიაზმი დაუფლებოდათ. ბიდო-კოკი მოკრძალებული და მარტოსული კაცის გაბედულებით შეხტა ესტრადაზე და სამი მეოთხედი საათი ილაპარაკა. მისი სიტყვა ნაჩქარევი, უწესრიგო, მაგრამ ძლიერ აღტკინებული და მისტიკოსი მათემატიკოსის რწმენით სავსე გახლდათ. ხალხი მას ტაშისკვრით შეეგება. როგორც კი სცენიდან ჩამოვიდა, ერთმა დიდმა, უასაკო, წითელი სამოსით მორთულმა ქალმა, რომელსაც ეეებერთელა ქუდზე ჰეროიკული ფრთები მიებნია, მასთან მიირბინა, მხურვალედ, საზეიმოდ გადაეხვია და უთხრა:

— რა მშვენიერი ხართ!

ბიდო-კოკიმ გულუბრყვილოდ გაიფიქრა, ამ სიტყვებში ჭეშმარიტების ნამცეცი არისო.

ქალმა განუცხადა, დღეის შემდეგ მხოლოდ პიროს გადასარჩენად და კოლომბანის დასაცავად ვიცოცხლებო. ბიდო-კოკს ამაღელვებელ და არაჩვეულებრივ არსებად ეჩვენა ქალი. ის კი ღარიბი და მივიწყებული მანიფლორა გახლდათ, ძველი ლამაზმანი, რომელსაც სახმარი ღირებულება დაკარგული ჰქონდა და რომელიც მოულოდნელად მგზნებარე მოქალაქედ გადაიქცა.

ქალი აღარ მოშორებია ბიდო-კოკს. რედაქციებად, საკრებულო და სალექციო დარბაზებად ქცეულ სამიკიტნოებში და ავეჯით გაწყობილ ბინებში მათ განუმეორებელი საათები გაატარეს ერთად. კაცი იდეალისტი გახლდათ და ჯიუტად სწამდა, ქალი მომხიბლელიაო, თუმცა მრავალი შემთხვევა მიეცა შეემჩნია, ძველი მშვენიერების აღარაფერი შერჩენიაო. წარსულმა სილამაზემ ქალს დაუტოვა რწმენა, ყველას მოეწონვარო, და კიდევ ქედმაღლური პრეტენზია, მოწიწებით მომექცეთო. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი სასწაულის მშობლებმა პიროს პროცესმა მანიფლორას ნამდვილად მიანიჭა მოქალაქეობრივი სიდიადე და სახალხო კრებებზე იგი სამართლიანობისა და ჭეშმარიტების ერთგვარ მძლავრ სიმბოლოდ გარდაქმნა.

ანტიპიროტებს, გრეტოკის დამცველებს და არმიის მომხრეებს არც კი გაღიმებიათ, როცა ბიდო-კოკი და მანიფლორა იხილეს. ეანრისხებულმა ღმერთებმა ამ ხალხს ღიმილის ნი-

ჭრიც კი წაართვეს. ისინი კურტიზან ქალსა და ასტრონომს სერიოზულად ადანაშაულებდნენ ჯაშუშობაში, ღალატსა და ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების მოწყობაში. ბიდოკოკი და მანიფლორა ლანძღვის, შეურაცხყოფისა და ცილისწამების წყალობით თვალსა და ხელს შუა მაღლდებოდნენ.

უკვე მრავალი თვეა პინგვინეთი ორ ნაწილად იყო გაყოფილი და ერთი შეხედვით უცნაურიც იყო, რომ სოციალისტები ჯერ არც ერთ პარტიას არ უჭერდნენ მხარს. მათ შემადგენლობაში შედიოდა ქვეყნის თითქმის ყველა მუშა, რაც დაქუცმაცებულ, გზააბნეულ, გატეხილ, წელში გაწყვეტილ, მაგრამ საშიშ ძალას წარმოშობდა. პიროს საქმემ პარტიის ხელმძღვანელობა მძიმე მდგომარეობაში ჩააყენა. მათ არც ფინანსისტებისათვის სურდათ მხარი დაეჭირათ, არც არმიისათვის. ბობოლა და წერილფეხა ებრაელებს თავის შეურიგებელ მოწინააღმდეგეებად თვლიდნენ. არც მათი პრინციპები და არც ინტერესები არაფერს იგებდა ამ საქმეში. და მაინც ხშირად გრძნობდნენ, რა რთული იყო განზე გადგომოდნენ ბრძოლას, მთელი პინგვინეთი რომ მოიცვა.

პარტიის მთავარი წევრები წმინდა მაელის ეშმაკის კუდის ქუჩაზე, თავისი ფედერაციის გამგეობაში შეიკრიბნენ და შექმნილ ვითარებაში ან სავარაუდო მომავალში პარტიის პოზიცია განსაჯეს.

პირველი სიტყვა ამხანაგმა ფენიქსმა აიღო:

— ჩადენილია უმდაბლესი და უგვანო დანაშაული,— თქვა მან,— ეს მართლმსაჯულების დანაშაულია. თავისი უფროსების მიერ გაბრიყვებულმა ან იძულებულქმნილმა მსაჯულებმა უდანაშაულოს სამარცხვინო და სასტიკი სასჯელი მიუსაჯეს. ნუ იტყვით, რომ მსხვერპლი ჩვენიანი არ არის, რომ იგი იმ კასტას ეკუთვნის, რომელიც ჩვენთვის მტრული იყო და მტრული დარჩება. ჩვენი პარტია სოციალურ სამართლიანობას უჭერს მხარს. არ შეიძლება გულგრილად ჩავუაროთ უკანონობას. ისეთი უკანონობა არ არსებობს, რომელიც ჩვენი პარტიისათვის სულ ერთი იქნება. სირცხვილი ჩვენ, თუ რადიკალ კერდანიკს, ბურჟუა კოლომბანს და რამდენიმე ზომიერ რესპუბლიკელს დაეუთმობთ არმიის დანაშაულთან ბრძოლის უფლებას. თუმცა მსხვერპლი ჩვენს რიგებს არ

ეკუთვნის, მისი ჯალათი ჩვენი საძმოს ჯალათიცაა და გრეტოკმა სანამ სამხედროს დაესხმოდა თავს ჩვენი გაფიცული ამხანაგები დახვრიტა. ამხანაგებო, დიდი სულიერი, მორალური და მატერიალური ძალებით ხელიდან გამოგლიჯეთ პიროშვალებლებს; ამ კეთილშობილური საქციელით თქვენ არ განუდგებით თავისუფლებისა და რევოლუციის საქმეს, რაც ჩვენი მიზანი გახლავთ. პიროშაგრულთა სიბოლოდ იქცა; ყოველგვარი სოციალური უსამართლობა კი ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ერთის განადგურებით დანარჩენებსაც შევურყევთ საფუძველს.

როგორც კი ფენიქსმა სიტყვა დაასრულა, ამხანაგი საპორი წამოდგა:

— თქვენ გთავაზობენ, მიზანს განუდგეთ და ის გააკეთოთ, სრულიად რომ არ გეხებათ. რად უნდა ჩაერიოთ ამ არეულობაში, სადაც რომელ მხარესაც უნდა მიეკედლოთ, მხოლოდ ბუნებრივი, შეურიგებელი და უცილებელი მტრები დაგვხვდებიან? განა ფინანსისტები სამხედროებზე ნაკლებად გძულთ? ვისი სალაროს გადარჩენას აპირებთ — ბანკის მარიონეტებისას თუ რევანშის მასხარებისას? მხოლოდ უგუნურსა და დანაშაულებრივ დიდსულოვნებას შეუძლია იმ შვიდასი პიროტის დასაცავად წამოგაყენოთ, რომლებიც სოციალურ ბრძოლაში მუდამ თქვენ წინააღმდეგ აღსდგებიან! თქვენ გთავაზობენ, მტრებს პოლიციად მოევლინოთ და ის წესრიგი აღადგინოთ, მათმა დანაშაულმა რომ მოსპო. ასეთ დიდსულოვნებას სულგრძელობა აღარ ჰქვია. ამხანაგებო, არსებობს საფეხური, სადაც უმსგავსობა საზოგადოებისათვის მომაკვდინებელი ხდება. პინგვინთა ბურჟუაზია თავის უხამსობაში იხრჩობა. თქვენ კი მოგიწოდებენ, გადაარჩინეთ და მის ირგვლივ ჰაერი გაწმინდეთო. ეს დაცინვაა და მეტი არაფერი. მიეუშვათ, დაიხრჩოს; მის ბოლო ამოსუნთქვას ზიზღითა და სიხარულით ვუყუროთ; მხოლოდ ის დავინახოთ, რომ შენობის საძირკველში ისე ღრმად წაახდინა ნიადაგი, ახალი საზოგადოების საძირკველისათვის მხოლოდ ჯაობი გვხვდება.

როცა საპორმა დაასრულა, ამხანაგმა ლაპერსონმა სულ რამდენიმე სიტყვა თქვა:

— ფენიქსი მოგვიწოდებს, პიროს დავეხმაროთ, რადგან

იგი უდანაშაულოა. მე მგონი, ეს მოტივი არ ქმარა. თუკი პირო უდანაშაულოა, ე. ი. ის სამხედროსავით იქცეოდა, თავის ხელობას კეთილსინდისიერად ასრულებდა და ხალხს ესროდა. ამისთვის უნდა დაიცვას ხალხმა? ამისთვის არ უნდა მოერიდოს საფრთხეს? დამიმტკიცონ, რომ პირო დამნაშავეა, რომ არმიის თავის იპარავდა და მის დასახსნელად წავალ.

მის შემდეგ სიტყვა ამხანაგმა ლარიევმა ითხოვა:

— მე არც ჩემი მეგობარი ფენიქსის აზრს ვიზიარებ და არც ჩემი მეგობარი საპორისას. სულაც არ ვფიქრობ, რომ პარტია მხარში უნდა ამოუდგეს ყველა საქმეს, რომელიც სამართლიანად ითვლება. ვშიშობ, აქ სამწუხარო სიტყვათა თამაშს და საშიშ გაუგებრობას აქვს ადგილი; საზოგადოებრივი სამართალი რევოლუციური სამართალი არ გახლავთ. ისინი მუდმივ წინააღმდეგობაში არიან: ერთის სამსახური მეორესთან ბრძოლას ნიშნავს. პირადად მე, ჩემი არჩევანი გავაკეთე. რევოლუციურ სამართალს მხარს ვუჭერ, საზოგადოებრივ სამართალს კი ვებრძვი. და მაინც, ამ შემთხვევაში ჩაურევლობის მეთოდს ვგმობ. თუ ბედი ასეთ ხელსაყრელ პირობებს გვთავაზობს, სულელები უნდა ვიყოთ, რომ იგი არ გამოვიყენოთ. როგორო, მკითხავთ? შემთხვევა საშუალებას გვაძლევს მილიტარიზმს საშინელი, იქნებ სასიკვდილო დარტყმაც მივაყენოთ; და თქვენ გსურთ გულხელდაკრეფილი დავდგე? გაფრთხილებთ, ამხანაგებო, რომ მე ფაკირი არ გახლავართ და არც ფაკირთა პარტიაში ვაპირებ გაჩერებას. და თუ აქ ფაკირები ბოგინობენ, ჩემი მხარდაჭერის იმედი ნურავის ექნება. საკუთარი ჭიპის თვალიერება უშედეგო პოლიტიკაა. ამას მხარს ვერ დავუჭერ. ისეთი პარტია, ჩვენი რომ არის, განუწყვეტლივ უნდა მოქმედებდეს და თავის არსებობას ასაბუთებდეს. უნდა ჩავერიოთ პიროს საქმეში, მაგრამ რევოლუციურად ჩავერიოთ. ჩვენ ძალმომრეობის აქციას ჩავატარებთ. ნუთუ ძალმომრეობა. დრომოჭმული მეთოდი ან მოძველებული საშუალება გგონიათ და ისევე გსურთ არჩივს ჩააბარებოთ, როგორც დილიჟანსები, ხელის საბეჭედი მანქანები და საჰაერო ტელეგრაფი ჩაბარდა? გეშლებათ, ამხანაგებო! დღეს, ისევე როგორც ძველად, მხოლოდ ძალმომრეობით შეიძლება რამეს მიაღწიო. ეს ქმედითი იარაღია; მხოლოდ მისი გამოყე-

ნება უნდა იცოდე. როგორი იქნება ჩვენი აქციაᲐ მოგახსენებთ: ჩვენ მმართველ კლასებს ერთმანეთის საწინააღმდეგოდ ავამხედრებთ; არმიას ფინანსისტების, მთავრობას მაგისტრატურის, არისტოკრატიას და სასულიერო წოდებას კი ებრავლების წინააღმდეგ წავაქეზებთ და თუ შესაძლებელი იქნა, ერთმანეთის გასანადგურებლად დავრაზმავთ. ამიტომ მხარი უნდა დავუჭიროთ მღელვარებას, ისევე რომ ასუსტებს მთავრობას, როგორც სიცხე ავადმყოფს. პიროს საქმე, თუკი მის გამოყენებას შევძლებთ, სოციალისტური პარტიის ზრდას, ამასთანავე განიარაღების, საერთო გაფიცვისა და რევოლუციის საშუალებით პროლეტარიატის განთავისუფლების საქმეს ათი წლით დააჩქარებს.

ამგვარად, პარტიის მესვეურებმა სხვადასხვა აზრი გამოთქვეს და კამათი უფრო გამძაფრდა. ორატორები, როგორც ყოველთვის ამგვარ შემთხვევაში, იმეორებდნენ იმ არგუმენტებს, რაც უკვე ითქვა, ოღონდ უფრო უწესრიგოდ და თავშეუკავებლად. დიდხანს კამათობდნენ, მაგრამ შეხედულება არავინ შეიცვალა. საბოლოოდ აზრი ორად გაიყო. ერთნი მხარს უჭერდნენ საპორსა და ლაპერსონს, რომლებიც თავშეკავებას ქადაგებდნენ, მეორენი კი ფენიქსსა და ლარივეს, რომელთაც საქმეში ჩარევა სურდათ; მაგრამ ეს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი სამხედრო მეთაურებისა და მათი მართლმსაჯულებისადმი საერთო სიძულვილში იყრიდა თავს და პიროს უდანაშაულობის საერთო რწმენას შეიცავდა. ამრიგად, საზოგადოებრივი აზრი არ შემცდარა, როცა სოციალისტთა მეთაურები საშიშ პიროტებად ჩათვალა.

რაც შეეხება ხალხთა მასებს, რომელთა აზრსაც გამოთქვამდნენ მეთაურები და რომელთა წარმომადგენლებიც იყვნენ, თუკი საერთოდ შეიძლება გამოუთქმელს წარმომადგენელი ჰყავდეს; რაც შეეხება თავად პროლეტარებს, რომელთა აზრიც ძნელი გასაგებია, რადგან თავად არ ჰყავთ შეცნობილი თავი თვისი, ისე ჩანდა, რომ პიროს საქმე მათ სულაც არ აინტერესებდათ. ეს საქმე მათთვის ზედმეტად ლიტერატურული და კლასიკური გაბლდათ და შექმნილი იყო მსხვილი ბურჟუაზიისა და ფინანსური ბობოლების სტილით, რომელიც სულაც არ მოსწონდათ.

თავი VIII

კოლომბანის პროცესი

როცა კოლომბანის პროცესი დაიწყო, პიროტთა რიცხვი ოცდაათი ათასს ოდნავ ჭარბობდა, თუმცა ყველა ფენაში და თვით სასულიერო და სამხედრო წოდებაშიც კი გაჩნდნენ. ყველაზე მეტ ზიანს პიროტებს ბობოლა ებრაელების მხარდაჭერა აყენებდა; სამაგიეროდ, მათი მცირერიცხოვნობა ფასდაუდებელ უპირატესობას ქმნიდა. მათ უფრო ნაკლები სულელი ჰყავდათ, ვიდრე მოწინააღმდეგეთა რიგებს, სადაც ასეთი სულელები ჭარბად მოიძებნებოდნენ. პიროტებმა უმცირესი ჯგუფი შექმნეს, ადვილად შეთანხმდნენ, ჰარმონიულად ამოქმედდნენ და ერთმანეთთან დაშორებას ან ხელის შეშლას არ ცდილობდნენ. ყოველი მათგანი გრძნობდა, ღირსეულად უნდა მოვიქცეო, და რაც უფრო მეტ ყურადღებას იქცევდა, უფრო უკეთესად იქცეოდა. ეს ყოველივე მათ იმედს უნერგავდა, ახალ თანამდგომებს მოვიპოვებთო, მაშინ, როცა მოწინააღმდეგეებს, თავიდან ხალხის მთელი მასა რომ შემოიკრიბეს ირგვლივ, ახლა მხოლოდ მათი დაკარგვა შეეძლოთ.

სასამართლოს ღია პროცესზე კოლომბანმა მაშინვე შეამჩნია, რომ მოსამართლეები ცნობისმოყვარეობით არ გამოირჩეოდნენ. როგორც კი იგი სიტყვის თქმას დააპირებდა, სახელმწიფოს მაღალი ინტერესების დაცვის საბაბით, თავმჯდომარე რჩშინვე აჩუმებდა. იმავე საბაბით, რაიც მიზეზთა უზენაეს მიზეზად ითვლება, დაცვის მოწმეებსაც არ მოუსმინეს. შტაბ-ს უფროსი, გენერალი პანტერი სასამართლოს წინაშე ორდენებით მორთული, საპარადო მუნდირში გამოწყობილი წარდგა და შემდეგი ჩვენება მისცა:

— უგვანო კოლომბანი ამტკიცებდა, თითქოს პიროს წინააღმდეგ სამხილები არა გვაქვს. ტყუის! გვაქვს სამხილები. ჩემს არქივებში შვიდას ოცდათოთხმეტი კვადრატული მეტრი საბუთია დაცული; თითოეული მათგანი ხუთას კილოგრამს იწონის, რაც სამას ოცდაექვს ათას კილოგრამ სამხილს შეადგენს.

შემდეგ ამ უსენაესმა ოფიცერმა სხარტად და მოხდენილად ჩამოთვალა ეს სამხილები:

— მათ ყოველგვარი ფერი და ელფერი აქვთ და სხვადასხვა ფორმისა არიან. გვხვდება ქოთნის, გვირგვინის, მონეტის, ჭიშმარიტის, სამტრედის, დიდი არწივის და ა. შ. ფორმის სამხილები. ყველაზე პატარა საბუთი კვადრატულ მილიმეტრს არ აღემატება, ყველაზე დიდი სიგრძით სამოცდაათი, სიგანით კი 0,90 მეტრია.

ამ განცხადების გაგონებისას აუდიტორია შიშისაგან აკანკალდა.

ამის შემდეგ ჩვენება გრეტკომა მისცა. მას ხელები ზურგზე დაეკრიფა და გახუნებული, ნაცრისფერ პიჯაკში გამოწყობილი უბრალო და იქნებ უფრო ზვიადიც ჩანდა.

— საშუალებას ვაძლევ, — მშვიდად და ხმისაუწევლად განაცხადა მან, — საშუალებას ვაძლევ ბატონ კოლომბანს თავად აგოს პასუხი საქციელზე, ჩვენი ქვეყანა დაღუპვის პირას რომ მიიყვანა. პიროს საქმე საიდუმლო საქმეა და საიდუმლოდ უნდა დარჩეს. საშინელი უბედურება, ომი, ძარცვა, აოხრება, ხანძარი, ხოცვა-ჟლეტა და ეპიდემია დაატყდება თავს პინგვინეთს, ის რომ გახმაურდეს. ჩემს თავს მოღალატედ ჩავთვლიდი, კიდევ ერთი სიტყვა რომ მეთქვა.

პოლიტიკური გამოცდილებით განთქმულმა რამდენიმე პირმა, მათ შორის ბატონმა ბიგურმაც, სამხედრო მინისტრის ჩვენება შტაბის უფროსის ჩვენებაზე უფრო დახვეწილად და მნიშვნელოვნად ჩათვალა.

პოლკოვნიკ ბუაჟოლის გამოსვლა ფრიად შთამბეჭდავი გახლდათ.

— ერთ საღამოს სამხედრო სამინისტროში, — თქვა ოფიცერმა. — მეზობელი სახელმწიფოს სამხედრო ატაშემ გამანდო, რომ თავისი ხელისუფალის საჯინიბო დაათვალიერა და დატკბა რბილი, სურნელოვანი თივით, რომელსაც მწვანე ელფერი დაჰკრავდა. ასეთი საუკეთესო თივა მას არსად ენახა. „საიდან მიიღეთ?" — შევეკითხე მე. ატაშემ არაფერი მიპასუხა მაგრამ. ამ თივის წარმოშობა ჩემში ეჭვს არ ბადებს. ეს პიროს მოპარული თივა იყო. მომწვანო ელფერი, სირბილე და სურნელი ჩვენი ეროვნული თივის თვისება გახლავთ. მეზობელი

სახელმწიფოს თივა რუხი და მყიფეა. იგი ფიწლებში წკრიალებს და მტვრის სუნიც ასდის. მე მგონი, ყველაფერი ნათელია.

პოლკოვნიკი ჰასტენი სასამართლოს წინაშე წარდგა და ხალხის ყვირილის მიუხედავად განაცხადა, პროს დამნაშავედ არ ვთვლიო. ქანდარმებმა მაშინვე სტაცეს ხელი და მიწისქვეშეთში ჩაგდეს, სადაც იგი უხსენებლებს, გომბეშოებსა და ჭიებს შორის ჩაჯდა, მაგრამ ვერც შეპირებებმა აცდუნა, ვერც მუქარამ გაჭრა.

სასამართლოს აღმსრულებელმა დაიძახა:

— გრაფი პიერ მობეკ დე ლა დანდულინქსი!

დარბაზში სიჩუმე ჩამოწვა; სასამართლოს წინაშე მშვენიერი, მაგრამ სამოს ჩამოფლეთილი მამაკაცი წარდგა. მას ულვაში მუქარით აეშვირა, ჩაწითლებული თვალებიდან კი ნაპერწკლებს აფრქვევდა.

იგი კოლომბანს მიუახლოვდა და აუწერელი ზიზღით შეხედა:

— ჩვენება? — შესძახა მან. — ეს არამზადა გახლავთ ჩემი ჩვენება!

ამ სიტყვებზე დარბაზში მხურვალე ტაში გაისმა და ხალხი შეპყრობილი იმ აღფრთოვანებით, სულს რომ აღაგზნებს და არაჩვეულებრივი საქციელისაკენ მოგიწოდებს, ფეხზე წამოხტა. გრაფი მობეკ დე ლა დანდულინქსი ისე წავიდა, აღარაფერი უთქვამს.

დამსწრეებმაც დატოვეს სასამართლო დარბაზი და მის ქვაღს გაჰყვნენ. გრაფის ფეხებთან თავადის მეუღლე დე ბოსენო გართხმულიყო და მის ბარძაყებს აღგზნებული ეალერსებოდა. აუღელვებელი და პირქუში მობეკი ცხვირსახოცებისა და ყვავილების წვიმაში მიაბიჯებდა. ვიკონტის მეუღლე ოლივი მას კისერზე ჩამოეკიდა, ვეღარ მოშორდა და მშვიდმა გმირმაც თან წარიტანა ქალი, მის მკერდზე მსუბუქი შარფივით რომ ფრიალებდა.

როცა ძალაუნებურად შეწყვეტილი სხდომა განახლდა, თავმჯდომარემ ექსპერტები გამოიძახა.

ქალიგრაფიის ცნობილმა ექსპერტმა ვერმილარმა გამოკვლევის შედეგი წარმოადგინა.

— უურადღებით შეისწავლე პიროს ქაღალდები, — თქვა მან. — კერძოდ, ხარჯთაღრიცხვის დავთრები და მრეცხავთა ანგარიშები. მე აღმოვაჩინე, რომ ეს ქაღალდები, თუმცა ერთი შეხედვით ბანალური ფორმისა არიან, სინამდვილეში შეუვალ კრიპტოგრამას წარმოადგენენ, რომელთაც გასაღები ეუპოვე. მოღალატის სიმდაბლე ყოველ პწკარში იჩენს თავს. მის დამწერლობით სისტემაში სიტყვები „სამი კათხა ლუდი და ოცი ფრანკი ადელს“ ნიშნავს — „ოცდაათი ათასი კონა თივა მეზობელ სახელმწიფოს მივყიდე“. საბუთების მიხედვით ამ ოფიცრის მიერ გაყიდული თივის შემადგენლობის დადგენაც კი შეიძელი. სიტყვები: პერანგი, ქილეტი, საცვალი, ცხვირსახოცები, საყელოები, აპერიტივი, თამბაქო, სიგარები, სინამდვილეში სამყურას, ცოცხას, იონჯას, ლურჯ ნარს, შვრიას, სარეველას, სურნელოვან ცხვირსატეხელას და ტიმოთელას ნიშნავს. იმ სურნელოვანი თივის შემადგენლობაში, გრაფმა მობეკმა პინგვინეთის კავალერიას რომ მიყიდა, სწორედ ეს მცენარეები შედიოდნენ. ამგვარად, პირო თავის დანაშაულს ისეთ ენაზე ინიშნავდა, მისი აზრით, მარად აუხსნელი რომ დარჩებოდა. ნამდვილად გასაოცარია ასეთი ვერაგობა და ამასთანავე, ასეთი გულუბრყვილობა.

კოლომბანი ალიარეს დამნაშავედ, რომელსაც შემამსუბუქებელი გარემოება არ ჰქონდა და სასჯელის უმაღლესი ზომა მიუსაჯეს. ნაფიცმა მსაჯულებმა სასჯელის განსაკუთრებულად მკაცრად შესრულების შუამდგომლობას მაშინვე მოაწერეს ხელი.

სასახლის მოედანზე, მდინარესთან, რომლის ნაპირები თხუთმეტსაუკუნოვანი დიადი ისტორიის მომსწრე გახლდათ, ორმოცდაათი ათასი კაცი აღელვებული ელოდა განაჩენს. აქ მძვინვარებდა ანტიპიროტთა ასოციაციის ნაღები, რომელთა შორისაც განსაკუთრებით თავადი დე ბოსენო, გრაფი კლენა, ვიკონტი ოლივი და ბატონი დე ლა ტრუმელი გამოირჩეოდნენ. იქვე ღირსი მამა აგარიკი და წმინდა მაელის სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები იდგნენ. ბერი დუიარი გენერალისიმუს კარაგელს გადახვეოდა და ორივენი ამაღლებულ წყვილს ქმნიდნენ. ძველი ხიდის მხრიდან ბაზრის გამყიდველი და მრეცხავი ქალები მორბოდნენ; ხელში კი შამფურები, ნიჩ-

ბები, მაშები, ჯაგრისები და ნაცრტუტით სავსე ქვაბები ევ-რით. ბრინჯაოს კარის წინ. კიბის საფეხურებზე შეგროვდნენ პიროს დამცველები: პროფესორები, პუბლიცისტები, კონსერ-ვატორი, რადიკალური თუ რევოლუციური მუშები, რომელთა შორისაც დაუდევარი ჩაცმულობითა და პირქუში იერით ამხა-ნაგები ფენიქსი, ლარივე, ლაპერსონი, დაგობერი და ვარამ-ბილი გამოირჩეოდნენ.

სამგლოვიარო კოსტიუმსა და საზეიმო ცილინდრში გამო-წყობილ ბიდო-კოკს კოლომბანისა და პოლკოვნიკ პასტენის სასარგებლოდ მათემატიკურ-სანტიმენტალური საბუთები მოჰ-ყავდა. კიბის თავში ბრწყინავდა მოღიმარი და მრისხანე მანი-ფლორა, ჰეროიკული კურტიზანი ქალი, რომელსაც ლეენას მსგავსად დიდებული ძეგლის ან ეპიპარიდესავით ისტორი-კოსთა ხოტბის დამსახურება სურდა.

შვიდასი პიროტი ლიმონათის გამყიდველად, მეწვრილმა-ნედ, მათხოვრად და ანტიპიროტად იყო გადაცმული და ფარ-თო შენობის ირგვლივ დაძრწოდა.

კოლომბანის გამოჩენას ხალხი ისეთი ხმაურით შეეგება, რომ ჰაერისა და წყლის რხევისაგან ჩიტები ხიდან ჩამოცვივ-დნენ, გულაღმა ამოტრიალებული თევზები კი წყლის ზედა-პირზე ამოტივტივდნენ. ყოველი მხრიდან გაჰკიოდნენ:

— წყალში უკარით თავი კოლომბანს! წყალში! წყალში!

აქვე რამდენიმე შეძახილიც გაისმა:

— გაუმარჯოს მართლმსაჯულებას და ჭეშმარიტებას!

ვიღაცა ყვიროდა:

— ძირს არმია!

ეს შეძახილი საშინელი არეულობის ნიშნად იქცა. ათასო-ბით მებრძოლი ძირს დაეცა, თავისი სხეულით მოძრავი, აბღავლებული გორაკები შექმნა, რომელზედაც ახალმა მებრ-ძოლებმა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გააჩაღეს. აღგზნე-ბული, გაწეწილი, ფერმკრთალი ქალები კბილებს აკრაჭუნებ-დნენ, მამაკაცებს თავს ესხმოდნენ და ფრჩხილებით კაწრავდ-ნენ. ეს აღფრთოვანება მათ სახეს დღისით, მზისით, საჯარო მოედანზე სწორედ იმ მომხიბვლელ ექსპრესიას ანიჭებდა, რომელიც აქამდე მხოლოდ ფარდების ჩრდილში, ჩაზნექილ ბალიშზე შეიმჩნეოდა. ისინი უკვე მზად იყვნენ კოლომბანისა-

თვის ხელი ეტაცათ, დაეკბინათ, დაესრჩოთ, დაექექათ, დაეგლიჯათ და მისი ნაფლეთები ერთმანეთისათვის ხელიდან წაეგლიჯათ, როცა წინ წითელ ტუნიკაში გამოწყობილი დიადი, უპიწო, მშვიდი და საშინელი მანიფლორა წამოდგა. გამძვინვარებულმა ქალებმა შეძრწუნებით დაიხიეს უკან. ერთი შეხედვით, კოლომბანი გადარჩენილს ჰგავდა; მომხრეებმა სასახლის მოედნის გასწვრივ მას გზა გაუკვლიეს და ძველ ხიდთან მდგარ ეტლში ჩასვეს. ის იყო ცხენი ჩორთით გაქანდა, რომ თაედმა დე ბოსენომ, გრაფმა კლენამ და ბატონმა დე ლა ტრუმელმა მეეტლე კოფოდან ჩამოადგეს, ცხენი უკან გაიგდეს, ეტლი დიდი ბორბლებით წინ დააგორეს, ხიდის მოაჯირთან მიიტანეს და აღფრთოვანებული ბრბოს ტაშისკვრის თანხლებით მდინარეში გადაუძახეს. ტალღა წკრიალა და გრილი შხაპუნით აიჭრა ზეცაში, შემდეგ კი მდინარის კრიალა ზედაპირზე მხოლოდ მსუბუქი ჰავლი დარჩა.

მაშინვე ამხანაგებმა დაგობერმა და ვარამბილმა, შვიდასი გადაცმული პიროტის დახმარებით, თავადი დე ბოსენო თავით გადაუშვეს მრეცხავთა ბორანზე და ისიც იქ უსახელოდ ჩაიკარგა.

სასახლის მოედანზე მშვიდი ღამე ჩამოწვა. საშინელი ნამსხვრევებით მოფენილ მიწას სიწყნარე და მშვიდობა მოეფინა; ხოლო მდინარის მიმართულებით სამი კილომეტრის იქით, ხიდქვეშ, სულ მთლად სველი, ბებერი დასახიჩრებული ცხენის გვერდით ჩაცუცქული კოლომბანი ბრბოს უმეცრებასა და უსამართლობაზე ფიქრობდა.

— უფრო რთული საქმეა, ვიდრე მეგონა, — თავისთვის ჩაილაპარაკა მან. — მე ვგრძნობ, კვლავ გამირთულდება საქმე.

კოლომბანი წამოდგა და უბედურ ცხოველს მიუახლოვდა.

— შენ რაღა დაგაშავე, შე საცოდავო, — თქვა მან. — ჩემ გამო მოგექცნენ ასე საზარლად.

იგი უბედურ ცხოველს მოეხვია და მისი შუბლის თეთრ ვარსკვლავს ეამბორა. შემდეგ აღვირში მოჰკიდა ხელი და თავადაც აკოჭლებულმა, კოჭლი ცხენი მძინარე ქალაქის გავლით თავის სახლში მიიყვანა, სადაც ძილმა მას ადამიანები დაავიწყა.

თავი IX

მამა დუიარი

ყველა მორწმუნეთა სულიერი მამის წინადადებით, უსაზღვრო სიმშვიდით მოცულმა პინგვინეთის ეპისკოპოსებმა, კანონიკოსებმა, მღვდლებმა, ქორეპისკოპოსებმა, აბატებმა და მონასტრის წინამძღვრებმა გადაწყვიტეს, ალკას ტაძარში საზეიმო წირვა მოეწყოთ, რათა უფლის წყალობას ბოლო მოღო განხეთქილებისათვის, ერთ-ერთ ყველაზე უფრო ღირსეულ ქრისტიანულ ქვეყანას სულს რომ უხუთავდა და ამასთანავე, მომნანიე პინგვინეთისათვის, ღვთისა და ღვთისმსახურთა წინაშე ჩადენილი ცოდვების შენდობა გამოეთხოვათ.

წირვა თხუთმეტ ივნისს შედგა. თავისი შტაბის წევრებით გარშემორტყმულმა გენერალისიმუსმა კარაგელმა საპატიო ადგილი დაიკავა. წირვას ძრავალრიცხოვანი და ბრწყინვალე საზოგადოება დაესწრო ბატონი ბიგურის სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს საზოგადოება ერთდროულად ბრბოც გახლდათ და ელიტაც. პირველ რიგში მისი უდიდებულესობა პრინც კრუშოს კამერჰერი ბატონი დე ლა ბერტოზეილი მოჩანდა. კათედრასთან, სადაც ფრანცისკანელთა ორდენის ღირსი მამა დიუარი უნდა ასულიყო, ხელჯოხებზე ჯვარედინად ხელდაწყობილი და დაძაბული ანტიპიროტთა თავკაცები ვიკონტი ოლივი, ბატონი დე ლა ტრუმელი, გრაფი კლენა, ჰერცოგი ამპული და თავადი დე ბოსენო იდგნენ. მამა აგარიკი წმინდა მაელის სკოლის მასწავლებლებსა და მოსწავლეებთან ერთად საკურთხეველთან მოეწყო. ტაძრის შუაგული და მარჯვენა ნეფები ფორმაში გამოწყობილ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს ეკირათ. ეს მხარე საპატიოდ ითელებოდა, რადგან ჯვარცმულ მაცხოვარს სიკვდილისას თავი სწორედ ამ მხარეს გადაუვარდა. არისტოკრატმა ქალებმა, მათ შორის გრაფის მეუღლე კლენამ, ვიკონტის მეუღლე ოლივმა და თავადის მეუღლე დე ბოსენომ ქორედები დაიკავეს. დიდ ნეფსა და ტაძრისწინა ეზოში ყველა ორდენის ოცი ათასი ბერი და ოცდაათი ათასი ერისკაცი ჩაჰედილიყო.

მომნანიე და შეწყალებელი ლოცვის შემდეგ ღირსი მამა

დუიარი კათედრაზე ავიდა. თავდაპირველი გადაწყვეტილებით ქადაგება ღირს მამა აგარიკს მიანდეს. შემდეგ, მიუხედავად მისი დამსახურებისა თუ გულმოდგინებისა, მოძღვრების საკითხში იგი მოწოდების სიმაღლეზე არ ჩათვალეს და მჭევრმეტყველი კაპუცინი ამჯობინეს. ეს უკანასკნელი უკვე ექვსი თვეა უაზარმებში დადიოდა და ღვთისა და მთავრობის მტრების საწინააღმდეგოდ ქადაგებდა.

ღირსმა მამა დუიარმა ტექსტი: „Deposuit potentes de sede"[1] აირჩია; მან დაადგინა, რომ საერო ხელისუფლება უფლისგან იღებს საწყისს და რომ ეს ხელისუფლება თავს დაიღუპავს, თუ ზეცის მინიშნებულ გზას, ზეცის დასახულ მიზანს გადაუხვევს.

მან ეს წმიდათა წმიდა წესი პინგვინეთის მთავრობას მოარგო. შემდეგ თავსდატეხილი უბედურების საზარელი სურათები დახატა, რომელსაც ამ ქვეყნის მესვეურნი ვერც განშვრეტდნენ და ვერც თავიდან აიცილებდნენ.

— ძმებო, — თქვა მან. — ამ უბედურებისა და სირცხვილის პირველ შემქმნელს თქვენ კარგად იცნობთ. სწორედ ის ურჩხული გახლავთ, რჩმლის სახელიც წინასწარმეტყველურად განსაზღვრავს მის ბედს; იგი ბერძნული სიტყვა pyros-გან წარმოდგება, რაც ცეცხლს ნიშნავს. ღვთიური სიბრძნე ხანდახან ფილოლოგიურიც ხდება და ამ ეტიმოლოგიით გვაფრთხილებს, ურია ხანძარს დაანთებს იმ ქვეყანაში, რომელმაც შეიფარაო.

მამა დუიარმა ხატოვნად აღწერა, როგორ შესძახებს თავის გოლგოთაზე ეკლესიის მდევნელთაგან დარბეული სამშობლო: „ო, მწუხარებავ! ო, დიდებავ! მეც ისინი მაცვამენ ჯვარს, ვინც ჩემი უფალი აცვა!"

ამ სიტყვებზე ყველა დამსწრეს კანკალი აუვარდა.

ძლიერმა ორატორმა უფრო დიდი გულისწყრომა გამოიწვია, როცა ამაყი კოლომბანი ახსენა. მამა დუიარის აზრით მის ცოდვებს მდინარის წყალიც ვერ ჩამორეცხავდა. შემდეგ ორატორმა ყველა დამცირებასა და საფრთხეს, პინგვინეთს რომ ემუქრებოდა, ერთად მოუყარა თავი და ამ ცოდვაში

[1] დაამხო მჭონეთა ძალაუფლება (ლათ.)

ბრალი რესპუბლიკის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრს დასდო.

—ამ მინისტრმა, — თქვა მან. — სამარცხვინო სულმდაბლობა გამოიჩინა, როცა შეიდასი პიროტი თავისი მომხრეებითა და. დამჭაშებით ისე არ მოსპო, როგორც საულმა გაანადგურა გაბაონში ფილისტიმელები. ამით დაამტკიცა, რომ ღირსი არ არის ხელთ ეპყრას ხელისუფლება, რომელიც უფალმა მისცა და რომ ყველა მოქალაქეს შეუძლია მისი უგვანო ხელისუფლება მასხრად აიგდოს. ზეცა წყალობის თვალით გადმოხედავს შეურაცხმყოფელებს. უფალი დაამხობს სულმოკლე ბელადებს და მათ ადგილზე წარმოგზავნის ძლიერ მამაკაცებს, რომლებიც მის სახელს განადიდებენ. გაფრთხილებთ, ბატონებო: თქვენ გაფრთხილებთ, ოფიცრებო, უნტეროფიცრებო, ჯარისკაცებო და მსმენელნო; თქვენ გაფრთხილებთ, პინგვინთა არმიის გენერალისიმუსო; დადგა ჟამი! თუ თქვენ არ დაემორჩილებით უფლის ნებას, თუ თქვენ ხრ დაამხობთ მისი სახელით უღირს მთავრობას, თუ თქვენ არ დაიფუძნებთ პინგვინეთში ძლიერ და ღვთისმორწმუნე ახალ მთავრობას, უფალი თავად დაამხობს განკიცხულთ და თავის ხალხს გადაარჩენს; მაგრამ უთქვენოდ, ვინმე ღატაკი ხელოსნის ან კაპრალის მეშვეობით გადაარჩენს. დრო აღარ ითმენს! იჩქარეთ!

ამ მგზნებარე მოწოდებით აღელვებული სამოცი ათასი დამსწრე აკანკალებული წამოდგა. გაისმა ყვირილი: „იარაღით! იარაღით! სიკვდილი პიროტებს! გაუმარჯოს კრუშოსს!“ და ყველანი — ბერები, ქალები, ჯარისკაცები, ახნაურები, ბურჟუები თუ ლაქიები დაემორჩილნენ კათედრაზე აღმართულ ძლიერ ხელს, მათ რომ აკურთხებდა, ჰიმნი „გადავარჩინოთ პინგვინეთი“, დასჭექეს, ტაძრიდან მოუთმენლად გაცვივდნენ და მდინარის სანაპიროს გავლით, დეპუტატთა პალატისაკენ გაემართნენ.

დაცარიელებულ ტაძარში მარტოდ დარჩენილმა ბრძენმა კორნემუზმა ხელები ზეცისკენ აღაპყრო და გაბზარული ხმით ჩაიბუტბუტა:

— Agnosco fortunam ecclesiae pinguicanae.[1] კარგად ეხედავ. რაც მოგველის.

[1] პინგვინთა ეკლესიის ბედისწერას ეხედავ (ლათ.).

საკანონმდებლო პალატამ წმინდა ბრბოს თავდასხმა მოიგერია. პოლიციელებითა და ალკას დამცველებით შეიარაღებული თავდამსხმელები უწესრიგოდ გარბოდნენ, როცა გარეუბნიდან მოცვენილი სოციალისტები, ფენიქსის, დაგობერის, ლაპერსონისა და ვარამბილის მეთაურობით თავს დაესხნენ და მათი განადგურება დაასრულეს. ბატონი დე ლა ტრუმელი და ბატონი დ'ამპული საპოლიციო უბანში წააბრძანეს. თავადი დე ბოსენო, თავგანწირული ბრძოლის შემდეგ სისხლით მორწყულ ქვაფენილზე დაეცა.

გამარჯვების ენთუზიაზმით შეპყრობილი სოციალისტები, ურიცხვ გაზეთის დამტარებლებთან ერთად მთელი ღამე ბულვარებზე დაქროდნენ, ხელში საზეიმოდ ატაცებულ მანიფლორას დაატარებდნენ, კაფეს ფანჯრებსა და ქუჩის ფანრებს ამტვრევდნენ და გაჰკიოდნენ: „ძირს კრუშო! გაუმარჯოს სოციალურ რესპუბლიკას!" ანტიპიროტები, თავის მხრივ, მათ უკან მიჰყვებოდნენ და საგაზეთო კიოსკებსა და აფიშის ბოძებს აყირავებდნენ.

ასეთ წრმოდგენას ვერც საღი გონების ადამიანი მოიწონებდა და ვერც ქალაქის მმართველობა, ვისაც ქუჩებისა და ქვაფენილების მოწესრიგება ევალებოდა. მაგრამ მგრძნობიარე გულის ხალხისათვის უფრო სამწუხარო იმ ფარისეველთა დანახვა იყო, სიფრთხილის მიზნით ორივე ბანაკისაგან ერთნაირად შორს რომ იდგნენ. ამ ფარისეველთა ეგოიზმი და სიმდაბლე აშკარად ჩანდა, მიუხედავად ამისა, სურდათ ყველა მათი კეთილშობილებითა და დიდსულოვნებით აღფრთოვანებული ეხილათ. ისინი თვალებზე ხახვს ისვამდნენ, ტუჩებს მანშავდნენ, ცხვირს აქსუტუნებდნენ, გულისმომკვლელი ხმით ლაპარაკობდნენ და ფლიკვინებდნენ: „ო, პინგვინებო, ძმათა სისხლისღვრა შეწყვიტეთ, თქვენს დედებს გულს ნუ უხეთქავთ!" თითქოს ადამიანებს შეეძლოთ საზოგადოებაში კამათისა და შეხლა-შემოხლის გარეშე ეცხოვრათ და სამოქალაქო ომები ეროვნული ცხოვრებისა და ზნეობრივი პროგრესის აუცილებელი პირობა არ იყო. ეს მხდალი თვალთმაქცები, მართლებსაც და მტყუანებსაც კომპრომისს რომ სთავაზობდნენ, მართალთა სიმართლესა და მტყუანთა სიმამაცეს შეურაცხყოფდნენ. ერთი მათგანი, მდიდარი და ძლიერი მაშინელი

ეისაც სილაჩრე მომხიბვლელობას მატებდა, ქალაქს სეედის ქანდაკებასავით გადმოჰყურებდა. მისი ცრემლი თევზმრავალ გუბურებს ქმნიდა, ოხვრა კი მეთევზეთა ნაგებს აყირავებდა.

ამ მშფოთვარე ღამეების დროს, თავის ძველ სახანძრო ანძაზე, ნათელი ცის ქვეშ ბიდო-კოკი იჯდა, მოწყვეტილ ვარსკვლავებს ფოტოგრაფიულ ფირფიტებზე ბეჭდავდა და გულში ზეიმობდა. იგი სამართლიანობისათვის იბრძოდა; შეყვარებული გახლდათ და ამაღლებული გრძნობებით პასუხობდნენ; ჰორები და ცილისწამება სიხარულით აესებდა; თავისი კარიკატურები კოლომბანის, კერდანიკისა და პოლკოვნიკ ჰასტენის კარიკატურებთან ერთად საგაზეთო კიოსკში ნახა. ებრაელი ფინანსისტებისაგან ორმოცდაათი ათასი ფრანკი მიიღო. მილიტარისტული ფურცლების რეპორტიორები მის სამეცნიერო მნიშვნელობას ოფიციალურ მეცნიერებთან იკვლევდნენ. ოფიციალური მეცნიერები ვარსკვლავების საკითხში მის სრულ უმეცრებას ადასტურებდნენ, ყველაზე სოლიდურ დაკვირვებებს სადაოდ ხდიდნენ, უდაო აღმოჩენებს უარყოფდნენ. გამჭრიახ და ნაყოფიერ ჰიპოთეზებს განსჯიდნენ. ბიდო-კოკი სიძულვილისა და შურის ამ სასიამოვნო შემოტევით ხარბობდა.

იგი უპვერეტდა ფერხთით გართხმულ სიბნელეს, სადაც სინათლის მრავალი წერტილი იყო მიმობნეული და არ ფიქრობდა, რამდენ მძიმე სიზმარს, მტანჯველ უძილობას, ამაო ოცნებას, მოწამლულ სიამოვნებას და ტანჯვის დაუსრულებელ სახესხვაობას იტევდა ქალაქზე ჩამოწოლილი ღამე.

რთულ და ვულგარულ რეალობას ბიდო-კოკი მარტივი და მშვენიერი პოეზიით ცვლიდა და პიროს საქმეს კეთილი და ბოროტი ძალების ბრძოლის სახით წარმოიდგენდა. იგი სინათლის შვილთა მარადიულ ტრიუმფს ელოდა და ხარობდა, რომ თავად სინათლის შვილი, ღამის შვილებს ამარცხებდა.

თავი X

მსაჯული შოსპიე

შიშით დაბრმავებულებმა, წინდაუხედავმა და ბრიყვმა რესპუბლიკელებმა ახლა თვალი გაახილეს, კაპუცინ დუიარის ბანდები და პრინც კრუშოს მომხრეები იხილეს და, როგორც იქნა, პიროს საქმის ჰეშმარიტ არსს მიხვდნენ. დეპუტატები, ორი წლის მანძილზე ბრბოს ღრიალი შიშის ზარს რომ სცემდათ, უფრო მამაცნი არ გამხდარან, მაგრამ სილაჩრეს სახე უცვალეს. მათ რობენ მიელოს სამინისტროს გადააბრალეს უწესრიგობა, რომელსაც შემწყნარებლობით თავად უწყობდნენ ხელს და რომლის მოთავეებსაც აკანკალებულნი მრავალგზის ულოცავდნენ გამარჯვებას. დეპუტატები ბრალს სდებენ სამინისტროს, რომ მან თავისი სისუსტით საფრთხის წინაშე დააყენა რესპუბლიკა, თუმცა ეს მათივე სისუსტე გახლდათ და სამინისტროს მათვე მოახვიეს თავზე. ზოგიერთი დეპუტატი დაეჭვდა, ჩვენი ინტერესებისათვის იქნებ პიროს უდანაშაულობის დაჯერება სჯობსო, და მაშინვე, იმ აზრმა, რომ უბედური უსამართლოდ დაისაჯა და საჰაერო გალიაში სხვის ცოდვებს ინანიებდა, მათ მძაფრი ტკივილი აღუძრა. „ეს აზრი მოსვენებას არ მაძლევს“, საიდუმლოდ გაანდო უმრავლესობის რამდენიმე წევრს მინისტრმა გიომეტმა, რომელიც თავისი უფროსის ადგილის დაკავებაზე ოცნებობდა.

ღირსეულმა კანონმდებლებმა სამინისტრო დაამხეს. რესპუბლიკის პრეზიდენტმა რობინ მიელოს ნაცვლად ჰაღარაწვერიანი მარადიული რესპუბლიკელი ლა ტრენიტე დანიშნა. ამ უკანასკნელს, ისევე როგორც პინგვინთა უმრავლესობას, პიროს საქმისა არაფერი გაეგებოდა, მაგრამ თვლიდა, ამ საქმეში ზედმეტად ბევრი ბერია ჩარეულიო.

გენერალმა გრეტოკმა, სანამ სამინისტროს დატოვებდა, გენერალ პანტერს უკანასკნელი დარიგება მისცა:

— მე მივდივარ, თქვენ კი რჩებით, — უთხრა მას და ხელი ჩამოართვა. — პიროს საქმე ჩემი ნაშიერია; ახლა თქვენ მოგანდობთ; იგი სიყვარულსა და ზრუნვას იმსახურებს, რადგან მშვენიერია. ოღონდ ნუ დაივიწყებთ, რომ მისი სილამაზე

ჩრდილს ეძებს, იდუმალება მოსწონს და პირბადის მოხსნა არ უყვარს. გაუფრთხილდით მის მოკრძალებას. მრავალმა უბოდიშო მზერამ უკვე შელახა მისი სიმშვენიერე... პანტერ, თქვენ სამხედრები გსურდათ და მოიპოვეთ კიდეც. ძალიან ბევრი, ზედმეტად ბევრი მოაგროვეთ. მე ვგრძნობ, ეს აბეზარ ჩარევას და სახიფათო ცნობისმოყვარეობას გამოიწვევს. თქვენს ადგილზე ამ საბუთებს ნაფლეთებად ვაქცევდი. დამერწმუნეთ, საუკეთესო საბუთი სამხედრის უქონლობა გახლავთ. ეს ერთადერთია, რაც დავას არ იწვევს.

სამწუხაროდ, გენერალმა პანტერმა ამ რჩევის სიბრძნე ვერ გაიგო. მომავალმა გრეტოკის შორსმჭვრეტელობა დაადასტურა. ლა ტრენიტემ, როგორც კი სამინისტროში მივიდა, მაშინვე პიროს საქმის საბუთები მოითხოვა .ახალმა სამხედრო მინისტრმა, პენიშმა ეროვნული თავდაცვის ინტერესების მიზეზით მათ მოტანაზე უარი განაცხადა და თავმჯდომარეს აუხსნა, ეს საქმე, რომელიც პირადად გენერალმა პანტერმა შეადგინა, მსოფლიოში უდიდესი არქივი არისო. ლა ტრენიტემ შეძლებისდაგვარად შეისწავლა საქმე და ღრმად ჩახედვა არც კი დასჭირებია, ისე დაეჭვდა უზუსტობაში. თავისი უფლებისა და პრეროგატივის თანახმად თავმჯდომარემ მაშინვე საქმის გადახედვა მოითხოვა. სამხედრო მინისტრმა, პენიშმა, მას არშიის შეურაცხყოფაც და სამშობლოს ღალატში დაჭდო ბრალი და თავისი პორტფელი თავში ესროლა. პენიშ სხვა მინისტრით შეცვალეს, რომელიც ზუსტად ასეევე მოიქცა, მერე მესამე გამოჩნდა, რომელმაც მათ მაგალითს მიბაძა. შემდეგ კი დანარჩენები, სულ სამოცდაათი მინისტრი, თავისი წინამორბედებივით იქცეოდნენ. საბრძოლო პირტფელებში ჩაფლული პატივცემული ლა ტრენიტე კვნესოდა. სამოცდამეთერთმეტე სამხედრო მინისტრს, ვან-ჟულეპს, პოსტი არ მიუტოვებია; არა იმიტომ, რომ თავის მრავალ ღირსეულ კოლეგას არ ეთანხმებოდა; იგი ამ თანამდებობაზე ბრძანებით დარჩა, რათა მინისტრთა საბჭოს ახალი თავმჯდომარისათვის დიდსულოვნად ეღალატა, მისთვის ლაფი დაესხა, საქმის გადახედვა გრეტოკის დიდებად ექცია, ანტიპიროტები დაეკმაყოფილებინა, ბერეზისათის სარგებელი მოეტანა და კრუშო აღედგინა.

გენერალი ვან-ჟუპი, რომელსაც მრავალი შესანიშნაი საჭ-

ხედრო თვისება ჰქონდა, არც ისე გონებაგახსნილი კაცი იყო, გრეტოკის დახვეწილი და მოხერხებული მეთოდები გამოეყენებინა. იგი გენერალი პანტერივით ფიქრობდა, პიროს წინააღმდეგ ხელშესახები საბუთები გვჭირდება და რამდენიც უნდა იყოს ეს სამხილი, საკმარისი მაინც არ იქნებაო. თავისი აზრი მან გენერალური შტაბის უფროსს აცნობა და პანტერმაც სიამოვნებით გაიზიარა იგი.

— პანტერ, — თქვა მან, — ჩვენ ისეთ მომენტს ვუახლოვდებით, უსაზღვრო რაოდენობის საბუთი დაგვჭირდება.

— გასაგებია, გენერალო, — უპასუხა პანტერმა. — ჩემს არქივს შევავსებ.

ექვსი თვის შემდეგ პიროს სამხილებმა სამხედრო სამინისტროს ორი სართული გააესო. საქაღალდეების სიმძიმემ იატაკი ჩაანგრია და ჩამოზვავებულმა სამხილებმა გაჭყლიტეს ორი განყოფილების გამგე, თოთხმეტი მაგიდის უფროსი და სამოცი ექსპედიტორი, რომელიც პირველ სართულზე მსროლელთა პოლკის პაჭიების ფორმის შეცვლაზე მუშაობდა. საჭირო გახდა ამ ფართო შენობის კედლებისათვის ბიჯგები შეედგათ. გამვლელები გაოცებით უმზერდნენ უშველებელ ბოძებსა და საშინელ ბიჯგებს, რომლებიც ადრე ზვიადი იერის მქონე ფასადისათვის, ახლა დარბეულივით რომ ირყეოდა. ბოძებმა ქუჩა ჩახერგეს, ეტლებისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობა შეაფერხეს; ავტობუსები კი თავის მგზავრებიანად ამ ზღუდეზე ილეწებოდნენ.

მსაჯულები, პირო რომ გაასამართლეს, ნამდვილი კი არა, სამხედრო მოსამართლეები იყვნენ. მოსამართლენი, კოლომბანი რომ გაასამართლეს, ნამდვილი, მაგრამ პატარა მოსამართლეები გახლდნენ. ისინი ეკლესიის დამლაგებლებივით შავ ძველმანებში გამოწყობილიყვნენ, დაბალ ფეხებს ეკუთვნოდნენ და დაშეშულ მოსამართლეებს წარმოადგენდნენ. მათ ზემოთ უფრო მსხვილი მოსამართლეები ისხდნენ, რომელთაც წითელ შანტიებზე ყარყუმის მოსასხამები მოეგდოთ. ისინი თავისი ცოდნითა და დოქტრინებით იყვნენ განთქმულნი და იმ სასამართლოს წარმოადგენდნენ რომლის მრისხანე სახელი უმაღლეს ხელისუფლებას ნიშნავდა. ამ სასამართლოს საკასა-

ციო[1] ერქვა. რათა ყველას გაეგო, რომ მას უროსავით შეეძლო ყოველი სხვა სასამართლოს განაჩენისა და გადაწყვეტილების დამსხვრევა.

უმაღლესი სასამართლოს ერთ-ერთი წითელი მსაჯული შოსპიე, ალკას გარეუბანში ზომიერად და მშვიდად ცხოვრობდა. მას წმინდა სული, პატიოსანი გული და სამართლიანი გონება ჰქონდა. როცა საქმეების შესწავლას დაასრულებდა, იგი ვიოლინოზე უკრავდა და ჰიაცინტებს უვლიდა. კვირაობით მეზობლის ქალიშვილებთან, ჰელბივორებთან სადილობდა. შოსპიე ჩასკვნილი, მოღიმარი მოხუცი გახლდათ და მეგობრები მის რბილ ხასიათს ხოტბას ასხამდნენ.

ბოლო რამდენიმე თვის მანძილზე იგი პირქუში და გაღიზიანებული ჩანდა. როგორც კი გაზეთს გაშლიდა ვარდისფერი სახე ტკივილისაგან ემანჭებოდა და სიბრაზისაგან ლურჯდებოდა. ამის მიზეზი პირო იყო. მსაჯულ შოსპიეს არ ესმოდა, როგორ შეიძლებოდა ოფიცერს ასეთი უგვანი საქმე ჩაედინა და ოთხმოცი ათასი კონა სამხედრო თივა მეზობელი, მტრულად განწყობილი ერისათვის მიეყიდა. მისთვის კიდევ უფრო, გაუგებარი იყო, როგორ მოიპოვა დამნაშავემ პინგვინეთში ასეთი მგზნებარე დამცველები. ის აზრი, რომ მის სამშობლოში არსებობდა ხალხი, როგორიც პირო, პოლკოვნიკი ჰასტენი, კოლომბანი, კერდანიკი და ფენიქსი იყო, მას ჰიაცინტებს, ვიოლინოს, ზეცას, მიწას, ბუნებას და ქალბატონ ჰელბივორებთან გამართულ სადილებს უწამლავდა.

იუსტიციის მინისტრმა პიროს საქმე უმაღლეს ინსტანციაში გადაიტანა და სწორედ მსაჯულ შოსპიეს დაავალა, მისთვის გადაეხედა და შეცდომებიც მოეძებნა, თუკი ასეთი შეცდომები საერთოდ არსებობდა. შოსპიეს მოუსყიდველი სინდისი და თავისი მოვალეობის მიუკერძოებლად შესრულების ჩვევა ჰქონდა. მიუხედავად ამისა, მაინც ელოდა, ქაღალდებში უდავო დანაშაულისა და აშკარა ღალატის საბუთს ვიპოვიო. გენერალ ვან-ჟულეპის მხრიე მრავალი გართულებისა და უარის მიღების შემდეგ მსაჯულმა შოსპიემ საქალალდეები მოიპოვა. როცა ისინი დაახარისხეს და აღნუსხეს, აღმოჩნდა, რომ მათი რიცხვი

[1] Casser (ფრ.) — შტრევა

თოთხმეტი მილიონ ექვსას ოცდაექვსი ათას სამას თორმეტს აღწევდა. შოსპიემ შეისწავლა ისინი, ჯერ გაოცდა, შემდეგ გაოგნდა, გაშტერდა, აღელდა და, როგორც ამბობენ, გონება გაუნათდა. ამ საქაღალდეებში მან სიახლეთა მაღაზიების პროსპექტები, გაზეთები, მოდური გრავიურები, სასურსათო მაღაზიების ტომრები, ძველი კომერციული კორესპონდენციები, სასკოლო რვეულები, შესაფუთი და იატაკის საწმენდი ქაღალდები, ბანქო, ნახაზები, და „სიზმრის ახსნის“ ექვსი ათასი ეგზემპლარი აღმოაჩინა, მაგრამ ვერ იპოვა ვერც ერთი საბუთი, სადაც პიროზე თუნდაც ერთი სიტყვა იქნებოდა თქმული.

თავი XI

დასკვნა

პიროს სასჯელი გაუქმდა. იგი გალიიდან გამოუშვეს, მაგრამ ანტიპიროტებმა დამარცხება არ აღიარეს. სამხედრო მოსამართლეებმა ხელახლა გაასამართლეს პირო. ამ მეორე პროცესზე გრეტოკმა შესაძლებლობას გადააჭარბა. მან განაცხადა, უმაღლეს სასამართლოში წარდგენილი საბუთები ჩირადაც არ ღირს, ნამდვილს კი საიდუმლოდ ინახავენო, და ამით ხელმეორე განაჩენს მიაღწია. საქმეში ჩახედული ხალხის აზრით ასეთი სიმარჯვე მას არასოდეს გამოუჩენია. გრეტოკი სხდომათა დარბაზიდან გამოვიდა და ზურგზე ხელებშემოწყობილი, ცნობისმოყვარეთა შორის მშვიდად მიაბიჯებდა, როცა სასამართლოს დერეფანში პირბადეაფარებული, წითელ კაბაში გამოწყობილი ქალი მას თავს დაესხა და სამზარეულოს დანა მოუქნია.

— სიკვდილი არამზადას! — შესძახა ქალმა.

ეს ქალი მანიფლორა გახლდათ. სანამ დამსწრეები გონს მოეგებოდნენ, გენერალმა ერთი შეხედვით, თითქოს რბილად სტაცა ხელზე ხელი და ისე მაგრად მოუჭირა, რომ გაშლილი ხელისგულიდან დანა იატაკზე დავარდა.

— ქალბატონო, — თქვა მან და თავი დაუკრა, — საოჯახო იარაღი დაგივარდათ.

მიუხედავად მისი წინააღმდეგობისა გმირი ქალი საპოლი-

ციო უბანში წარუყვანეს. გრეტოკმა მაშინვე გაათავისუფლებინა იგი; ძოგეიანებით კი მთელი თავისი გავლენა გამოიყენა, რათა მისი დევნა შეეწყვიტათ.

პიროს ხელმეორე განაჩენი გრეტოკის უკანასკნელი გამარჯვება იყო.

მსაჯული შოსპიე, რომელსაც ადრე სამხედროები უყვარდა და მათ, საძართალს პატივს სცემდა, ახლა სამხედრო მოსამართლეების მოქმედებით აღშფოთებული გახლდათ და მათ განაჩენებს ისევე სწრაფად აუქმებდა, როგორც მაიმუნი ამტვრევს თხილს. შოსპიემ მეორეჯერ გაამართლა პირო; საჭირო რომ გამხდარიყო, ხუთასჯერაც გაამართლებდა.

თავისივე სიმხდალით, ტყუილითა და დაცინვით აღშფოთებული რესპუბლიკელები ბერებისა და მღვდლების წინააღმდეგ შეიმართნენ. დეპუტატებმა მათი გაძევების, ეკლესიის სახელმწიფოსაგან გამოყოფისა და ქონების ჩამორთმევის შესახებ კანონებიც გამოსცეს. სწორედ ის მოხდა, მამა კორნეილზე მა წინასწარ რომ განჭვრიტა. საპატიო ბერი კონილის ტყიდან გააძევეს; სახელმწიფო ხაზინამ მას არყისსახდელი და რეტორტები ჩამოართვა; აგენტებმა ნუინდა ობერროზას ლიქიორით სავსე ბოთლები ერთმანეთში გაინაწილეს. ღირსმა არყისმხდელმა, ამგვარად, სამი მილიონ ხუთასი ათასი ფრანკი წლიური შემოსავალი დაკარგა. მამა აგარიკი განდევნეს. მისი სკოლა გადავიდა ერისკაცთა ხელში, რომლებმაც იგი დაღუპვის კარამდე მიიყვანეს. პინგვინეთის ეკლესია, რომელსაც სახელმწიფო კვებავდა და რომლისგანაც ახლა გამოყოფილი გახლდათ, მოწყვეტილი ყვავილივით დაჭკნა.

უდანაშაულოს გამარჯვებული დამცველები ერთმანეთს დაერივნენ და შეურაცხყოფითა და ჭორებით გაუმაპინძლდნენ. ფიცხი კერდანიკი ფენიქსს დაეტაკა და მზად იყო გაეთელა. ბობოლა ებრაელებმა და შვიდასმა პიროტმა ზიზღით აქცია ზურგი ამხანაგ სოციალისტებს, რომლებსაც ადრე დახმარებას თავმდაბლად ემუდარებოდა.

— ალარ გცნობთ, — ამბობდნენ ისინი. — ნუ შეგვაწუხებთ ამ თქვენი სოციალური სამართლიანობით. სოციალური სამართლიანობა სიმდიდრის დაცვა გახლავთ.

დეპუტატად გამოცხადებული და ახალი უმრავლესობის

სათავეში მოქცეული ლარიევე, პალატისა და საზოგადოებრივი აზრის მეშვეობით საბჭოს თავჯდომარე გახდა. მან თავი გამოიჩინა, როგორც ენერგიულმა დამცველმა სწორედ იმ სამხედრო სასამართლოებისა, პირო რომ დასჯა. ერთხელ ძველმა ამხანაგებმა, სოციალისტებმა სახელმწიფო მოსამსახურეებისა და მუშებისათვის ცოტა მეტი სამართლიანობა და თავისუფლება მოითხოვეს. ლარიევემ მათი წინადადების წინააღმდეგ შემდეგი სიტყვებით გაილაშქრა:

— თავისუფლება თვითნებობას როდი ნიშნავს, — თქვა მან. — წესრიგს და უწესრიგობას შორის მე ჩემი არჩევანი გავაკეთე. რევოლუცია უძლურება გახლავთ; პროგრესს კი ძალმომრეობაზე დიდი მტერი არა ჰყავს. ძალმომრეობით ვერაფერს მიაღწევ. იმ ბატონებმა, რომლებსაც ჩემსავით რეფორმები სურთ, უპირველეს ყოვლისა, უნდა ჩაწუნარონ ეს მღელვარება, ისევე რომ ასუსტებს მთავრობას, როგორც სიცხე ავადმყოფს. დროა პატიოსან ხალხს დამშვიდების საშუალება მივცეთ.

ამ სიტყვას ტაშით შეხვდნენ. რესპუბლიკის მთავრობას კვლავ ფინანსური კომპანიები აკონტროლებდა, არმია მხოლოდ კაპიტალს იცავდა, ფლოტი მხოლოდ მეტალურგიის მწარმოებელთა შეკვეთებს ეზიდებოდა, მდიდრები გადასახადზე უარს ამბობდნენ, ღარიბები კვლავ მათ ნაცვლად იხდიდნენ.

ამ დროს ძველ სახანძრო ანძაზე შემომჯდარი, ღამის მნათობთა ათინათში გახვეული ბიდო-კოკი მიძინებულ ქალაქს სევდიანად გასცქეროდა. მანიფლორამ მიატოვა იგი; ახალი თავგანწირვისა და მსხვერპლშეწირვის სურვილით შეპყრობილი ქალი ერთ ახალგაზრდა ბულგარელთან ერთად სოფიაში გაემგზავრა, რათა იქ სამართალი და შურისძიება აეყვავებინა. ბიდო-კოკს არ ენანებოდა ქალი; პიროს პროცესის შემდეგ სულითა და ხორცით ისე მშვენიერი აღარ ეჩვენებოდა, როგორც ადრე წარმოედგინა. შეხედულება სხვა საქმეებსა და იდეალებზეც შეეცვალა. ყველაზე სამწუხარო კი ის იყო, რომ თავისი თავიც ნაკლებ დიდი და მშვენიერი ეჩვენა, გიდრე მანამდე ეგონა. ბიდო-კოკი ფიქრობდა:

„შენი თავი გმირი გეგონა, მხოლოდ გულუბრყვილო კი იყავი და სიკეთე გსურდა. რამ გაგაამაყა, ბიდო-კოკი? იმან ხომ

არა, პირველი რომ მიხვდა, პირო უდანაშაულოა, ხოლო გრეტოკი — არამზადაო. მერე? სამმა მეოთხედმა იმ ხალხისა, გრეტოკს შვიდასი პიროტისაგან რომ იცავდა, ეს შენზე უკეთ იცოდა. ამაში არ იყო საქმე. მაშ, რამ გაგაამაყა? იქნებ იმან, რომ გაბედე და შენი აზრი გამოთქვი? ეს მოქალაქეობრივი სიმამაცეა და ისევე როგორც სამხედრო სიმამაცე, გაუფრთხილებლობის ჭეშმარიტი შედეგი გახლავს. შენ წინდაუხედავი იყავი. ეს კარგია, მაგრამ უზომოდ თავმოსაწონებელი აქ არაფერია. შენი წინდაუხედაობა პატარა იყო და შენც წვრილმან უსიამოვნებებს გადააწყდი მხოლოდ. თავი არ გაგიწირავს. პინგვინებმა დაკარგეს ის სასტიკი და სისხლისმოყვარე სიამაყე, ადრე მათ რევოლუციებს ტრაგიკულ სიდიადეს რომ ანიჭებდა. ეს რწმენისა და ხასიათის დასუსტების საბედისწერო შედეგია. რად უნდა ჩაგთვალოთ უზენაეს გონებად? მხოლოდ იმიტომ, რომ ერთ კერძო საკითხში ცოტა მეტი შორსმჭვრეტელობა გამოავლინე, ვიდრე ბრბომ? მე მგონი, პირიქით, საწყალო ბიდო-კოკი. ხალხის გონებრივი და ზნეობრივი განვითარების საკითხში სრული უვიცობა გამოამჟღავნე. წარმოიდგინე, რომ სოციალური უსამართლობები მარგალიტის მძივივითაა ძსხმული და საკმარისია ერთი მარცვალი გამოიღო, მთელი კრიალოსანი დაიმარცვლება. რა გულუბრყვილო შეხედულებაა! იმედოვნებდი, ერთი ხელის დაკვრით სამართლიანობას დავამყარებ საშობლოშიც და მთელ ქვეყანაზეც. შენ კეთილი და პატიოსანი იდეალისტი იყავი, მაგრამ პრაქტიკულ ფილოსოფიაში ვერ გაერკვიე. ჩაიხედე შენს სულში და მიხვდები, რომ ცოტას ეშმაკობდი კიდეც და შენი გულუბრყვილობა ცბიერებაც იყო. გეგონა, კარგ საქმეს ვაკეთებო. შენს თავს ეძახი „აი, ერთხელ ვიქნები სამართლიანი და მამაცი, ამის შემდეგ კი შემიძლია ხალხის სიყვარულითა და ისტორიკოსთა ხოტბით მოსილმა მოვისვენოო“. ახლა, როცა ილუზიები დაკარგე, როცა იცი, რა ძნელია უსამართლობის დათრგუნვა, როცა იცი, რომ მუდამ და მუდამ თავიდან დაწყება არის საჭირო, შენს ვარსკვლავებს მიუბრუნდი. მართალი ხარ; ოღონდ მოკრძალებით მიუბრუნდი მათ, ბიდო-კოკი“.

წიგნი მეშვიდე

ახალი ხანა — ჭალბატონი სერვისი

მხოლოდ უკიდურესობას ვეგუებით.

გრაფი რობერ დე მონტესკიე

თავი I

ჭალბატონ კლარანსის სალონი

რესპუბლიკის დიდი მოხელის ქვრივს, ჭალბატონ კლარანსს სტუმრების მიღება უყვარდა. ხუთშაბათობით იგი თავს უყრიდა მეგობრებს, რომელთაც საზოგადოებაში მოკრძალებული ადგილი ეკავათ და ბაასი უყვარდათ. მასთან დადიოდნენ სხვადასხვა ასაკისა და მდგომარეობის ქალები, მუდამ ფული რომ უჭირდათ და ბევრი ტანჯვაც ჰქონდათ გამოვლილი. აქ შეეხვედებოდით ჰერცოგის მეუღლეს, რომელიც მკითხავს ჰგავდა და მკითხავს, ჰერცოგის მეუღლეს რომ წააგავდა. ჭალბატონი კლარანსი საკმაოდ ლამაზი ქალი იყო, რათა ძველი ურთიერთობები არ დაეკარგა, მაგრამ არასაკმარისად ლამაზი გახლდათ, რათა ახალი ურთიერთობანი გაება. სწორედ ამიტომ ქალი საყოველთაო პატივისცემას იმსახურებდა. მას ძალზე ლამაზი, მაგრამ უმზითვო ქალიშვილი ჰყავდა. ეს უკანასკნელი სტუმრებს აფრთხობდა, რადგან პინგვინებს ღარიბი ქალიშვილების ცეცხლივით ეშინოდათ. ეველინა კლარანსი მათ თავშეკავებას ამჩნევდა, მიზეზს ხვდებოდა და ჩაის ზიზღით ასხამდა. ქალი იშვიათად გამოდიოდა სტუმრებთან და მხოლოდ ჭალბატონებს ან ძალზე ახალგაზრდა ვაჟებს ესაუბრებოდა. მისი ხანმოკლე

და შეუმჩნეველი გამოჩენა სტუმრებს სრულიად არ უშლიდა ხელს. ისინი ან ფიქრობდნენ, ზედმეტად ახალგაზრდაა და ვერაფერს გაიგებსო, ან მიაჩნდათ, ოცდახუთი წლის ქალიშვილმა ყველაფერი შეიძლება მოისმინოსო.

ერთ ხუთშაბათს, ქალბატონი კლარანსის სალონში სიყვარულზე ჩამოვარდა სიტყვა. ქალბატონები იდუმალი ხმით, ფრთხილად და ამაყად, მამაკაცები კი თავაშვებულად და თვითკმაყოფილი იერით ბაასობდნენ; თანაც ყველას მხოლოდ ის აინტერესებდა, რასაც თავად ამბობდა. ირგვლივ გონებამახვილობის კორიანტელი დადგა, ბრწყინვალე აფორიზმები და ცოცხალი შეპასუხება გაისმა. ბოლოს პროფესორმა ჰადოკმა დაიწყო მსჯელობა და ყველას თავი შეაწყინა.

— ჩვენი შეხედულება სიყვარულზე და სხვა საგნებზეც, — თქვა მან, — ეყრდნობა დრომოჭმულ ჩვეულებს, რომელთა მოგონებაც კი წარიხოცა. ზნეობის საკითხში მოთხოვნები, ყოველგვარი აზრი რომ აქვს დაკარგული, უსარგებლო ვალდებულებები და მძიმე და მავნე შეზღუდვები თავისი ღრმა სიძველისა და იდუმალი არსის გამო ფრად გამოუკვლეველია, საკამათო არ არის და ვერც იწვევს კამათს. სამაგიეროდ დიდად ღირსეული და პატივსაცემი გახლავს და ისე ვერ დაარღვევ, რომ მკაცრი გაკიცხვა არ დაიმსახუროო. სქესთა ურთიერთობის მორალი დაფუძნებულია ერთ პრინციპზე: ქალი, რომელიც თუნდაც ერთხელ დანებდება მამაკაცს, ცხენივით ან იარაღივით მისი საკუთრება, მისი ქონება ხდება. და რადგან ეს პრინციპი კარგა ხანია შეიცვალა, შედეგად მივიღეთ ისეთი აბსურდი, როგორიც გახლავთ ქორწინება, ანუ ქალის მამაკაცზე გაყიდვის ნასყიდობა, რომელიც საკუთრების უფლებების შეზღუდვის მუხლს შეიცავს. ეს მუხლი კი მესაკუთრის თანდათანობითმა შესუსტებამ შემოიტანა. ქალიშვილის ვალდებულება, მეუღლეს უმანკო ჩაბარდეს, იმ დროიდან მოდის, როცა ახლად მომწიფებულ ქალწულებს ათხოვებდნენ. სასაცილო იქნება ქალიშვილს, რომელიც ოცდახუთი ან ოცდაათი წლისა თხოვდება, იგივე ვალდებულება დავაკისროთ. თქვენ იტყვით, ეს საჩუქარია და ქმარი, თუკი მოიპოვა იგი, ნასიამოვნები დარჩებაო. მაგრამ ჩვენ ხომ ყოველ წუთში ვხედავთ, როგორ ცდილობენ მამაკაცები, გათხოვილი ქალები დაიპყრონ და რა

კმაყოფილები რჩებიან, თუკი შეძლებენ მათ დაეუფლონ. დღემდე ქალწულთა მოვალეობის რელიგიური მორალი დაფუძნებულია იმ ძველ რწმენაზე, რომ ღმერთი, ეს ყველაზე ძლიერი სამხედრო ბელადი, მრავალცოლიანია და ყველა ქალწულს თაეისთვის ინახავს. დანარჩენებს კი ისეთ ქალწულებს შეუძლიათ დაეუფლონ, უფალმა რომ დაიწუნა. ამ რწმენის კვალი მისტიკური ენის მრავალ მეტაფორაშია შემორჩენილი; და თუმცა დღეს ცივილიზებული ერების უმეტესობისათვის გაუფასურებულია; ქალწულთა აღზრდაში კვლავ დომინირებს. ასეთ აღზრდას ვხვდებით არა მხოლოდ მორწმუნეებს, არამედ თავისუფლად მოაზროვნე პირებს შორისაც, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში სულაც არ აზროვნებენ თავისუფლად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ საერთოდ არ აზროვნებენ. სიბრძნე განსწავლულობას ნიშნავს. ქალწულს კი ბრძენს მაშინ ეძახიან, როცა არაფერი იცის. მის უვიცობას ყველა მხარს უჭერს. მიუხედავად ასეთი ზრუნვისა, ცოტა რამ უბრძენესებმაც კი იციან, რადგან შეუძლებელია მათ საკუთრი ბუნება, მდგომარეობა ან შეგრძნებები დაუმალო. სამწუხაროდ, მათ ცუდად, დამახინჯებულად იციან ყოველივე. აი, რა მოსდევს ამ ყურადღებიან აღზრდას...

— ბატონო, — პირქუშად შეაწყვეტინა ალკას მთავარმა ბაზინადარმა ჟოზეფ ბუტურლემ. — გარწმუნებთ, არსებობენ უბიწო, ჰეშმარიტად უბიწო ქალწულნი და ეს დიდი უბედურებაა. სამ ასეთ ქალწულს ვიცნობდი. მათი გათხოვება ნამდვილი საშინელება იყო. ერთი მათგანი, ქმარი მიუახლოვდა თუ არა, საწოლიდან დაზაფრული წამოვარდა და ფანჯარაში „მიშველეთ, ეს ბატონი ჭკუაზე შეცდაო!“ გაჰკიოდა. მეორე, ქორწინების მეორე დილას პერანგის ამარა, სარკიანი კარადის თავზე შემჯდარი აღმოაჩინეს და იქიდან ჩამოსვლა არაფრით არ ისურვა. მესამე გაოგნებული დარჩა, მაგრამ ჩუმად იტანჯებოდა. მხოლოდ ქორწინებიდან რამდენიმე კვირის შემდეგ უჩურჩულა დედას ყურში: ჩემსა და ჩემს ქმარს შორის რაღაც ისეთი გაუგონარი და წარმოუდგენელი ხდება, შენთვისაც კი ეერ გამიბედავს ამისი მოყოლაო. სულის ცხონების დაკარგვის შიშით მან ეს ამბავი თაეის მოძღვარს უამბო და ალბათ ცოტა გულგატეხილმა მხოლოდ მისგან გაიგო, რომ უჩვეულო არაფერი ხდებოდა.

— მე შევამჩნიე, — კელავ წამოიწყო პროფესორმა ჰადოკმა. — რომ საერთოდ ევროპელები და კერძოდ, პინგვინები. სანამ სპორტი და ავტომობილი გაიტაცებდათ, არაფერს უთმობდნენ იმდენ დროს, რამდენსაც სიყვარულს. ეს კი ნიშნავს, დიდი მნიშვნელობა მიანიჭო იმას, რასაც ასე მცირე მნიშვნელობა აქვს.

— როგორ, ბატონო! — წამოიძახა სუნთქვაშეკრულმა ქალბატონმა კრემერმა. — ეს უმნიშვნელოა, თუკი ქალი სულით ხორცამდე ნებდება მამაკაცს?

— არა, ქალბატონო, ამას შეიძლება ჰქონდეს თავისი მნიშვნელობა, — უპასუხა პროფესორმა ჰადოკმა. — ოღონდ მფლობელმა ისიც უნდა იცოდეს, მშვენიერი ბაღს იღებს თუ ეკალბარდებით მოფენილ ბაღს. ერთსაც გეტყვით, ხომ არ ავსვიადებთ სიტყვა „დანებების“ მნიშვნელობას? სიყვარულში ქალი უფრო უთმობს, ვიდრე ნებდება. აი, მშვენიერ ქალბატონ პანსეს შეხედეთ...

— დედაჩემია! — თქვა მაღალმა, ახალგაზრდა, ქერა ყმაწვილმა.

— უსაზღვროდ პატივს ვცემ მას, ბატონო, — შეეპასუხა პროფესორი ჰადოკი. — ნუ შიშობთ, შეურაცხმყოფელს არაფერს ვეტყვი. მაგრამ, ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ვაჟიშვილების აზრი დედებზე საერთოდ არ ემორჩილება არავითარ კრიტიკას. ვაჟიშვილები ვერ გრძნობენ, რომ დედა სწორედ სიყვარულმა აქცია დედად,ამიტომ მომავალშიც შეიძლება ვინმე შეუყვარდეს. და მაინც, ეს ასეა. ასე რომ არ იყოს, სამწუხარო იქნებოდა. მე შევამჩნიე, რომ ქალიშვილები, პირიქით, არასოდეს ტყუვდებიან, რომ მათ დედებს სიყვარული შეუძლიათ და ამ შესაძლებლობას იყენებენ კიდეც. ქალიშვილები ხომ მეტოქეები არიან, მათ ზუსტი თვალი აქვთ.

აუტანელმა პროფესორმა კიდევ დიდხანს იყბედა, უხამსობას მოუქნელობა დაამატა, კაბნიერებას უზრდელობა, მთელი რიგი შეუსაბამობა დაახეავა, საპატიო აბუჩად აიგდო, უმსგავსს კი პატივი სცა, მაგრამ მას აღარაფერი უსმენდა.

ამ დროს, თავის უბრალო, მაგრამ უბრალოების მომხიბვლელობას მოკლებულ უსიყვარულობით მოწყენილ ოთახში, რომელსაც ყველა ახალგაზრდა ქალის ოთახის მსგავსად მოლო-

დინის სიცივე ამკობს, ეკელინა კლარანსი კლუბებისა და საქველმოქმედო დაწესებულებების წლიურ ანგარიშებს ათვალიერებდა და საზოგადოებას ეცნობოდა. ქალი დარწმუნებული იყო, რომ ინტელექტუალური, მაგრამ ღარიბი ბალხით გარშემორტყმული დედა მას საზოგადოებაში სასურველ ადგილს ვერ მოუპოვებდა. ეველინამ გადაწყვიტა, თავად მოეძებნა სასურველი მდგომარეობა და მიზნისაკენ მშვიდად, აუმღვრევლად, ყოველგვარი ოცნებებისა და ილუზიების გარეშე გაემართა. ქალი ქორწინებაში მხოლოდ თამაშში ჩარევისა და თავისუფალი მიმოსვლის უფლებას ხედავდა; ამასთანავე ნათლად ესმოდა, რა სირთულეებთან და რისკთან იყო დაკავშირებული მისი წამოწყება. ეველინას ჰქონდა მონაცემები ვინმეს მოსწონებოდა; თანაც ცივი ქალი გახლდათ და ამ მონაცემების გამოყენება შეეძლო. ამ ქალს მხოლოდ ერთი სისუსტე ჰქონდა: ვერაფერს, რასაც კი არისტოკრატული იერი ედო, აუღელვებლად ვერ უყურებდა.

დედასთან მარტო დარჩენილმა ეველინამ განაცხადა:

— დედა, ხვალ მამა დუიარის ქადაგების მოსასმენად წაველთ.

თავი II

წმინდა ოგრეროზას საქველმოქმედო საზოგადოება

ყოველ პარასკევს, საღამოს ცხრა საათზე, წმინდა მაელის არისტოკრატულ ეკლესიაში ალკას საზოგადოება იკრიბებოდა და მამა დუიარის ქადაგებას უსმენდა. თავადი და თავადის მეუღლე დე ბოსენო, ვიკონტი და ვიკონტის მეუღლე ოლივია ქალბატონი ბიგური, ბატონი და ქალბატონი დე ლა ტრუმელი არც ერთს წირვას არ აცდენდნენ; ამ ეკლესიაში თავს იყრიდა არისტოკრატიის ნაღები და ბრწყინავდნენ მომხიბვლელი ებრაელი ბანოვანების, რადგან ალკას ებრაელი ქალბატონები ქრისტიანები იყვნენ.

ამ ქადაგების, ისევე როგორც ყოველი რელიგიური თაყვანისცემის მიზანი გახლდათ, არისტოკრატია სულის ცხონება-

ზე. დაეფიქრებინა და ამდენი ღირსეული და ცნობილი ოჯახისათვის პინგვინეთის მფარველის, წმინდა ობრეროზას ლოცვაკურთხევა მოეპოვებინა. ღირსი მამა დუიარი თავისი ჩანაფიქრის განხორციელებას ჰეშმარიტად მოციქულებრივი გულმოდგინებით ცდილობდა. მას სურდა პინგვინეთის მფარველის, წმინდა ობრორობას უფლებები აღედგინა და ერთ-ერთ გორაკზე, ქალაქს რომ გადმოჰყურებდა, მისთვის მონუმენტური ტაძარი აეგო. მამა დუიარის საქმიანობა ბრწყინვალე წარმატებით დაგვირგვინდა და ამ ეროვნული წამოწყების განსახორციელებლად მან ასი ათასზე მეტი მომხრე და ორ მილიონზე მეტი ფრანკი შეიძინა.

წმინდა მაელის ეკლესიაში ოქროთი, ძვირფასი თელებით სანთლებითა და ყვავილებით შემკული წმინდა ობრეროზას ახალი სამარტვილე აღიმართა.

აი, რას წერს აბატი პლანტენი თავის წიგნში „ალკას მფარველის სასწაულების ისტორია“:

„ძველი სამარტვილე ტერორის დროს გადაადნეს, წმინდანის ძვირფასი ნაწილები კი გრევის მოედანზე დანთებულ კოცონში ჩაყარეს: მაგრამ ერთმა ღარიბმა, დიდად ღვთისმოსავმა ქალმა რუკენმა სიცოცხლე საფრთხეში ჩაიგდო, ღამით გაემართა და ნეტარის დამწვარი ძვლები და ფერფლი აკრიფა. ეს ნაწილები ქალმა მურაბის ქილაში შეინახა, ხოლო როცა წმინდანის კულტი აღდგა, ისინი წმინდა მაელის ეკლესიის მღვდელს ჩააბარა. ქალბატონმა რუკენმა მშვიდად გაასრულა დღენი თეისი .წმინდა ობრეროზას სამლოცველოში იგი სანთლებს ჰყიდდა და სკამებს აქირავებდა“.

ცხადია, მამა დუიარის დროს, როცა რწმენას ნიადაგი ეცლებოდა, წმინდა ობრეროზას კულტი, სამასი წლის წინ კანონიკოს პრენსეტოს კრიტიკამ და ეკლესიის ღვთისმეტყველთა დუმილმა რომ დაამხო, კვლავ აღდგა და უფრო მეტი სიმდიდრითა და ბრწყინვალებით შეიმოსა. ღვთისმეტყველნი ახლა იოტის ოდენადაც არ უარყოფდნენ ლეგენდას. ყველა ფაქტს, რომელიც აბატ სემპილისისიმუსს მოპყავდა, უცილობლად მიაჩნდათ, ამ სულიერ მამას ეყრდნობოდნენ და საჯაროდ აღიარებდნენ, ეშმაკმა, რომელმაც ბერის სახე მიიღო, წმინდანი გამოქვაბულში წაიყვანა და იქამდე ებრძოლა, სანამ წმინდანმა

გამარჯვება არ მოიპოვაო. ისინი ადგილისა და თარიღის დადგენით თავს არ იწუხებდნენ, განმარტებას არ იძლეოდნენ და არ ცდილობდნენ ეს ლეგენდა მეცნიერებასთან ისე დაეკავშირებინათ, როგორც ოდესღაც კანონიკოსმა პენსეტომ დააკავშირა. ღვთისმეტყველებს კარგად მოეხსენებოდათ, რით თავდება ასეთი საქმიანობა.

ეკლესია სანთლის ალითა და ყვავილებით ბრწყინავდა. ოპერის ტენორი წმინდა ობრეროზას ცნობილ ჰიმნს მღეროდა:

შენ, სამოთხის მშვენიერო ქალწულო,
გამობრძანდი სიბნელიდან ღამისა,
გამობრწყინდი, გადმოგვხედე მაღლიდან,
დაგვაფრქვიე სიკაშკაშე მთვარისა.

ეველინა კლარანსი დედასთან ერთად ვიკონტ კლენას წინ მუხლმოდრეკილი დიდხანს იდგა. მლოცველის პოზა ბომ „ბრძენთათვის“ ბუნებრივია და მათ სხეულს მოხდენილად აჩენს.

ღირსი მამა დუიარი კათედრაზე აბრძანდა. იგი ძლიერი ორატორი გახლდათ და იცოდა, როგორ გაეოცებინა და აეღელვებინა ხალხი. ქალები მხოლოდ იმას ჩიოდნენ, ზედმეტი სიმკაცრით ილაშქრებს მანკიერების წინააღმდეგ და ისეთ უხეშ გამოთქმებს ხმარობს, ქალები წითლდებიანო. მიუხედავად ამისა, ქალებს არანაკლებად უყვარდათ იგი.

თავის ქადაგებაში ღირსი მამა წმინდა ობრეროზას მეშვიდე ცდუნებაზე საუბრობდა. წმინდანს დრაკონი აცდუნებდა და ამ უკანასკნელმაც მიიღო გამოწვევა, თუმცა არ დაემორჩილა და ურჩხული განაიარაღა.

ორატორი ასაბუთებდა, წმინდა ობრეროზას დახმარებითა და სათნოებით შთაგონებულნი ადვილად დავამარცხებთ დრაკონებს, თავს რომ გვესხმიან და ჩანთქმას გვიპირებენო. ამ ურჩხულებს მან დაეპვების, ურწმუნოებისა და რელიგიური მოვალეობის დაუწყების დრაკონები უწოდა. შემდეგ დაასკვნა, წმინდა ობრეროზას ერთგული საზოგადოება, სოციალური აღორძინების საზოგადოება არისო, და თავისი სიტყვა მგზნებარე მოწოდებით დაასრულა: „მორწმუნეებო, თუ გსურთ ღვთის გულმოწყალების იარაღად გადაიქცეთ და წმინდა ობრე-

როზას მარჩენალნი და გამომკვებნი გახდეთ, მიაწოდეთ მას საჭირო სახსრები, რათა განვითარდეს და მხსნელი ნაყოფიც გამოიღოს".[1]

ქადაგების დასრულების შემდეგ, ღირსი მამა დუიარი საეკლესიო სალაროში შედიოდა და უსმენდა ერთგულებს, რომელთაც სურდათ წმინდა ობრეროზას საზოგადოებაზე მეტი გაეგოთ ან თავისი წვლილი შეეტანათ. ეველინა კლარანსს მამა დუიარისათვის რამდენიმე სიტყვის თქმა სურდა; ვიკონტ კლენას ასეთივე სურვილი გაუჩნდა. მაგრამ მათ წინ მრავალრიცხოვანი ბრბოს უშველებელი რიგი გაიჭიმა. ბედნიერი შემთხვევის წყალობით ვიკონტი კლენა და ეველინა კლარანსი გვერდიგვერდზე, იქნებ ცოტა ერთმანეთთან ჩახუტებულნიც აღმოჩნდნენ. ეველინამ იცნო ეს ნატიფი ახალგაზრდა კაცი, რომელიც თითქმის ისევე იყო ცნობილი სპორტულ წრეებში, როგორც მამამისი. კლენამაც შეამჩნია ქალი და რადგან იგი მომხიბლელი ეჩვენა, თავი დაუკრა, მოიბოდიშა და თვალთმაქცურად განაცხადა, უკვე გიცნობთ, მაგრამ არ მახსოვს, სად გაგიცანითო. ორმა ქალბატონმა მისი თვალთმაქცობა გაიზიარა.

შემდეგ კვირას ვიკონტი გამოცხადდა ქალბატონ კლარანსთან, რომელიც, ცოტა არ იყოს, მაჭანკლად მიაჩნდა, მაგრამ ამის გამო სულაც არ იწუნებდა. და როცა კვლავ იხილა ეველინა, დარწმუნდა, არ შევმცდარვარო, ქალი ნამდვილად ლამაზიაო.

ვიკონტ კლენას ევროპაში საუკეთესო ავტომობილი ჰყავდა. სამი თვის განმავლობაში, ყოველ ცისმარე დღეს იგი ბორცვებზე, მინდვრებზე, ტყეებსა და მდელოებზე ასეირნებდა დედა-შვილს. მათთან ერთად თვალწარმტაცი ადგილები და ციხესიმაგრეები მოინახულა. ვიკონტი ეველინას ყველაფერზე ესაუბრებოდა, რაზეც კი საუბარი შეიძლება და მისთვის თავის მოწონებას ცდილობდა. ქალს არ დაუმალავს, მიყვარხარ, მარად მეყვარები და სხვას არავის შევიყვარებო. კაცის გვერდით ეველინა მუდამ აღელვებული და სერიოზული იჯდა,

---

[1] იხ. J. Ernest — Charles, fe Censiur, მაისი — აგვისტო 1907 წ. გვ. 562 II რიგი. (ავტ. შენ.)

მაგრამ საბედისწერო სიყვარულის თავდავიწყება, როგორც კი საჭირო გახდებოდა, მაშინვე იცვლებოდა დაუმარცხებელი თავდაცვითი უბიწოებით, რომელიც საფრთხეს გრძნობს. სამი თვის განმავლობაში მათ მრავალჯერ აისეირნეს და ჩამოისეირნეს, ხანგრძლივი დრო გაატარეს ერთად და მრავალრიცხოვან ავარიებშიც მოჰყვნენ. კაცმა ქალი თავისი მანქანის საჭესავით შეისწავლა, სხვაგვარად კი ვერაფერი მოუხერხა. ვიკონტი სიურპრიზებსა და თაგვადასავლებს იგონებდა, შუაგულ ტყეში ან ღამის კაფესთან მოულოდნელად ჩერდებოდა, მაგრამ საქმე წინ არ წავიდა. კაცი თავის თავს უმტკიცებდა, ეს სისულელეაო, მაგრამ განრისხებული კვლავ ეპატიჟებოდა ქალს მანქანაში, სიმწრისაგან საათში 120 კილომეტრი სიჩქარით მიქროდა და მზად იყო ეველინა თხრილში გადაეჩეხა ან ხეს შეხეთქებოდა და მასთან ერთად დამტვრეულიყო.

ერთ დღეს ვიკონტი მივიდა, რათა ქალი სასეირნოდ წაეყვანა და იგი უფრო მომხიბვლელი და მაცდუნებელი ეჩვენა. კაცი ისე დაესხა თავს ქალს, როგორც ქარიშხალი ესხმის ლერწამს ტბის პირას. ეველინა მომხიბვლელი სისუსტით იხრებოდა და ამ გრიგალისებური სუნთქვით გატეხილი ოცჯერ მაინც კინაღამ წაიქცა და მოწყდა. მიუხედავად ამისა, მკვირცხლი და მოქნილი ქალი ოცჯერვე გასწორდა და ამდენი თავდასხმის შემდეგ, ისე გამოიყურებოდა, თითქმის მის მომხიბლავ ღეროს მხოლოდ მსუბუქმა სუნთქვამ გადაუარა. საბეზე ეველინას ისეთი ღიმილი დასთამაშებდა, თითქოს ესაა გულადი კაცის ხელს დაემორჩილებაო. მაშინ დაბნეული, გახელებული, თითქმის შეშლილი აგრესორი, იმის შიშით, ქალი არ შემომაკვდესო, გაიქცა, კარი შეეშალა და შევარდა საძინებელ ოთახში, სადაც ქალბატონი კლარანსი სარკიანი კარადის წინ ქუდს იხურავდა; ვიკონტმა ხელი სტაცა მას, საწოლზე წამოაქცია და ისე უცებ დაეუფლა, ქალი ვერც კი მიხვდა, რა დაემართა.

იმავე დღეს, ეველინამ გაიკითხა და გაიგო, რომ ვიკონტ კლენას ვალების გარდა არაფერი ებადა, ბებერი როსკიპის ხარჯზე ცხოვრობდა და ავტომობილების ფაბრიკანტის ახალ მარკებს ნერგავდა. ისინი ერთმანეთს ურთიერთშეთანხმების ნიადაგზე დაშორდნენ. ამის შემდეგ, ეველინა უკმაყოფილო სახით დედამისის სტუმრებს კვლავ ჩაის უსხამდა.

თავი III

იპოლიტ სერესი

ქალბატონი კლარანსის სალონში კვლავ სიყვარულზე ბაასობდნენ და არაჩვეულებრივ ამბებს ჰყვებოდნენ.

— სიყვარული მსხვერპლს მოითხოვს, — ამოიოხრა ქალბატონმა კრემერმა.

— გეთანხმებით, — ცოცხლად შეეპასუხა ბატონი ბუტურლე.

მაგრამ პროფესორმა ჰადოკმა თავისი აუტანელი კაჟნიერება კვლავ გამოამჟღავნა.

— ჩემი აზრით, — თქვა მან. — პინგვინი ქალები ძალიან გაამაყდნენ მას შემდეგ, რაც წმინდა მაელის ოპერაციამ მათ ცოცხალი არსების შობის უნარი მიანიჭა. საამაყო კი აქ არაფერია. ამ მდგომარეობას ძროხები და ღორებიც იცნობენ; ის ფორთოხლისა და ლიმონის ხეებისთვისაც კი ნაცნობია, ამ მცენარეთა მარცვლები ხომ გარეგანაყოფში მწიფდება.

— პინგვინელ ქალთა ქედმაღლობას დიდი ხნის ისტორია არა აქვს, — შეეპასუხა ბატონი ბუტურლე. — იგი მაშინ იშვა, როცა წმინდა მოციქულმა ქალებს სამოსი უბოძა. შემდეგ ეს ქედმაღლობა გულში დიდხანს იყო ჩამარხული და მხოლოდ ფუფუნებასა და მორთულობასთან ერთად გაჩენილა, ისიც საზოგადოების მცირე ნაწილში. მხოლოდ ორი ლიეთი გასცდით ალკას, მკის დროს სოფლად მიდით და ნახავთ, არიან თუ არა ქალები ამაყნი და ქედმაღალნი.

იმ დღეს, სალონს იპოლიტ სერესი წარუდგინეს. იგი ალკას დეპუტატი და პალატის ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა წევრი იყო. მასზე ამბობდნენ, მიკიტნის შვილიაო, მაგრამ თავად ადვოკატი გახლდათ და კარგი საუბარი იცოდა; სერესი ჩასკვნილი და ტანმაღალი იყო, ამასთანავე წარმოსადეგი იერი და მოხერხებული კაცის სახელი ჰქონდა.

— ბატონო სერეს, — უთხრა მას დიპახალისმა, — პალატაში თქვენ ალკას უმშვენიერესი ოლქის წარმომადგენელი ხართ.

— რომელიც უფრო და უფრო ლამაზდება, ქალბატონო.

— საბრუნაროდ, იქ გავლა შეუძლებელი გახდა, — წამოიძახა ბატონმა ბუტურლემ.

— რატომ? — იკითხა ბატონმა სერესმა.

— ავტომანქანების გამო!

— მანქანებზე ცუდს ნურას იტყვით, — შეეპასუხა დეპუტატი. — ეს ჩვენი დიდი ეროვნული ინდუსტრია გახლავთ.

— ვიცი, ბატონო. დღევანდელი პინგვინები ძველ ეგვიპტელებს მაგონებენ. ტენი ეყრდნობოდა კლიმენტ ალექსანდრიელის სიტყვებს, რომლებიც სხვათა შორის, დაამახინჯა და აცხადებდა, ეგვიპტელები ნიანგებს ეთაყვანებოდნენ, ნიანგები კი მათ ჭამდნენო. პინგვინებიც ასევე ეთაყვანებიან ავტომანქანებს, ავტომანქანები კი მათ ჰყლეტენ. ცხადია, მომავალი ამ რკინის მხეცებს ეკუთვნის. ეტლებს, ისევე როგორც დილიჟანსებს, აღარავინ მიუბრუნდება. ცხენების ხანგრძლივი წამება დასრულდა. ნაწარმის ფანატიკურმა სიხარბემ ავტომობილი, თავგზააბნეული ხალხის თავზე ჯაგერნაუტის მჭროლავი ეტლივით ისროლა. უქნარებისა და სნობებისათვის იგი სულელურ და დამღუპველ ფუფუნებად იქცა; მალე ალბათ, ავტომობილი აუცილებელ ფუნქციას შეასრულებს, თავის ძალებს ხალხის სამსახურში ჩააყენებს და მორჩილ და მშრომელ ურჩხულად გადაიქცევა. მაგრამ იმისთვის, რომ მან მავნებლობას თავი დაანებოს და ქველმოქმედად გადაიქცეს, თავისი სისწრაფის შესაფერისი გზები სჭირდება. უნდა დაიგოს ქვაფენილები, რომლის დამტვრევასაც მისი ულმობელი ბორბლები ვერ შეძლებენ, მაშინ არც შხამიანი მტვერით გაავსებენ ადამიანის ფილტვებს. ამ ახალ გზებზე უფრო ნაკლები სიჩქარის მქონე სხვა საშუალებებისა და ჩვეულებრივი ცხოველების მოძრაობა უნდა აიკრძალოს და სათადარიგო გზები და საცალფეხო ხიდები უნდა გაიშიმოს. ერთი სიტყვით, მომავლის საგზაო საქმე წესრიგსა და ჰარმონიას საჭიროებს. კარგი მოქალაქის სურვილები ასეთი გახლავთ.

ქალბატონი კლარანსი ბატონი სერესის ოლქის გალამაზების თემას მიუბრუნდა და სერესიც ძველი შენობების ნგრევით, გზების შენებით, კონსტრუქციით, რეკონსტრუქციითა და სხვა სასარგებლო ოპერაციებით აღფრთოვანდა.

— ახლა არაჩვეულებრივად აშენებენ, — თქვა მან. —

ყველგან დიდებული გამზირები იჭრება. განა ოდესმე თვალს უხილავს რაიმე უფრო მშვენიერი, ვიდრე ჩვენი პილონებიანი ხიდები ან გუმბათიანი სახლები გახლავთ?

— შუშის ხუფით გადახურული უშველებელი სასახლე გავიწყდებათ, — შეკავებული ბოღმით ჩაიბუტბუტა ხელოვნების ძველმა მოტრფიალემ, ბატონმა დანიზემ. — თანამედროვე ქალაქის სიმახინჯის დონით განცვიფრებული ვარ. ალკა ამერიკას ემსგავსება. ყოველივეს არბევენ, რაც კი თავისუფალის, მოულოდნელის, ჰარმონიულის, ზომიერის, ადამიანურისა და ტრადიციულისაგან შემორჩა; არბევენ ისეთ სიმშვენიერეს, როგორიც ძველი კედლებია, ხის ტოტები რომ ეალერსება. სპობენ ჰაერს, დღის სინათლესა და ბუნებას. სპობენ მოგონებებს, რომლებიც ჯერ კიდევ შემოგვრჩა; მოგონებებს ჩვენს მამებზე, ალბათ ცოტა ჩვენზეც და ამის ნაცვლად შემზარავ, უშველებელ, უგვან, ვენური სტილით გადახურულ სახლებს აშენებენ. ამ ახალი ხელოვნების შესაბამის გუმბათებს არც ჩუქურთმები აქვთ და არც ხიდი, სამაგიეროდ პირქუში შეერილებით და სასაცილო თავბანდებით გახლავთ შემკული. ეს მრავალფეროვანი ურჩხულები მეზობელ სახლებს ურცხვად დაჰყურებენ თავზე. მათ ფასადებზე უგვანი, უფორმო გირჩები უწესრიგოდ გახლავთ მიმოფანტული და ამას ახალი ხელოვნების ნიმუშს ეძახიან. ასეთი ხელოვნება სხვა ქვეყნებში მინახავს. იქ ასე უგვანად არ გამოიყურებოდა, გულწრფელობა და ფანტაზია ჩანდა. ჩვენ კი, სამწუხაროდ უპირატესობის გამო, ამ უმახინჯეს, ახლებურად მახინჯ არქიტექტურას უნდა ვუყუროთ. რა შესაშური უპირატესობაა!

— ნუთუ არ გეშინიათ, — მკაცრად იკითხა ბატონმა სერესმა. — ნუთუ არ გეშინიათ, რომ ასეთი მძაფრი კრიტიკა ჩვენს დედაქალაქზე გულს ააყრევინებს უცხოელებს, რომლებიც აქ მსოფლიოს ყველა კუთხიდან იყრიან თავს და მილიონებსაც ტოვებენ?

— დამშვიდებული ბრძანდებოდეთ, — უპასუხა ბატონმა დანიზემ. — უცხოელები ჩვენი შენობების სანახავად არ მოდიან. მათ მხოლოდ ჩვენი ლამაზმანები, მკერავები და სამიკიტნოები აინტერესებთ.

— რა ცუდი ჩვევა გვაქვს, — ამოიოხრა ბატონმა სერესმა. — ჩვენს თავს ცილს ჩვენვე ვწამებთ.

ქალბატონმა კლარანსმა, როგორც კარგ დიასახლისს შეეფერება, გადაწყვიტა, დროა, სიყვარულზე საუბარს მივუბრუნდეთო, და ბატონ ჟუმელს შეეკითხა, რა აზრის ბრძანდებით ახლახან გამოსულ წიგნზე, სადაც ბატონ ლეონ ბლუმი ჩიეის...

— ...რომ ყოველად უაზრო ზნე-ჩვეულებები, — დაასრულა პროფესორმა ჰადოკმა, — არისტოკრატ ქალწულებს, რა მონდომებულნიც უნდა იყვნენ, სიყვარულს უკრძალავს, მაშინ როცა გაყიდული ქალები ამით ზედმეტად არიან დაკავებული და არც სიამოვნებას იღებენ. ეს ნამდვილად სამწუხარო ამბავია. მაგრამ ბატონი ლეონ ბლუმი ასე ტყუილად წუხს. თუ ეს უბედურება, მისი თქმით, ჩვენს პატარა, ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ნამდვილად არსებობს, შემიძლია დაგარწმუნო, რომ სხვაგან სანუგეშო სურათს იხილავს. ქალაქისა და სოფლის ფართო მოსახლეობის მდაბიო ქალიშვილები სიამოვნებას არ იკლებენ.

— ეს ხომ უზნეობაა, ბატონო, — თქვა ქალბატონმა კრემერმა და ახალგაზრდა ქალწულთა უმანკოებას მოკრძალებული და ნატიფი გამოთქმებით შეასხა ხოტბა. ეს მშვენიერი იყო.

პროფესორი ჰადოკის სიტყვები კი, პირიქით, მძიმე მოსასმენი გახლდათ:

— მაღალი წრის ქალწულებს, — თქვა მან. — უფრთხილდებიან და იცავენ; ამას გარდა, პატიოსნების გრძნობის ან საშინელი პასუხისმგებლობის შიშის გამო, ისინი არც მამაკაცებს სურთ. ახალგაზრდა ქალწულის ცდუნება ხომ არავის სახელს არ დებს პატივს. ნურც იმას დაივიწყებთ, რომ რა ხდება, არავინ იცის, რადგან დაფარული არ ჩანს. საიდუმლო ყოველგვარი საზოგადოების არსებობის აუცილებელი პირობა გახლავთ. მაღალი წრის ქალწულები უფრო ადვილი დასამორჩილებელი იქნებოდნენ, ვიდრე ქალები, მამაკაცები მათთან სიახლოვეს უფრო მეტად რომ ეძიებდნენ. ამას ორი მიზეზი აქვს: ქალწულებს მეტი ილუზიები აწუხებთ, მათი ცნობისმოყვარეობა კი დაკმაყოფილებული არ გახლავთ, ხოლო ქალთა უმე-

ტესობა ისე ცუდად შეეწყო საკუთარ ქმარს, რომ სიმამაცე არ ჰყოფნის, არშიყობა მაშინვე სხვასთან წამოწყოს. ამ წინააღმდეგობას თავადაც მრავალგზის შეკავებივარ, როცა ქალთა ცდუნებას ვცდილობდი.

იმ დროს, როცა პროფესორმა ჰადოკმა თავისი უსიამოვნო სიტყვა დაასრულა, ეველინა კლარანსი ოთახში შემოვიდა და ჩაი გულგრილად დაასხა. მოწყენილი გამომეტყველება მის სილამაზეს აღმოსავლურ ეშხს მატებდა.

— პირადად მე, — განაცხადა სერესმა ეველინას დანახვისას, — ჩემს თავს ქალწულთა რაინდად ვაცხადებ.

„სულელია," — გაიფიქრა ახალგაზრდა ქალმა.

იპოლიტ სერესს თავისი პოლიტიკური წრის მიღმა ფეხი არსად გაუდგამს და ამომრჩეველებისა და არჩეულების გარდა არავის იცნობდა. ქალბატონი კლარანსის სალონი მან ნატიფად, დიასახლისი მომხიბვლელად, ქალიშვილი კი რაღაც უცხო სილამაზის მფლობელად მიიჩნია. კაცი მათთან ხშირად მიდიოდა ხან ერთს ეარშიყებოდა, ხან მეორეს. ქალბატონი კლარანსი, რომელსაც მზრუნველობა ახლა უკვე აღელვებდა, ამას მომხიბვლელ კაცად თვლიდა. ეველინა არავითარ კეთილგანწყობას არ ამჟღავნებდა და ამპარტავნულად და აგდებით ექცეოდა; სერესი ამას არისტოკრატულ და ნატიფ ქცევად თვლიდა და უფრო მეტად იხიბლებოდა.

ეს საყოველთაოდ ცნობილი კაცი ცდილობდა ქალები გაერთო და ამას ხანდახან ახერხებდა კიდეც. მათთვის პალატის განსაკუთრებით საინტერესო სხდომების და ოპერის ლოჟების ბილეთებს შოულობდა. ეველინა კლარამსს საშუალება მიეცა საზოგადოებაში გამოსულიყო. ქალი განსაკუთრებით გამოჩნდა სოფლის ერთ დღესასწაულზე, რომელიც მინისტრმა მოაწყო, მაგრამ ნამდვილ არისტოკრატულ ზეიმად ჩაითვალა და რესპუბლიკის მაღალი წრის პირველი დადებითი შეფასება მოიპოვა

ამ დღესასწაულზე ეველინა ყველამ შენიშნა და მან ახალგაზრდა დიპლომატის როჟე ლამბილის ყურადღება მიიქცია. კაცმა იგი მსუბუქი საზოგადოების წარმომადგენლად მიიჩნია და პაემანი სააშიკო ბინაში დაუნიშნა. ქალმა გადაწყვიტა, ლამბილი ლამაზი და მდიდარიაო, და მასთან წავიდა, ცოტა აღელ-

ვებული და თითქმის შეცბუნებული ეველინა კინაღამ თავისივე სიმამაცის მსხვერპლი გახდა, მაგრამ მოხერხებულად და გაბედულად დაიცვა თავი და აშკარა დაღუპვას გადაურჩა. მისი ქალწულობის ხანაში ეს ყველაზე უფრო შლეგური საქციელი იყო.

როცა მინისტრებსა და პრეზიდენტს დაუახლოვდა, ეველინამ თავის არისტოკრატიზმსა და ღვთისმოსაობას გაუსვა ხაზი. ამით კი ანტიკლერიკალური და დემოკრატიული რესპუბლიკის ზემდგომი პირების სიმპათია მოიპოვა. ბატონმა იპოლიტ სერესმა შეამჩნია, რომ ქალმა წარმატებას მიაღწია, მას კი პატივისცემა შესძინა, იგი უფრო მეტად შეიყვარა და ბოლოს შლეგ შეყვარებულს დაემსგავსა.

ამის შემდეგ ქალი მამაკაცს ინტერესით უჭვრეტდა; სურდა ეხილა, იზრდებოდა თუ არა მისი გრძნობა. ეველინას აზრით მას სინატიფე და ზრდილობა აკლდა და ცუდად იყო აღზრდილი; მიუხედავად ამისა, კაცი მიაჩნდა საქმიან, მოხერხებულ და და დიდი შესაძლებლობების მქონე პიროვნებად, რომელიც არცთუ ისე მომაბეზრებელი გახლდათ. ქალი კვლავ დასცინოდა, მაგრამ აინტერესებდა კაცი. ერთ დღეს მისი გრძნობების გამოცდა გადაწყვიტა.

ეს ამბავი მოხდა იმ საარჩევნო პერიოდში, როცა სერესი, როგორც ამბობენ, მანდატის განახლებას ცდილობდა. მას ჰყავდა თავდაპირველად ნაკლებ საშიში, ცუდი ორატორი, მაგრამ მდიდარი კონკურენტი, რომელიც ყოველდღე უფრო და უფრო მეტად ხმებს იძენდა. იპოლიტ სერესმა გონებიდან გააძევა მოუქნელი სულიერი სიმშვიდე; თუმცა არც ცრუ განგაშს აპყოლია და თავისი სიფხიზლე გაორმაგა. მისი მთავარი ასპარეზი იყო სახალხო კრებები, სადაც მთელი თავისი ძალით მოწინააღმდეგეს თავს ესხმოდა. სერესის კომიტეტი შაბათ საღამოს და კვირას, ზუსტად სამ საათზე დიდ კრებებს მართავდა. ერთ კვირა დღეს კლარანსებთან მისულ კაცს, ეველინა სალონში მარტო დაჰხვდა. იგი ქალს ოცი თუ ოცდახუთი წუთი ელაპარაკა, შემდეგ საათი ამოიღო და შეამჩნია, რომ სამს თხუთმეტი წუთი აკლდა. ახალგაზრდა ქალიშვილი თავაზიანი, გამომწვევი, ნატიფი, ამაღელვებელი და მრავლისაღმთქმელი გახლდათ. აღელვებული სერესი წამოდგა.

— ერთი წუთით! — დაჟინებული და ნაზი ხმით წარმოთქვა ქალმა; კაცი კვლავ სკამზე დაეშვა.

ეველინამ ინტერესი, სითამამე, ცნობისმოყვარეობა და სისუსტე გამოამჟღავნა. კაცი გაწითლდა, გაფითრდა და კვლავ წამოდგა.

მაშინ ეველინამ მას ამღვრეული და დაბინდული ნაცრისფერი თვალები მიაპყრო, სუნთქვა გაიხშირა, დადუმდა და კაცის შეჩერება ახლა ამითი სცადა. დამარცხებული, დაბნეული, განადგურებული სერესი მის ფეხებთან განერთხა, შემდეგ ერთხელ კიდევ ამოიღო საათი, წამოხტა და უშვერად შეიგინა:

— ო!.. ოთხს ხუთი წუთი აკლია. ის დროა, გავვარდე!

და მაშინვე კიბეზე დაეშვა.

ამის შემდეგ, ეველინამ კაცის მიმართ გარკვეული პატივისცემა იგრძნო.

თავი IV

პოლიტიკური მოლვაწის ქორწინება

ქალს არ უყვარდა იგი, მაგრამ სურდა კაცს ყვარებოდა; კვლავ თავშეკავებული გახლდათ, და არა მხოლოდ იმიტომ, რომ შეყვარებული არ იყო. სიყვარულში ქალი ხშირად გულგრილი და დაბნეული ხდება, ქალურ ინსტინქტებს, ჩვევებს ან ტრადიციებს ემორჩილება და ძალაუფლების გამოცდა და შედეგით დაკმაყოფილება სურს. ეველინას სიფრთხილეს სხვა მიზეზი ჰქონდა. ქალი სერესს გაუთლელ კაცად თვლიდა და შიშობდა, ჩემი დათმობით ისარგებლებს და შემდეგ, თუკი ღარ დავემორჩილე უხეშად გამლანძღავსო.

კაცი პროფესიით ანტიკლერიკალი და თავისუფლად მოაზროვნე გახლდათ, ამიტომ ქალმა ღვთისმოსაური ჩვევების წარმოჩენა გადაწყვიტა და როცა ოთახში შემოდიოდა, ხელში მუდამ ეპირა დიდი, ტარსიკონის ყდაში ჩასმული ლოცვანი, რომელიც დედოფალ მარია ლეშჩინსკაიას და პრინცესა მარი-ჟოზეფის „სააღდგომო ორკვირეულს“ მოგაგონებდა. ეველინა კაცს მუდამ აჩვენებდა შეწირულების სიას, რომელიც მან

წმინდა ობრეროზას ეროვნული კულტის განსამტკიცებლად შეაგროვა. ქალი ამას კაცის გასაღიზიანებლად როდი აკეთებდა, არც სიანცე, წინაალმდეგობის სული ან სნობიზმი თრგუნავდა, თუმცა ეს უკანასკნელი გრძნობა მისთვის უცხო არ იყო. ამ გზით იგი თავის პიროვნებას ამკვიდრებდა, ხასიათს ამტკიცებდა, მაღლდებოდა და დეპუტატის სიმამაცის წასაქეზებლად რელიგიაში ისე გადაეშვა, ვით ბრუნჰილდა, სიგურდის მისაზიდად ირგვლივ ცეცხლის ალი რომ შემოივლო. ეველინას თავხედობა წარმატებით დაგვირგვინდა. კაცს იგი უფრო მშვენიერი ეჩვენა. კლერიკალიზმი მის თვალში სინატიფეს ნიშნავდა.

დიდი უმრავლესობით ხელახლა არჩეული სერესი პალატის წევრი გახდა. ახლა იგი უფრო უკიდურესი მემარცხენე იყო და რეფორმების მომხრეს ჰგავდა. სერესმა მაშინვე შენიშნა, რომ პალატის დიდი გულმოდგინების უკან ცელილებათა შიში და უმოქმედობის გულწრფელი სურვილი იმალებოდა და გადაწყვიტა, მიჰყოლოდა პოლიტიკას, რომელიც ამ სულისკვეთებას პასუხობდა. სესიის დასაწყისში მან დიდი, მარჯვე სიტყვა წარმოთქვა და დაამტკიცა. რომ ყოველგვარ რეფორმას დიდი ვადა სჭირდება. იგი ფრიად აღგზნებული და გაწიწმატებული ლაპარაკობდა, რადგან ფიქრობდა, ორატორმა ზომიერებისაკენ უკიდურესი აღგზნებით უნდა მოუწოდოსო. ასამბლეა მას ტაშით შეეგება. პრეზიდენტის ტრიბუნაზე ეველინა და დედამისი ისხდნენ. ამ მჭუხარე ტაშმა ეველინა მოულოდნელად შეაკრთო. მის გვერდით მშვენიერი ქალბატონი პასნე იჯდა და ამ ვაჟკაცური ხმის ვიბრაციისაგან ცახცახებდა.

სერესი ტრიბუნიდან ჩამოვიდა, პერანგის გამოცელაზე დრო არ დაკარგა და მაშინ, როცა დეპუტატები მჭუხარე ტაშით მისი სიტყვის გამოქვეყნებას მოითხოვდნენ, იგი ეველინასა და დედამისს მიესალმა. ეველინამ გადაწყვიტა, კაცი წარმატებამ გაალამაზაო. ქალებისაკენ დახრილი სერესი ქათინაურებს მოკრძალებისა და ამპარტავნობის ნაზავით ისმენდა და კისერს ცხვირსახოცით იწმენდდა. ამ დროს ახალგაზრდა ქალწულმა ქალბატონ პასნეს გადახედა და დაინახა, რომ იგი გმირის ოფლს აღფრთოვანებით ისუნთქავდა და სულშეგუბებულს, თვალმილულულსა და თავგადავარდნილ ქალს გულის-

წასვლას აღარაფერი უკლდა. ეველინამ სერესს მაშინვე ნაზად გაულიმა.

ალკას დეპუტატის სიტყვას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. პოლიტიკურ წრეებში სერესს მოხერხებული პიროვნების სახელი ჰქონდა. „როგორც იქნა მოვისმინეთ წესიერი სიტყვა! — წერდა ერთი დიდი, ზომიერი გაზეთი. „ეს მთელი პროგრამაა!“ — ამბობდნენ პალატაში. ყველამ ერთხმად იგი ნიჭიერ კაცად აღიარა.

იპოლიტ სერესი ახლა რადიკალების, სოციალისტებისა და ანტიკლერიკალების ლიდერი გახდა. იგი პალატის ყველაზე გავლენიანი ჯგუფის თავმჯდომარედ დაასახელეს. განახლებულ სამინისტროში მინისტრის პორტფელი განაღდებული ჰქონდა.

დიდი ყოყმანის შემდეგ ეველინა კლარანსი ბატონ იპოლიტ სერესზე გათხოვების აზრს შეურიგდა. მისი შეხედულებით ეს დიდი ადამიანი ცოტა გაუთლელი იყო; ამასთანავე არაფერი ამტკიცებდა, რომ ოდესმე მიაღწევდა იმ მდგომარეობას, სადაც პოლიტიკას დიდი თანხები შემოაქვს. მაგრამ ქალს ოცდაშვიდი წელი შეუსრულდა, საკმაოდ კარგად იცნობდა ცხოვრებას და იცოდა, რომ არც ძალიან წუნია უნდა იყო და არც ძალიან მომთხოვნი.

იპოლიტ სერესი ცნობილი კაცი გახლდათ. იპოლიტ სერესი ბედნიერი იყო. იპოლიტ სერესს ვეღარ ცნობდნენ. მისი სამოსისა და ქცევის სინატიფე თვალსა და ხელს შუა იზრდებოდა, თეთრ ხელთათმანებს ხაზგასმულად ატარებდა. ახლა მისი ზედმეტი არისტოკრატულობა ეველინას აფორიაქებდა. ქალს ეშინოდა, ეს ზედმეტი სიხატიფე გაუთლელობაზე უარესი არ აღმოჩნდეს. ქალბატონმა კლარანსმა ეს ნიშნობა მოწონებით მიიღო. მის ქალიშვილს მომავალი განაღდებული ჰქონდა, ყოველ ხუთშაბათს თავისი სალონისათვის ყვავილების მიღება კი ძალიან მოსწონდა.

საქორწინო ზეიმის საკითხში მაინც გართულებამ იჩინა თავი. ეველინა ღვთისმოსრწმუნე გახლდათ და ეკლესიის კურთხევის მიღება სურდა; იპოლიტ სერესი შემწყნარებელი, მაგრამ თავისუფლად მოაზროვნე კაცი იყო და მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებას აღიარებდა. ამ საკითხმა ბევრი კამათი და გულისგამხეთქი სცენები გამოიწვია. უკანასკნელი სცენა გათამაშდა

ახალგაზრდა ქალწულის ოთახში, იმ დროს, როცა მოსაწვეე ბარათებს აგზავნიდნენ. ეველინამ განაცხადა, ეკლესიის გარეშე თავს გათხოვილად არ ჩავთვლიო. იგი ურთიერთობის გაწყვეტაზე, დედასთან ერთად უცხოეთში წასვლაზე და მონაზვნად აღკვეცაზე ლაპარაკობდა; შემდეგ ნაზი, სუსტი, მომუდარე ქალი ატირდა. ამ ქალწულებრივ ოთახში მასთან ერთად ტიროდა ყოველივე: სასხურებელი და თეთრი საწოლის თავზე დაკიდებული ბზის ტოტი, პატარა თაროებზე შემოწყობილი წმინდა წიგნები და მარმარილოს ბუხრის თავზე დადგმული წმინდა ობრეროზას თეთრ-ცისფერი ქანდაკება, რომელიც კაპადოკიის დრაკონს ებრძოდა. იპოლიტ სერესს გული აუჩუყდა, მოლბა და დამორჩილდა.

ტკივილით გასხივოსნებული, ცრემლით თვალგაბრწყინებული, თავისი რწმენით თითქოს შებოჭილი ქალი იპოლიტის წინ მოულოდნელად მუხლებზე დაეცა და ძალაგამოცლილი და თმაგაშლილი მას ფეხებზე მოეხვია.

კაცმა თითქმის დაუთმო და წაილუღლუღა:

— საეკლესიო ქორწინება, ეკლესიაში ქორწინება... ჩემმა ამომრჩევლებმა კიდევ შეიძლება მოინელონ, მაგრამ კომიტეტი ასე ადვილად არ შეეგუება... ცხადია, ავუხსნი... რწმენის შემწყნარებლობა, საზოგადოებრივი მოვალეობა. ისინი თავის ქალიშვილებს საღეთო რჯულს ასწავლიან.. ჩემს პორტფელს კი, ძვირფასო, მე მგონი, წმინდა წყალში ჩავახრჩობთ.

ამ სიტყვებმა ქალი დაამარცხა. იგი სერიოზული სახით წამოდგა.

— ჩემო მეგობარო, ძალას არ დაგატანთ!

— ესე იგი, ეკლესიაში არ ვიქორწინებთ! ასე ნამდვილად უკეთესი იქნება!

— ნება მიბოძე, მე მოვაგვარო ეს საქმე. შევეცდები ისე მოვაწყო, რომ ორივე კმაყოფილი დავრჩეთ.

ქალი ღირსი მამა დუიარისკენ გაეშურა და მდგომარეობა გააცნო. წმინდა მამა გაცილებით უფრო დამყოლი აღმოჩნდა, ვიდრე ქალი ელოდა.

— თქვენი მეუღლე ჰკვიანი, გონიერი და წესიერი კაცია. იგი თავად მოვა ჩვენთან. თქვენ გაანათლებთ მას. ამაოდ ხომ არ უბოძა უფალმა ქრისტიანი მეუღლე. ეკლესია ყოველთვის

როდი მოითხოვს საქორწინო კურთხევას საზეიმო ცერემონიალი და ფუფუნება ახლდეს. ახლა, როცა ეკლესიას ასე დევნიან, მის იდუმალ დღესასწაულებს მიწისქვეშეთისა და კატაკომბების ბინდი უფრო შეეფერება. როცა სამოქალაქო ფორმალობას შეასრულებთ, ჩვეულებრივ ტანსაცმელში გამოეწყვეთ და ბატონ სერესთან ერთად, აქ, ჩემს სამლოცველოში მოდით. მე ჯვარს დაგწერთ და ამას საიდუმლოდ შევინახავ. არქიეპისკოპოსისაგან აუცილებელ უფლებას თავად ავიღებ; გამოცხადებისა და აღსარების მოწმობის საქმესაც მოვაწესრიგებ.

იპოლიტს ეს კომბინაცია ცოტა სახიფათოდ ეჩვენა, მაგრამ მაინც დათანხმდა, რადგან სულის სიღრმეში ნაძები დარჩა.

— პიჯაკით წამოვალ, — თქვა მან.

მიუხედავად ამისა, რედინგოტში, თეთრ ხელთათმანებსა და ლაქის ფეხსაცმელებში გამოწყობილი წაბრძანდა და დაიჩოქა კ~დეც.

რას იზამ, თავაზიანი ხომ უნდა იყო!

თავი V

ვიზირის სამინისტრო

სერესების ოჯახი ახალი სახლის ერთ საკმარდ ლამაზ ბინაში მომხიბვლელი უბრალოებით დასახლდა. სერესი თავის ცოლს გულწრფელად და მშვიდად აღმერთებდა. მას ხშირად უწევდა საბიუჯეტო კომისიაში დარჩენა და კვირაში სამ ღამეზე მეტს მუშაობდა საფოსტო ბიუჯეტის მოხსენებაზე, რასაც მისთვის ძეგლი უნდა დაედგა. ეველინას კაცი გაუთლელად მიაჩნდა და მაინც მოსწონდა. მათი მდგომარეობის ერთი ცუდი მხარე ის იყო, რომ ფული ცოტა ჰქონდათ. რესპუბლიკის მსახურნი არც ისე მდიდრდებიან სახელმწიფო სამსახურში, როგორც ხალხს ჰგონია. როგორც კი გაქრება სუვერენი, რომელიც წყალობას ანაწილებს, ყველა იმდენს იღებს, რამდენიც შეეძლია და ერთის ქურდობას მეორეს ძარცვა-გლეჯა უშლის ხელს. სწორედ ეს იწვევს იმ ზნეობრივ სიმკაცრეს, დემოკრატიის მამამთავრებში რომ შეიმჩნევა. მათ გამდიდრება მხო-

ლოდ დიდი საქმეების პერიოდში შეუძლიათ და მაშინაც თავიანთი ხაკლებად ქუდბედიანი კოლეგებს გულში შურს აღძრავენ ხოლმე. იპოლიტ სერესმა განსვრიტა, რომ მალე დიდი საქმეების პერიოდი დადგებოდა. ეს სწორედ მათ რიგებში იდგა, ვინც ამ საქმეს ამზადებდა და მოლოდინით გულმოცემული ღირსეულად იტანდა სიღარიბეს. ეველინა, ასევე იზიარებდა ამ სიდუხჭირეს და ნაკლებ იტანჯებოდა, ვიდრე მოსალოდნელი იყო. მას მუდმივი ერთიერთობა ჰქონდა ღირს მამა დუიართან და დადიოდა წმინდა ობპროზის სამლოცველოში, სადაც სერიოზულ და საჭირო ხალხს ხვდებოდა. ქალმა იცოდა ხალხის შერჩევა და ენდობოდა მხოლოდ იმათ, ვინც ნდობას იმსახურებდა. ვიკონტ კლენანთან ერთად ავტომობილით სეირნობის დროს ეველინამ დიდი გამოცდილება შეიძინა და ახლა გათხოვილი ქალის უპირატესობით სარგებლობდა.

დეპუტატს თავდაპირველად აწუხებდა მისი ღვთისმოსაობა, პატარა დემაგოგიური გახეთები მასხრად რომ იგდებდნენ; მაგრამ რა შენიშნა, დემოკრატიის მამამთავრები სიხარულით უახლოვდებიან არისტოკრატიასა და ეკლესიასო, მაშინვე დაწუნარდა.

დადგა დრო, როცა მთავრობამ შეამჩნია, ძალიან ღრმად შევტოპეთო. იპოლიტ სერესი ამას თავშეკავებულად დაეთანხმა. მისი პოლიტიკა დევნის კი არა, მოთმინების პოლიტიკა იყო. ამ პოლიტიკის საფუძველი დეპუტატმა ჩამოაყალიბა მშვენიერ სიტყვაში, რომელიც რეფორმების სამზადისს ეხებოდა. სამინისტრო ფრიად უკიდურესი გახლდათ. მან მხარი დაუჭირა პროექტს, რომელიც კაპიტალს საფრთხეს უქმნიდა და ამით მსხვილი ფინანსური კომპანიები და ყველა მიმართულების გაზეთები აიმხედრა. კაბინეტმა შენიშნა ეს დიდი საშიშროება და თავისი პროექტი, პროგრამა და შეხედულებები უარყო, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. ახალი მთავრობა შედგენილი გახლდათ. პოლ ვიზირის ცბიერი შეკითხვა მოთხოვნად გადაიქცა, იპოლიტ სერესს მშვენიერმა სიტყვამ კი კაბინეტი მიწასთან გაასწორა.

ახალი კაბინეტის თავმჯდომარედ რესპუბლიკის პრეზიდენტმა დაასახელა პოლ ვიზირი, რომელიც მიუხედავად სიახალგაზრდავისა, უკვე ორჯერ იყო მინისტრი. იგი მომხიბვლელი, არის-

ტოკვილი, ნატიფი, გონებამახვილი, გონიერი და საქმიანი კაცი იყო და თეატრის კულისებს ხშირი სტუმარი გახლდათ. პოლ ვიზირმა შექმნა საშინისტრო, რომელსაც სურდა ყველა წამოწყება ჩაეხშო და აღელვებული საზოგადოებრივი აზრი დაემშვიდებინა. იპოლიტ სერესი კაბინეტის შემადგენლობაში მოხვდა.

ახალი მინისტრები უმრავლესობის სხვადასხვა დაჯგუფებას ეკუთვნოდნენ და სულ სხვადასხვაგვარი, ურთიერთსაწინააღმდეგო შეხედულებები ჰქონდათ, მაგრამ ყველანი ზომიერები და უცილობლად კონსერვატორები იყვნენ.[1] ძველი კაბინეტიდან ახალს მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრი, პატარა, შავგვრემანი კრომბილი შეენორჩა. იგი განდიდების მანათობელ გახლდათ შეპყრობილი და დღეში თოთხმეტ საათს მუშაობდა: ჩუმი კაცი იყო და თავის ახრს საკუთარ დიპლომატიურ აგენტებსაც კი უმალავდა; გარდა ამისა, საშინლად ეჭვიანი იყო. თავად კი ეჭვს არასოდეს იწვევდა, რადგან ხალხის, ისევე როგორც მთავრობის წინდაუხედაობა, უსაზღვრო გახლავთ.

სახალხო სამუშაოების მინისტრის პორტფელი სოციალისტ ფორტუნე ლაპერსონს ერგო. პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე უფრო მკაცრი, დაუნდობელი და, გავბედავ და ვიტყვი, ყველაზე საზარელი და სასტიკი ჩვეულება სწორედ ის გახლავთ, რომ სოციალიზმთან მებრძოლი სამინისტროს პორტფელს სოციალისტს უგდებს ხელში. ქონებისა და საკუთრების მტრებს, მათდა სამარცხვინოდ და გასამწარებლად, თავისიანი დევნის და კრებებზე მისულები მშვიდად ეძებენ სწორედ იმ კაცს, ხვალ მათ წინააღმდეგ რომ გაილაშქრებს. ვისაც სჯერა, რომ ამ თანამდებობისათვის სოციალისტის გამოძებნა ძნელია, ადამიანის გული არ სცნობია. მოქალაქე ფორტუნე ლაპერსონი პოლ ვი-

[1] ამ სამინისტრომ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ქვეყნისა და ძსოფლიოს ბედზე, ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, მისი შემადგენლობა ჩამოვთვალოთ: საბჭოს პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი პოლ ვიზირი, იუსტიციის მინისტრი პიერ ბუკი, საგარეო საქმეთა მინისტრი ვიქტორ კრომბილი, ფინანსთა მინისტრი ტერასონი, სახალხო განათლების მინისტრი ლაბიეტი, ვაჭრობის, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრი იპოლიტ სერესი, მიწათმოქმედების მინისტრი ოლაჯი, სახალხო სამუშაოების მინისტრი ლაპერსონი, სამხედრო მინისტრი გენერალი დებონგრი, საზღვაო მინისტრი ადმირალი ვიენე დე მურენი (ავტ. შენ.).

ზირის კაბინეტში საკუთარი სურვილით, ძალდაუტანებლად შეეიდა; ლაპერსონის საქციელი მისმა ძველმა მეგობრებმაც კი მოიწონეს. ძალაუფლებას პინგვინეთში დიდი მომხიბვლელობა ჰქონდა.

გენერალ დებონერს სამხედრო პორტფელი ერგო. იგი არმიის ერთ-ერთ ყველაზე ჰკვიან გენერლად ითვლებოდა. მაგრამ მსუბუქი ყოფაქცევის ქალის, ბარონესა დე ბილდერშანის გავლენაში გახლდათ მოქცეული, ეს ქალბატონი ლამაზი იყო იმ ასაკშიც, როცა ინტრიგებიღა გართობს და მტრულ და ძლიერ მეზობელ სახელმწიფოსაც ემსახურებოდა.

ახალი საზღვაო მინისტრი, პატივცემული ადმირალი ვივე დე მურენი მშვენიერ მეზღვაურად ითვლებოდა, მაგრამ ისეთ ღვინისმოსაობას ამჟღავნებდა, რაც ანტიკლერიკალური სახელმწიფოსათვის წრეგადასული იქნებოდა, რესპუბლიკას რელიგია საზღვაო საქმის განვითარებისათვის სასარგებლო მოვლენად რომ არ მიეჩნია. ღირსი მამა დუიარის, თავისი სულიერი მამის ჩაგონებით, პატივცემულმა ადმირალმა ფლოტის ეკიპაჟი წმინდა ობეროზას შეავედრა და ქრისტიან მგოსნებს ალკას ქალწულისადმი მიძღვნილი ხოტბის შეთხზვა დაუკვეთა. სამხედრო სამინისტროს ორკესტრი ამ საგალობელს ეროვნული ჰიმნის ნაცვლად მღეროდა.

ვიზირის სამინისტრომ თავი ანტიკლერიკალურად, მაგრამ რწმენის პატივისმცემლად გამოაცხადა და ზომიერი რეფორმებისაკენ მიდრეკილება გამოამჟღავნა. პოლ ვიზირსა და მის თანამშრომლებს რეფორმები სურდათ, მაგრამ ისინი ხალხის სამსჯავროზე არასოდეს გამოუტანიათ, ეშინოდათ, არ ვაენოთო. ვიზირის კაბინეტი ჭეშმარიტი პოლიტიკოსებისაგან შედგებოდა. მათ კარგად იცოდნენ, რომ რეფორმას ავნებ, თუკი მას ხალხის სამჯავროზე გამოიტან. მთავრობამ დადებითი შეფასება დაიმსახურა, წესიერი საზოგადოება დააწყნარა და რენტის კურსი ასწია.

კაბინეტმა ოთხი ჯავშნოსნის შეკვეთისა და სოციალისტების დევნის შესახებ ცნობა გამოაქვეყნა; შემდეგ განაცხადა, საშეფოსაველო გადასახადს გავაუქმებო. მსხვილმა გაზეთებმა განსაკუთრებით ფინანსთა მინისტრად ტერასონის დანიშვნა მოიწონეს. ტერასონი ბებერი მინისტრი გახლდათ, თავისი საბირჟო

სპეკულაციებით ცნობილი იყო, ფინანსისტთა ინტერესებს აკმაყოფილებდა და საქმეებში დიდი გამოცოცხლების პერიოდს წინასწარმეტყველებდა. მალე თანამედროვე ევროპის სამი მკერდი — მითვისება, აგიოტაჟი და თაღლითური სპეკულაცია — სიმდიდრის რძით აივსო. უკვე ლაპარაკობდნენ შორეულ ქვეყნებში ექსპედიციის გაგზავნაზე და კოლონიალიზაციაზე. ყველაზე უფრო გაბედული გაზეთები ნიგრიციაში სამხედრო და ფინანსური პროტექტორატის შექმნის პროექტს აქვეყნებდნენ.

იპოლიტ სერესი ჭკვიან კაცად ითვლებოდა, თუმცა თავისი შესაძლებლობები ჯერ არ გამოევლინა. საქმიანი ხალხი მას პატივს სცემდა. უკიდურეს პარტიებთან და სახიფათო ხალხთან ურთიერთობის გაწყვეტას ყველგან ულოცავდნენ და მისი სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობის გრძნობით იხიბლებოდნენ.

სამინისტროს ქალთა შორის, ქალბატონი სერესი მარტო ბრწყინავდა. კრომბილი ბერბიჭა გახლდათ; პოლ ვიზიერი სარფიანად დაქორწინდა ჩრდილოეთის მსხვილი მრეწველის ასულ, ნატიფ, ყველასგან პატივცემულ, უბრალო და მუდამ ავადმყოფ ბლამპინიონზე; მაგრამ შერყეული ჯანმრთელობა ქალს აიძულებდა მუდამ მივარდნილ პროვინციაში დედასთან ყოფილიყო. დანარჩენ მინისტრთა ცოლების ნახვა თვალს არ ეამებოდა. ღიმილს იწვევდა ცნობა, ქალბატონი ლაბიეტი პრეზიდენტის მეჯლისზე სამოთხის ჩიტის ფრთებით მორთული გამოცხადდაო. ქალბატონი ვივიე დე მერენი კარგი ოჯახის შვილი იყო, სიგანეში მეტი გახლდათ, ვიდრე სიმაღლეში, წამოჭარხლებული სახე და დამტარებლის ხმა ჰქონდა და ბაზარში თავად დადიოდა. გენერალ დებონერის მეუღლე, წაგრძელებული, გამხმარი, წითელსახიანი ქალი, მუდამ ახალგაზრდა ოფიცრებს უმიჯნურდებოდა და გარყვნილებისა და დანაშაულის ჭაობში ისე ჩაეფლო, პატივისცემას მხოლოდ თავისი სიმახინჯისა და თავხედობის წყალობით იძენდა.

ქალბატონი სერესი სამინისტროს თვალი იყო და სწორედ მის გამო სცემდა ხალხი სამინისტროს პატივს. იგი ახალგაზრდა, ლამაზი, უმწიკვლო ქალი იყო და თავისი მორთულობის სინატიფითა და უმანკო ღიმილით ერთნაირად ხიბლავდა მაღალ საზოგადოებასაც და ბრბოსაც.

ეველინას სალონი მსხვილი ებრაელი ფინანსისტებით იყო სავსე. მთელს რესპუბლიკაში ამ ქალმა ყველაზე ნატიფი მიღება იცოდა. გაზეთები მის მორთულობას აღწერდნენ და ცნობილი მკერავები ფულს არ ახდევინებდნენ. ქალი წირვაზე დადიოდა, წმინდა ობრეროზას სამლოცველოს ხალხის მტრებისაგან იცავდა და არისტოკრატიის გულში ახალი კონკორდატის იმედს აღვიძებდა.

მოქნილი და ტანსრული ეველინა ოქროსფერი თმითა და სელივით ნაცრისფერი თვალებით, ნამდვილად ლამაზი ქალი იყო. მას ბრწყინვალე რეპუტაცია ჰქონდა და იმდენად მოხერხებული, მშვიდი და თავშეკავებული გახლდათ, დანაშაულის ჩადენისას თავს რომ წასდგომოდით, რეპუტაციის შენარჩუნებას მაინც შეძლებდა.

სესია დამთავრდა; გაიმარჯვა კაბინეტმა, რომელმაც პალატის თითქმის ერთსულოვანი ტაშით საშემოსავლო გადასახადის პროექტი უარყო და აღზევდა ქალბატონი სერესი, რომელმაც სამ მეფეს, ალკაში გავლით რომ იყვნენ, საზეიმო მიღება მოუწყო.

თავი VI

ფავორიტი ქალის ტახტი

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ბატონი და ქალბატონი სერესები შვებულების დროს ორიოდე კვირით მიიწვია მთებში, პატარა ციხე-კოშკში, რომელიც ერთი სეზონით დაიქირავა და სადაც მარტო ცხოვრობდა. ქალბატონი პოლ ვიზირის ჰეშმარიტად შერყეული ჯანმრთელობა ქალს საშუალებას არ აძლევდა, ქმარს გაჰყოლოდა; იგი ჩრდილოეთის მიყრუებულ პროვინციაში თავის მშობლებთან დარჩა.

ეს ციხე-კოშკი ალკას ერთ-ერთი უკანასკნელი მეფის საყვარელს ეკუთვნოდა; სალონში ძველი ავეჯი იყო დაცული და სხვათა შორის ფავორიტი ქალის ტახტიც იდგა. ადგილმდებარეობა მშვენიერი იყო. ციხე-კოშკი მთაზე იდგა, ძირს კი ლამაზი, ცისფერი მდინარე ეზელი მიედინებოდა. იპოლიტ

სერესს თეატრობა უყვარდა. ამ მონოტონური საქმიანობით გართული კაცი საუკეთესო საპარლამენტო კომბინაციებსა და ყველაზე უფრო შთაგონებულ ორატორულ სიშორეებს იგონებდა. ესელში კალმახი ბლომად იყო. სერესი დილიდან საღამომდე იჯდა ნავში, რომელიც საბეჭოს თაემჯდომარემ მის სრულ განკარგულებაში გადასცა, და თევზაობდა.

ამ დროს ეველინა და პოლ ვიზირი ბაღში სეირნობდნენ ან სალონში საუბრობდნენ. ეველინა კარგად ხედავდა, რარიგ მაცდუნებელი იყო პოლ ვიზირი ქალების თვალში, და მაინც დროდადრო, ყოველგვარი სერიოზული განზრახვა გარეშე, ზერელედ ეკეკლუცებოდა. კაცი კარგად იცნობდა ქალებს, ეს ქალი კი ლამაზი გახლდათ. პალატა და ოპერა ვიზირს მთელ თავისუფალ დროს ართმევდა, მაგრამ ამ პატარა კოშკში ეველინას სელიეით ნაცრისფერ თვალებსა და სავსე სხეულს მისთვის განსაკუთრებული ფასი დაედო. ერთ დღეს, როცა იპოლიტ სერესი ეზელზე თევზაობდა, კაცმა ფავორიტი ქალის ტახტზე ეველინა გვერდით მოისვა. ფარდა ქალს მხურვალე დღის სიცხისა და სიკაშკაშისაგან იცავდა, მისი ჯუჯრუტანებიდან კი ეველინას დამალული ამურის ისრებივით გრძელი, ოქროსფერი სხივები ეცემოდნენ. თეთრ მუსლინში გამოკვალთული სხეულის მრგვალი და თხელი ფორმები, მათ სინორჩესა და სიტურფეს უსვამდა ხაზს; ქორფა და რბილ კანს კი მოთიბული ბალახის სუნი სდიოდა. პოლ ვიზირი ისე მოიქცა, როგორც გარემოება მოითხოვდა. ქალი არ უარყოფდა ამ შემთხვევით თამაშსა და კაცის მეზობლობას. იგი ფიქრობდა, ან არაფერი მოხდება, ან ძალიან ცოტა მოხდებაო. ეველინა შეცდა.

„ქალაქის მოედანზე, — გვიამბობს ერთი ცნობილი, გერმანული ბალადა, — მზიან მხარეს, სუროთი დაფარულ კედელზე ღილილოსავით ცისფერი, მოლიმარი და მშვიდი საფოსტო ყუთი ეკიდა.

ყოველდღე მასთან მძიმე ჩექმებში გამოწყობილი ვაჭრები, მდიდარი ფერმერები, ბურჟუები, გადასახადის ამკრეფები და ჟანდარმები მიდიოდნენ და საქმიან წერილებს, ანგარიშებს, მოთხოვნებს, საგადასახადო ცნობებს, მოსამართლეთა დადგე-

ნილებებს და რეკრუტთა გასაწვევ ეწყებებს ყრიდნენ; ყუთი კვლავ მოღიმარი და მშვიდი რჩებოდა.

მხიარული ან დარდიანი უახლოვდებოდნენ მას დღიური მუშები, ფერმის მოჯამაგირეები, შინამოსამსახურეები, ძიძები, მოანგარიშეები, კლერკები და დიასახლისები, რომელთაც თავისი პატარები, ხელში აეყვანათ. ისინი ყუთში უშვებდნენ დაბადების, ქორწინების, გარდაცვალების მოწმეებს, საცოლეებისა და საქმროების, ცოლებისა და ქმრების წერილებს, დედების ბარათებს შვილებთან და შვილებისას დედებთან. ყუთი კვლავ მოღიმარი და მშვიდი რჩებოდა.

შეღამებისას, ახალგაზრდა ქალ-ვაჟნი ფეხაკრეფით მიიპარებოდნენ და ყუთში სატრფიალო ბარათებს ყრიდნენ: ერთი ცრემლით დანამული და მელანგათხვრილი იყო, მეორეზე ეხატა პატარა რგოლი, რომელიც საკოცნელ ადგილს მიუთითებდა და სუყველა ძალიან გრძელი გახლდათ. ყუთი კვლავ მოღიმარი და მშვიდი რჩებოდა.

ფრთხილი მდიდრები თავად მიდიოდნენ განთიადისას და ყუთში ყრიდნენ პაკეტებს, რომელთაც ხუთი წითელი ბეჭედი ესვა და საბანკო ბილეთებით ან იმპერიის უმსხვილესი ბანკების ჩეკებით იყო სავსე. ყუთი კვლავ მოღიმარი და მშვიდი რჩებოდა.

მაგრამ ერთ დღეს, გასპარმა, რომელსაც ყუთი არ იცნობდა და არც არასოდეს ენახა, მასში პატარა ბარათი ჩაუშვა. ამ ბარათის შესახებ არავინ არაფერი იცის, გარდა იმისა, რომ პატარა ქუდივით იყო დაკეცილი. მაშინვე ყუთმა სიხარულისაგან გონება დაკარგა და ძირს ჩამოვარდა. ამის შემდეგ იგი ადგილზე ვეღარ ჩერდება, სუროთი და ვარდებით შემკული ქუჩებში, მინდვრებში და ტყეებში დარბის. მუდამ მოძრაობს და მინდვრის დარაჯმა ის პურის ყანაშიც კი აღმოაჩინა, როცა გასპარის მკლავებში მოქცეული ტუჩებში კოცნიდა".

პოლ ვიზირმა თავი დაიმორჩილა. ნეტარი გაოცებით შეპყრობილი ეველინა კი კვლავ ფავორიტი ქალის ტახტზე იწვა.

თეოლოგიური მორალის ბრწყინვალე მცოდნე, ღირსი მამა დუიარი, რომელმაც თავისი პრინციპები ეკლესიის დაცემის დროსაც კი შეინარჩუნა, სრულიად მართალი იყო, როცა

წმინდა მამების დოქტრინების შესაბამისად აცხადებდა, ქალი ცოდვილია, თუ სხეულს უფრო ჰყიდის, მაგრამ უფრო ცოდვილია, როცა უფასოდ ნებდებაო. პირველ შემთხვევაში იგი სიცოცხლის გადასარჩენად ეოქმედებს. ამის გამართლება თუ არა, მიტევება მაინც შეიძლება. ასეთი ქალი კვლავ ღვთის მოწყალების ღირსი რჩება. ღმერთმა ხომ თვითმკვლელობა აკრძალა და არ სურს მისმა ქმნილებებმა, რომლებიც უფლის ტაძრებიც არიან, თავი გაინადგურონ. ამასთანავე, როცა სიცოცხლის გადასარჩენად ცოდავს, ქალი მორჩილია და არავითარ სიამოვნებას არ იღებს; ეს კი მის ცოდვას ამცირებს. მაგრამ თუ ქალი უფასოდ ცოდავს, ეს იმას ნიშნავს, რომ სიამოვნებით ცოდავს და ამ ცოდვით ტკბება. სიამაყე და სიამოვნება, რომლითაც იგი თავის დანაშაულს ამძიმებს, მის ცოდვას მომაკვდინებელ ცოდვად აქცევს.

ქალბატონ იპოლიტ სერესის მაგალითი ამ ზნეობრივ ჭეშმარიტებას სრულიად ამტკიცებდა. ქალმა აღმოაჩინა, შეგრძნების უნარი მქონიაო. ადრე ამის შესახებ მან ეჭვადაც არაფერი იცოდა, ახლა კი მხოლოდ ერთმა წამმა თვალი აუბილა, სული შეუცვალა და ცხოვრება გადაუტრიალა. საკუთარი თავის შეცნობა მშვენიერი გრძნობა გახლდათ. ანტიკურ ფილოსოფოსთან ანდერძს „შეიცან თავი შენი“ სიტკბოება არ მოაქვს, თუკი მას ზნეობრივ სფეროს დავუკავშირებთ, რადგან სულს შესწავლა სიამოვნებას არავის ანიჭებს. სულ სხვა საქმეა ხორცის შეცნობა. ეს ნამდვილად შეიძლება სიამოვნების წყაროდ გადაიქცეს. ეველინა თავისი განმანათლებლის მიმართ ისეთი მადლიერების გრძნობით განიმსჭვალა, თითქოს ამ უკახასკნელმა დიდი წყალობა მოიღო. ქალმა მაშინვე წარმოიდგინა, ვინც ზეციური უფსკრულის კარები გამიღო, გასაღებიც მხოლოდ მას ექნებაო. შეცდა თუ არა იგი და მოიძებნებოდა თუ არა სხვა, ვისაც ოქროს გასაღები ექნებოდა, რთული სათქმელია. პროფესორმა ჰადოკმა, როცა ეს ამბავი გამომეღავნდა (შემდგომში ვიხილავთ, რომ ჩქარა გამომეღავნდა) იგი სპეციალურ, მეცნიერულ ჟურნალში ექსპერიმენტული თვალსაზრისით განიხილა და დაადგინა, რომ ქალბატონ ს...ს მიერ ბატონი ვ...ს ზუსტი ტოლფასის პოვნის შანსი შეადგენდა პროპორციას 3,05, 975, 008-ზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ასეთის

პოვნა შეუძლებელი გახლდათ. ქალი, როგორც ჩანს, გრძნობდა ამას და კაცს გაჟურად მიეჯაჭვა.

ეს ფაქტები, მთელი თავისი გარემოებებით, იმიტომ აღვწერე, რომ ჩემი აზრით, მან მოაზროვნე, ფილოსოფიური გონება უნდა მიიზიდოს. ფავორიტი ქალის ტახტი ისტორიული სიდიადის ღირსია; დიდი ერის ბედ-იღბალი სწორედ აქ წყდებოდა; ამასთანავე ამ ტახტზე სრულდებოდა აქტი, რომლის გამოძახილი მეზობელ, მეგობრულ ან მტრულ ხალხებზე და მთელ ქვეყანაზე ვრცელდებოდა. ძალიან ხშირად. ამგვარი ამბები, თუმცა უსაზღვროდ მნიშვნელოვანნი არიან, ხელიდან უსხლტებათ ზედაპირული გონებისა და ფუქსავატური სულის მქონე ადამიანებს, რომლებიც ისტორიის წერას წინდაუხედავად იწყებენ. ამგვარად, ამბის საიდუმლო ზამბარები ჩვენთვის დაფარული რჩება. ჩვენ გვაოცებს იმპერიების დაცემა და ძალაუფლების ერთი ხელიდან მეორეს ხელში გადასვლა. ჩვენთვის ყოველივე გაუგებარია, რადგან არ დაგვინახავს შეუმჩნეველი წერტილი, არ შევხებივართ იდუმალ ზამბარას, რომელიც ამოძრავებდა, ყველაფერი მოარყია და დაამხო. ამ დიდი ისტორიის ავტორმა ყველაზე უკეთ იცის თავისი ნაკლიცა და ხარვეზიც, მაგრამ არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ მარად ინარჩუნებდა ზომიერებასა და სიმკაცრეს, რომელიც აგრერიგად სჭირდება სახელმწიფო საქმეების გადმოცემას და არ დაშორებია ამ სერიოზულობას, რომელიც ადამიანთა მოქმედების აღწერას შეეფერება.

თავი VII

პირველი შედეგები

როცა ეველინამ პოლ ვიზარს პირველად გაანდო, მსგავსი არაფერი განმიცდიაო, კაცმა არ დაუჯერა. იგი კარგად იცნობდა ქალებს და სწამდა, ყოველთვის ამას ეუბნებიან მამაკაცებს, რათა თავი უფრო შეაყვარონო. ამგვარად, კაცის გამოცდილებამ, როგორც ეს ხშირად ხდება, სიმართლის დანახვაში მას

ხელი შეუშალა. უნდო, მაგრამ მაინც ნაძებმა ვიზირმა ქალის მიმართ მალე გატაცება და თვით სიყვარულიც იგრძნო. ამ გრძნობამ მის გონებრივ შესაძლებლობებზე თავიდან დადებითად იმოქმედა. ვიზირმა თავისი ოლქის მთავარ უბანში ნატიფი, ბრწყინვალე, მოსწრებული სიტყვა წარმოთქვა და ეს სიტყვა მის შედევრად ჩაითვალა.

პალატის სხდომების განახლებამ მშვიდად ჩაიარა; მხოლოდ რამდენიმე გულღვარძლიანი და პატივმოყვარე კაცი ცდილობდა თავი წამოეყო, საბჭოს თავმჯდომარის ერთი ღიმილი საკმარი გახდა, რათა ჩრდილები გაფანტულიყო. ეველინა და ვიზირი დღეში ორჯერ ხვდებოდნენ, დანარჩენ დროს კი ერთმანეთს წერილებს სწერდნენ. კაცი ინტიმურ ურთიერთობაში მარჯვე და გამოცდილი იყო და თავის მოკატუნება იცოდა; ეველინა კი გიჟურ გაუფრთხილებლობას იჩენდა. იგი კაცთან ერთად სალონებში, თეატრში, პალატასა და საელჩოებში დადიოდა. ქალის სახე, მთელი მისი არსება, დაბინდული მზერა, მიბნედილი ღიმილი, ათრთოლებული მკერდი, თეძოების რბილი რხევა და მისი ცოცხალი, აღგზნებული სილამაზე — ყოველივე ეველინას სიყვარულზე ღაღადებდა. მალე მათი კავშირი საიდუმლო აღარავისთვის არ გახლდათ. ინფორმაცია ამის შესახებ უცხოეთის სამეფოებს მიაწოდეს. ეველინას ქმარმა და რესპუბლიკის პრეზიდენტმა კი ჯერაც არაფერი იცოდნენ. პრეზიდენტმა ეს ამბავი სოფელში შეიტყო, იმ საპოლიციო პაკეტით, რომელიც, კაცმა არ იცის, ვინ ჩადო მის ჩემოდანში.

იპოლიტ სერესი მახვილგონიერებითა და შორსმეტყველობით არ ბრწყინავდა და მაინც შეამჩნია, რომ მის ოჯახში რაღაც შეიცვალა. ეველინას ადრე მისი საქმეები აინტერესებდა და თუ სინაზეს არა, მეგობრულ გრძნობებს მაინც ამჟღავნებდა, ახლა კი მოულოდნელად გულგრილი და ზიზღიანი გახდა. ქალი ადრეც მიდიოდა და წმინდა ობრეროზას საზოგადოებაში დიდ დროს ატარებდა. ახლა კი დილიდან გასული მთელი დღე გარეთ იყო და სომნამბულას სახით სადილად მხოლოდ საღამოს ცხრა საათზე ჯდებოდა. ქმარს ეს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა, და მაინც, დაბნეული გახლდათ. სერესი ქალის ბუნებას სრულიად არ იცნობდა, თავისი ღირსებისა და ბედნიერებისა კი სწამდა. სიმართლე მისთვის სამუდამოდ დაფარული დარჩებო-

და, მაგრამ საყვარლებმა, ასე ვთქვათ, აიძულეს იგი მათი ურთიერთობა გაეხსნა.

პოლ ვიზირი ეველინასთან მიდიოდა და თუ ქალი მარტო ხვდებოდა, ისინი ერთმანეთს კოცნიდნენ, „აქ ნუ! აქ არაო!“ ამბობდნენ და უკიდურეს თავშეკავებას იჩენდნენ. ეს მათი უცილობელი წესი იყო. ერთ დღეს, პოლ ვიზირს თავის კოლეგა სერესთან შეხვედრა ჰქონდა დათქმული და მასთან გაემართა. კაცი ეველინამ მიიღო, რადგან ფოსტის მინისტრი ერთერთი კომისიის „წიაღიდან“ ჯერ არ დაბრუნებულიყო.

— აქ ნუ! — ღიმილით უთხრეს ერთმანეთს საყვარლებმა.

შემდეგ ტუჩები შეაწებეს და ერთმანეთს გულში ჩაეკვრნენ. ისინი ჯერ კიდევ ამ სიტყვებს იმეორებდნენ, როცა სალონში იპოლიტ სერესი შემოვიდა.

პოლ ვიზირი უცებ მოეგო გონს. მან ქალბატონ სერესს გამოუცხადა, როგორც ჩანს, თქვენს თვალში ჩავარდნილ ნამცეცს ვერ ამოვიღებო. და თუმცა ამით ქმარი ვერ მოატყუა, საშუალება მიეცა სახლიდან მშვიდად გასულიყო.

იპოლიტ სერესი სკამზე დაებერტყა. ეველინას საქციელი მისთვის სრულიად გაუგებარი იყო. მან ქალისაგან ახსნა-განმარტება მოითხოვა.

— რატომ? რატომ? — განუწყვეტლივ იმეორებდა იგი. — რატომ?

ქალი ქმრის დარწმუნებას არ ცდილობდა, იგი ხომ თავს წამოადგა მათ. მიუხედავად ამისა, ეველინა ყველაფერს უარყოფდა, რადგან ეს მოსახერხებელი იყო და ზრდილობის წესიც მოითხოვდა. ამასთანავე, ქალს უსიამოვნო საუბრის თავიდან აცილება სურდა.

იპოლიტ სერესს ეჭვიანობის ცეცხლი წვავდა. იგი ამაზე თავის თავს არ უმალავდა და ფიქრობდა: „ძლიერი კაცი ვარ. ჯავშანს ვატარებ, მაგრამ მის ქვეშ ჭრილობა იმალება, „გულშია ის ჭრილობა“.

შემდეგ იგი მიუბრუნდა ცოლს, რომელიც ავხორცობით გალამაზებული და დანაშაულით სხივმოსილი გახლდათ, დარდიანად შეხედა და უთხრა:

— მასთან არ უნდა წასულიყავი...

კაცი მართალი იყო. ეველინას მთავრობის მეთაური არ უნდა შეეყვარებინა.

კაცი ისე იტანჯებოდა, რომ რევოლვერს ხელი დასტაცა და იყვირა: „მოკლავ!“ შემდეგ განსაჯა, ფოსტისა და ტელეგრაფის მინისტრმა საბჭოს თავმჯდომარე არ უნდა მოკლასო, და რევოლვერი კვლავ მაგიდის უჯრაში შეინახა.

კვირები გადიოდა, მისი ტკივილი კი არ შენელებულა. დილაობით სერესი თავის პრილობას ძლიერი ადამიანის ჯაჭვანს აფარებდა და სიმშვიდეს, მას რომ გაურბოდა, საქმესა და პატივში ეძებდა. ყოველ კვირა დღეს იგი ბოუსტებს, ძეგლებს, შადრევნებს, არტერიულ ქუჩებს, ჰოსპიტლებს, დისპანსერებს, რკინიგზებს, არხებს, ბაზრებს, წყალსადენებს, ტრიუმფალურ თაღებს, ბაზრობებს და სასაკლაოებს საზეიმოდ ხსნიდა და მთრთოლვარე სიტყვებს წარმოთქვამდა. მისი მგზნებარე აქტიურობა ყველა საქმეს გადასწვდა. რვა დღეში საფოსტო მარკების ფერი თოთხმეტჯერ შეცვალა. და მაინც, ბოღმა და ტკივილი ისე ძლიერ შემოუტევდა, გაგიჟებას აღარაფერი უკლდა, ზანდახან მთელი დღე გაშტერებული იჯდა. ის რომ კერძო დაწესებულების თანამშრომელი ყოფილიყო, მის მდგომარეობას მაშინვე შეამჩნევდნენ, მაგრამ სახელმწიფო საქმეთა დაწესებულებაში სიგიჟის ან ბოდვის შემჩნევა გაცილებით ძნელია. ამ დროს სწორედ სახელმწიფო მოხელეები ქმნიდნენ ასოციაციებსა და ფედერაციებს, რომელთა აღგზნებაც პარლამენტსა და საზოგადოებრივ აზრს აფრთხობდა. სინდიკალისტური მგზნებარებით განსაკუთრებით ფოსტალიონები გამოირჩეოდნენ. იპოლიტ სერესმა ხალხს ცირკულარული წესით აცნობა, მათი მოქმედება სრულიად კანონიერიაო. მეორე დღეს კი, სახელმწიფო მოსამსახურეთა ყველა ასოციაცია, როგორც უკანონო აკრძალა. მან ას ოთხმოცი ფოსტალიონი მოხსნა, აღადგინა, გაკიცხა, დააჯარიმა, შემდეგ კი ფულადი ჯილდოები ჩამოურიგა. მინისტრთა საბჭოში იგი მუდამ მზად გახლდათ, აფეთქებულიყო. ზრდილობის წესების დაცვის ზღვარზე მაძ მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურების იქ ყოფნა აოკებდა. სერესი ვერ ბედავდა, მეტოქეს ყელში სწვდომოდა, ამიტომ გულის მოსაოხებლად ლანძღვა-გინებით ესხმოდა თავს პატივცემულ სამხედრო მინისტრს, გენერალ დებონერს, რომელსაც

მისი გინება არ ესმოდა, რადგან ყრუ იყო და ამას გარდა ბარონესა ბილდერმანისათვის ლექსების თხზვით გახლდათ გართული. იპოლიტ სერესი განურჩევლად უარყოფდა ყველა წინადადებას, რომელთაც საბჭოს თავმჯდომარე წამოჭრიდა. კაცი სულ გადაირია. მხოლოდ პარლამენტური ალღო არ დაუკარგავს, უმრავლესობა და დაჯგუფებებიც კარგად იცოდა და ანგარიშიც ზუსტი ჰქონდა.

თავი VIII

ახალი შედეგები

სესია მშვიდად დასრულდა; უმრავლესობის მერხებზე სამინისტროს საშიში არაფერი შეუნიშნავს. თუმცა ზოგიერთი დიდი, ხომიერი გაზეთის სტატიები იუწყებოდა, ებრაელ და ქრისტიან ფინანსისტთა მოთხოვნები ერთმანეთს დაემთხვა, საბანკო პატრიოტიზმს ნიგრიციაში ცივილიზატორული ექსპედიციის გაგზავნა სურს და ჩვენი სანაპიროებისა და კოლონიების დაცვის მძაფრი სურვილით შეპყრობილი ფოლადის ტრესტი ჯავშნოსნის აგებას მგზნებარედ მოითხოვსო. კანტიკუნტად ომზეც ალაპარაკდნენ. ამგვარი მითქმა-მოთქმა ყოველ წელს რეგულარულად იმართებოდა. სერიოზული ხალხი მას ყურადღებას აღარ აქცევდა. მთავრობაც მშვიდად ელოდა, როდის ჩაცხრებოდა, იგი, თუ, ცხადია, არ გაძლიერდებოდა, არ დაიძაბებოდა და ქვეყანას არ ააფორიაქებდა. ფინანსისტებს მხოლოდ კოლონიური ომები სურდათ; ხალხს კი საერთოდ არ სურდა ომი. ბრბოს მოსწონდა, როცა მთავრობა ამაყად და გამომწვევად მოქმედებდა, მაგრამ ევროპული კონფლიქტის მომზადების სულ მცირე ეჭვიც კი ხალხს პალატის წინააღმდეგ ამხედრებდა. პოლ ვიზირს არაფერი აწუხებდა. მისი აზრით ევროპის მდგომარეობა სრულიად სასიკეთო გახლდათ. კაცს მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის მანიაკური სიჩუმე აღიზიანებდა. ეს ჭონდრისკაცი საბჭოს სხდომაზე თავისზე უფრო მსხვილი, საქაღალდეებით გატენილი პორტფელით მოდიოდა, არაფერს ამბობდა, თვით რესპუბლიკის პატივ-

ცემული პრეზიდენტის შეკითხვებზეც კი არ პასუხობდა, შეუპოვარი შრომით ქანცგაცლილი თავის საკარძელში თვლემდა, მწვანე მაუდის ზემოთ კი მხოლოდ მისი პატარა, შავი კინკრიხო მოჩანდა.

ამ დროს, იპოლიტ სერესმა თავი დაიმორჩილა და მეგობარ ლაპერსონთან ერთად თეატრის გოგოებში ქეიფობდა. ტანმაღალ და ახალი შლაპებით მორთულ კაცებს ხშირად ხედავდნენ მოდურ კაბარეებში, სადაც შეფუთნულ ქალებთან ერთად შედიოდნენ. ისინი ყველასაგან გამოირჩეოდნენ და მალე ბულვარის პირმშოებად ჩაითვალნენ. კაცები ერთობოდნენ, მაგრამ ორივე ღტანჯებოდა. ფორტუნე ლაპერსონი თავის ჭრილობას ასევე ჯავშანქვეშ მალავდა. მისი ცოლი, ახალგაზრდა მკერავი, რომელიც მან მარკიზს წაართვა, ერთ შოფერთან გაიქცა. ლაპერსონს ჯერ კიდევ უყვარდა ქალი. იგი მწუხარებით იყო შეპყრობილი და ძალიან ხშირად, როცა განცალკევებულ კაბინეტში ისხდნენ, მოხარხარე გოგონებს შორის, რომლებიც ხამანწკებს მიირთმევდნენ, ორი მინისტრი ერთმანეთს ტანჯვით სავსე მზერით შესცქეროდა და ცრემლს იწმენდდა.

იპოლიტ სერესი გულში იყო დაჭრილი, მაგრამ დამარცხებული არ გახლდათ. მან ფიცი დასდო, შურს ვიძიებო.

ქალბატონმა პოლ ვიზირმა, თავისი სავალალო ჯანმრთელობის გამო კვლავ პირქუშ პროვინციაში მშობლებთან რომ ცხოვრობდა, მიიღო ანონიმური წერილი, რომელიც აცნობებდა, ბატონი პოლ ვიზირი, ვინც ჯიბეცარიელი დაქორწინდა, ახლა გათხოვილ ქალს, ე...ს...(აბა, მიხვდით, ვინ არის!) ახარჯავს თქვენს მზითევს, ამ ქალს ოცდათი ათას ფრანკად ღირებული ავტომანქანა და ოთხმოცი ათას ფრანკად ღირებული მარგალიტის ყელსაბამი აჩუქა და პირდაპირ გალატაკების, სირცხვილისა და დაღუპვისაკენ მიექანებაო. ქალბატონმა პოლ ვიზირმა ბარათი წაიკითხა, აქვითინდა და წერილი მამას გაუწოდა.

— შენს ქმარს ყურებს ავუწევ, — განაცხადა ბატონმა ბლამპინონმა. — იგი ღლაპია და თუ არ მივხედეთ, გაგაღატაკებს .მერე რა, რომ საბჭოს თავმჯდომარეა, მე მისი არ მეშინია.

მატარებლიდან ჩამოვიდა თუ არა, ბატონი ბლამპინონი გაემართა შინაგან საქმეთა სამინისტროსაკენ, სადაც მაშინვე მიიღეს. თავმჯდომარის კაბინეტში იგი გააფთრებული შევარდა.

— უნდა მოგელაპარაკოთ, ბატონო! — თქვა მან და ანონიმური წერილი ააფრიალა.

პოლ ვიზირი მას ღიმილით შეეგება.

— მოხარული ვარ, რომ გნახეთ, ძვირფასო მამა! ეს წუთია, თქვენთვის წერილის მოწერას ვაპირებდი... უნდა მეცნობებინა, რომ საპატიო ლეგიონის ოფიცრად დაგნიშნეს. სიგელი ხელმოსაწერად ამ დილით გავგზავნე.

აღფრთოვანებულმა ბატონმა ბლამპინონმა სიძეს მადლობა გადაუხადა და ანონიმური წერილი ცეცხლში ჩააგდო.

იგი სახლში დაბრუნდა, სადაც უხალისო და გაღიზიანებული ქალიშვილი დახვდა.

— ესეც ასე. ენახე შენი ქმარი, მშვენიერი კაცია. რას იზამ, თავად არ შეგიძლია მისი დამორჩილება.

სწორედ ამ დროს, იპოლიტ სერესმა სკანდალის მოყვარული ერთი პატარა გაზეთიდან შეიტყო (მინისტრები სახელმწიფო საქმეებს მუდამ გაზეთებიდან იგებენ), რომ საბჭოს თავმჯდომარე, ყოველ საღამოს ფოლი-დრამატიკის ერთ მსახიობ ქალთან, ლაზიხასთან სადილობდა და, როგორც ჩანს, ამ ქალით დიდად მოხიბლულიც გახლდათ. ამის შემდეგ. სერესი ცოლს პირქუში სიხარულით ადევნებდა თვალს. ქალი სადილად ან ტანისამოსის გამოსაცელელად ისევ გვიან საღამოს ბრუნდებოდა და სახეზე კვლავ ბედნიერი დაღლილობა და აშკარა ნეტარება ეხატა.

სერესმა გადაწყვიტა, ქალმა არაფერი იცისო, და მას ანონიმური წერილები გაუგზავნა. ქალი ამ წერილებს მაგიდასთან, კაცის თანდასწრებით კითხულობდა და ძველებურად მოთენთილი და მოღიმარი რჩებოდა.

მაშინ კაცმა გადაწყვიტა, ქალი ამ ბუნდოვან გაფრთხილებებს ყურადღებას არ აქცევს, უფრო ზუსტი მითითებები უნდა მივცე და ისეთ მდგომარეობაში ჩავაყენო, ორგულობასა და ღალატში თავად დარწმუნდესო. სამინისტროში სერესს ჰყავდა ძალიან სანდო აგენტები, რომლებიც ეროვნული თავდაცვის სფეროში საიდუმლო ძიებას აწარმოებდნენ. სწორედ ახლა, ისინი თვალს ადევნებდნენ ჯაშუშებს, რომლებსაც მეზობელი და მტრული სახელმწიფო აფინანსებდა და რომლებმაც რესპუბლიკის ფოსტასა და ტელეგრაფშიაც კი შეაღწიეს. იპოლიტ

სერესმა აგენტებს უბრძანა, ჯაშუშთა დევნა შეეწყვიტათ და გამოეკვლიათ, სად, როდის ან რა ვითარებაში ხვდებოდა ლიზიანას ბატონი შინაგან საქმეთა მინისტრი. აგენტებმა დაკისრებული საქმე ერთგულად შეასრულეს და მინისტრს აცნობეს, ბატონ საბჭოს თავმჯდომარეს მრავალგზის წვავასწარით ქალთან, მაგრამ ეს ქალი ლიზიანა არ გახლდათო. იპოლიტ სერესს აღარაფერი უკითხავს და მართალიც იყო: პოლ ვიზირისა და ლიზიანას რომანი გახლდათ თავად ვიზირის გამოგონილი ალიბი, რითაც ეველინა, რომელსაც განდიდება მობეზრდა და წყვდიადსა და იდუმალებაზე ოცნებობდა, კმაყოფილი დარჩა.

ამ წყვილს მხოლოდ ფოსტის სამინისტროს აგენტები როდი უთვალთვალებდნენ; პოლიციის პრეფექტურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს აგენტები ასევე თვალყურს ადევნებდნენ და მათი დაცვის უფლებას ერთმანეთს ედავებოდნენ. გარდა ამისა, მათ რამდენიმე როიალისტური, იმპერიული და კლერიკალური აგენტი, რვა თუ ათი შანტაჟური კანტორა, რამდენიმე მოყვარული მაძებარი, მრავალი რეპორტიორი და ფოტოგრაფების მთელი ბრბო დასდევდა. ისინი ყველგან იყვნენ, სადაც კი წყვილი თავისი მოხეტიალე სიყვარულის შეფარებას ცდილობდა. ბრბო დარაჯობდა მათ დიდსა და პატარა სასტუმროებში, ქალაქის ან სოფლის სახლებში, კერძო ბინებში, ციხე-კოშკებში, მუზეუმებში, სასახლეებში და საეკვო სახლებშიც კი. აგენტები ქუჩებში, მეზობელ სახლებში, ხეებზე, კედლებზე, კიბეებზე, კიბის ბაქნებზე, სახურავებზე, მომიჯნავე ბინებსა და საკვამლე მილებში იმალებოდნენ. მინისტრი და მისი მეგობარი ქალი დაზაფრულები ხედავდნენ, რომ მათი საძინებელი ოთახის კარები და დარაბები გაბურღული, კედლები კი დახვრეტილი გახლდათ. მიუხედავად ამისა, აგენტებმა სხვა ვერა მოიპოვეს რა, გარდა სურათისა, სადაც პერანგის ამარა ქალბატონი სერესი ფეხსაცმელს იკრავდა.

მოთმინებადაკარგული და გაღიზიანებული პოლ ვიზირი დროდადრო თავის სიხალისესა და თავაზიანობას კარგავდა. იგი გაცოფებული მიდიოდა საბჭოში და თაყს ესხმოდა გენერალ დებონეისს, რომელიც ბრძოლის ველზე მამაცი გახლდათ, მაგრამ არმიაში დისციპლინას ვერ ამყარებდა და სარკაზმით

უმასპინძლებოდა პატივცემულ ადმირალ ვივიერ დე მურენს, რომლის გემებიც სრულიად უშიზეზოდ იძარებოდა.

ფორტუნე ლაპერსონი თავმჯდომარეს უსმენდა, გაფართოებული თვალებით დამცინავად შესცქეროდა და კბილებში ცრიდა:

— ის არ კმაროდა, რომ ცოლი წაართვა, ახლა სერესის ჩვენებიც გადაიღო.

მინისტრების მოურიდებლობამ და ორი ბებერი გამგის ბეზღუნმა, რომლებიც იქადნებოდნენ, ამ ტუტუცს ჩვენს პორტფელებს ცხვირში მივახლითო, თუმცა ამ ქადილს არასოდეს ასრულებდნენ, ვიზირის გამოხტომები საყოველთაოდ ცნობილი გახადა. კაბინეტის ბედნიერ თავმჯდომარეს არაფერი დაეკლდა, პირიქით, პარლამენტსა და საზოგადოებრივ აზრზე მან დადებითი გავლენა მოახდინა და მისი საქციელი არმიასა და ეროვნულ ფლოტზე ზრუნვად ჩაითვალა. საბჭოს თავმჯდომარემ საერთო მოწოდება დაიმსახურა.

ყველა ჯგუფსა თუ გამოჩენილ პიროვნებას, რომლებიც მას ულოცავდნენ, ვიზირი მტკიცედ და უბრალოდ პასუხობდა:

— ეს ჩემი პრინციპები გახლავთ.

ამის შემდეგ მან შვიდი თუ რვა სოციალისტი ციხეში ჩასვა.

სესიის დამთავრების შემდეგ, ფრიად დაღლილი პოლ ვიზირი წყლებზე დასასვენებლად წავიდა. იპოლიტ სერესმა თავისი სამინისტროს დატოვება არ ისურვა. ამ დროისათვის იქ ტელეფონისტი ქალების პროფკავშირი ენერგიულად მოქმედებდა. სერესი მათ არნახული სისასტიკით მოექცა, რადგან ქალთმოძულე გახდა. კვირაობით კაცი იზურავდა ცილინდრს, რომელსაც რაც მინისტრი გახდა, თავიდან აღარ იშორებდა და თავის მეგობარ ლაპერსონთან ერთად ქალაქგარეთ, სათევზაოდ მიდიოდა. იქ, ორ მეგობარს თევზაობა ავიწყდებოდა, ქალთა ბუნების ცვალებადობას უჩიოდა და სევდით ივსებოდა.

იპოლიტს კვლავ უყვარდა ეველინა და ძალიან იტანჯებოდა. ახლა მის გულში იმედის სხივი შეიპარა. მან ქალი საყვარელს დააშორა და ცდილობდა, კვლავ დაეპყრო იგი. ამისთვის კაცმა ყველა ღონე იხმარა, მთელი თავისი სიმარჯვე გამოავლინა. გულწრფელი, თავაზიანი, კეთილი, თავდადებული და

ზრდილობაც კი გაბედა. გულის კარნახით იგი ქალს სათუთად ეჭცეოდა, მოღალატე ცოლს ამღელვებელ და მგრძნობიარე სიტყვებს ეუბნებოდა და გულის ამაჩუყებლად უყვებოდა, თუ როგორ იტანჯებოდა.

კაცი მუცელზე ქამარს იშერდა და ამბობდა:

— ნახე, როგორ გავხდი.

სერესი ქალს ქალაქგარეთ გასეირნებას, ქეიფებსა და სამკაულებს ჰპირდებოდა და ყოველივე ამას, მისი აზრით, ქალის შეცდენა შეეძლო.

ხანდახან კაცს ეჩვენებოდა, ქალს გული მოეღბაო. ეველინას აღარ ჰქონდა კადნიერად ბედნიერი სახე. საყვარელთან განშორებული ქალს სევდას სითბო შეეპარა. მაგრამ როგორც კი სერესი მის დაპყრობას შეეცდებოდა, მკაცრი და პირქუში ეველინა უკან იხევდა და თავის ღალატს ირგვლივ სარტყელით იკრავდა.

კაცი კვლავ თავს იმცირებდა და საცოდავად ემუდარებოდა.

ერთხელ, სერესი ლაპერსონთან გაემართა და ცრემლმორეულმა სთხოვა:

— იქნებ შენ მოელაპარაკო!

ლაპერსონმა მოიბოდიშა, ჩემი ჩარევა სასარგებლო არ იქნებაო, მაგრამ მეგობარს რამდენიმე რჩევა მისცა.

— დაარწმუნე, რომ არაფრად აგდებ და სხვა შეგიყვარდა, მაშინ დაგიბრუნდება.

იპოლიტმა ეს საშუალება გამოიყენა და გაზეთებ-ს მეშეეობით ხმა დაყარა, თითქოს ოპერის მომღერალ გინოს ხვდებოდა. კაცი შინ გვიან ბრუნდებოდა ან სულ არ ბრუნდებოდა და ეველინას ისე შესცქეროდა თითქოს შინაგან სიხარულს ვერ იოკებდა. სადილის დროს იგი ჯიბიდან სურნელოვან ბარათს ილებდა, თვალთმაქცური აღფრთოვანებით კითხულობდა და ვილაცას უხილავ ბაგეებს კოცნიდა. სერესს არაფერი ეშველა! ეველინა მის ხრიკებს არც კი ამჩნევდა. იგი ყველაფრის მიმართ გულგრილი იყო და ლეტარგიული მდგომარეობიდან მხოლოდ მაშინ გამოდიოდა, როცა ქმარს ფულს სთხოვდა. თუ კაცი ფულს არ მისცემდა, ქალი ზიზღიან მზერას ესროდა და მზად იყო იგი იმ სირცხვილისთვისაც კი დაეგმო, მთელი ქვეყნის წინაშე ლაფივით თავად რომ შეასხა. მას შემდეგ, რაც

შეყვარებული გახლდათ, თავის მორთულობაზე ბევრს ხარჯავდა. მას ფული სჭირდებოდა, შოვნა კი ქმრის გარდა არავისთან შეეძლო. ქალი ერთგული გახლდათ!

კაცმა მოთმინება დაკარგა, გაცეცხლდა და ეველინას რევოლვერით დაემუქრა. ერთ დღეს მან ეველინას წინაშე ქალბატონ კლარანსს მიაძახა:

— მომილოცავს, ქალბატონო, ქალიშვილი კახპად გაგიზრდიათ!

—წამიყვანე, დედა! — შესძახა ეველინამ. — გაყრას მოვითხოვ.

და კაცს იგი უფრო მხურვალედ უყვარდა, ვიდრე ოდესმე.

ეჭვით გახელებული სერესი არცთუ უსაფუძვლოდ ფიქრობდა, ქალი წერილებს აგზავნის და იღებსო. მან დაიფიცა, ამ წერილებს ხელში ჩავიგდებო. მინისტრმა სამძებრო განყოფილება ფეხზე დააყენა, პირად მიმოწერებში არეულობა შეიტანა, საბირჟო ორდერები ხელში ჩაიგდო, რამდენიმე სასიყვარულო პაემანს ხელი შეუშალა და მრავალი განხეთქილების, გაკოტრებისა და თვითმკვლელობის მიზეზი გახდა. დამოუკიდებელმა პრესამ საზოგადოების საჩივრები გამოაქვეყნა და თავისი აღშფოთებით მას მხარი დაუჭირა. ამ თვითნებური ზომების გასამართლებლად სამინისტროს გაზეთები ალაპარაკდნენ შეთქმულებაზე, რომელიც საზოგადოებას საფრთხეთ ემუქრებოდა და გადაკვრით მონარქიული შეთქმულებაც მოიხსენიეს. ნაკლებად ინფორმირებული გაზეთები ხალხს უფრო ზუსტ ცნობებს აწვდიდნენ. ისინი ორმოცდაათი ათასი თოფის მოპარვასა და პრინც კრუშოს გადმოსვლაზე წერდნენ. ქვეყანაში მღელვარებამ იმატა. რესპუბლიკურმა გაზეთებმა პარლამენტის სასწრაფო მოწვევა მოითხოვა. პოლ ვიზირი პარიზში დაბრუნდა, თავისი კოლეგები შეკრიბა, კაბინეტის სხდომა მოაწყო და სააგენტოს მეშვეობით განაცხადა, შეთქმულება ხალხის წარმომადგენელთა წინააღმდეგ ნამდვილად არსებობდა, მაგრამ საბჭოს თავმჯდომარემ ყველა ძაფი ხელში მოიგდო და გამოძიება უკვე დაიწყო.

ვიზირმა ოცდაათი სოციალისტის დაპატიმრება ბრძანა და მაშინ, როცა ხალხი მას, როგორც გადამრჩენს ესალმებოდა, კაცმა თავისი ექვსასი აგენტი მოატყუა, ეველინა ჩუმად ჩრდი-

ლოეთ სადგურთან მდებარე პატარა სასტუმროში წა-ყვანა და დაღამებამდე მასთან დარჩა. მათი წასვლის შემდეგ სასტუმროს მოსამსახურემ ლიგინის დალაგებისას, თავსასთუმალთან, კედელზე, თმის სარჭით წაჩხაპნილი შვიდი ჯვარი დაინახა.

იპოლიტ სერესმა, თავისი კირთების ფასად, მხოლოდ ამას მიაღწია.

თავი IX

უკანასკნელი შედეგი

ეჭვიანობა დემოკრატიული ქვეყნების სათნოება გახლავთ და მას ტირანებისაგან იცავს. დეპუტატები საბჭოს თავმდომარეს ოქროს გასაღებს შურით უყურებდნენ. უკვე წელიწადზე მეტი იყო, მთელმა ქვეყანამ იცოდა, რომ მშვენიერი ქალბატონი სერესი ვიზირს ეკუთვნოდა. სამინისტროში არსებული უგვანი კავშირის ამბავი გაიგეს პროვინციაშიც კი, სადაც სიახლეები და მოდა მხოლოდ მაშინ აღწევს, როცა დედამიწა მზეს შემოუვლის. პროვინცია მკაცრ ზნეობას ინარჩუნებს. ქალები იქ მორალურად უფრო უმწიკვლონი არიან ვიდრე დედაქალაქში. ამის მიზეზი აღზრდა, მაგალითი ან უბრალო ცხოვრება შეიძლება იყოს. პროფესორი ჰადოკი ამტკიცებს, მათი უმანკოება გამომდინარეობს ფეხსაცმლიდან, რომელსაც დაბალი ქუსლი აქვსო: „ქალი, — ამბობს იგი ერთ სამეცნიერო წერილში, რომელიც „ანთროპოლოგიურ მიმოხილვაში“ დაიბეჭდა. — ცივილიზებულ მამაკაცზე ეროტიულ ზეგავლენას იმდენად ახდენს, რამდენადაც მისი ფეხი იატაკთან ოცდახუთ გრადუსიან კუთხეს ქმნის. თუ კუთხე ოცდათხუთმეტ გრადუსს აღწევს, ამ არსების მიერ გამოწვეული ეროტიული ზეგავლენა უკიდურესად მძაფრდება. მართლაც. თუ ქალი შეეულ მდგომარეობაში დგას, იმ კუთხეზე, რომელსაც მიწაზე დადგმული ფეხი წარმოქმნის, დამოკიდებულია სხეულის სხვადასხვა ნაწილის, განსაკუთრებით კი მენჯის მდგომარეობა, ამასთანავე ურთიერთობა და ურთიერთზემოქმედება გავისა და კუნთებისა, რომელნიც თეძოებს ქვევიდან ზევით გარს ეხვევა. ყველა ცივი-

ლიზებული მაძაცები გარყვნილებით გახლავთ შეპყრობილი და ავხორცობის იდეას მხოლოდ ქალის ფორმებთან აკავშირებს (ყოველ შემთხვევაში, შვეულ მდგომარეობაში მაინც). ქალის ფორმები განლაგებულია იმ მდგომარეობითა და წონასწორობით, რომელსაც ზემოთ აღნიშნული ფეხის დაქანება ქმნის; ეს კი პროვინციელ ქალებს, რომლებიც დაბალქუსლიან ფეხსაცმელს ატარებენ, ნაკლებ სასურველს ხდის (ყოველ შემთხვევაში, შვეულ მდგომარეობაში მაინც) და ისინიც უმანკოებას უფრო ადვილად ინარჩუნებენ". ეს დასკვნები საყოველთაოდ აღიარებული არ გახლდათ. ხალხი დაობდა, ინგლისური და ამერიკული მოდის გავლენით დაბალქუსლიანი ფეხსაცმლის ტარება დედაქალაქშიც დაიწყეს, მაგრამ სწავლული პროფესორის აღნიშნული შედეგები არ გამოუწვევიათ. გარდა ამისა, დედაქალაქისა და პროვინციელ ქალთა შორის ზნეობრივი განსხვავება, რის დანერგვასაც პროფესორი ცდილობდა, შეიძლება ილუზიური აღმოჩენილიყო. და თუ ასეთი განსხვავება მაინც არსებობდა, ალბათ იმიტომ, რომ დიდი ქალაქები სასიყვარულო კავშირს ხელს უფრო უწყობდა და ამარტივებდა, ვიდრე პატარა ქალაქები. ასე იყო თუ ისე, პროვინციამ საბჭოს თავმჯდომარე გაჭორა და სკანდალზე ალაპარაკდა. ეს ჯერ კიდევ არ იყო საბიფათო, მაგრამ შეიძლება გამხდარიყო.

ამ დროისათვის საფრთხე არსად ჩანდა და ამასთანავე ყველგან იყო. უმრავლესობა შეუდრეკელი იყო, მაგრამ ლიდერები პირქუში და მომთხოვნი გახდნენ. იპოლიტ სერესს თავისი ინტერესები შეიძლება არასოდეს მიეტანა მსხვერპლად შურისძიებისათვის, მაგრამ კაცმა ჩათვალა, ამიერიდან შემიძლია, ისე რომ საკუთარი საქმე არ დავაზარალო, პოლ ვიზირს ჩუმად წინააღმდეგობა გავუწიოო, და ცდილობდა მთავრობის მეთაურისათვის ოსტატურად და ფრთხილად სირთულე და საფრთხე შეექმნა. ნიჭით, განათლებითა და ავტორიტეტით სერესი თავის მეტოქესთან ახლოსაც ვერ მივიდოდა, მაგრამ კულუარული ინტრიგები უკეთ ეხერხებოდა. ყველაზე გამჭრიახი პოლიტიკოსები უმრავლესობის არც ისე დიდი ხნის წინანდელ დაცემას სწორედ მისი ტაქტიკით ხსნიდნენ. კომისიებზე იგი კრედიტორებს წინააღმდეგობას არ უწევდა და მათ მოთხოვნებს თვალთმაქცური წინდაუხედაობით იღებდა, თუმცა მშვენივ-

რად იცოდა, რომ საბჭოს თავმჯდომარე მხარს არ დაუჭერდა. ერთ დღეს მისმა შეგნებულმა მოუქნელობამ შინაგან საქმეთა მინისტრსა და ამ სამინისტროს საბიუჯეტო მომხსენებელს შორის მოულოდნელი და მძაფრი კონფლიქტი გამოიწვია. ამჯერად, დამფრთხალი სერესი შეჩერდა. სამინისტროს ასე ადრე დამხობა მისთვის სახიფათო იყო. კაცის გამომგონებლურმა სიძულვილმა ფარული გზები მოძებნა. პოლ ვიზირს ერთი ღარიბი და თავქარიანი ბიძაშვილი ჰყავდა, რომელიც მის გვარს ატარებდა. სერესმა სელინა ვიზირი დროზე გაიხსენა. იგი ხალხში გამოიყვანა, საეჭვო მამაკაცებთან და ქალებთან დააკავშირა და კაფე-შანტანში სამუშაო უშოვა. მალე, მისი რჩევით, ქალმა სხვადასხვა კაფეში მაყურებლების ღრიანცელში სქესობრივი სიყვარულის პანტომიმების წარმოდგენა დაიწყო. ზაფხულის ერთ ღამეს, ელისეს მინდვრების ერთი კაფეს სცენაზე, აღგზნებული ბრბოს წინ ქალმა უხამსი ცეკვა შეასრულა. გიჟური მუსიკის ხმამ იმ ბაღამდეც კი მიაღწია, სადაც რესპუბლიკის პრეზიდენტი მეჯლისს მეფეებს უმართავდა. ვიზირის სახელი ამ სკანდალს შეერწყა, ქალაქის კედლები დაფარა, გაზეთები შეავსო, უხამს ვინეტებიანი ფურცლების სახით კაფეებსა და მეჯლისებზე შეაღწია და ბულვარებზე ცეცხლოვანი ასოებით აელდა.

საბჭოს თავმჯდომარისათვის ულირს ნათესავზე პასუხისმგებლობა არავის დაუკისრებია, მაგრამ მის ოჯახზე ცუდი შეხედულება შეიქმნა, რამაც სახელმწიფო მოღვაწის პრესტიჟი დაამცრა.

ამ ამბავს მალე საკმაოდ დიდი შემთხვევა მოჰყვა. ერთ დღეს, პალატაში ერთი უბრალო კითხვის პასუხად სახალხო განათლებისა და სარწმუნოების მინისტრი ლაბილეტი, რომელიც ღვიძლის ტკივილით იტანჯებოდა და რომელსაც სასულიერო წოდების მოთხოვნები და ინტრიგები უკვე აღიზიანებდა, წმინდა ობრეროზას სამლოცველოს დაკეტვით დაემუქრა და ეროვნული ქალწული უპატიურად მოიხსენია. აღშფოთებულ მემარჯვენეთა ფრთა ერთად წამოდგა. მემარცხენეთა ფრთამ მამაც მინისტრს უხალისოდ დაუჭირა მხარი. უმრავლესობის ლიდერებს სულაც არ სურდათ თავს დასხმოდნენ ეროვნულ კულტს, რომელსაც ქვეყნისათვის წელიწადში ოცდაათი

მილიონი მოჰქონდა. ყველაზე ზოგიერთმა ძემარჯვენემ, ბატონმა ბიგურმა კითხვა ბოთხოვნად გადააქცია და კაბინეტი საფრთხის ქვეშ დააყენა. საბჭოს თავმჯდომარე სხდომას არ ესწრებოდა, მაგრამ, საბედნიეროდ, საზოგადოებრივი სამუშაოების პრინსტრმა, ფორტუნე ლაპერსონმა, რომელსაც მთავრობის წევრის მოვალეობა შეგნებული ჰქონდა, შეძლო თავისი კოლეგას, სარწმუნოების მინისტრს უხადისი და უადგილო საქციელის გამოსწორება. იგი ტრიბუნაზე ავიდა და საჯაროდ დაამოწმა მთავრობის პატივისცემა ქვეყნის ზეციური მფარველისა და ნუგეშისმცემლისადმი. წმინდანმა ხომ ერს შეუმსუბუქა ბრალი უბედურება, რომლის შემსუბუქებაც მეცნიერებამ ვერ შეძლო.

როცა პოლ ვიზირმა ეველინას მკლავებიდან როგორც იქნა, თავი დაიხსნა და პალატაში გაბრუნდა, სამინისტრო უკვე გადარჩენილი იყო, მაგრამ საბჭოს თავმჯდომარე იძულებული გახდა, მმართველი კლასების წინაშე დიდ დათმობაზე წასულიყო. მან პალატას შესთავაზა სასწრაფოდ დაეწყოთ ექვსი ჯაშუნოსნის აგება და ამით ფოლადის ტრესტის სიმპათია დაიმსახურა. ამის შემდეგ, კვლავ განაცხადა, რენტაზე გადასახადი არ დაწესდებაო და თვრამეტი სოციალისტი დააჭერინა.

მალე ვიზირი უფრო საშიშ გართულებას გადააწყდა. მეზობელი იმპერიის კანცლერმა თავისი სუვერენის სიტყვაში, რომელიც საერთაშორისო ურთიერთობებს ეხებოდა, ღრმააზროვან და ოსტატურ შენიშვნებს მიღმა ეშმაკურად და გადაკრულად მოიხსენია ის სასიყვარულო ვნება, რომლითაც დიდი სახელმწიფოს პოლიტიკა სუნთქავდა. მოსწრებულმა სიტყვამ, რომელიც საიმპერატორო პარლამენტში ღიმილით მოისმინეს, უკმაყოფილო რესპუბლიკა მხოლოდ გააღიზიანა. მან ეროვნული ღირსება შელახა და შეუყვარებული მინისტრი აღარ დაინდო. დეპუტატებმა წვრილმანი მიზეზი მოძებნეს და თავისი უკმაყოფილება გამოამჟღავნეს. პალატამ ერთი სასაცილო შემთხვევის გამო (რომელიღაც სუპერფექტის ცოლმა მულენრუჟში იცეკვა) მინისტრს პასუხიმგებლობა დააკისრა და სამინისტრო დაქცევას მხოლოდ რამდენიმე ხმამ გადარჩინა. საერთო აზრით პოლ ვიზირი არასდროს ყოფილა ასე სუსტი,

დამუნჯებული და მოთენთილი, როგორც ამ სამწუხარო სხდომაზე გახლდათ .

საბჭოს თავმჯდომარე მიხვდა, რომ ადგილის შენარჩუნებას მხოლოდ რაიმე დიდი, პოლიტიკური აქტით შეძლებდა და ნიგრიციაში ექსპედიციის გაგზავნა გადაწყვიტა. ამ ექსპედიციას მსხვილი ფინანსისტები და მრეწველები უჭერდნენ მხარს, რადგან იგი კაპიტალისტებს უდიდეს კონცესიებს, საკრედიტო დაწესებულებებს რვა მილიონიან სესხს, საზღვაო და სამხედრო ოფიცრებს კი დაწინაურებასა და ჯილდოებს პირდებოდა. მიზეზიც მალე მოიძებნა: შეურაცხყოფისათვის შური უნდა ეძიათ და მოვალეებისაგან კი ფული ამოეღოთ. ექვსი ჯავშნოსანი, თოთხმეტი კრეისერი და თვრამეტი სატრანსპორტო გემი ჰიპოპოტამების მდინარეს შესართავში შეიჭრა. ექვსასი ნავი ამაოდ ცდილობდა სამხედრო ნაწილების გადმოსხმისათვის ხელი შეეშალა. ადმირალ ვივიერ დე მურენის ზარბაზნებმა შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა ზანგებზე, რომლებმაც ისრების წვიმით უპასუხეს და მიუხედავად მათი ფანატიკური სიმამაცისა, სრულიად დამარცხდნენ. იფეთქა სახალხო ენთუზიაზმმა, რომელსაც ხელს უწყობდა ფინანსისტთა მიერ მოსყიდული გაზეთები. ამ ბარბაროსული, საეშვო და საშიში წამოწყების წინააღმდეგ მხოლოდ რამდენიმე სოციალისტი ამხედრდა. ისინი მაშინვე დაეპატიმრეს.

ამ დროს სამინისტრო მდიდართა მხარდაჭერით სარგებლობდა, მდაბიოთა სიმპათიებს იმსახურებდა და ურყევს ჰგავდა. საშიშროებას მხოლოდ სიძულვილით გონებაგანათებული იპოლიტ სერესი ხედავდა. იგი პირქუში სიხარულით შესცქეროდა თავის მეტოქეს და კბილებში სცრიდა: „წასულია ამ არამზადის საქმე!“

მაშინ, როცა ქვეყანა საქმითა და დიდებით იყო გაბრუებული, მეზობელმა სახელმწიფომ ევროპული სახელმწიფოს მიერ ნიგრიციის დაპყრობის წინააღმდეგ ხმა აღიმაღლა და ეს პროტესტები, რომელიც დროის სულ უფრო და უფრო მოკლე მონაკვეთებში მეორდებოდა, უფრო და უფრო მკვახე გაჰხდა. რესპუბლიკის საქმიანი გაზეთები ამ საგანგაშო ნიშნებს მალავდნენ. იპოლიტ სერესმა დაინახა, რომ საფრთხე გაიზარდა და გადაწყვიტა თავისი მტრის დასაღუპად ყოველივე, თვით სა-

მინისტროს ბედიც კი სასწორზე შეეგდო. კაცი ჩუმად მუშაობდა. მან ერთგულ ხალხს დააწერინა და მრავალ ოფიციალურ გახეთში დაბეჭდა წერილები, რომლებიც თითქოს თავად პოლ ეიზირის აზრს გამოხატავდა და მთავრობის მეთაურს საბრძოლო განწყობას მიაწერდა. ამ წერილებმა საშინელი გამოხმაურება გამოიწვია უცხოეთში და დაიფრთხო საზოგადოება, რომელსაც სამხედროები უყვარდა, მაგრამ ომები სძულდა. როცა პოლ ვიზირს მთავრობის საგარეო პოლიტიკაზე პასუხი მოსთხოვეს, მან დამამშვიდებლად უპასუხა, სწორედ ისეთ მშვიდობას შევინარჩუნებ, დიდი ერის ღირსებას რომ შეეფერებაო. საგარეო საქმეთა მინისტრმა კრომბილმა წაიკითხა დეკლარაცია, რომელიც სრულიად გაუგებარი აღმოჩნდა, რადგან დიპლომატიურ ენაზე იყო დაწერილი. სამინისტრომ დიდი უმრაველესობის მხარდაჭერა მოიპოვა.

ომზე მითქმა-მოთქმა არ შეწყდა და ახალი სახიფათო მოთხოვნის თავიდან ასაცილებლად საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატებს შორის ნიგრიციის ტყეების ოთხმოცი ათასი ჰექტარი გაანაწილა და თოთხმეტი სოციალისტი დააპატიმრა. იპოლიტ სერესი კულუარებში მოღუშული დადიოდა და თავისი ჯგუფის დეპუტატებს არწმუნებდა, მშვიდობის გატარებას ვცდილობ და ამის მიღწევას კვლავ ვიმედოვნებო.

ავბედითმა ხმებმა დღითი დღე იმატა, ხალხში შეაღწია და მოუსვენრობა დათესა. პოლ ვიზირი თავადაც შეშინდა. ყველაზე მეტად აფრთხობდა სიჩუმე საგარეო საქმეთა მინისტრის, რომელიც არსად ჩანდა. კრომბილი ახლა საბჭოში აღარ მოდიოდა. იგი დილის ხუთ საათზე დგებოდა, თავის საწერ მაგიდასთან თერამეტ საათს მუშაობდა და ბოლოს ღონემიხდილი ეცემოდა საქალაღდე კალთაში, საიდანაც მას შიკრიკები იღებდნენ იმ ქალაღდებთან ერთად, შემდეგ მეზობელი სახელმწიფოს საჰხედრო ატაშეებზე რომ ყიდიდნენ.

გენერალ დებონერს სწამდა, ომი გარდაუვალიაო და ამისათვის ემზადებოდა. მას არამც თუ ეშინოდა, მთელი გულით სურდა ომი და თავის კეთილშობილურ იმედებს ბარონესა ბილდერმანს უზიარებდა. ბარონესა მეზობელ სახელმწიფოს აფრთხილებდა და ამ უკანასკნელმა მისი რჩევით, სასწრაფო მობილიზაცია ჩაატარა.

ფინანსთა მინისტრმა თავისდა უნებლიეთ მოვლენები დააჩქარა. ამ დროისათვის იგი კურს-ს დაცემაზე მუშაობდა. მან ბირჟაზე ხმა დაყარა, ომი გარდაუვალიაო, და ამით პანიკა გამოიწვია. მეზობელმა იმპერატორმა, რომელიც ამ მანევრმა მოატყუა და თავის ტერიტორიაზე მტრის გადმოსხმას ელოდა, ჯარი სასწრაფოდ შეკრიბა. შეძრწუნებულმა პალატამ, უდიდესი უმრავლესობის მხარდაჭერით (814 ხმა 7-ის წინააღმდეგ, 28 თავი შეიკავა) ვიზირის სამინისტრო დაამხო, მაგრამ უკვე ძალიან გვიან იყო. სწორედ სამინისტროს დაცემის დღეს მეზობელმა, მტრულმა სახელმწიფომ თაისი ელჩი გაიწვია და ქალბატონ სერესის სამშობლოში რვა მილიონი ჯარისკაცი გადმოსვა. ომი მთელ ქვეყანას მოედო და მსოფლიო სისხლის ნაკადში ჩაიძირა.

თავი X

პინგვინთა ცივილიზაციის აპოთეოზი

ჩვენ მიერ მოთხრობილი ამბების შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა. პატივითა და თაყვანისცემით გარემოსილი ქალბატონი სერესი კარგა ხანია იყო ქვრივი საბელმწიფო მოღვაწისა, რომლის სახელსაც ღირსეულად ატარებდა და სამოცდაცხრამეტი წლის ასაკში გარდაიცვალა. იგი მოკრძალებით და თბილად დაკრძალეს. კუბოს მრევლის ობოლნი და წმინდა დები მიჰყვებოდნენ.

განსვენებულმა მთელი ქონება წმინდა ობრეროზას საზოგადოებას უანდერძა.

— ოჰ! — ამოიოხრა ბატონმა მონუაიემ, წმინდა მაელის ეკლესიის კანონიკოსმა, როცა ანდერძით დატოვებული წმინდა ქონება მიიღო. — უკვე კარგა ხანია დროა, დიდსულოვანი დამაარსებელი ჩვენს გაჭირვებას დახმარებოდა. მდიდრებმა და ღარიბებმა, სწავლულებმა თუ უვიცებმა ზურგი გვაქციეს. ჩვენ მუქარით, შეპირებით, ალერსითა და ძალმომრეობით ვცდილობთ გზააბნეული სულები მოვაბრუნოთ, მაგრამ ალარაფერი გამოგვდის. პინგვინეთის საზოგადოებას სიღატაკე სტანჯავს;

ჩვენი სოფლის მღვდლები, ოღონდ იარსებონ, ყოველად მდაბალი ხელობით არიან დაკავებულნი, ჯახირობენ და ნასუფრალით იკვებებიან. დანგრეულ ეკლესიებში მლოცველებს თავზე აწვიმთ, წირვის დროს კი, თაღებიდან ქვების ვარდნის ხმა ისმის. ეკლესიის სამრეკლო გვერდზე გადაწვა და მალე წაიქცევა. პინგვინებმა წმინდა ობრეროზა დაივიწყეს, მისი კულტი გაუქმდა, ტაძარი კი დაცარიელდა. მის სამარტვილეს ოჭრო და ძვირფასი თვლები შემოაცალეს; იქ ახლა ობობა ქსოვს თავის ბადეს.

პიერ მილმა, რომელსაც ოთხმოცდათვრამეტი წლის ასაკში გონებრივი და ზნეობრივი ძალები სულაც არ დაეკარგა, მისი ჩიტივილი გაიგონა და კანონიკოსს ჰკითხა, როგორ ფიქრობ, ოდესმე წმინდა ობრეროზა ამ სამწუხარო მივიწყებას თავს თუ დააღწევსო.

— დაიმედებასაც ვერ ვბედავ. — ამოიოხრა ბატონმა მონუაიემ.

— სამწუხაროა, — შეეპასუხა პიერ მილი. — ობრეროზა მომხიბლავი ფიგურაა. მისი ლეგენდა მშვენიერია. ახლახან, სრულიად შემთხვევით, ჟან ვიოლის ერთ-ერთი უმშვენიერესი სასწაული აღმოვაჩინე. ბატონო მონუაიე, ხომ არ ინებებთ მოისმინოთ?

— სიამოვნებით მოგისმენთ, ბატონო მილ.

— მეთოთხმეტე საუკუნის ხელნაწერში აი, ასეთი სასწაული წავიკითხე:

„სესილმა, პონტ-ო-შანზე მცხოვრები ოქრომჭედლის ნიკოლა გობერის ცოლმა მრავალი წელი ღირსეულად და უმწიკვლოდ იცხოვრა. უკვე ხანშიშესულმა ქალმა შეიყვარა ქალბატონ გრაფის მეუღლე მობეკის პატარა პაჟი, ჟან ვიოლი, რომელიც გრევის მოედანზე, ფარწევანგის სახლში ცხოვრობდა. ბიჭი ჯერ თვრამეტი წლისაც არ იყო და მშვენიერი სხეული და სახე ჰქონდა. სესილი თავის სიყვარულს ვერ მოერია და გადაწყვიტა, დაეკმაყოფილებინა იგი. ქალმა პაჟი თავის სახლში შეიტყუა, მიეალერსა, ნუგბარებით გაუმასპინძლდა და ბოლოს და ბოლოს სასურველს მიაღწია. ერთ დღეს, როცა ისინი ოქრომჭედლის საწოლში ერთად იწვნენ, ოსტატი ნიკოლა სახლში უფრო ადრე დაბრუნდა, ვიდრე ელოდნენ. კარ-

ში მას ურდული დაბჭდა გაყრილი, კარს უკან კი ესმოდა ცოლის ხმა, ქალი „ჩემო გულო! ჩემო ანგელოზო! ჩემო თაგუნიაო!“ ამბობდა ოსტატი დაეკვდა, ქალი საყვარელთან ერთად არის ჩაკეტილიო, კარებზე დააბრახუნა და მთელი ხმით დაიყვირა: „არამზადავ, გარყვნილო, ეტიფარო, ურცხვო, ერთი კარი გაძიღე, ცხვირს და ყურებს დაგაკრი!“ ამ მძიმე წუთებში, ოქრომჭედლის ცოლმა წმინდა ობრეროზას მოუხმო და დიდი სანთლის ანთებას შეპირდა, თუკი წმინდანი იხსნიდა მას და პატარა პაეს, რომელიც საწოლის ქვეშ იწვა და შიშით კანკალებდა. წმინდანმა შეისმინა მისი ღაღადი და ჟან ვიოლი გოგონად გადააქცია. მის დანახვაზე სესილი დაწყნარდა და ქმარს შეუყვირა. „შე გაუთლელო, ბოროტო, ეჰვიანო, თუ გსურს კარი გაგიღონ, წყნარად ილაპარაკე!“ ამგვარი ლანძღვა-გინებით ქალმა თავის კარადასთან მიირბინა, იქიდან ძველი ჩაჩი, კორსაჟი და გრძელი, ნაცრისფერი ქვედაწელი გამოიღო და გარდასახული პაეი სასწრაფოდ გამოაწყო. როცა საქმე მოითავა, ქალმა ხმამაღლა დაიძახა: „კატერინა, ჩემო კარგო, კატერინა, ჩემო კატუნია, თქვენს ბიძას კარი გაუღეთ, იგი უფრო სულელია, ვიდრე ავი, ცუდს არაფერს გიზამთ“. გოგონად ქცეული ბიჭი ქალს დაემორჩილა. ოთახში შემოსულმა ოსტატმა ნიკოლამ უცნობი ახალგაზრდა ქალწული და ლოგინში ჩაგორებული ცოლი იხილა. „სულელი ხარ, — უთხრა ცოლმა. — ეს სანახაობა ნუ გაგაოცებს. ის იყო ჩავწექი, რადგან მუცლის ტკივილმა წამომიარა, რომ ჩემთან პალეზოდან ჩამოვიდა კატერინა, ქალიშვილი ჩემი დის, ჟანასი, რომელსაც თხუთმეტ წელია არ ველაპარაკებოდი. მეუღლევ ბატონო, აკოცე ჩვენს დისშვილს! მან დაიმსახურა ეს!“ ოქრომჭედელმა გულში ჩაიკრა ვიოლი, რომლის კანი ნაზი ეჩვენა და ამ წუთიდან მხოლოდ ერთი რამ სურდა: მარტო დარჩენილიყო ქალწულთან, რათა იგი კარგად გადაეკოცნა. სწორედ ამიტომ, ქალიშვილი დაუყოვნებლივ ქვევით ჩაიყვანა, ვითომ ღვინისა და ნამცხვრის მიცემა სურდა. როგორც კი ქალწულთან მარტო დარჩა, კაცმა ნაზად მოეხვია და ალბათ არც შეჩერდებოდა, წმინდა ობრეროზას მისი ერთგული ცოლისთვის რომ არ ჩაეგონებინა. მათ თავს წასდგომოდა. სესილი შეუვარდა ქმარს, როცა ამ უკანასკნელს ყალბი დისშვილი კალთაში ეჯდა, კაცს გარყვნი-

ლი უწოდა, სილა გააწნა და ბოდიში მოახდევინა! მეორე დღეს ვიოლმა თავისი იერსახე დაიბრუნა".

ლირსმა კანონიკოსმა მონუაიემ მოთხრობა მოისმინა, პიერ მილს მადლობა მოახსენა, კალამი აიღო და მომავალ დოღზე სავარაუდო გამარჯვებული ცხენების სიის შედგენა დაიწყო. იგი ბუკმეკერის საბუთებს უკლიდა.

პინგვინეთი ამ დროს სულ უფრო და უფრო მდიდრდებოდა. ვინც ცხოვრებისათვის საჭირო ნივთებს აწარმოებდა, ისინი აკლდა, ვინც არ აწარმოებდა, თავსაყრელად ჰქონდა. „ეს გარდაუვალი ეკონომიკური ბედისწერაა", — ამბობდა აკადემიის ერთ-ერთი წევრი. დიდ პინგვინელ ხალხს აღარც ტრადიციები ჰქონდა, არც გონებრივი კულტურა და აღარც ხელოვნება. ცივილიზაციის პროგრესი სასიკვდილო წარმოებაში, უგუან სპეკულაციასა და საზიზღარ ფუფუნებაში იჩენდა თავს. პინგვინეთის დედაქალაქმა, ისევე როგორც ყველა მაშინდელმა დიდმა ქალაქმა, კოსმოპოლიტური და ფინანსური სახე მიიღო. იქ დიდი და რეგულარული სიმახინჯე გამეფდა. ქეეყანამ სრული სიმშვიდე მოიპოვა. ეს აპოთეოზი იყო.

წიგნი მერვე

მომავალი დრო. დაუსრულებელი ისტორია

„სიღატაკე როგორღაც საუკუნოდ დაუნათესავდა ელადას, ქველობა კი უცხო ხილია და სიბრძნითა და მკაცრი კანონებით აღიზრდება“.

ჰეროდოტე. ისტორია. თავი VII

„განა არ დაინახეთ, რომ ანგელოზები იყვნენ?“

საშინელებათა წიგნი

„მას შემდეგ, რაც საფრანგეთი მეფეთა და იმპერატორთა ძალაუფლებისაგან განთავისუფლდა, მას შემდეგ, რაც თავისუფლება სამგზის გამოაცხადა, იგი ეშორჩილებოდა ფინანსურ კომპანიებს, რომლებიც ქვეყნის სიმდიდრეს ფლობდნენ და მოსყიდული პრესის საშუალებით საზოგადოებრივ აზრს მართავდნენ“.

მართალი მოწმე

„ჩვენ ვესწრებით ქიმიის ჩასახვას, რომელიც შეისწავლის იმ ცვლილებებს, რაც სხეულში ხდება. ეს კონცენტრირებული ენერგიის ისეთი რაოდენობა გახლავთ, რომლის მსგავსიც ჩვენს განკარგულებაში არასოდეს ყოფილა.

სერ უილიამ რამსეი

§ 1

სახლები მუდამ არასაკმარისად მაღალი გახლდათ; მათ კიდევ და კიდევ ამაღლებდნენ და აშენებდნენ ოცდაათ, ორმოცსართულიან შენობებს, სადაც კანტორები, მაღაზიები, ბანკები და საზოგადოებათა გამგეობები თავსდებოდნენ; უფრო და უფრო ღრმად თხრიდნენ მიწას, სადაც გვირაბებსა და სარდაფებს მართავდნენ.

თხუთმეტი მილიონი კაცი მუშაობდა გიგანტურ ქალაქში, დღედაღამ პროექტორის შუქი რომ ანათებდა. ჭარხნების ბოლში, რომელიც ქალაქს გარს ეკრა, დღის სინათლის ვერც ერთი სხივი ვერ აღწევდა. ცაზე ხანდახან უსხივებო მზის წითელი დისკო მოჩანდა. იგი მიცურავდა რკინის ხიდებით დაჩეხილ შავ ზეცაში, საიდანაც მჭვარტლისა და ქვანახშირის მტვრის მარადიული წვიმა მოდიოდა. ეს მსოფლიოს ყველაზე ინდუსტრიული და მდიდარი ქალაქი გახლდათ. მისი სტრუქტურა სრულქმნილს ჰგავდა. იქ ძველი არისტოკრატიული და დემოკრატიული საზოგადოების ფორმების ნასახიც აღარ დარჩენილიყო და ყოველივე ტრესტების ინტერესებს ემსახურებოდა. სწორედ ამ გარემოში ჩამოყალიბდა ტიპი, რომელსაც ანთროპოლოგები მილიარდერებს უწოდებენ. ეს იყო ძალიან ენერგიული და ამასთანავე სუსტი ხალხი. მათ ვეებერთელა კომბინაციების შექმნა და საწერ მაგიდასთან დაუსრულებელი მუშაობა შეეძლოთ, მაგრამ მემკვიდრეობით მიღებული ნერვიული აშლილობა ასაკთან ერთად უძლიერდებოდათ.

ეს ძლიერი ხალხი, ისევე როგორც ჭეშმარიტი არისტოკრატები, რესპუბლიკური რომის პატრიციები და ძველი ინგლისის ლორდები, თავს იკატუნებდა, მკაცრ ზნეობას ვიცავო. წარმოიშვნენ სიმდიდრის ასკეტებიც: ტრესტების სხდომებზე გატანჯული სახეები, ჩავარდნილი ლოყები, ჩაცივნული თვალები და დანაოჭებული შუბლები მოჩანდა. მილიარდერები უფრო გაძვალტყავებულნი, გაყვითლებულები, ტუჩებგამშრალნი და მზერააღგზნებულნი იყვნენ, ვიდრე ძველი ესპანელი ბერები და საბანკო და ინდუსტრიული წარმოების მძიმე სფეროში მგზნებარებით მოღვაწეობდნენ. მრავალმა მათგანმა ყოველგვარ სიხარულზე, სიამოვნებასა და დასვენებაზე უარი თქვა, თავს

გასაცოდავებულ ცხოვრებას მიათრევდა უჰაერო, უსინათლო ოთახში, სადაც მხოლოდ ელექტროაპარატები იდგა. ისინი კვერცხებითა და რძით იქვე ვაჭშობდნენ და გასაშლელ საწოლებზე ეძინათ. ეს მისტიკოსები მთელი დღე ნიკელის ღილაკებზე ხელს აჭერდნენ და აგროვებდნენ სიმდიდრეს, რომლის ნიშნებსაც კი ვერ ხედავდნენ. ისინი სურვილთა აღსრულების ამაო შესაძლებლობას იძენდნენ, რადგან სურვილები არასოდეს ჰქონიათ.

სიმდიდრის კულტს თავისი წამებულნი ჰყავდა. ერთმა მილიარდერმა, სამუელ ბოქსმა, ქონების უმცირესი ნაწილის დათმობას სიკვდილი ამჯობინა. მისი ერთი მუშა შრომის დროს დაზარალდა, დახმარება კი არ მიიღო. უფლებების გასარკვევად მუშამ სასამართლოს მიმართა, მაგრამ სარჩელის დაუძლეველი სირთულით თავზარდაცემულმა, გაღატაკებულმა და სასოწარკვეთილმა, თავხედობისა და ეშმაკობის მეშვეობით უფროსს რევოლვერი მოუშვირა და დაემუქრა, გესვრი, თუ არ დამეხმარებიო. სამუელ ბოქსმა მაინც არაფერი მისცა და პრინციპულად თავი მოაკვლევინა.

ზემოდან წამოსული მაგალითი მიმდევრებს მუდამ პოულობს. პატარა კაპიტალის მფლობელნი (ასეთები, ცხადია, უმეტესობა იყო) ბაძავდნენ მილიარდერთა შეხედულებებსა და ზნეობას, რათა მათ დამსგავსებოდნენ. ყოველგვარი ვნება, რომელიც სიმდიდრის გაზრდასა და დაგროვებას უშლიდა ხელს, სამარცხვინო იყო. მოდუნება, სიზარმაცე, უანგარობა, ხელოვნების სიყვარული და, განსაკუთრებით, მფლანგველობა მიუტევებელი ნაკლი გახლდათ. შემწყნარებლობა საშიშ სისუსტედ ითვლებოდა. მგრძნობელობის ყოველგვარი გამოვლინება საზოგადოებრივ გაკიცხვას იმსახურებდა, დაუოკებელი ვნების უხეშ დაკმაყოფილებას კი შემწყნარებლურად უყურებდნენ. მართლაც, ძალმომრეობა თითქოს ნაკლებად ვნებდა ზნეობას, რადგან იგი სოციალური ენერგიის გამოვლინების ერთ-ერთი ფორმა გახლდათ. სახელმწიფო ორ დიდ სოზოგადოებრივ სათნოებას: მდიდართა პატივისცემასა და ღატაკთა სიძულვილს ეყრდნობოდა. სუსტ სულებს, ადამიანთა ტკივილი ჯერ კიდევ რომ აღელვებდათ, თვალთმაქცობის გარდა აღარაფერი დარჩენოდათ. თვალთმაქცობა საძრახისი არ იყო, რადგან

იგი დაწესებულების წესრიგისა და სიმტკიცის დაცვას უწყობდა ხელს.

ამგვარად, ყველა მდიდარი საზოგადოებრივი ინტერესების ერთგული იყო ან ისეთ სახეს იღებდა, თითქოს იყო. ყველა ზნეობრივი მაგალითის ჩვენებას ცდილობდა, თუმცა თავად ხშირად არც ემორჩილებოდა მას. ზოგიერთები მდგომარეობის სიმძიმეს მძაფრად განიცდიდნენ, მაგრამ სიამაყისა და მოვალეობის გამო მაინც იტანდნენ. ხანდახან იმასაც ცდილობდნენ, საიდუმლოდ ან ეშმაკური გამოგონებით დროებით მაინც დაეძვრინათ ამ მდგომარეობიდან თავი. რკინის ტრესტის თავმჯდომარე, ედუარდ მარტენი, ხანდახან მათხოვრის სამოსს იცვამდა, სამათხოვროდ დადიოდა და გამვლელთა უხეშობას იტანდა. ერთხელ, როცა ხელგაწვდილი ხიდზე იდგა, მარტენი ნამდვილ მათხოვარს წაეჩხუბა და შურით გახელებულმა მოახრჩო.

მილიარდერთა გონება საქმით იყო დაკავებული, ამიტომ სულიერ სიამოვნებას არ ეძებდა. თეატრი, უწინ რომ ყვაოდა, ახლა პანტომიმასა და კომიკურ ცეკვებს წარმოადგენდა. დაივიწყეს ისეთი პიესებიც კი, სადაც ლამაზ ქალებს რომ აჩვენებდნენ, მომხიბვლელი ფორმები და ბრწყინვალე მორთულობა არავის აინტერესებდა. ყოველივეს ჯამბაზთა ჟალაყები და ზანგთა მუსიკა ერჩიათ; ალფრთოვანებაში კი მხოლოდ მაშინ მოდიოდნენ, როცა სცენაზე ოქროს ზოდებს საზეიმოდ ჩამოატარებდნენ ან სტატისტს ყელზე ბრილიანტის ყელსაბამს იხილავდნენ.

მდიდარი ქალები ისევე ემორჩილებოდნენ ზნეობრივი ცხოვრების წესს, როგორც მამაკაცები. ყველა ცივილიზებული ერის საერთო მიდრეკილების თანახმად, საზოგადოებრივმა აზრმა ისინი სიმბოლოებად აქცია. ასეთ ქალებს ქონების სიდიადე და მისი ხელშეუხებლობა მკაცრი ფუფუნებით უნდა წარმოეჩინათ. არშიყობის ძველი ჩვეულებაც გარდაიქმნა და მაღალი წრის ძველი საყვარლები ახლა ჩასკვნილმა მეშვსაჟეებმა და ლაქიებმა შეცვალეს. მიუხედავად ამისა, სკანდალები იშვიათად ხდებოდა. ასეთ საქციელს, თითქმის ყოველთვის საზღვარგარეთ გამგზავრება ფარავდა და ტრესტის პრინცესები კვლავ საყოველთაო პატივისცემით სარგებლობდნენ.

მდიდრები მხოლოდ უმცირესობას შეადგენდნენ, მაგრამ თანამშრომელები, საზოგადოების ყველა ფენას რომ ეკუთვნოდნენ, სრულ მორჩილებაში ჰყავდათ. ეს თანამშრომელები ორ კლასს ქმნიდნენ: ერთი კომერციისა და ბანკის მოსახურეთა კლასი გახლდათ, მეორე კი—ქარხნის მუშებისა. პირველნი უზარმაზარ სამუშაოს ასრულებდნენ და მსხვილ ანაზღაურებასაც იღებდნენ. ზოგიერთი მათგანი საკუთარ საქმეს იწყებდა. სახელმწიფო ქონებისა და კერძო სიმდიდრის დაუსრულებელი ზრდა ყველაზე ჰკვიანებსა და გაქნილებს დაიმედების უფლებას აძლევდა. ცხადია, მოსამსახურეების, ინჟინრებისა და მოანგარიშეების ვეებერთელა ბრბოში უკმაყოფილოებისა და გაღიზიანებულების გარკვეული ნაწილიც შეიმჩნეოდა, მაგრამ ეს საზოგადოება იმდენად ძლიერი გახლდათ, თავის მკაცრ დისციპლინას მტრებიც კი დაუმორჩილა. ამ ქალაქში ანარქისტებიც კი შრომისმოყვარე და მოწესრიგებულნი იყვნენ.

რაც შეეხებათ მუშებს, ქალაქის გარეუბნებში, ქარხნებში რომ მუშაობდნენ, ისინი ფიზიკურად და მორალურად გადაგვარებულნი იყვნენ. მუშები ანთროპოლოგთა მიერ დადგენილ ღატაკთა ტიპს ეკუთვნოდნენ. ზოგიერთი კუნთის განვითარება, რაც, საქმიანობის თავისებური ხასიათიდან გამომდინარეობდა, მათი ძალ-ღონის შესახებ მცდარ აზრს ქმნიდა. მიუხედავად ამისა, მრავალი ნიშანი მათ ავადმყოფურ სისუსტეზე მიუთითებდა. დაბალი ტანი, პატარა თავი და ვიწრო მკერდი მუშებს ისევე განასხვავებდა შეძლებული კლასებისაგან, როგორც მრავალი ფიზიოლოგიური ანომალია, განსაკუთრებით კი თავისა და სხეულის ნაწილების ხშირი ასიმეტრია. ისინი თანდათანობით და შუდმივ გადაგვარებას განიცდიდნენ, რადგან ყველაზე ღონიერები სახელმწიფოს ჯარში მიჰყავდა. იქ კი მათი ჯანმრთელობა დიდხანს ვერ უძლებდა კახპებსა და სამიკიტნოებს, ყაზარმებს გარს რომ ეკრა. პროლეტარები გონებრივად სულ უფრო და უფრო სუსტებოდნენ. მათი გონებრივი ნიშის შუდმივი დაქვეითება მხოლოდ ცხოვრების წესის ბრალი არ იყო. ეს მეპატრონეთა მიერ ჩატარებული შეთოდური შერჩევის შედეგიც გახლდათ. ამ უკანასკნელთ, ძალიან გონიერი მუშების ეშინოდათ, რადგან მათ კანონიერი მოთხოვნების ჩამოყალიბება უკეთ შეეძლოთ. მეპატრონეები ყველა საშუა-

ლებით ცდილობდნენ ისინი თავიდან მოეშორებინათ და დაეჭირავებინათ უმეცარი და შეზღუდული მშრომელები, რომელთაც თავისი უფლებების დაცვა არ შეეძლოთ, მაგრამ საკმარისად გონიერები იყვნენ, რათა თავისი საქმე გაეკეთებინათ. ეს საქმე სრულყოფილმა მანქანებმა განსაკუთრებით გაამარტივა.

ამგვარად, პროლეტარებს თავისი ხვედრის შემსუბუქება არ შეეძლოთ. ისინი ძლივს ახერხებდნენ გაფიცვების საშუალებით ხელფასი შეენარჩუნებინათ, მაგრამ ეს საშუალებაც უკვე ხელიდან უსხლტებოდათ. წარმოების ცვალებადი ბუნება, რასაც კაპიტალისტური წყობა განაპირობებდა, უმუშევრობას ისე ხშირად ქმნიდა, რომ მრეწველობის მრავალ დარგში, საკმარისი იყო გაფიცვა გამოეცხადებინათ, რომ უმუშევრები გაფიცულთა ადგილებს მაშინვე იკავებდნენ. ბოლოს ეს საცოდავი ნაწარმოებლები ისეთ ღრმა აპათიაში ჩაცვივდნენ, რომ არც არაფერი ახარებდათ და არც სასოწარკვეთილებაში აგდებდათ რამე. ისინი საზოგადოებრივი წყობისათვის აუცილებელ და კარგად მორგებულ იარაღად გადაიქცნენ.

ერთი სიტყვით, ეს საზოგადოებრივი წყობა ყველაზე მტკაცე ჩანდა, ყოველ შემთხვევაში ადამიანთა საზოგადოებაში არსებულ ფორმაციათა შორის მაინც, რადგან ფუტკრებსა და ჭიანჭველებს შეუდარებლად სტაბილური წყობა აქვთ. ისე ჩანდა, რომ ეს წყობა, რომელიც ადამიანის ბუნების ყველაზე ძლიერ გრძნობებზე — სიამაყესა და სიხარბეზე იყო აგებული, არასოდეს დაეცემოდა. და მაინც, საზრიანი დამკვირვებელი მრავალ შემაშფოთებელ ნიშნებს შეამჩნევდა. ყველაზე სარწმუნო, თუმცა ყველაზე ნაკლებ შესამჩნევი, ეკონომიკური წყობის ნიშანი იყო. იგი თავს იჩენდა სულ უფრო და უფრო გაზრდილ წარმოებაში, რაც თავის მხრივ ხანგრძლივ და სახტად უმუშევრობას წარმოშობდა. მეწარმეები, მართალია, ამას სასარგებლოდ თვლიდნენ და უმუშევრებისა და მშრომელების შეპირისპირებით მუშათა ძალის გატეხვას ცდილობდნენ. საშიშროების უფრო აშკარა ნიშანი თითქმის მთელი მოსახლეობის ფიზიოლოგიური მდგომარეობა გახლდათ. „ღარიბთა ჯანმრთელობა სწორედ ისეთია, როგორიც უნდა იყოს, — ამბობდნენ ჰიგიენისტები. — მაგრამ მდიდართა ჯანმრთელობა უკეთესს სურვილებს წარმოშობს". მიზეზის დადგენა ძნელი არ

იყო. ქალაქს სიცოცხლისათვის აუცილებელი ენაწბადი აკლდა. ხალხი ხელოვნური ჰაერით სუნთქავდა. კვების ტრესტები გაბედულ, ქიმიურ სინთეზებს იგონებდნენ და ხელოვნურ ღვინოს, ხორცს, რძეს, ხილსა და ბოსტნეულს აწარმოებდნენ. ეს საკვები კუჭსა და გონებაზე დამღუპველად მოქმედებდა. მილიარდერები თერამეტი წლისანი უკვე მელოტდებოდნენ. ზოგიერთი მათგანი დროდადრო საშიშ გონებასუსტობას ამჟღავნებდა. ავადმყოფი და აღგზნებული მდიდრები უვიც ექიმბაშებს უზარმაზარ თანხებს უხდიდნენ. ქალაქში ხშირად ამობრწყინდებოდა ვიღაც თავხედი მექისის სამედიცინო და თეოლოგიური განსწავლულობა, რაც მის სახელს თერაპევტისა და წინასწარმეტყველის შარავანდედით მოსავდა. გიჟების რიცხვი განუწყვეტლივ იზრდებოდა. მდიდართა შორის თვითმკლელობა გახშირდა. მრავალ მათგანს წინ უძღოდა უცნაური დასტიკი გარეშოება, რაც გრძნობისა და გონების არნახულ გადაგვარებაზე მეტყველებდა.

გონებას კიდევ ერთი საბედისწერო ნიშანი აღელვებდა. კატასტროფები, რეგულარულად რომ მეორდებოდნენ, ჩვეულებრივ მოვლენად იქცა და სტატისტიკაში უფრო და უფრო ფართო ადგილი დაიკავა. ყოველდღე მანქანები ფეთქდებოდა, სახლები ჰაერში მიფრინავდა, საქონლით დატვირთული მატარებლები ბულვარებზე ცვიოდა, სახლებს ანგრევდა, ასობით გამვლელს ჰყლეტდა, გრუნტს ამტვრევდა და არბევდა სახელოსნოებისა და დოკების ორ-სამ სართულს, სადაც მუშათა დიდი პარტიები მუშაობდნენ.

§ 2

ქალაქის სამხრეთ-დასავლეთით მდებარეობდა ბორცვი, რომელსაც სენ-მიშელის სიმაგრის ძველი სახელწოდება შერჩა. ბორცვზე გაჭიმულიყო სკვერი, სადაც ბებერი ხეები დაღლილ ტოტებს პატარა მდელოს აფარებდნენ. ბორცვის ჩრდილოეთ ფერდობზე ინჟინერ-პეიზაჟისტებმა ჩანჩქერი, მღვიმეები, წყალვარდნილი, ტბა და კუნძულები მოაწყეს. ამ მხრიდან იშლებოდა ქალაქის მთელი ხედი, თავისი ქუჩებით,

ბულვარებით, მოედნებით, მრავალრიცხოვანი სახურავებით, გუმბათებით, საჰაერო გზებითა და სიჩუმით მოცული და სიშორით თითქოს მოჯადოებული ხალხის ჯგუფებით. ეს სკვერი დედაქალაქში ყველაზე ჯანმრთელი ადგილი იყო. იქ ცა ბოლით დაფარული არ გახლდათ და ბავშვებიც სასეირნოდ ამ სკვერში დაჰყავდათ. ზაფხულობით, საუზმის შემდეგ, ახლომდებარე კანტორებისა და ლაბორატორიების ზოგიერთი თანამშრომელი, ორიოდ წუთით დასასვენებლად აქ მოდიოდა, თუმცა მის მშვიდობიან მყუდროებას არ არღვევდა.

აი, ამგვარად, ივნისის ერთ დღეს, დაახლოებით შუადღისას, ტელეგრაფისტი ქალი, კაროლინა მელიე ჩრდილოეთის ტერასის ბოლოში მერხზე ჩამოჯდა და, რადგან სურდა მზერა სიმწვანის დანახვით გაეხალისებინა, ქალაქს ზურგი შეაქცია. წაბლისფერთმიანი, თაფლისფერთვალა, ჯანიანი და მშვიდი კაროლინა ოცდახუთი-ოცდარვა წლისას ჰგავდა. თითქმის მაშინვე, ელექტროტრესტის მოსამსახურე, ჟორჟ კლერი, ქალს გვერდით მიუჯდა. ამ გამხდარ, მოქნილ, ქერა მამაკაცს ქალივით თხელი ნაკვთები ჰქონდა. კაროლინაზე უფროსი არ გახლდათ, მაგრამ უფრო ახალგაზრდას ჰგავდა. ქალი და მამაკაცი თითქმის ყოველდღე ერთმანეთს ამ ადგილზე ხვდებოდნენ; ურთიერთსიმპათიით განმსჭვალულებს ერთმანეთთან საუბარიც სიამოვნებდათ, თუმცა ამ საუბარს სინაზე, მგრძნობელობა და ინტიმი აკლდა. კაროლინა, რომელსაც წარსულში თავისი მიმნდობი ბუნების გამო არაერთგზის უწანია, იქნებ უფრო თამამიც გამხდარიყო, მაგრამ ჟორჟ კლერის საუბარიც და ქცევაც უკიდურესად თავდაჭერილი გახლდათ. კაცი წმინდა ინტელექტუალური ხასიათის საუბრებსა და ზოგად თემებს არ სცილდებოდა, თუმცა ყველაფერზე უკიდურესად ლაღად ბაასობდა.

ჟორჟ კლერი საზოგადოებრივ წყობაზე და შრომის პირობებზე სიამოვნებით ლაპარაკობდა.

— სიმდიდრე, — ამბობდა იგი, — ბედნიერი ცხოვრების ერთ-ერთი საშუალება გახლავთ. ამ ხალხმა კი იგი არსებობის ერთადერთ მიზნად აქცია.

ეს მდგომარეობა ორივეს საშინელებად მიაჩნდა.

ისინი დაუსრულებლად უბრუნდებოდნენ ზოგიერთ სამეცნიერო საკითხს, რომელიც მათთვის ნაცნობი გახლდათ.

იმ დღეს ისინი ქიმიის განვითარებაზე საუბრობდნენ.

— იმ წუთიდან, — თქვა კლერმა, — რაც რადიუმი ჰელიუმად გარდაიქმნა, მარტივი სხეულების უცვლელობა აღარავის სწამს. ამრიგად, მარტივი ურთიერთობებისა და მატერიის შენახვის ყველა ძველი კანონი გაუქმდა.

— და მაინც, — შეეპასუხა კაროლინა. — ქიმიური კანონები ხომ არსებობენ.

ის ქალი იყო და რაღაც აუცილებლად უნდა ერწმუნა.

კაცი დაუდევრად შეეპასუხა:

— ამჟამად, რადიუმი საკმაო რაოდენობით შეიძლება მოვიპოვოთ, ამიტომ მეცნიერება ანალიზის უბადლო საშუალებებს ფლობს. ახლა, ეგრეთ წოდებულ მარტივ სხეულებში უამრავ შენაერთებს პოულობენ, მატერიაში კი აღმოაჩინეს ძალები, რომელიც თითქოს მისი მოცულობის შესაბამისად იზრდება.

ქალი და მამაკაცი თან საუბრობდნენ, თან პურის ნამცეცებს ჩიტებს უყრიდნენ; მათ ირგვლივ ბავშვები თამაშობდნენ.

შემდეგ ისინი სხვა თემაზე გადავიდნენ:

— მეოთხეულ პერიოდში, — თქვა კლერმა. — ამ ბორცვზე ველური ცხენები ბინადრობდნენ. შარშან აქ წყალსაწრეტები გაჰყავდათ და ველურ ცხენთა ძვლების სქელი ფენა იპოვეს.

ქალმა შეშფოთებით იკითხა, იმ შორეულ ეპოქაში ადამიანები უკვე თუ არსებობდნენო.

კაცმა აუხსნა, ადამიანი ველურ ცხენებზე ნადირობდა, სანამ მათ მოშინაურებას შეეცდებოდაო.

— ადამიანი, — დაამატა მან, — თავიდან მონადირე იყო, შემდეგ მწყემსი, მიწათმოქმედი და მწარმოებელი გახდა... ეს სხვადასხვა კულტურული ეპოქები ერთმანეთს ისეთი დიდი დროის მანძილზე ენაცვლებოდნენ, ადამიანის გონებას ამის წარმოდგენაც კი არ შეუძლია.

კაცმა საათი ამოიღო.

კაროლინამ იკითხა, კანტორაში დაბრუნების დრო ხომ არ არისო.

კაცმა უპასუხა, ჯერ არა, ჯერ პირველის ნახევარი ძლივს არისო.

მათი მერხის ფეხებთან პატარა გოგონა ქვიშისაგან ნამცხვა-

რებს აკეთებდა. შვიდი-რვა წლის პატარა ბიჭუნამ ხტუნვით ჩაირბინა. მისი დედა მეზობელ მერხზე კერავდა. ბიჭუნა სულ მარტო თამაშობდა და იმ ძლიერი წარმოსახვით, მხოლოდ ბავშვებს რომ ახასიათებს, გაქცეულ ცხენს განასახიერებდა. ბიჭუნა ერთდროულად ცხენიც იყო, მისი მდევარიც და დაზიანებული გამვლელიც. იგი გაშმაგებული გარბოდა და ყვიროდა: „გააჩერეთ! უ! უ! გახელებული ცხენია! ლაგამი ჩაკბიჩა!“

კაროლინამ იკითხა:

— თქვენ ფიქრობთ, ხალხი ადრე ბედნიერი იყო?

თანამოსაუბრემ უპასუხა:

— ახალგაზრდობაში ნაკლებად იტანჯებოდნენ და ამ პატარა ბიჭივით იქცეოდნენ. ისინი ხელოვნებით, სათნოებით, მანკიერებით, გმირობით, რწმენითა და ავხორცობით ერთობოდნენ; ილუზიები ჰქონდათ და ესეც ართობდათ, ხმაურიანი და ხალისიანები იყვნენ. ახლა კი...

კაცი გაჩუმდა და კვლავ საათს დახედა.

გაქცეული ბიჭუნა გოგონას ვედროს წამოედო და ხრეშზე გაიშოტა. რამდენიმე წუთი უძრავად იწვა, შემდეგ ხელებზე წამოიწია; შუბლზე კოპი აჯდა, პირი ღია ჰქონდა. უცებ პატარა მთელი ხმით ატირდა. დედა ბავშვისაკენ გამოქანდა, მაგრამ კაროლინამ ბიჭი მიწიდან წამოაყენა და პირი და თვალები თავის ცხვირსახოცით გაუწმინდა. ბავშვი ისევ ტიროდა. მაშინ კლერმა იგი ხელში აიტაცა.

— კარგი! ნუ ტირი, პატარა! ზღაპარს მოგიყვები.

„მეთევზემ ბადე წყალში ისროლა და დაბუფული სპილენძის ქოთანი ამოათრია. ეს ქოთანი მან დანით გახსნა. იქიდან ბოლი ამოიჭრა და ღრუბლებამდე ავიდა; შემდეგ ეს ბოლი შემშიდროვდა და იქცა გოლიათად, რომელმაც ისე ძლიერ დააცემინა, მსოფლიო მტვრად დაიშალა...“

კლერი შეჩერდა, მკვახედ ჩაიცინა და ბავშვი დედას გადასცა. შემდეგ კვლავ ამოიღო საათი, მუხლებით მერხზე შედგა, იდაყვებით მერხის საზურგეს დაეყრდნო და ქალაქს გადახედა.

მისი თვალთახედვის არეში მოექცა ვეებერთელა სახლები. რომლებიც შორიდან ერთი ბეწოს ჰგავდნენ.

კაროლინამაც იქით გაიხედა.

— რა კარგი ამინდია! — თქვა მან. — მზე ბრწყინავს და

ჰორიზონტზე ბოლს ოქროსფრად ავარაყებს. ციცილიზებულ ეპოქას ყველაზე მძიმე ისა აქვს, რომ დღის სინათლეს გვაკლებს.

კაცმა არ უპასუხა; მისი მზერა კვლავ ქალაქის რომელღაც წერტილზე გახლდათ გაყინული.

სიჩუმე რამდენიმე წამს გაგრძელდა; შემდეგ მდინარიდან სამი კილომეტრის იქით, ყველაზე მდიდარ უბანში საბედისწერო ნისლი გამოჩნდა. კიდევ ერთი წუთის შემდეგ აფეთქების ხმა გაისმა, კაშკაშა ცისკენ კი ვეებერთელა ხის ფორმის მქონე ბოლი აიჭრა. თანდათან ჰაერი ძლივსგასაგონი გუგუნით გაივსო, რაც მრავალი ადამიანის ყვირილმა წარმოქმნა. ყვირილი სულ ახლოს, სკვერში გაისმა.

— ვინ აფეთქდა?

ხალხი ფრიად გაოგნდა. თუმცა კატასტროფები ხშირი იყო, ასეთი საშინელი აფეთქება ჯერ არავის ენახა და ეს ამაზრზენი სიახლე ყველამ შეიგრძნო.

ყველა უბედური შემთხვევის ადგილის განსაზღვრას ცდილობდა. უბნებს, ქუჩებს, სხვადასხვა შენობებს, კლუბებს, თეატრებსა და მაღაზიებს ასახელებდნენ. ტოპოგრაფიული მითითებები სულ უფრო გამოკვეთილი და ზუსტი ხდებოდა.

— რკინის ტრესტი აფეთქდა.

კლერმა საათი კვლავ ჯიბეში ჩაიდო. კაროლინა კაცს დაძაბული ყურადღებით შესცქეროდა და თვალებში გაოგნება ეხატებოდა.

ბოლოს მან კაცს ყურში ჩასჩურჩულა:

— თქვენ იცოდით? ელოდით ამას? ეს თქვენ...

კლერმა ძალიან მშვიდად უპასუხა:

— ეს ქალაქი უნდა დაიღუპოს.

ქალმა ნაზად, მეოცნებე ხმით თქვა:

— მეც ასე ვფიქრობ.

და ორივე თავის სამსახურში მშვიდად დაბრუნდა.

§ 3

ამ დღიდან ანარქისტთა თავდასხმა მთელი კვირა გაგრძელდა. მსხვერპლი დიდი იყო; თითქმის ყველა მათგანი ლატაკთა ფენას ეკუთვნოდა. ამ დანაშაულმა საზოგადოებრივი გაკიცხვა დაიმსახურა. განსაკუთრებით დიდმა აღშფოთებამ იფეთქა შინამოსამსახურეებს, სასტუმროს პატრონებს, წვრილმან მოხელეებსა და წვრილ ვაჭრებს შორის, რომელთაც ტრესტებმა არსებობის უფლება მიანიჭეს. მდაბიოთა უბნებში ქალები მოითხოვდნენ მედინამიტეები არნახული წამებით დაესაჯათ. (მათ ძველებურად მედინამიტეებს ეძახდნენ, რაც სულ არ შეეფერებოდათ; ამ უცნობ ქიმიკოსთათვის დინამიტი უცოდველი ნივთიერება გახლდათ და მხოლოდ ჭიანჭველას დასარბევად გამოდგებოდა. ისინი მგრგვინავი ვერცხლისწყლის საშუალებით ნიტროგლიცერინის აფეთქებას ბავშვურ თამაშად თვლიდნენ). ყოველგვარი საქმიანობა მაშინვე შეწყდა. ამის შედეგი კი პირველად ღარიბებმა იგრძნეს. მდაბიოები ალაპარაკდნენ, თავად გავუსწორდებით ანარქისტებსო. ქარხნის მუშები ამ ძალმომრეობით აქციებს მტრულად ან გულგრილად უყურებდნენ. საქმეების შეჩერება მათ ნაწილობრივ უმუშევრობით ან სრული ლოკაუტით ემუქრებოდა; ამიტომ როცა სინდიკატის ფედერაციამ წამოაყენა წინადადება, მოეწყოთ სრული გაფიცვა, რათა მეპატრონეებზე გავლენა მოეხდინათ და რევოლუციონერებს დახმარებოდნენ, ყველა პროფკავშირმა, ოქრომჭედლების გარდა, უარი განაცხადა.

პოლიციამ მრავალრიცხოვანი ბრბო დააპატიმრა. ეროვნული კონფედერაციის ყოველი მხრიდან გამოძახებული ჯარები ტრესტის შენობებს, მილიარდერთა საცხოვრებელ სახლებს, საზოგადოებრივ დაწესებულებებს, ბანკებსა და დიდ მაღაზიებს იცავდნენ. ორიოდე კვირა არაფერი აფეთქებულა. ამიტომ დაასკვნეს, მედინამიტეები, როგორც აშკარად ჩანს, ერთი მუჭა ძლივს იყო და ახლა ყველა დახოცილი, დაჭერილი, დამალული ან გაქცეულიაო. ხალხი დამშვიდდა. სიმშვიდე, უპირველეს ყოვლისა, ღატაკებმა დაიბრუნეს. ორასმა თუ სამასმა ჯარისკაცმა, მდაბიოთა უბანში რომ მოეწყვნენ, ვაჭრობა გამოაცოცხლეს. ყველგან გაისმა შეძახილები: „გაუმარჯოს არმიას!"

მღიდრები კვლავ ღელდნენ და დამშვიდებითაც გვან მშვიდდებოდნენ. ბირჟაზე კი საქმოსანთა ჯგუფმა, კურსის ამაღლებაზე რომ მუშაობდა, დამაწუნარებელი ხმები გააერცელა და დიდი ძალდატანებით კურსის დაცემა შეაჩერა. საქმეები კვლავ მოწესრიგდა. დიდტირაჟიანი გასეთები ამ მოძრაობას ხელს უწყობდნენ. ისინი პატრიოტული მჭევრმეტყველებით ამტკიცებდნენ, მიუღწეველი კაპიტალი რამდენიმე ბინძური დამნაშავის თავდასხმას დასცინის, სახოგადოებრივი სიმდიდრე კი, უშედეგო მუქარის მიუხედავად, მშვიდად იზრდებაო. ამას გულწრფელად ამბობდნენ და ეს სახეიროც აღმოჩნდა. თავდასხმა ყველამ დაივიწყა და საქმე მის უარყოფამდეც კი მივიდა. კვირაობით, დოღზე, ტრიბუნები მარგალიტებითა და ბრილიანტებით მოკაზმული ქალებით იყო საესე. ყველამ სიხარულით შენიშნა, კაპიტალისტები არ დაზარალებულანო. ტოკეების ასაწონ ადგილზე, მილიარდერებს ტაშისკვრით ხვდებოდნენ.

მეორე დღეს, საჰხრეთის სადგური, ნავთობის ტრესტი და თომას მორსელის შეწირულებით აგებული უზარმაზარი ეკლესია ჰაერში აიჭრა. ოცდაათი სახლი დაიწვა; დოკებში ხანძარი გაჩნდა. მეხანძრეებმა შესანიშნავი ერთგულება და სიმამაცე გამოიჩინეს. ისინი ავტომატური სიზუსტით თავიანთ გრძელ რკინის კიბეებს კედლებზე აყუდებდნენ, სახლების ოცდამეათე სართულზე ადიოდნენ და უბედურები ცეცხლიდან გამოჰყავდათ. ჯარისკაცები მხნედ ასრულებდნენ წესრიგის დამცველთა მოვალეობას და ყავის ორმაგ დოზას სვამდნენ. მაგრამ ამ ახალმა უბედურმა შემთხვევებმა პანიკა დათესა. მილიონობით ადამიანი, რომელთაც გამგზავრება და ფულის თან წაღება სურდა, დიდ ბანკებს მიაწყდა. სამი დღის განმავლობაში ბანკი ფულს იხდიდა, შემდეგ სალაროები დაკეტა. ამას აღელვება და არეულობა მოჰყვა, ბარგით დატვირთული გაქცეულთა ბრბო სადგურებს ალყას არტყამდა და მატარებელში იერიშით ჯდებოდა. ბევრს სურსათის მარაგით სარდაფებში დამალვა სურდა და საბაყლო და სასურსათო მაღაზიებს მიაწყდა. ფარდულებს ხიშტიანი თოფებით შეიარაღებული ჯარისკაცები იცავდნენ. ქალაქის ხელისუფლებამ დიდი ენერგია გამოიჩინეს და კვლავ იწყეს ხალხის დატუსაღება, საეკვო პი-

რების მისამართით ათასობით დაპატიმრების ორდერი გაიგზავნა.

შემდგომი სამი კვირის მანძილზე არც ერთი უბედური შემთხვევა არ მომხდარა. გავრცელდა ხმა, ბომბები ოპერის დარბაზში, ქალაქის სათათბიროს სარდაფებში და ბირჟის ერთ-ერთ სვეტთან იპოვესო. მაგრამ მალე გაირკვა, რომ ეს ბომბები კი არა, ხუმარების ან გიჟების დაწყობილი კონსერვის ქილები გახლდათ. ერთმა ბრალდებულმა სასამართლოს სხდომაზე განაცხადა, აფეთქებების ავტორი ვარო; თან დაამატა, ყველა ჩემს თანამონაწილეს იგი სიცოცხლის ფასად დაუჯდაო. ასეთი აღსარებები გაზეთებში იბეჭდებოდა და საზოგადოებრივი აზრის დაწყნარებას ხელს უწყობდა. ხელისუფლებმა მხოლოდ ძიების დასასრულს შენიშნეს, რომ გადაეყარნენ თვითმარქვიას, რომელსაც თავდასხმასთან საერთო არაფერი ჰქონდა.

სასამართლოს დანიშნულმა ექსპერტებმა ვერ იპოვეს ვერც ერთი ნამსხვრევი, რაც საშუალებას მისცემდათ დაედგინათ, კერძოდ რა სახის იარაღი გამოიყენეს თავდამსხმელებმა. მათი ვარაუდით, ახალი ფეთქებადი ნივთიერება შედგებოდა გაზისაგან, რომელსაც რადიუმი გამოჰყოფს. იმასაც ეჭვობდნენ, აფეთქება შეიძლება გამოიწვიოს ელექტროტალღებმა, რომელთაც სპეციალური ვიბრატორი გამოჰყოფსო. მაგრამ ყველაზე გამოცდილი ქიმიკოსებიც კი ზუსტად და გადაჭრით ვერაფერს ამბობდნენ. ერთ დღეს, პოლიციის ორმა აგენტმა მეიერის სახლს ჩაუარა და ტროტუარზე, სარდაფის ფანჯარასთან იპოვა თეთრი ლითონის კვერცხი, რომელსაც ბოლოში კაფსულა ჰქონდა მიმაგრებული. მათ ფრთხილად აიღეს კვერცხი და უფროსის ბრძანებით საქალაქო ლაბორატორიაში წაიღეს. ის-ის იყო ექსპერტები მის შესწავლას შეუდგნენ, რომ კვერცხი აფეთქდა და ამფითეატრი და გუმბათი დაანგრია. ყველა ექსპერტი და მათთან ერთად არტილერიის გენერალი კოლენი და ცნობილი პროფესორი ტიგრი დაიღუპნენ.

ამ ახალი უბედური შემთხვევების შემდეგ კაპიტალისტური საზოგადოება სულით არ დაეცა. დიდმა ბანკებმა სალაროები კვლავ გახსნეს და განაცხადეს, ანაბარის ნაწილს ოქროთი და ნაწილს სახელმწიფო ქაღალდებით გადავიხდითო. საფოწა

დო და სავაჭრო ბირჟებმა, თუმცა ყოველგვარი გარიგება შეჩერდა, გადაწყვიტეს, საქმიანობა არ შეეწყვიტათ.

ამ დროს თავდაპირველად დაპატიმრებულთა საქმის გამოძიება დასრულდა. იქნებ სხვა გარემოებაში მათ წინააღმდეგ წაყენებული საბუთები არასაკმარისი ყოფილიყო, მაგრამ ახლა ბრალმდებელთა გულმოდგინება და საზოგადოებრივი აღშფოთებაც კმაროდა. სასამართლო პროცესის წინა დღეს სასამართლოს შენობა ჰაერში აიჭრა. რვაასი კაცი, მათ შორის მრავალი მოსამართლე და ადვოკატი დაიღუპა. გახელებული ბრბო ციხეებში შეიჭრა და პატიმრები ლინჩის წესით გაასამართლა. ჯარის ნაწილებს, რომლებიც წესრიგის აღსადგენად გააგზავნეს, ქვებითა და ტყვიით შეხვდნენ. რამდენიმე ოფიცერი ცხენიდან ჩამოაგდეს და ფეხით გათელეს. ჯარისკაცებმა ცეცხლი გახსნეს. მსხვერპლი დიდი იყო. სახელმწიფო ჯარებმა, როგორც იქნა, აღადგინეს წესრიგი. მეორე დღეს ბანკი აფეთქდა.

ამის შემდეგ არნახული ამბები ხდებოდა. ქარხნის მუშები, რომელთაც გაფიცვაზე უარი განაცხადეს, ქალაქს ჯგუფებად შეესივნენ და ცეცხლი წაუკიდეს. მთელი ლეგიონები, ოფიცრების მეთაურობით, ცეცხლწამკიდებელ მუშებს უერთდებოდნენ, რევოლუციურ ჰიმნებს მღეროდნენ, ქალაქში მათთან ერთად დასეირნობდნენ, დოკებიდან ნავთით სავსე კასრები მოჰქონდათ და ხანძარს აჩენდნენ. აფეთქებები არ წყდებოდა. ერთ დღეს, ტელეგრაფის გიგანტური შენობა მოულოდნელად გაქრა, ხოლო მის ადგილზე ცისკენ აიჭრა სამი კილომეტრის სიმაღლის უშველებელი ხე, რომელიც პალმის ახრდილს ჰგავდა.

ქალაქის ერთი ნაწილი ალში იყო გახვეული, მეორე კი ნორმალურად ცხოვრობდა. დილაობით კვლავ ისმოდა მერძევეთა ურიკებზე დადგმული თეთრი რკინის ბიდონების კაკუნი. ცარიელ ქუჩაში ბებერი გზის მუშა კედელთან მიმჯდარიყო, მუხლებში ბოთლი ჩაედგა და პურისა და ლორის პატარა ნაჭერს ნელა ღეჭავდა. თითქმის ყველა ტრესტის თავმჯდომარე თავის პოსტზე დარჩა. ზოგიერთი მათგანი ჰეროიკული უბრალოებით კვლავ თავის საქმეს აკეთებდა. წამებული მილიონერის ვაჟიშვილი, რაფაელ ბოჭკი ცაში აფრინდა, როცა შაქრის

ტრესტის საერთო კრებას თავკაცობდა. ის შესანიშნავად დაკრძალეს. კორტეჟი ნანგრევებზე ექვსჯერ გადაძერა და ამდენჯერვე დანგრეულ ქვაფენილზე გადებულ ფიცრებზე გაირარა.

მდიდართა ყოველდღიური დამხმარეები — მოხელეები, მოსამსახურეები, შუამავლები და აგენტები ურყევ ერთგულებას იჩენდნენ. გადასახადების დღეებში, აფეთქებული ბანკის გადარჩენილი მომსახურეები თამასუქების გასანაღდებლად გადათხრილი გზებით ალმოდებულ სახლებში მიემართებოდნენ. მრავალი მათგანი ცეცხლში დაიწვა, როცა ფულის მიღებას ლამობდა.

მიუხედავად ამისა, ილუზიები აღარავის შერჩა. უხილავმა მტერმა ქალაქი დაიპყრო. ახლა აფეთქებების ხმაური ისევე მეფობდა, როგორც ძლიერშესამჩნევი და გადაულახავი საშინელებით სავსე სიჩუმე. განათება მოიშალა, ქალაქი ღამით სიბნელეში ჩაინთქა და მის საბურველში არნახული ბოროტმოქმედება ხდებოდა. ნაკლებ დაზარალებული მდაბიოთა უბნები ჯერ კიდევ იცავდნენ თავს. მოხალისე დამცველები უბანს ირგვლივ უვლიდნენ და ქურდებს ხვრეტდნენ. ქუჩის ყველა კუთხეში სისხლის გუბეში გაწოლილი, მუხლებმოღუნული, ზურგზე ხელებგაკრული, სახეზე ცხვირსახოცაფარებული და მუცელზე წარწერამიმაგრებული გვამები ეყარა.

ნანგრევების გაზიდვა და მიცვალებულთა დამარხვა შეუძლებელი იყო. მალე გვამების მყრალი სუნი აუტანელი გახდა. გაერცელდა ეპიდემიები, რამაც მრავალი კაცი იმსხვერპლა, გადარჩენილები კი დებილებად და გონებაჩლუნგებად აქცია. შიმშილმა თითქმის ყველა დანარჩენი შეიწირა. პირველი თავდასხმიდან ასორმოცდამეერთე დღეს, როცა სალაშქრო და საველე არტილერიის თანხლებით არმიის ექვსი კორპუსი გამოცხადდა, ქალაქის უღატაკეს უბანში, ერთადერთ უბანში, რომელიც დაქცევას ჯერ კიდევ გადაურჩა, მაგრამ ცეცხლითა და ბოლით გარშემორტყმული გახლდათ, კაროლინა და კლერი ღამით, მაღალი სახლის სახურავზე ხელიხელჩაკიდებულნი იდგნენ და ქალაქს გასცქეროდნენ. ქუჩიდან მხიარული სიმღერები ისმოდა, გაგიჟებული ბრბო ცეკვავდა.

— ხვალ ყველაფერი გათავდება, — თქვა კაცმა. — ასე უკეთესი იქნება.

თმაგაშლილ ახალგაზრდა ქალს სახეზე ხანძრის ალი დასთამაშებდა და ცეცხლის რკალს, მათ ირგელივ რომ იკვრებოდა, ნეტარი ღიმილით გაჰყურებდა.

— ასე უკეთესი იქნება, — თავის მხრივ გაიმეორა მან.

შემდეგ დამჭცევს გულში ჩაეკრა და განწირულის კოცნით აკოცა.

§ 4

ფედერაციის სხვა ქალაქებმა არეულობისა და ძალმომრეობის ხანა ასევე გადაიტანეს. შემდეგ წესრიგი აღდგა. დაწესებულებებში რეფორმები შემოიღეს, ზნეობამ დიდი ცვლილებები განიცადა, მაგრამ დედაქალაქის დაკარგვის შემდეგ ქვეყანა მთლიანად ვეღარ გამოჯანსაღდა და ძველი კეთილდღეობა ვეღარ დაიბრუნა. ვაჭრობა და მრეწველობა დაეცა, კულტურამ მიატოვა ქვეყანა, რომელსაც დიდი ხნის მანძილზე უპირატესობას ანიჭებდა. ქვეყანა უნაყოფო და სნეული გახდა; ნიადაგი, რომელიც ამდენ მილიონ კაცს კვებავდა, უდაბნოდ გადაიქცა. სენ-მიშელის სიმაგრის გორაზე ველური ცხვნები ლორთქო ბალახს ძოვდნენ.

დღეები ნაკადულივით მიედინებოდნენ, საუკუნეები კი სტალაქტიდებიდან ჩამოწურული წყლის წვეთებივით ცვიოდნენ. მონადირეები იმ გორებზე, რომლებიც დავიწყებული ქალაქის ადგილზე ამოიზარდა, დათვებზე ნადირობდნენ. მწყემსები იქით ფარებს მიერეკებოდნენ, მიწათმოქმედნი მიწას გუთნით ამუშავებდნენ, მებაღეები შემოღობილ ნაკვეთებზე სალათს თესდნენ და მსხალს ამყნობდნენ. ისინი მდიდრები არ იყვნენ და ხელოვნება არ იცოდნენ; ველური ყურძენი და ვარდის ბუჩქები მათი ქოხის კედლებს ამკობდა. თხის ტყავი მზეზე დამწვარი სხეულის ნაწილებს უფარავდა. ქალები იცვამდნენ შალის სამოსს, რომელსაც თავად ქსოვდნენ. მწყემსები თიხისაგან ადამიანის ან ცხოველთა პატარა ფიგურებს ძერწავდნენ და მღეროდნენ ახალგაზრდა ქალზე, რომელიც თავის შეყვარებულს ტყეში მიჰყვება ან თხებზე, რომლებიც ფიქვების შრიალსა და წყლის ჩუხჩუხში ძოვენ. მიწის პატრონს ახელებდა ხოჭოები, მის ლეღვის ხეს რომ ხრავდნენ. იგი იგო-

ნებდა ხაფანგებს, რათა თაგისი ქათმები ფუმფულაკუდიანი მელასაგან დაეცვა. მეზობელი მეზობელს ღვინოს უსხამდა და ამბობდა:

— დალიეთ, კუტკალიებმა ვერ გამიფუჭეს ღვინო. ისინი რომ მობრძანდნენ, ვენახი უკვე გაკრეფილი მქონდა.

შემდეგ, დროთა განმავლობაში, გამდიდრებული სოფლები და ხორბლით დამძიმებული ყანები ბარბაროსთა შემოჭრამ ააოხრა. ქვეყანამ რამდენჯერმე გამოიცვალა მბრძანებელი. დამპყრობლებმა გორებზე კოშკები წამოჭიმეს. განვითარდა კულტურა. წისქვილები, სამკედლოები, ტყავის და სართავი ქარხნები აშენდა; ტყეებსა და ჭაობებზე გზები გადაიჭიმა; მდინარეები გემებმა დაფარა. სოფლები დიდი დაბებად იქცა, შემდეგ რამდენიმე დაბა გაერთიანდა და შეიქმნა ქალაქი, რომელიც ღრმა თხრილებითა და მაღალი კედლებით იცავდა თავს. მოგვიანებით, როცა იგი სახელმწიფოს დედაქალაქად გამოაცხადეს, ამ უსარგებლო თხრილებში თავი ვიწროდ იგრძნო და ისინი სასეირნო მწვანე გზებად გადააქცია.

ქალაქი გამდიდრდა და ძალიან გაფართოვდა. სახლები მუდამ არასაკმარისად მაღალი გახლდათ; მათ კიდევ რა კიდევ ამაღლებდნენ და აშენებდნენ ოცდაათ, ორმოცსართულიან შენობებს, სადაც კანტორები, მაღაზიები, ბანკები და საზოგადოებათა გამგეობები თავსდებოდნენ; უფრო და უფრო ღრმად თხრიდნენ მიწას, სადაც გვირაბებსა და სარდაფებს მართავდნენ. თხუთმეტი მილიონი კაცი მუშაობდა გიგანტურ ქალაქში...

გვ. 8 კლიო (ბერძ. მით.) — ისტორიის მუზა.

გვ. 13. კამბრია (ლათ. Cambria) — თანამედროვე უელსი.

გვ. 15. არმორიკა — ბრეტანის ძველი სახელი.

გვ. 15. ორე — მდინარე ბრეტანში.

გვ. 15. იბერნია — ირლანდიის ძველი სახელი.

გვ. 15. ედიკი — ბრეტანის სამხრეთ სანაპიროსთან მდებარე კუნძული.

გვ. 16. აპოლონი (ბერძ. მით.) — მზისა და ხელოვნების ღმერთი.

გვ. 16. მერკური (რომ. მით.) — მესაქონლეობასა და ვაჭრობის ღმერთი.

გვ. 17. ვანი — ქალაქი სამხრეთ ბრეტანში.

გვ. 22. იუნონა (რომ. მით.) — იუპიტერის მეუღლე; იგივეა, რაც ბერძენთა ჰერა.

გვ. 23. თებე — ძველი ეგვიპტის ერთ-ერთი უდიდესი ქალაქი.

გვ. 23. ფორუმი — მთავარი მოედანი ძველი რომის ამპერიის ქალაქებში.

გვ. 29. ლევიათანი — ზღვის ბიბლიური ურჩხული, რომელიც გიგანტურ ვეშაპს ჰგავს.

გვ. 25 არეოპაგი — ძველი ათენის უმაღლესი სასამართლო.

გვ. 27. VI და VII თავში წარმოდგენილ პერსონაჟთა უმეტესობა ისტორიული პირია, რომლებიც სიკვდილის შემდეგ წმინდანებად შერაცხეს. ასე მაგალითად; წმინდა პატრიკი VI საუკუნეში ცხოვრობდა და კელტები მოაქცია; წმინდა დამასი (366—385 წ.წ.) რომის პაპი გახლდათ; წმინდა გალმა (540—630 წ.წ.) სენ-გალენის საბატო დააარსა; ტერტულიანი (II—III ს.) ლათინი მწერალი და ღვთისმეტყველი გახლდათ; წმინდა ავგუსტინე (354—430 წ.წ.) ჰიპონის ეპისკოპოსი იყო.

გვ. 29. ჰიპონი — ქალაქი ძველ ნუმიდიაში.

გვ. 29. აპულეიუსი — რომაელი მწერალი (II ს. ჩვ. წ.).

გვ. 30. პრობუსი (ლათ. Probus) — უმწიკვლო.

გვ. 32. ლუი დე პოტერი (1786—1858 წ.წ.) — ბელგიელი ისტორიკოსი და პოლიტიკური მოღვაწე.

გვ. 32. პლატონი (427—347 ჩვ. წ.-მდე) — ბერძენი ფილოსოფოსი.

გვ. 32. ციცერონი (106—54 ჩვ. წ-მდე) — რომაელი მწერალი და ორატორი.

გვ. 34. გრიგოლ ნაზიანზელი — ბიზანტიელი ღვთისმეტყველი.

გვ. 34. ლაქტანციუსი — რომაელი ქრისტიანი მწერალი და ორატორი.

გვ. 35. ლიკომედე — სკიროსის მეფე.

გვ. 36. ტრაიანე — რომის იმპერატორი (98—117 წ.წ.).

გვ. 37. პავლუს ოროზიუსი (IV—V ს.ს.) — რომაელი ისტორიკოსი, წარმოშობით ესპანელი.

გვ. 37. ბოსუე (1621—1704 წ. წ.) — ეპისკოპოსი, ცნობილი ფრანგი ღვთისმეტყველი, ორატორი და მწერალი.

გვ. 38. ეროდოტე, თუკიდიდე, პოლიბიოსი, ტიტუს ლივიუსი, ველეი პა-

ტერკულესი, კორნელიუს ნეპოტი, სვეტონიუსი, მანეთონი, დიოდორე სიცილიელი, დიონ კასიუსი, ლამპიდიუსი, ტაციტუსი — ძველი ბერძენი და რომაელი ისტორიკოსები.

გვ. 39. აბრაამი — ბიბლიური პატრიარქი.

გვ. 48. ხედა ღირსეული (673—735 წ. წ.) — ინგლისელი ბერი, ადრეული შუასაუკუნეების ყველაზე ცნობილი ისტორიკოსი.

გვ. 61. პესპერიდები — ერებეს ასულნი.

გვ. 61. ჰერკულესი (რომ. მით) — იუპიტერისა და ალკმენეს ვაჟი. იგივეა, რაც ბერძენთა ჰერაკლე.

გვ. 62. პერსევსი (ბერძ. მით.) — ზევსისა და დანაეს ვაჟი, რომელმაც მედუზა მოკლა და ანდრომედე გაათავისუფლა.

გვ. 62. ანდრომედე — პერსევსის მეუღლე.

გვ. 78. სოლომონი — ბიბლიური ბრძენი მეფე.

გვ. 78. პლინიუსი (23—79 წ. წ.) — რომაელი ბუნებისმეტყველი.

გვ. 84. სემირამიდა — ასირიის ლეგენდარული დედოფალი.

გვ. 84. სალომე — დედოფალ ჰეროდიას ქალიშვილი, რომელმაც დედის ჩაგონებით, თავის ბიძას, მეფე ჰეროდეს ცეკვის საზღაურად იოანე ნათლისმცემელის თავი სთხოვა.

გვ. 85. Ceesta Pinguinorum (ლათ.) — პინგვინთა საქმენი.

გვ. 91. გრუიე ფრანსუა-ანატოლი — ფრანგი ხელოვნებათმცოდნე.

გვ. 91. ვალუა — ფრანგ მეფეთა დინასტია (1328—1589 წ. წ.).

გვ. 91. ჰენრი IV (1589—1610 წ. წ.) — ბურბონთა დინასტიის პირველი მეფე.

გვ. 91. ვან-დეიკები — ნიდერლანდელი მხატვრები, ძმები იან და ჰუბერტ ვან-დეიკები (XV ს.).

გვ. 91. მემლინგი ჰანს — ნიდერლანდელი მხატვარი, XV ს. მეორე ნახევარი.

გვ. 91. ვან დერ ვეიდენი — ნიდერლანდელი მხატვარი, XV ს.

გვ. 91. ამბროჯო ლორენცეტი — იტალიელი მხატვარი, XIV ს.

გვ. 91. მარგარიტონე — იტალიელი მხატვარი, მოქანდაკე და ხუროთმოძღვარი, XIII ს.

გვ. 92. ლუიჯი ლანცი (1732—1810) — იტალიელი არქეოლოგი და ხელოვნებათმცოდნე.

გვ. 92. ხამუელი — ბიბლიური წინასწარმეტყველი.

გვ. 92. წმინდა იოანე — იოანე ნათლისმცემელი.

გვ. 93. ჯორჯო ვაზარი (1511—1574 წ. წ.) — იტალიელი მხატვარი, ხუროთმოძღვარი და ხელოვნებათმცოდნე.

გვ. 94. ვენერა (რომ. მით.) — სიყვარულის ქალღმერთი.

გვ. 94. დანაე — არგოსის მეფის ასული.

გვ. 95. ავრორა (რომ. მით.) — ცისკრის ღვთაება.

გვ. 95. დიანა (რომ. მით.) — ნადირობის ქალღმერთი.

გვ. 95. ბოლონიის სკოლა — იტალიური ფერწერის ერთ-ერთი მიმართულება. წარმოიშვა ბოლონიაში XVI—XVII ს.ს.

გვ. 96. ...დიდი კონსტანტინეს ქალაქს ათობრებდნენ... — რომ-ს იმპერატორმა კონსტანტინემ (306—337 წ.წ.) ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა და ბიზანტიაში ახალ დედაქალაქს, კონსტანტინოპოლს (დღეს სტამბოლი) ჩაუყარა საფუძველი. 1453 წელს ქალაქი თურქებმა დაიპყრეს.

გვ. 96. ფინიკიელი დიდო — ვერგილიუსის „ენეიდას“ ერთ-ერთი გმირი;

გვ. 96. ანქიზე — ენეასის მამა (იხ. ვერგილიუსი, „ენეიდა“).

გვ. 97. პრიამეს ასული — ტროას მეფის, პრიამეს ქალიშვილი, რომელიც წინასწარმეტყველური ნიჭით იყო დაჯილდოებული.

გვ. 98. ბორეა — ქართა ღვთაება.

გვ. 98. ავერნუსის წმინდა ტყე — ძველი თქმულებების მიხედვით ჯოჯოხეთის კარი სწორედ ამ ტყეში იყო.

გვ. 99. სტიქსი (ბერძ. მით.) — ქვესკნელის მდინარე.

გვ. 99. ქარონი (ბერძ. მით.) — ერებეს ვაჟი, ქვესკნელის სამეფოს მენავე.

გვ. 99. ცერბერი (ბერძ. მით.) — სამთავიანი ნაგაზი, ქვესკნელის სამეფოს დარაჯი.

გვ. 99. მინოსი (ბერძ. მით.) — ზევსისა და ევროპეს ვაჟი, კრეტის მითიური მეფე.

გვ. 99. ფედრა (ბერძ. მით.) — თეზევსის მეუღლე, რომელმაც თავისი გერი იპოლიტე შეიყვარა.

გვ. 99. პროკრიდა — ერექთევსის ასული, ლეგენდარული გმირის კეფალეს მეუღლე, რომელიც შემთხვევით შემოკვდა ქმარს.

გვ. 99. პასიფაე — ჰელიოსის ასული, განთქმული თავისი ტრფობით ბუღისადმი.

გვ. 99. ლაოდამეა — პროტესილაეს მეუღლე, რომელიც ქმარს მიცვალებულთა სამეფოში გაჰყვა.

გვ. 99. კენიდა — ნიმფა.

გვ. 99. ტარტაროსი — ქვესკნელის სამეფო.

გვ. 99. სოლონი (638—559 ჩვ. წ-მდე) — ათენელი პოლიტიკური მოღვაწე.

გვ. 99. დემოკრიტე (460—370 ჩვ. წ-მდე) — ბერძენი ფილოსოფოსი;

გვ. 99. პითაგორა (580—550 ჩვ. წ-მდე) — ბერძენი ფილოსოფოსი და მათემატიკოსი.

გვ. 100. ჰესიოდე (VIII—VII ს. ჩვ. წ-მდე) — ბერძენი პოეტი.

გვ. 100. ორფევსი (ბერძ. მით.) — მუზა კალიოპესა და თრაკიის მეფის ეაგრეს ვაჟი, ევრიდიკეს მეუღლე, მომჯადოებელი მომღერალი.

გვ. 100. ევრიპიდე (480—406 ჩვ. წ-მდე) — ბერძენი ტრაგიკოსი.

გვ. 100. საფო (VII ს. ჩვ. წ.) — ბერძენი პოეტი ქალი.

გვ. 100. ჰორაციუსი (65—8 ჩვ. წ-მდე) — ცნობილი რომაელი პოეტი.

გვ. 100. ვარიუსი (I ს. ჩვ. წ-მდე) — რომაელი პოეტი.

გვ. 100. გალუსი (I ს. ჩვ. წ.) — რომაელი პოეტი.

გვ. 100. ლიკორიდა — რომაელი კურტიზანი ქალი, გალის პოეზიის გმირი.

გვ. 100. ავზონია (Ausonia) — იტალიის ძველი სახელი.

გვ. 102. მარკო (I ს. ჩვ. წ.) — რომაელი პოეტი.

გვ .103. ზენონი (336—224 ჩვ. წ-მდე) — ბერძენი ფილოსოფოსი.

გვ. 103. ნერეუსი (ბერძ. მით.) — ზღვის ღმერთი.

გვ. 103. არისტარქე ხამოსელი (III ს. ჩვ. წ.) — ბერძენი ასტრონომი.

გვ. 103. რეა (ბერძ. მით.) — ზევსის დედა.

გვ. 103. პანი — ტყეებისა და მთების ღვთაება.

გვ. 103. დრიადები — ტყეებისა და მთების ნიმფები.

გვ. 108. სილენე — ბახუსის მუდმივი თანამგზავრი.

გვ. 104. კოსოდიანუსი (IV ს.) პრუდენციუსი (350—410 წ. წ.). ფორტუნატუსი (530—600 წ. წ.) — ლათინი ქრისტიანი პოეტები.

გვ. 104. სულა (138—78 ჩვ. წ-მდე) — რომაელი მხედართმთავარი.

გვ. 104. ეტრუსკები — აპენინის ნახევარკუნძულის ცენტრალურ ნაწილში მცხოვრები ხალხი, რომელიც რომაელებმა დაიმორჩილეს ჩვ. წ. III ს.

გვ. 105. პორსენა — ეტრურიის მეფე.

გვ. 105. ბავიუსი და მევიუსი (I ს. ჩვ. წ.) — რომაელი პოეტები.

გვ. 106. ორკანია (XVI ს.) — იტალიელი მხატვარი და ხუროთმოძღვარი.

გვ. 109. ერაზმი — ერაზმ როტერდამელი, ცნობილი ჰოლანდიელი ჰუმანისტი.

გვ. 114. აგრიპინა — იმპერატორ ნერონის დედა, რომელიც თავისივე შვილის ბრძანებით მოკლეს.

გვ. 114. ანჯარისხი — დიდგვაროვანი სკვითი, რომელმაც ინახულა სოლონის დროინდელი ათენი.

გვ. 137. პოლკოვნიკი მარშანი (1863—1934 წ. წ.) — ხელმძღვანელობდა ფრანგთა ჯარებს აფრიკაში.

გვ. 137. იალუ — მდინარე კორეისა და ჩინეთის ძველ საზღვარზე. აქ 1904 წ. იაპონიის ჯარებმა დაამარცხეს რუსეთის სახმელეთო ჯარები.

გვ. 141. რემუხის ნორჩი შთამომავალნი — იგულისხმება იტალიელები. Remus — რომის ერთ-ერთი ლეგენდარული დამაარსებელი.

გვ. 155. Nunc est bibendum (ლათ.) — „ახლა კი შევსვათ". ეს სიტყვები ამოღებულია ჰორაციუსის ოცდამეჩვიდმეტე ოდიდან, რომელიც შეიქმნა ოქტავიანეს გამარჯვებისა და ანტონიუსისა და კლეოპატრას თვითმკვლელობის შემდეგ.

გვ. 159. მეექვსე წიგნში სატირულად არის აღწერილი „დრეიფუსის საქმე". 1894 წელს საფრანგეთის გენერალური შტაბის ოფიცერს, ეროვნებით ებრაელს, კაპიტან ალფრედ დრეიფუსს სახელმწიფო ღალატში დასდეს ბრალი და რეალური სამხილების უქონლობის მიუხედავად, სამედამო ბატიმრობა მიუსაჯეს. საფრანგეთის საზოგადოება „დრეიფუსარებისა" და „ანტიდრეიფუსარების" ორ ბანაკად გაიყო. პროგრესული საზოგადოება, მათ შორის ა. ფრანსი, ე. ზოლა, რომელიც რომანში კოლომბანის სახით

არის წარმოდგენილი, და ჟ. ჟორესი მხარს უჭერდა დრეიფუსს. მათმა ბრძოლამ ნაყოფი გამოიღო.

გვ. 166. გრაფი დე მობეკ დე ლა დანდულინქსი — ამ სახელით რომანში წარმოდგენილია გრაფი ესტერჰაზი. სწორედ მან ჩაიდინა ის დანაშაული, რაშიც დრეიფუსს დასდეს ბრალი.

გვ. 168. რობერ მიელი — იგულისხმება საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი მელინი (1896—1898 წ. წ.).

გვ. 172. სიმბოლური არწივი — კლდეზე მიჯაჭვულ პრომეთეს ზევსმა მიუჩინა არწივი, რომელიც მას ყოველდღე გულ-ღვიძლს უკორტნიდა.

გვ. 187. პიროტი — საფრანგეთში დრეიფუსის მომხრეებს დრეიფუსარებს ეძახდნენ. ფრანსი სახელიდან პირო ანალოგიურად აწარმოებს სიტყვას პიროტი.

გვ. 191. ლეენა (VI ს. ჩვ. წ.) — ათენელი კურტიზანი ქალი, რომელმაც წამების დროსაც არ გასცა ტირანიის წინააღმდეგ შეთქმულთა სახელები. I ს. მადლიერმა თანამემამულეებმა მას ძეგლი დაუდგეს.

გვ. 191. ეპიხარიდე (I ს.) იმპერატორ ნერონის წინააღმდეგ მიმართული შეთქმულების მონაწილე. სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, რათა წამების დროს შეთქმულთა სახელები არ გაეცა.

გვ. 194. გოლგოთა — იერუსალიმის ახლოს მდებარე გორაკი, სადაც ქრისტე ჯვარს აცვეს.

გვ. 195. საული — იერუსალიმის პირველი მეფე, რომელმაც ბიბლიური თქმულების მიხედვით მთლიანად გაანადგურა ქალაქ გაბაონის მცხოვრებნი.

გვ. 208. რობერ დე მონტესკიუ (1855—1921 წ. წ.) — ფრანგი პოეტი, ნეოკლასიკოსი.

გვ. 215. იპოლიტ ხერესი — წარმოებული სახელია. Cérès ნიშნავს ცერერას. რომაულ მითოლოგიაში ეს მიწათმოქმედების ქალღმერთის სახელია.

გვ. 216. იპოლიტ ტენი (1828—1898 წ. წ.) — ცნობილი ფრანგი ლიტერატურათმცოდნე, ფილოსოფოსი და ისტორიკოსი.

გვ. 216. კლიმენტ ალექსანდრიელი (III ს. ჩვ. წ.) — ბერძენი მწერალი და ღვთისმეტყველი.

გვ. 216. ჯაგერნაუტის ეტლი — ინდოელთა ღმერთის ჯაგერნაუტის წმინდა ეტლი, რომლითაც რელიგიური დღესასწაულის დროს კერპები გამოჰქონდათ. ფანატიკოსები სულის ცხონების მოსაპოვებლად, ამ ეტლს ბორბლებში უვარდებოდნენ.

გვ. 218. ლეონ ბლუმი (1872—1950 წ. წ.) — მემარჯვენე სოციალისტების ლიდერი და პოლიტიკური მოღვაწე. დაწერილი აქვს რამდენიმე გამოკვლევა საფრანგეთის ლიტერატურისა და ზნეობის საკითხებზე.

გვ. 221. დედოფალი მარია ლეშჩინსკაია — პოლონეთის მეფის ასული, მეფე ლუი XV მეუღლე.

გვ. 221. მარი ჟოზეფი — ლუი XVI დედა. წარმოშობით საქსონიის პრინცესა.

გვ. 280. კონკორდატი — რომის პაპისა და რომელიმე ქვეყნის სუვერენის შეთანხმება.

გვ. 265. უილიამ რამსეი — ცნობილი ინგლისელი ქიმიკოსი.

შინაარსი

შესავალი 3

წიგნი პირველი

წარმოშობა

თავი I. წმინდა მაელის ცხოვრება 13
თავი II. წმინდა მაელის სამოციქულო მოწოდება . . . 14
თავი III. წმინდა მაელის ცდუნება 19
თავი IV. წმინდა მაელის ცურვა ყინულოვან ოკეანეში . . 22
თავი V. პინგვინთა მონათესავე 24
თავი VI. თათბირი სამოთხეში 27
თავი VII. თათბირი სამოთხეში (გაგრძელება და დასასრული) 35
თავი VIII. პინგვინთა მეტამორფოზა 40

წიგნი მეორე

უძველესი ხანა

თავი I. პირველი სამოსი 42
თავი II. პირველი სამოსი და დასასრული 47
თავი III. მინდვრების განაწილება. საკუთრების წარმოშობა . 47
თავი IV. პინგვინეთის პირველი სათათბირო 51
თავი V. კრაკენისა და ობეროზას ქორწინება 54
თავი VI. ალკას დრაკონი 56
თავი VII. ალკას დრაკონი (გაგრძელება) 59
თავი VIII. ალკას დრაკონი (გაგრძელება) 61
თავი IX. ალკას დრაკონი (გაგრძელება) 63
თავი X. ალკას დრაკონი (გაგრძელება) 66
თავი XI. ალკას დრაკონი (გაგრძელება) 69
თავი XII. ალკას დრაკონი (გაგრძელება) 72
თავი XIII. ალკას დრაკონი (გაგრძელება და დასასრული) . . 74

წიგნი მესამე

შუა საუკუნეები და აღმავლობის ხანა

თავი I. ბრიან ღვთისმოსავი და დედოფალი გლამორგანა . . 77
თავი II. დრაკო დიდი — წმინდა ობეროზას ნაწილების გადმოსვენება 81
თავი III. დედოფალი კრეშა 84
თავი IV. ლიტერატურა: იოანე ტალპა 87
თავი V. ხელოვნება: პინგვინთა ფერწერის პრიმიტივები . . 90
თავი VI. მარბოდი 93
თავი VII. მთავრის ნიშნები 107

წიგნი მეოთხე

ახალი ხანა — ტრინკო

თავი I. რუკენის ცოლი 109
თავი II. ტრინკო 114
თავი III. დოქტორ ობენუბილის მოგზაურობა 117

წიგნი მეხუთე

ახალი ხანა — შატილიზონი

თავი I. ღირსი მამები აგარიკ და კორნემუზი 122
თავი II. პრინცი კრუშო 129
თავი III. საიდუმლო თათბირი 132
თავი IV. ვიკონტის მეუღლე ოლივი 137
თავი V. თავადი დე ბოსენო 141
თავი VI. ემპრალის დაცემა 147
თავი VII. დასკვნა 155

წიგნი მეექვსე

ახალი ხანა. ოთხმოცი ათასი კრონა თივის საძმე

თავი I. ღირსი მამები აგარაკი და კორნემუზი 122
თავი I. გენერალი გრეტოკი, ჰერცოგი დე სკულ 159
თავი II. პიერო 162
თავი III. გრაფი დე მობეკ დე ლა დანდულნქსი 166
თავი IV. კოლომბანი 169
თავი V. ღირსი მამები აგარაკი და კორნემუზი 172
თავი VI. შეიდასი პიროტი 176
თავი VII. ბიდო-კოკე და მანიფლორა. სოციალისტები . . 180
თავი VIII. კოლომბანის პროცესი 187
თავი IX. მამა დუიარი 193
თავი X. მსაჯული მოსპიე 198
თავი XI. დასკვნა 202

წიგნი მეშვიდე

ახალი ხანა — ქალბატონი სურესი

თავი I. ქალბატონ კლარანსის სალონი 206
თავი II. წმინდა ობრეროზას საქველმოქმედო საზოგადოება . 210
თავი III. ანოლიტ სერესი 215
თავი IV. პოლიტიკური მოღვაწის ჭორწინება 221
თავი V. ვიზარის სამინისტრო 225
თავი VI. ფავორიტი ქალის ტახტი 230
თავი VII. პირველი შედეგები 234
თავი VIII. ახალი შედეგები 238
თავი IX. უკანასკნელი შედეგი 245
თავი X. პინგვინთა ცივილიზაციის ანთროპოზი 251

წიგნი მერვე

მომავალი დრო. დაუსრულებელი ისტორია

შენიშვნები 273

Анатоль Франс
ОСТРОВ ПИНГВИНОВ
(На грузинском языке)
Детиздат Грузинской ССР
«Накадули», Тбилиси, 1986

ს. ბ. № 1624

რედაქტორი ცისანა ჩხაიძე

მხატვარი გ. ღლონტი
მხატვრული რედაქტორი შ. დოლიძე
ტექნიკური რედაქტორი ზ. დონდუა
კონტრ.-კორექტორი მ. ლაღაძე
კორექტორი მ. სიმონიშვილი
გამომშვები მ. ნიქაბაძე

გადაეცა ასაწყობად 02.03.86. ხელმოწერილია დასაბეჭდად 17.06.86. ქაღალდის ზომა 84×108¹/₃₂. გარნიტურა ვენა. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 14,70. საბ. ქაღალდი № 1. საღებავგატარება 14,81. საღრ.-საგამომცემლო თაბახი 13,07. ტირაჟი 50.000. შეკვ. № 763.

ფასი 1 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „ნაკადული", თბილისი, მშვიდობის გამზირი 28.
Издательство «Накадули», Тбилиси, пр. Мира, 28.

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თბილისის ა. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.
Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств полиграфии и книжной торговли, пр. Дружбы № 7.